10) vgl. J. Cooke/D. Oughton, The Common Law of Obligations, 2nd edition, London et al., 1993, p. 27

11) E. Zitelmann, Die Möglichkeit eines Weltrechts, Wien, 1888, S. 6 ff

12) dazu ausführlicher R. Knieper, Gesetz und Geschichte, (in Vorbereitung). Wer an feinerer Analyse arbeitet, sollte sich durch diese These nicht erschüttern lassen. Sie ist erstens falsifizierbar und zweitens kann morgen schon alles ganz anders sein.

13) so M. Weber, Wirtschaft und Gesellschaft. Tübingen, 1922, Zweiter Teil, Kap. VII, § 6

14) so M. Nelson im Wall Street Journal vom 05. April 1995, S. 1

15) ausführlich habe ich diese Überzeugung entwickelt in R. Knieper, Nationale Souveränität - Versuch über Ende und Anfang einer Weltordnung, Frankfurt/M., 1992

**მოსაზრებანი სამართლებრივი რეფორმის
თაობაზე
პროფესორ სერგო ჯორბენაძის
პატივისცემად**

როლფ კნიპერი

**პროფესორი, დოქტორი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საპატიო დოქტორი (ბრემენი)**

1. “შეერთებული შტატები და გერმანია აღმოსავლეთ ევროპაში ზეგავლენის მოსაპოვებლად იბრძვიან – მეტოქე იურისტები და ბანკის მენეჯერები ცდილობენ რეგიონის ეკონომიკა საკუთარი იურიდიული სურათის მიხედვით ჩამოაყალიბონ”, ასე იყო დასათაურებული 1995 წლის 5 აპრილს “უოლ სტრიტ ჯორნალი”. კორესპონდენტმა 1989 წლიდან დაწყებული (ეკონომიკური სამართლის) რეფორმის პროცესი ყოფილ კომუნისტურ საზოგადოებებში აღწერა არა როგორც ეროვნული სამართლის პოლიტიკოსთა ენდოგენური ძალისხმევა, არამედ როგორც დასავლეთის ექსპერტთა შეჯიბრი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კონტინენტურ-ევროპული, ნაპოლეონის პერიოდის სამოქალაქო კანონმდებლობის ტრადიციების დაპირისპირება ანგლო-საქსური კონცეფციისათვის და ამგვარად ბანკებისათვის, ინდუსტრიული საწარმოებისათვის და ადვოკატთა ბიუროებისათვის ინსტიტუციური საკონკურენციო უპირატესობის დადგენა. გერმანული მხრიდან განსაკუთრებით გამოიყოფენ ფედერალური ბანკის და ბრემენის უნივერსიტეტის წვლილს. ზომ არ გამოგვეცხადა ახალი “სამართლებრივი იმპერიალიზმი”?¹ სერგო ჯორბენაძე ამ კითხვაზე თავს, ალბათ, ჩაფიქრებით დააქნევდა.

2. როცა 1989 წელს სახელმწიფო კომუნიზმის სისტემა არა გარეშე მტრების დაწოლის შედეგად, არამედ შინაგანი წინააღმდეგობებისა და ნაკლოვანებების გამო თითქოსდა აფეთქდა, შეიძლებოდა შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ საქმე ეხება ერთი იდეოლოგიისა და სისტემის დროში მკაფიოდ შემოსაზღვრად სრულ მსხვერველს და არა ხანგრძლივ პროცესს, რომელსაც უმეტესი უჩვეულო ისტორიული მოვლენების მსგავსად, ხანგრძლივი წინა და მომდევნო ფაზა ახასიათებს.²

საკანონმდებლო რეფორმისთვის ერთი შეხედვით საკმარისი ჩანდა არსებული სამართლებრივი პრაქტიკის გაუქმება და მისი შეცვლა ახალი, საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებულ საზოგადოებებში მზა ფორმით არსებული კანონთა კრებულით. ამით აიხსნება ის, თუ რატომ არ შეიქმნა და არ იქცა რეალობად რეფორმის პირველ ფაზაში ახალი სისტემისთვის პრიორიტეტული კანონპროექტების საკუთარი გეგმები, ამის ნაცვლად აქტიური რეფორმატორული საქმიანობა კონცენტრირებული იყო იდეოლოგიურად გაჯერებულ ისეთ რეფორმებზე, რომლებიც კაპიტალისტური და კომუნისტური სისტემების მთავარ წინააღმდეგობებს განეკუთვნებიან. ასეთი სფეროებია: პრივატიზების კანონმდებლობა, კანონები საკუთრების სხვადასხვა ფორმების შესახებ, ასევე სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, კონკურენციის და ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, კანონები კერძო უცხოური ინვესტიციების გაადვილების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრგან კონსტიტუციურად განმტკიცდა დემოკრატია და სამართლებრივ სახელმწიფოზე ორიენტაცია, ე. წ. ნორმატიული აქტების შემუშავებაში მონაწილე მრავალი პირი ცოტა ხნის წინ დამოუკიდებლად ქვეულ სახელმწიფოებში კანონმდებლობის არც პროცედურას და არც ტექნიკას არ იცნობს და არც იურიდიული ტექსტების იერარქიის მნიშვნელობა ესმის კარგად. პარლამენტების, პრეზიდენტის ადმინისტრაციების, მინისტრთა კაბინეტების, ცალკეული მინისტრების, უნივერსიტეტის ფაკულტეტების, კვლევითი ინსტიტუტების და სხვა სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ შეიქმნა დეკრეტებისა და კანონების, ბრძანებულებებისა და სამინისტროთა განკარგულებების ქოტური და წინააღმდეგობრივი რაოდენობა. მათ ეხმარებოდათ და კვლავაც ეხმარება მრავალი საერთაშორისო ექსპერტი სხვადასხვა ქვეყნიებიდან და ორგანიზაციებიდან. მათ შორის უმეტესობა არიან არა პრაქტიკოსი იურისტები, არამედ პოლიტიკოს-კონსულტანტები, რომლებიც იმედოვნებენ, რომ აქცევენ სამართალს ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც შეუქცევადი ვახდება სისტემის მსხვერვე და ამ პროცესს იურიდიულადაც დაიცავენ. ამდენად, ტექსტების არც თუ მცირე ნაწილი იკითხება როგორც პოლიტიკური ზრახვების დეკლარაცია და არა ნორმატიული შინაარსის მქონე კანონები. როგორც წესი, არავის უფიქრია მასპინძელ ქვეყანაში არსებულ იურიდიულ ტრადიციებზე, რადგან დასავლელი ექსპერტების არც თუ მცირედი ნაწილი იმ გულუბრყვილო შეხედულებას იზიარებდა, რომ კომუნისტური სისტემა არ იცნობდა იურიდიულ შეხედულებებს.³ ამ მცდელობებში, რომლებმაც შესაძლოა ქოშინიც კი დამართოს ადამიანს, სერგო ჯორბენაძეს მონაწილეობა არ

მიუღია. როცა მისი ბევრი კოლეგა-იურისტი და არაიურისტი ყოველდღიური საქმეების მომქანცველ რიტმში ბევრითად ესება საკუთარი დამკვიდრების შესაძლებლობებს, მან სამოქალაქო სამართლის კათედრაზე შემოიკრიბა ენთუზიასტი მეცნიერები, რათა წამოეწყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნის დიდი საქმე. მან სრულიად დამოუკიდებლად მიმიწვია და გულთბილად შემომთავაზა ჩემი წელიწადი შემეტანა ამ საქმეში.

3. ტრანსფორმაციის პირველ ფაზაში შემუშავებული ბევრი კანონი და დადგენილება პრაქტიკული მნიშვნელობის გარეშე დარჩა. მათში განხილული საკითხები ნაწილობრივ მორე, ზოგჯერ მესამე კანონებისა ინტეგრირებული, ნაწილობრივ კი ისინი დაეიწყებას მიეცნენ. ეს ნაკლებად თუ აიხსნება მხოლოდ იმით, რომ საქმე ეხება გარდამავალი პერიოდის ტიპურ წესებს. ამგვარ წესებსაც თავისი აზრი აქვთ. მათ ძალუძთ წვლილი შეიტანონ გარდამავალი პერიოდის პროცესში წესრიგისა და დროებითი სტაბილურობის დამყარებაში. პრობლემათა დიდი ნაწილი დროში შეზღუდულია და შეგნებულად დროში შეზღუდული “ლონისძიების” – კანონმდებლობის მეოხებით უნდა მოექცნენ გარკვეულ კალაპოტში. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ საგარეო ეკონომიკის, სავალუტო, საგადასახადო, საბაჟო და ფასების კანონმდებლობა, რომლებიც საწარმოთა ხელახალი სტრუქტურისა და მართვის დამხმარე შემოქმედებას ახდენდნენ და მათი მოქმედება შეიძლება მთლიანად შემოიფარგლოს გარდამავალი პერიოდით. პირველი ფაზის კანონების ზოგიერთ ტექსტში საქმე ეხებოდა არა ამგვარ პრობლემებს და შეგნებულ გადაწყვეტილებებს გარდამავალი პერიოდის წესებთან მიმართებაში, არამედ სტრუქტურული და გრძელვადიანი პრობლემების არასაჭირო დამუშავებას.

4. პირველი საათების ეიფორიის შემდეგ უმეტეს გარდამავალ სახელმწიფოში გამოფხიზლება დაიწყო, რასაც ექსპერტთა კრიტიკული შეფასებაც მოჰყვა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ზოგიერთი უბრალოდ ექსპორტირებული კანონი, როგორცაა, მაგალითად რუსეთში სატრასტო კანონი,⁴ იმის გამო, რომ სისტემისთვის სრულიად უცხო გამოდგა, პრაქტიკული გამოყენებისას გადაულახავ სირთულეებს წააწყდა ან – მაგალითად გამოდგება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობები ბევრ ქვეყანაში⁵ – ნაადრევი აღმოჩნდა იმისათვის, რომ იგი პრაქტიკულად ქმედუნარიანი ყოფილიყო. ჩანს – და შესაძლოა “უოლ სტრიტ ჯორნალის” დაკვირვებას ფესვებიც აქ ჰქონდეს – რომ ყველაზე მწვავე რეაქცია მიმართული იყო ამერიკელი

იურისტი მრჩევლების წინააღმდეგ, რომლებიც პირველ ფაზაში განსაკუთრებით მკაფიოდ, მკვეთრად და ხშირად, ხალისის მომგვრელი უდარდელობით გამოთქვამდნენ მოსაზრებებს ისტორიული მნიშვნელობის საკითხების შესახებ. უილდი და გუნდერსონი გვიამბობენ, რომ რუსეთის იუსტიციის მინისტრი შეეცადა სრულიად აეკრძალა ჩრდილო ამერიკელი იურისტების კონსულტაციები;⁶ მონღოლეთის იუსტიციის სამინისტროს 1995 წლის ივნისით დათარიღებული წერილი შეიცავს კონტინენტური ევროპული სამართლის მკვეთრად გამოხატულ აღიარებას, რომელიც უკეთ შეესატყვისება მათსავე სამართლებრივ ტრადიციებს.⁷

5. მღელვარე ეპოქაში მიმდინარე ეს მოვლენები ქანქარის მოძრაობას მოგვაგონებს და მათ მშვიდი შეფასება სჭირდებათ. ამასთან, სიზუსტის მიზნით მინდა ძირითადად სამოქალაქო სამართალზე შევჩერდე, თუმცა ეს მოსაზრებანი არაერთარ შემთხვევაში არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით. უდავოდ სასარგებლოა ის, რომ საწყისი პერიოდის გამოცდილების და უცხოელ ექსპერტთა თითქმის ბრმა ნდობის შემდეგ გარდამავალი პერიოდის საზოგადოებების მეცნიერები უფრო მეტად ჩაერთნენ რეფორმების პროცესსა და საკანონმდებლო კონსულტაციებში. პროფესორ სერგო ჯორბენაძისთვის თბილისიდან და მარკ ბოგუსლავსკისთვის მოსკოვიდან, ასევე მათი მოწაფეებისთვის, რომლებიც იუსტიციის სისტემასა და უნივერსიტეტებში მოღვაწეობენ, ყოველთვის ცნობილი იყო, რომ სამოქალაქო, სავაჭრო და ეკონომიკური სამართალი საბჭოთა კავშირში კონტინენტურ-ევროპულ სამართალთან ურთიერთგაცვლის საფუძველზე წარმოიშვა. კომუნიკაციისა და შედარებითი სამართალმცოდნეობის სირთულეების მიუხედავად, ისინი ამ საერთო ისტორიის ნაწილად განიხილავენ თავს, რასაც შესანიშნავად გრძნობენ. ასე რომ მთლად ზუსტი არ არის, როცა საბჭოთა კავშირში არსებულ გაფანტულ სამართლებრივ ტრადიციებზე წერენ.⁸ წინასწარ ხანგრძლივი მოსამზადებელი სწავლების გარეშე, ამ ტრადიციაზე დაყრდნობით, პროფესორმა სერგო ჯორბენაძემ წამოიწყო საქართველოს სამოქალაქო სამართლის განახლების საქმე.

6. კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებმა მე-19 საუკუნეში სამოქალაქო სამართლის, სავაჭრო სამართლის და ეკონომიკური სამართლის უმნიშვნელოვანესი კოდიფიკაციები ჩაატარეს. ამასთან, ქვეყნების ურთიერთგავლენა ძალზე დიდი იყო და სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციებმა რომით შთაგონებული პანდექტური სამართლის ერთობლივ ფესვებს მიმართეს. ეს შეეხო - ყოველ შემთხვევაში ქონებრივი

და საქონლებრუნვის სამართალში – სხვა მხრივ ჯერ კიდევ ნახევრადფეოდალური პრუსიის 1794 წლის საერთო სახელმწიფო სამართალს, რევოლუციური საფრანგეთის 1804 წლის Code civil-ს, განმანათლებლური ავსტრიის 1811 წლის საერთო სამოქალაქო კოდექსს, გერმანიის 1896 წლის სამოქალაქო კოდექსს, ასევე ფაშისტური იტალიის 1942 წლის Codice civile-ს. დასავლეთ ევროპული სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია, რომელიც ჯერაც ბოლო პროდუქტია. პოლანდიის დემოკრატიული 1992 წლის Burgerlijk Wetboek-ის ქონებრივი სამართალი, ერთმნიშვნელოვნად ამ ტრადიციას ემყარება. ამ კანონთან დაკავშირებით ჩატარებული შეპირისპირება Code Civil-სა და ევროპულ ius commune-ს შორის გასაგები ვერ იქნება, რადგან ერთი მეორის ნაწილია – იგივე ითქმის პანდექტურ სამართალთან მკვეთრი შეპირისპირების შესახებ. მიუხედავად კოდიფიკაციის უქონლობისა, ინგლისური სამართალიც ზოგადად ამ ტრადიციას ემყარება, რის შემდეგაც პოტიეს “Traite des obligations”-მა, ფრანგული პანდექტური სამართლის ნაწარმოებმა, რომელმაც გავლენა იქონია Code Civil-ზე, ასევე მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია კლასიკურ ინგლისურ სახელშეკრულებო დოქტრინას.¹⁰

ჯერ კიდევ ცარისტულმა რუსეთმა სცადა განვითარების ამ პროცესში ჩართულიყო. შვეიცარიის და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების საფუძველზე შემუშავებული პროექტის გამოქვეყნებას რევოლუციამ დაასწრო. მაგრამ ვერც რევოლუციამ შეწყვიტა მთლიანად ეს კავშირი. 1923 წლის პირველმა კომუნისტურმა სამოქალაქო კოდექსმა მნიშვნელოვანწილად შეუცვლელი დატოვა ეს პროექტი და 1964 წლის რეფორმაშიც კონტინენტური ევროპის გავლენა ნათლად იგრძნობა.

7. ეს რეზიუმე არავითარ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად ისტორიული უძრაობის მხარდაჭერას და მით უფრო პანდექტური სამართლის უკვდავყოფას. მას შემდეგ, რაც სამართლებრივი კავშირები გამუქებას იწყებს, მას შემდეგ, რაც ზოგიერთი თანამედროვე, განსაკუთრებით ეროვნული ნიშნით შეფერილ პოზიციებზე დაყრდნობით წარმოიქმნა კონტრასტი, სადაც უწყვეტობა იგრძნობა და მას შემდეგ, რაც ზოგჯერ მოდერნიზაციებიც კი იქნა შემოთავაზებული, რომელთა შინაარსი მე-19 საუკუნის სამართლებრივი დოგმატიკისთვის კარგად იყო ცნობილი, საჭიროდ მიმაჩნია, გაეიხსნოთ ეს კავშირები. სამართლებრივი იმპერიალიზმის ეჭვიც ხომ სწორედ ამგვარად დაქპარგავს თავის სიმწვავეს.

უკვე 1888 წელს ციტელმანი, იმ დროს გაბატონებული ნაციონა-

ლისტური შეხედულების საწინააღმდეგოდ ფიქრობდა, რომ “ძირითადი ეკონომიკური ფაქტორები” მსოფლიოში “ერთმანეთს მიესადაგდნენ”; ასე რომ “სპეციფიურად ეროვნული მოსაზრებანი” სამოქალაქო კანონმდებლობისთვის თანდათან მნიშვნელობას ჰკარგავენო. მას არც სამოქალაქო კოდექსის ეროვნული გენიალობა უარუყვია¹¹ და მართლაც, სამოქალაქო კოდექსების მსგავსება მეთოდსა და შინაარსში, ისევე როგორც მათი ზანგძლივი მოქმედება, დოკუმენტურად ადასტურებს, რომ ისინი შეესატყვისებოდნენ და შეესატყვისებიან სამოქალაქო საზოგადოების გრძელვადიან სტრუქტურულ აუცილებლობებს და ბრუნვით მოთხოვნებს. ისინი – ფრანგული მატიანის ტერმინოლოგიით – “longue durée”-ს ფენომენს განეკუთვნებიან. “აზროვნების მოუთმენლობის” (პეგელი) მიუხედავად ისინი არ საჭიროებენ უფრო მოკლე პერიოდიზაციისთვის პრინციპულ მისადაგებას, როგორც ამას მუდმივად ცდილობენ ისეთ ცნებებთან დაკავშირებით, როგორცაა პოსტმოდერნიზმი, გვიანი კაპიტალიზმი ან ადრეული პოსტკომუნიზმი.¹² კვლავაც საჭირო ხდება რამდენიმე მომენტის განმარტება.

ა) პრობლემური ვითარებების შედარება და საკითხთა გადაწყვეტის მსგავსება ზოგადად, ცხადია, არ გამორიცხავს, რომ ეროვნულ თავისებურებათა და პროვინციულ სიჯიუტეთა ერთი წყება სხვადასხვა კანონებში, დოგმატიკასა და მართლმსაჯულებაში შენარჩუნებულია. ეს თუნდაც იმიტომ უნდა იყოს ასე, რომ ადრეული პერიოდის განვითარებანი ფრთხილად, ნელ-ნელა, ექსპერიმენტულად მიმდინარეობენ. ამის მაგალითია ნების თეორიის გერმანული Verrekungen და იმანუილ კანტისეული სანივთო ხელშეკრულების გაზიარება, რომელსაც ალბათ მისსავე გუნება-განწყობილებას უნდა ეუმადლოდეთ უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის და consideration-ის თეორიისთვის გამომდინარე დასკვნებით.

ბ) ასევე ცხადია, რომ მსგავსი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პრობლემები შეიძლება სხვადასხვა სახის იურიდიული გადაწყვეტილებების გზით მოგვარდეს და ეს გადაწყვეტანი არათუ სხვადასხვა ქვეყანაშია სხვადასხვაგვარი, არამედ ერთსა და იმავე ქვეყანაშიც კი გარკვეული პერიოდის მანძილზე არაერთგვაროვანია. ამგვარი არსებითი ალტერნატივები ხშირად გამოწვეულია ინტერესების (სამართლებრივ) პოლიტიკურად მოტივირებული მოსაზრებებით და რისკის განაწილებით სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეთათვის. საზოგადოებრივი ცვლილებების შედეგად აზრები ძალაუვნებურად იბა-

დებიან, ისინი შესაძლოა კარგა ხნის წინ ცნობილ პრობლემებსაც წარმოადგენდნენ, რომლებსაც დიდი ხანია ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისით განიხილავენ. მაგალითის სახით გამოდგება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული და დროში მერყევი წინაპირობები და შედეგები ზიანის მიყენებისა (Leistungsstörungen) და ზიანის ანაზღაურებისა, განსაკუთრებით ბრალის ელემენტთა სფეროში, ასევე დელიქტური პანდექტური და სახელშეკრულებო უფლებების და თვით ხანდაზმულობის ვადის ნორმების განსხვავებული ფორმულირება. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სიახლისთვის დამახასიათებელი წინდაუხედავი ქმედებანი, უნდა გავიხსენოთ, რომ პანდექტური მეცნიერება სულაც არ იყო მონოლითური წარმონაქმნი და რომ კოდიფიკაციები აზრთა ხანგრძლივი შეხლა-შემოხლის შედეგი იყო და არის. ასევე უნდა გავიხსენოთ ის, რომ აქტუალური სამოქალაქო სამართალმცოდნეობის hot potatoes-ს არც თუ მცირედი, როგორცაა პიროვნებისათვის ზიანის მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მატერიალიზებანი სოციალური სამართლიანობის მიზნით, სიმართლის დადგენის ვალდებულებები სარისკო გარიგებისას, laesio enormis, მევახშეობის ნორმები, საკუთრების სოციალური ბოჭვა და სარგებლობის ვალდებულება, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა. კატეგორიის ობიექტივაცია ან ზარალის განაწილების კონცეფციები უკვე მე-19 საუკუნეში იყო ცნობილი და ურთიერთწინააღმდეგობრივად განიხილებოდნენ. ამასთან, არც თუ იშვიათად, განვითარებული აბსოლუტიზმის პატერნალიზმი "ფორმალური სიმკვეთრის ნაცვლად მატერიალურ სამართლიანობას ესწრაფვოდა."¹³

გ) და ბოლოს, კვლავაც თავისთავად ჩნდება სუბსტანციური მოდერნიზაციის მოთხოვნები, რომლებიც სცილდება რისკის გადანაწილების უბრალო შენიღბვის ფარგლებს. მაგალითის სახით გამოდგება თანამედროვე ხელშეკრულებათა ისეთი ნაირსახეობანი, როგორცაა ლიზინგი, ფრანჩაიზინგი, ფექტორინგი, რომლებიც შეიძლება ჩართულ იქნან და უნდა ჩავართოთ კიდევ კლასიკური ხელშეკრულებების ნუსხაში, რათა თავიდან ავიცილოთ ის, რომ ბაზრის მფლობელმა სახელშეკრულებო მხარეებმა სიახლის საბაბით უარი თქვან რისკის შესაბამის განაწილებაზე.

8. მეშვიდე პუნქტის ა) ბ) და გ) ქვესაკითხებში დასახელებული განსხვავებულობის მაგალითები ვერ უარყოფენ სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციების ძირითად სტრუქტურას და მეთოდს. ვერაფერი ასაბუთებს ამას ისე ზუსტად, როგორც ვეროპული სამართლის სუბ-

სტანციური უნიფიკაციის მშვიდი და არც თუ მიმზიდველი პროცესი. ამ პროცესის მეოხებით მოხერხდა ერთი შეხედვით ასე ძლიერ ერთმანეთისგან დაშორებული სამართლებრივი კულტურების დაახლოება. სერგო ჯორბენაძე და მისი კოლეგები კვლავაც განიხილავენ ალტერნატიულ გადაწყვეტილებებს, რათა საქართველოსთვის შესაფერის არჩევანზე შეჩერდნენ.

ზოგადად ეს პროცესი კარგა ხანია მთელს ევროპაში მიმდინარეობს. სამოქალაქო, სევაჭრო და ეკონომიკურ სამართალში სამართლებრივ-შედარებითმა და სამართლებრივ-პოლიტიკურმა დისკუსიამ დიდი ხანია გლობალური ხასიათი მიიღო. გაიხსენოთ ის დიდი გავლენა, რომელიც იქონია კონკურენციის შეზღუდვის და სააქციო ვაჭრობის აშშ-ს სამართალმა ევროპაში. ან კოდიფიცირებულ სამართალსა და Case law-ს შორის კონვერგენციაზე. სუბსტანციური თანამედროვე სამართლის ქარმონიზაციის პირველ დიდ შედეგებს საუკუნის დასაწყისამდე მივყავართ; ისინი ეხება (საერთაშორისო) ტრანსპორტს, საგადასახადო ვალდებულებასა და სავაჭრო სამართალს. ამ მიმართულებით ისეთი მოდელური კანონები, როგორცაა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის კანონი საავტორო უფლებისა და მისი მონათესავე დაცვითი უფლებების შესახებ, რომლებიც პოსტკომუნისტური სახელმწიფოებისთვის იქნა შემუშავებული და მათი დიდი ნაწილი კიდევ მიიღეს ამ სახელმწიფოებმა. ისინი ასახავენ ქარმონიზებულ და ალბათ, რეცესიის შთაბეჭდილების ქვეშ კვლავაც მიმდინარე ქარმონიზებად სამართლებრივ ვითარებას. მოდელი არსებითად გადაამუშავა და საქართველოს მიუსადაგა სერგო ჯორბენაძემ. ლაპარაკიც კი ზედმეტია სისტემის მსხვერვაზე ან სულაც იმპერიალიზირებად გარდაქმნაზე. სწორედ ციტელმანის გაგების შესაბამისად მსოფლიო ეკონომიკური პრინციპების ერთგვაროვნება ერთგვაროვანი სამოქალაქო სამართლის არსებობას ხდის შესაძლებელს.

იურიდიულ ურთიერთთანამშრომლობაში უნდა დავასახელოთ ასეთი ალტერნატივების სხვადასხვა წარმომავლობა და ავხსნათ მათი შედეგები. ერთი მაგალითი მოვიშველიოთ უკვე ციტირებული “უოლსტრიტ ჯორნალიდან”: თუ “მკაცრი და მჩქეფარე აშშ-ს კაპიტალიზმის სამართალი დაუპირისპირდება რეგულირების, ფიქსირებული პროცედურის და სოციალური ბალანსირების ევროპულ “კულტურას”, რომელსაც რეიგანის შემდგომი პერიოდის ამერიკაში “კონსერვატიულად” მიიჩნევენ,¹⁴ მაშინ მე უპირატესობას ბოლოს დასახელებულ ალტერნატივას მივანიჭებ და მას შესაბამისად სამართლებრივ პოლიტიკურ რეფორმაში განვიხილავ. პროფესიული უწმინდურობა და ეშმაკობა ან

“იმპერიალისტური” საქციელი იქნებოდა ჩემს მხრივ, ამ განხილვაში დამეფარა ინფორმაცია არსებული ალტერნატივების და მათი შედეგების შესახებ. თუმცა კი, ალბათ, კადნიერება იქნება ვიფიქროთ, რომ მხოლოდ უცხოელ ექსპერტებს ძალუძთ ამგვარი ალტერნატივების შესახებ მოხსენებების კითხვა მოკლე დროის მანძილზე, მას შემდეგ, რაც სამართალ-შედარებითი დიალოგები დაიწყო, იგი განსაკუთრებით გააქტიურდა გარდამავალ საზოგადოებებში. სერგო ჯორბენაძე ის პიროვნებაა, რომელიც ყველაზე უკეთ დაგვისაბუთებს ამას.

9. უფრო ძნელია თანაშრომლობა და მსჯელობა იმ სფეროებში, რომლებიც სახელმწიფოს კომუნისტური პერიოდის რელიქტებად უნდა ჩაითვალოს და რომელთაც სწორედ გარდამავალი სახელმწიფოს წარმომადგენელი კოლეგები იცავენ. სამოქალაქო სამართლიდან მაგალითის სახით გამოდგება საკუთრების ფორმები, რომლებიც განსხვავდებიან მფლობელი პირის ფუნქციების მიხედვით, ან ოპერატიული მართვის და სრული სამეურნეო გამგებლობის ინსტიტუტები. ეს სამართლებრივი ფიგურები ძირითადად 30-იანი წლების საბჭოთა კავშირში შეიქმნა იმისთვის, რომ შედეგები, რომლებიც გამოჰდინარეობდნენ მწარმოებლური საკუთრების თითქმის სრული მონოპოლიზაციიდან, მთლიანად სახელმწიფოს ხელში ყოფილიყო მომგებიანად თავმოყრილი. სარგებლობის და მართვის გარკვეული, ამასთან მხოლოდ წმინდა სამართლებრივი, უფლებების გადაცემა მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისადმი, პროფესიული კავშირების, საწარმოების, კოლმეურნეობების და კომუნისტური სახელმწიფოს სხვა ქვედანაყოფებისათვის, მიზნად ისახავდა ფრთხილ დეცენტრალიზაციას, რისგანაც უფრო მაღალ ეფექტურობას მოელოდნენ და რაც პრაქტიკაში კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ნაკლოვანებათა კუმულირებას უფრო ახდენდა, ვიდრე იმას, რომ სოციალისტური მიღწევების შენარჩუნების გზით საზოგადოებრივ დინამიკაში შეეტანა წვლილი. დეცენტრალიზებული საკუთრების მქონე საბაზრო ეკონომიკაში ამ ფიგურებსა და კონსტრუქციებს ნაკლები მნიშვნელობა გააჩნიათ. მართალია, ისინი ზრდიან რისკს “სამოქალაქო” სახელმწიფოსთვის, რომელიც ტრადიციული იურიდიული გაგებით მესაკუთრედ რჩება და ამით მას საბოლოო ჯამში შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა (ძალაუფლების გარეშე) და ისინი ასევე პოტენციურად უპასუხისმგებლო მენეჯმენტის სიმძიმესაც ხსნიან. ამიტომ განხილვისას ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ამგვარი კონსტრუქციები რეფორმის პროცესში იშლება, თუნდაც მაშინ, როცა იქმნება იმის შთაბეჭდილება, რომ ნაკლები პატივისცემით ეპყრობიან მომეტებულ

ეროვნულ თავისებურებებს. სინამდვილეში საქმე ეხება არა ამგვარ მოვლენას. არამედ თავისებურებებს, რომელთაც რომელიმე სისტემაში თავისი მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ სისტემური ცვლილებების შემდეგ ისინი უცხო სხეულებად იქცევიან და მათი არსებობაც დიდ რისკთანაა დაკავშირებული.

10. საბოლოო ჯამში ნაკლებ გაკვირვებას იწვევს ის, რომ სახელმწიფოები ღრმა სისტემური ცვლილებების შემდეგ, სამართალმედარების დეზავეირების; ათწლეულის შეზღვევა და სამართლებრივ-მეცნიერული და სამართლებრივ-პოლიტიკური განვითარების პროცესების შეცვლის შემდეგ კვლავ კოდიფიკაციის ტრადიციებს უბრუნდებიან ან როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრმა დოქტორმა თ. ნინიძემ თავის გამოქვეყნებულ სატყვეაში 1995 წლის 21 აპრილს თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს უთხრა, განზრახული აქვთ ერთი ათეული წლის მანძილზე ანაზღაურონ კოდიფიკაციები, რაც აკრძალული იყო მათთვის მას შემდეგ, რაც ისინი მთლიანად მოწყდნენ კოდიფიკაციის საუკუნეს. ამასთან სასიამოვნოა, რომ ალბანეთი, ბალტიის რესპუბლიკები, საქართველო, რუსეთი, ჩეხეთი... ისეთ სახელმწიფოებთან ამყარებენ კავშირებს, რომლებთანაც მათ მჭიდრო ეკონომიკური, პოლიტიკური და სამეცნიერო ურთიერთობები ჰქონდათ. სამყაროს ძველი რუკის აღდგენის რეაქციულ ზრახვასთან ამას საერთო არაფერი აქვს. ამგვარი მცდელობები მსოფლიოს სრულად შეცვლილი რეალობების გამო იმთავითვე დასაღუპავადაა განწირული. ის დრო, როცა მიწების იმპერიალისტურ მიტაცებას აზრი ჰქონდა, კარგახანია უკანმოუბრუნებლად გავიდა.¹⁵

ამის საპირისპიროდ გარდამავალი პერიოდის საზოგადოებებისათვის მნიშვნელოვანია მათი სამოქალაქო და ეკონომიკური სამართლის დაწერილებითი კოდიფიცირება, ამასთან ისინი არ უნდა დაეყრდნონ Case law-ს და ხელშეკრულების გაფორმების ხელოვნების განვითარებას. ორივე, ცხადია, საჭიროა და მათი დროც მოვა. მაგრამ ძალზე რთული და კრიტიკული გარემოებანია შექმნილი საიმისოდ, რომ აუცილებლობას არ წარმოადგენდეს სოციალური საფუძვლის შექმნა, რომელიც ამოსავალი იქნებოდა მათთვის. საფუძველად არასდროს არ გამომდგარა და არც არასდროს გამოდგება ერთადერთი ეროვნული სამართლის პროვინციული შეზღუდულობა, რომელიც მისი იმპორტირების საშუალებას იძლევა. საფუძველს ქმნის თანამედროვე, სიტუაციაზე, სტრუქტურასა და რეგიონზე მორგებული კანონების შემუშავება, რომლებიც სხვადასხვა შედარების საფუძველზე წარმოიქმნება. თავიდანვე

უნდა მიექცეს ყურადღება რეგიონულ თავსებადობას, რათა სამართლებრივი რეფორმების გამოისობით ერთმანეთს არ მოწყდნენ რეგიონები. რომლებიც მრავალი წლის მანძილზე კონოზიკურად მაინც იყვნენ დაკავშირებულნი. ეს შინაარსობრივ სიცარიელეზე აბსტრაქტულად ფორმირებული პროგრამაა. მხოლოდ კონკრეტული ურთიერთთანამშრომლობის გზითაა შესაძლებელი ცალკეული პროექტის რეალიზება, რომელშიც ყველა იღებს მონაწილეობას. მოხარული ვარ, რომ პროფესორ სერგო ჯორბენაძესთან ერთად ამ საქმის კეთების შესაძლებლობა მომეცა.

1. ასე დასვა საკითხი ქალბატონმა ფრანკა "Süddeutsche Zeitung"-ში 1995 წლის 23 მარტს.
2. შეად. E. Matzner u.a , Der Markt-Schock - Eine AGENDA für den wirtschaftlichen und gesellschaftlichen Wiederaufbau in Zentral-und Osteuropa. Berlin 1992
3. R. Knieper, Wirtschaftsreform als Rechtsreform in post-kommunistischen Gesellschaften?, RIW 1993, 907 ff, ders. und M.M. Boguslawskij, Konzept zur Rechtsberatung in Transformationsstaaten, Eschborn, 1995
4. Knicper/Boguslawskij, a.a.O.
5. იხ. die Sammlung von U. Schulze, Die Wettbewerbs- und Kartellgesetze der osteuropäischen Staaten, Berlin, 1994
6. T. Waelde/ J. Gunderson, Legislative Reform in Transition Economics: Western Transplants - Short-cut to Social Market Economy Status? Int.&Comp.L.Q. 43 (1994), 347 ff
7. Staatspolitik über die Rechtsreformierung in der Mongolei (Projekt), Ulan Bataar. 1995
8. so G. Ajani, Fonti e modelli nel diritto dell'europa orientale, Trento, 1993, S. 105 ff
9. Hartkamp, Civil Code Revision in the Netherlands 1947-1992, in: Nicuw Netherlands Burgerlijk Wetboek, Deventer, 1990, S.XXVI
- 10 შეად. J. Cooke/D. Oughton, The Common Law of Obligations, 2nd edition, London et al., 1993, p. 27
11. E. Zitelmann, Die Möglichkeit eines Weltrechts, Wien, 1888, S. 6 ff
12. ამის შესახებ დაწერილებით R. Knieper, Gesetz und Geschichte. (in Vorbereitung). (ბეჭდვაშია) ვინც დაწერილებით ანალიზზე მუშაობს, ამ თეზისს არ უნდა შეუმინდეს. ჯერ ერთი, იგი იოლად ფალსიფიცირებადი (ცაყალბებადია) და მეორე, ზეალ შეიძლება სხვაგვარად იყოს.
13. ასეა M. Weber, Wirtschaft und Gesellschaft, Tübingen, 1922. Zweiter Teil. Kap. VII. § 6
14. ასეა M. Nelson im Wall Street Journal vom 05. April 1995, S. 1
15. დაწერილებით ეს მოსაზრებები მოცემულია R. Knieper, Nationale Souveränität - Versuch über Ende und Anfang einer Weltordnung, Frankfurt/M., 1992

კანონი მეფარმეთა შესახებ და საკორპორაციო სამართლის წარმოშობა საქართველოში

ლადო ჭანტურია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

1993 წლის გაზაფხულზე, როდესაც მე სამეცნიერო სტაჟირების შედეგ გერმანიიდან საქართველოში დაებრუნდი, ბატონ სერგო ჯორბენაძეს მორიგებით ვუთხარი: “რა კარგი ჰქენით, ბატონო სერგო, რომ სამოქალაქო სამართალში სახელმძღვანელო არ გამოეცით-მეთქი”.¹ ბატონმა სერგომ გაიღიმა და ჩვეული იუმორით მიპასუხა: “როგორ შეიძლება სახელმძღვანელოს დაწერა სამოქალაქო სამართალში, როცა სამოქალაქო სამართალი არ გექონდა”. ამ მწარე სიმართლის თქმა შეეძლო მხოლოდ დიდ მეცნიერს. ჰუმანისტსა და მოაზროვნეს, რომლის თვალსაწიერიც არასდროს შემოფარგლულა საბჭოთა სამოქალაქო სამართალით/სამოქალაქო სამართალი თავისუფალი საზოგადოების სამართალი,² რომლის უეჭველი წინაპირობაც პიროვნების თავისუფლებაა. ამ თავისუფლების უფლებრივ, გარეგნულ გამოხატულებას წარმოადგენენ: ინდივიდების თავისუფალი გადაადგილება, მეწარმეობისა და ვაჭრობის, ხელშეკრულებისა და საკუთრების თავისუფლება.³ ადამიანის, როგორც პიროვნების, როგორც ბუნებით თავისუფალი არსების გაგება მკაფიოდ გამოიხატება საკუთრებაში/საკუთრება, როგორც ადამიანის პიროვნულობის გამოხატულება, “მისი თავისუფლების გარეგნული სფერო”, კლასიკური ფილოსოფიის მნიშვნელოვანი პოსტულატია.⁴ სწორედ ეს პრინციპები და ღირებულებები უარყო საბჭოთა წყობილებამ და შესაბამისად საბჭოთა სამართალმა. ამიტომ საბჭოთა სამოქალაქო სამართალი მხოლოდ რუდიმენტია იყო იმ სამოქალაქო სამართლისა, რომელიც თავისუფლების იდეის მატარებლად მოველინა მეცხრამეტე საუკუნის დასაველეთ ევროპას.

თუ საბჭოთა სამართლის სისტემაში სამოქალაქო სამართალი ფორმალურად მაინც არსებობდა⁵, საკორპორაციო სამართალი⁶ მისთვის სრულიად უცხო იყო. ამის ძირითადი მიზეზი ის გახლდათ, რომ საბჭოთა ეკონომიკა, თუ არ ჩავთვლით ფორმალურად კოოპერაციულ საწარმებს – კოლმეურნეობებს, მთლიანად სახელმწიფოს ხელში იყო.⁷ ვინაიდან/არ არსებობდა კერძო ეკონომიკა, არც კერძო სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს იცნობდა

საბჭოთა სამართალ/ოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული*.

1985 წლიდან საბჭოთა კავშირში გარდაქმნის პროცესის დაწყებასთან ერთად წინა პლანზე იწევს კერძო ინიციატივის გაძლიერებისა და გაფართოების ტენდენცია. ოფიციალური ხელისუფლება ამის უპირველეს გამოხატულებად მიიჩნევს ინდივიდუალური შრომითი საქმიანობისა⁹ და კოოპერაციის განვითარებას.¹⁰ ამ პერიოდის საბჭოთა სინამდვილისათვის უცხოა ისეთი წმინდა კაპიტალისტური საწარმოები, როგორცაა სააქციო ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები¹¹.

კანონი, რომელმაც საქართველოში სამართლებრივად პირველად განამტკიცა სამეწარმეო საზოგადოებები, იყო კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1991 წლის 25 ივლისს.¹²

კოდიფიკაციის აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების კანონმა ზოგადი სახით განამტკიცა სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, იგი დაბალი დონის კანონი იყო: მას პრეტენზია ჰქონდა მთლიანად მოეწესრიგებინა სამეწარმეო საქმიანობა. ამიტომ მასში თავმოყრილი იყო როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებიც. ამან გამოიწვია ის გარემოება, რომ კანონით გათვალისწინებულ საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების შესახებ აუცილებელი გახდა ცალკე კანონქვემდებარე აქტების მიღება.¹³ ეს, რა თქმა უნდა, ეკონომიკის სამართლებრივი საფუძვლების არასტაბილურობას იწვევდა. ამან კი განაპირობა აუცილებლობა სრულყოფილი კოდიფიკაციისა, რომელსაც უნდა შეექმნა რეალური სამართლებრივი საფუძველი.

მეწარმეთა შესახებ კანონის იდეა პირველად დაიბადა 1993 წლის მაისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრაზე სამოქალაქო კოდექსის კომისიაში¹⁴ მუშაობის პროცესში. კერძოდ, კომერციულ იურიდიულ პირებზე დისკუსიის დროს გერმანელმა იურისტებმა (პროფესორი როლფ კნიპერი ბრემენიდან და ადვოკატი პარტმუტ ფრომი ფრანკფურტიდან) წამოაყენეს შოსაზრება კომერციული (სამეწარმეო) იურიდიული პირების შესახებ ერთიანი კანონის შემუშავების თაობაზე, რომელსაც მომავალში სავაჭრო კოდექსიც უნდა შეეცვალა. იმ დროიდან მოყოლებული ქართველი და გერმანელი იურისტების ერთობლივი ინტენსიური მუშაობის შედეგად შეიქმნა კანონი მეწარმეთა შესახებ¹⁵.

სავაჭრო კოდექსები წარმოიშვა მე-19 საუკუნის დასავლეთ ევრო-

პაში. ამ ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობებში ვაჭრები (კომერსანტები) უდიდეს როლს თამაშობდნენ. ამიტომ მათი სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგება კანონმდებლის მნიშვნელოვან ამოცანად იქცა. ამის შედეგად შეიქმნა სავაჭრო კოდექსები ჯერ საფრანგეთში, ხოლო საუკუნის ბოლოს გერმანიაში. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკურ ურთიერთობებში სულ უფრო მზარდ როლს თამაშობენ ისეთი კაპიტალური საზოგადოებები, როგორცაა სააქციო და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები. მათი სამართლებრივი მოწესრიგება სავაჭრო კოდექსებში შეუძლებელი იყო. ამიტომ წარმოიშვა ცალკე კანონების მიღების აუცილებლობა. ასე შეიქმნა სააქციო კანონები და კანონები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა შესახებ.¹⁶ ზოგმა ქვეყანამ ეს საზოგადოებები სამოქალაქო კოდექსებში განამტკიცა და იქ მოაწესრიგა (მაგ. შვეიცარია). ასეთივე მოწესრიგების მცდელობა იყო საქართველოს სსრ 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსშიც.

მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე დაგროვდა უზარმაზარი გამოცდილება, რომელიც შესაძლებელს ხდიდა შექმნილიყო ერთიანი ნორმატიული აქტი ამ სუბიექტების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის. მით უმეტეს, რომ სრულიად სამართლიანად იქნა დასაბუთებული უცხოეთში მოქმედი ცალკეული კანონების იმპორტის უაზრობა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში.¹⁷ სასიხარულოა, რომ ეს გამოცდილება ყველაზე კონცენტრირებული სახით ქართულ კანონში გამოიხატა.¹⁸

ჩვენში ხშირად ამბობენ, თითქოს ეს არის გერმანული კანონი. ეს შენიშვნა არასწორია. ამის თაობაზე 1994 წლის 25 ოქტომბერს საპარლამენტო დისკუსიაში მონაწილეობის დროს იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ აღნიშნა – ეს არის ქართული კანონი. მის მსგავს ერთიან აქტს გერმანიაში ვერ ნახავთ, დასავლეთ ევროპის ვერც სხვა ქვეყანაში. მეწარმეთა კანონი არის ქართული კანონი, რომელშიც გამოყენებულია იმ ქვეყნების ცოდნა და გამოცდილება, რომელთა მსგავსის აშენებაც მიზნად დავისახეთ. ეს არის გერმანულ მეცნიერებთან თანამშრომლობაში შექმნილი ქართული კანონი. იგი ემყარება კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციას, მის ძირითად პრინციპებს, რომელთაგან ზოგიერთს ორ ათასწლოვანი ისტორია აქვს და რომის სამართლიდან მომდინარეობს.¹⁹

კანონის სახელწოდებაც აზრთა ხანგრძლივი ურთიერთჭიდილის შედეგად გადაწყდა. თავდაპირველად კანონის პროექტს ეწოდა “კანონი სამეწარმეო საზოგადოებების შესახებ”. იმთავითვე ნათელი იყო, რომ ინდივიდუალური მეწარმე არ წარმოადგენდა “საზოგადოებას”, მაგრამ

იურიდიული ფიქციის დაშვების გზით კანონის ავტორები ცდილობდნენ ეს ხარვეზი ამოეხსოთ. ალტერნატიულ სახელწოდებად აირჩა “კანონი საწარმოთა შესახებ“. ამ დასახელებით წარედგინა იგი პარლამენტს და პირველი კითხვით მიიღეს კიდევ 1994 წლის ზაფხულში.

1994 წლის 15 ივლისს ქალაქ ბრემენში გაიმართა საერთაშორისო იურიდიულ-სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა “პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში სამოქალაქო და სამეურნეო სამართლის რეფორმის“ პრობლემებს.²⁰ ამ კონფერენციაზე დიდი ყურადღება დაეთმო აღნიშნულ კანონპროექტს. ითქვა, რომ წარმოდგენილი კონცეფცია სადავოა. კერძოდ საკითხი შეეხო იმას, თუ რას წარმოადგენდა საწარმო? იყო იგი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი თუ სუბიექტი? მრავალი დისკუსიისა და კამათის შემდეგ ქართული იურისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კანონს უნდა დაერქვას კანონი “მეწარმეთა შესახებ“. ამის მთავარი არგუმენტი (და ალბათ ყველაზე დამაჯერებელი) ის იყო, რომ კანონი აწესრიგებს სწორედ მეწარმეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს და განსაზღვრავს მათ სტრუქტურას.

იყო სხვა წინადადებებიც/ერთნი ამტკიცებდნენ, რომ კანონს უნდა დარქმეოდა “მეწარმეობის შესახებ“, სხვები მიიჩნევდნენ, რომ მისი სახელი უნდა ყოფილიყო “სამეწარმეო საქმიანობის შესახებ“. ვფიქრობ, რომ ორივე ეს მოსაზრება სრულიად საფუძვლიანად იქნა უარყოფილი: პირველი, მეწარმეობა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ამ კანონით მოწესრიგებული ურთიერთობა. ფაქტიურად მეწარმეობის პროცესში გამოიყენება ყველა ის სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც სამოქალაქო კოდექსშია განმტკიცებული; მეორე მეწარმეობა, სამეურნეო საქმიანობა გულისხმობს ასევე საჯარო-სამართლებრივ (ე.ი. სახელმწიფო სამართლებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ, საგადასახადო-სამართლებრივ და ა.შ.) ურთიერთობებსაც, მაგალითად, ლიცენზიების გაცემა, საგადასახადო პოლიტიკა და ა. შ. კანონი კი მხოლოდ ამ ურთიერთობის მონაწილე მეწარმეების სამართლებრივი ორგანიზაციით შემოიფარგლება. ამიტომ ვფიქრობ, რომ კანონის სახელწოდება სწორადაა შერჩეული.)

მწვავე საპარლამენტო დებატების შემდეგ 1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო/კანონი მეწარმეთა შესახებ. ქართული სამართლის ისტორიაში ესაა კერძო სამართლის პირველი კანონი, რომელიც კოდიფიკაციის ხარისხით საერთაშორისო სტანდარტების დონეზეა შესრულებული./ იგი ქართული სამართლის

უდიდესი მონაპოვარია. ამავე დროს, კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ტრადიციის გაგრძელება და მისი ხორცშესხმაა. ამ კანონით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში საკორპორაციო სამართლის განვითარებას.

კანონის სიახლე შეიძლება რამდენიმე ასპექტით განვიხილოთ.

ჯერ ერთი/კანონშემოქმედების თვალსაზრისით ესაა პირველი კოდიფიცირებული აქტი, რომელმაც ერთიან სისტემაში მოაქცია სამეწარმეო საქმიანობაში ჩაბმული ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა; შეუქმნა მას ზოგადი ნაწილი, რომელიც, მცირე გამონაკლისის გარდა, საერთოა ყველა სამეწარმეო სუბიექტისათვის;

მეორე, მეწარმეთა ურთიერთობის სფეროში წარმოშობილი საკითხების სამართლებრივი რეგლამენტაციის ხარისხით იგი არის კერძო სამართლის პირველი კანონი საქართველოში/ ადრე მოქმედი კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ უფრო პოლიტიკურ-საჯარო ხასიათის აქტი იყო, ვიდრე კერძო სამართლის კანონი. მასში განსაზღვრული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების რეგლამენტაცია სამთავრობო დადგენილებებით და სხვა კანონქვემდებარე აქტებით ხდებოდა. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, რომელშიც კანონის უზენაესობაა აღიარებული, ამგვარი რამ მიუღებელია: მეწარმეთა სტატუსი კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და არა კანონქვემდებარე დოკუმენტებით;

მესამე, ინვესტორები თავიანთი თავშეკავების მიზეზად საკანონმდებლო ბაზის უქონლობას თვლიდნენ. ამ კანონით ეს ხარვეზი გამოსწორდა./თუმცა ზოგი პოლიტიკოსის აზრის საპირისპიროდ, კანონი არ უქმნის ვინმეს პრივილეგიას. შეხედულება უცხოელი მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ მცდარი მგონია. სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს საკუთარი მეწარმეებისა და ინვესტორებისათვის რეალური სამართლებრივი საფუძვლის შექმნა და მისი უზრუნველყოფა.

სრულყოფილი და უნაკლო კანონი ჯერ არავის შეუქმნია. ცხადია, რომ არც მეწარმეთა კანონია გამონაკლისი. ცხოვრება ბევრ ისეთ საკითხს წარმოშობს, რომლებმაც ვერ პოვეს ასახვა კანონში. დროთა განმავლობაში კანონმდებელი და სასამართლო პრაქტიკა ამ ხარვეზებს გამოასწორებს. ასე იყო ეს თითქმის ორსაუკუნოვან ფრანგულ სამოქალაქო კოდექსთან, საუკუნოვან გერმანულ სამოქალაქო კოდექსთან.

მიუხედავად ამისა, კანონი მეწარმეთა შესახებ ქართული მართლშეგნებისათვის მაინც ახალი ქმნილებაა. მასში განმტკიცებული ბევ-

რი დებულება სრულიად უცხოა ჩვენი თეორიისა და პრაქტიკისათვის. მაგრამ შიში ახლის დანერგვის წინაშე არ უნდა გახდეს ხელისშემშლელი ფაქტორი პროგრესისათვის.

ე.წ. კერძო სამართლის დუალური სისტემის შესახებ. კონტინენტური ევროპის სამართლის წრის წარმომადგენელი იმ ქვეყნების დახასიათებისას, რომელთაც სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსებიც აქვთ ერთდროულად, საბჭოთა სამართლის მეცნიერებაში მიმართავდნენ ე.წ. დუალური სისტემის ცნებას.²¹ მასში გულისხმობდნენ ორგვარ სამართლებრივ რეგულირებას – სამოქალაქო კოდექსის დონეზე და სავაჭრო კოდექსის დონეზე. გარდა წმინდა თეორიულ-დოგმატური მნიშვნელობისა, ამგვარ დაყოფას სხვაგვარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა ჰქონია. სამაგიეროდ ამ კლასიფიკაციიდან პოსტსაბჭოთა საბარათალში დაპყვიდრდა სრულიად მცდარი და სამართლებრივი სახელმწიფოსათვის მიუღებელი კონცეფცია კანონთა იერარქიის შესახებ. მის თანახმად კანონთა სისტემაში კოდექსს (განსაკუთრებით სამოქალაქო კოდექსს) უფრო მაღალი ადგილი უკავია, ვიდრე სხვა კანონებს; ყველა კანონი უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსს.²² ამ შეხედულების წარმომადგენლები (მათ მიეკუთვნება თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა ცივილისტი) სამოქალაქო კოდექსს ხშირად ეკონომიკურ კონსტიტუციასაც უწოდებენ.²³ პრაქტიკულად ეს იწვევს სამოქალაქო სამართლის სხვა კანონების როლის დაკნინებას. სამოქალაქო კოდექსებს კი უჭინდება ყოველისმომცველი აქტის პრეტენზია, რასაც შედეგად მოჰყვება კოდექსების გადატვირთვა საცნობარო ხასიათის დებულებებით.²⁴ საბოლოო ჯამში კოდექსებს შერჩებათ ზოგადი დებულებები, ხოლო პრაქტიკისათვის რეალური მნიშვნელობის მქონე ნორმები თავს იყრის “შეორებარისხოვან კანონებში”.²⁵

ქართველმა კანონმდებლებმა უარი თქვეს ამგვარ არასწორ საკანონმდებლო ტექნიკაზე და მეწარმეთა შესახებ კანონის დებულებები აღარ გაიმეორეს სამოქალაქო კოდექსის პროექტში. პრაქტიკულად ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსსა და მეწარმეთა შესახებ კანონს შორის კოლიზია არ იქნება.

საწარმოს ცნება. საწარმოს ცნება ამ კანონის ერთ-ერთი ფუძემდებლური ცნებაა. კანონის სახელწოდებასთან დაკავშირებული ბევრი დისკუსია უმთავრესად ამ ცნებით იყო განპირობებული. რა არის საწარმო? არის იგი სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი თუ ობიექტი? ერთი შეხედვით იგი მხოლოდ თეორიული მნიშვნელობის საკითხია, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში არ ასრულებს რაიმე გადამ-

წყვეტ როლს. თუმცა საპარლამენტო დისკუსიების დროს მან აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. კანონის პროექტის ერთ-ერთ ვარიანტში წარმოდგენილი იყო საწარმო, როგორც ურთიერთობის სუბიექტი, მეორე ვარიანტში როგორც ობიექტი. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, რომ კანონმა ყველაზე სწორი კონცეფცია აირჩია;/საწარმო არის პირთა და ნივთების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ერთიანობა. საწარმოს მიეკუთვნება ასევე საწარმოსა და მუშა-მოსამსახურეთა საქმიანობაც. გარდა ამისა, მას განეკუთვნება არამატერიალური ფასეულობანი, ფაქტობრივი ურთიერთობები, საწარმოო საიდუმლოებანი. საწარმოს ცნება მოიცავს ასევე მატერიალურ ფასეულობებსა (მაგალითად, მიწის ნაკვეთები, ძირითადი საშუალებები, ქარხნები, ფაბრიკები, ავტომანქანები, საქონელი, ნაღდი ფული და ა.შ.) და უფლებებს (კერძოდ, მოთხოვნები, პატენტები, სასაქონლო ნიშნები და ა.შ.), აგრეთვე ვალდებულებებს.

საწარმო არ არის მეწარმის იდენტური. თუმცა კანონი მას სამართლის სუბიექტადც მიიჩნევს (2.5 მუხლი). იმავდროულად საწარმო არც სამართლის დამოუკიდებელი ობიექტია²⁶. საწარმო ურთიერთობებში გამოდის როგორც პირთა, ნივთებისა და უფლებების ორგანიზებული ეკონომიკური ერთიანობა, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად გასხვისდეს, იჯარით გაიყეს და ა.შ.

საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობაში მეწარმეთა ორგანიზაციის უნივერსალური ფორმა. იგი ერთდროულად არის როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ასევე ამ ურთიერთობათა ობიექტი.

(ამ გაგებით გამოიყენება მეწარმეთა კანონში საწარმოს ცნება. თუმცა ეს არ გამოირიცხავს სამართლის სხვა დარგებში საწარმოს განსხვავებული ცნების გამოყენებას, მაგალითად, შრომის, საგადასახადო, საფინანსო და ა.შ. სამართალში.

საწარმოთა *numerus clausus* პრინციპი/საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განსაზღვრისას კანონი მიმართავს *numerus clausus* პრინციპს: სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც განმტკიცებულია კანონში./მეწარმეთა შესახებ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ არ იცნობდა ამ პრინციპს. მართალია, იგი მე-11 მუხლში განამტკიცებდა საწარმოთა ათ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, მაგრამ იქვე მიუთითებდა, რომ შესაძლებელი იყო სხვა ფორმის საწარმოებიც, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. ამ ათი ფორმიდან ოთხი ხელოვნ-

ნურად იყო შეტანილი კანონში და უფრო „განმანათლებელი ნორმის“
 სახეს ატარებდა. კერძოდ, ეს შეეხება ერთი პირის საწარმოს, დამატე-
 ბითი პასუხისმგებლობის საზოგადოებას, საზოგადოებრივი ორგანიზა-
 ციის საწარმოს. ამ ფორმით მათი განმტკიცება კანონში არაკორექტუ-
 ლი იყო. მაგალითად, საზოგადოებრივი ორგანიზაცია სამოქალაქო სა-
 მართლისათვის ისეთივე პირია, როგორც ნებისმიერი სხვა ფიზიკური
 ან იურიდიული პირი. ამიტომ მას სრულიად ბუნებრივად შეუძლია
 დააარსოს იურიდიულ პირთათვის ნებადართული ნებისმიერი ფორმის
 სამეწარმეო საზოგადოება (კს, შპს და ა.შ.) რაც შეეხება ერთი პირის
 საწარმოს, იგი კანონის მიხედვით იყო შპს-ს ნაირსახეობა, თუმცა
 პრაქტიკაში მან დამახინჯებული ფორმა შეიძინა, რამეთუ ერთ პირს არ
 ჰქონდა შპს-ს დაარსების უფლება. მის მიერ დაარსებულ საწარმოს
 აუცილებლად ერთი პირის საწარმო უნდა რქმეოდა. მეწარმეთა შესახებ
 კანონმა გამოასწორა ეს ხარვეზი და ერთ პირს მისცა შპს-სა და სს-ის
 დაარსების უფლება ისე, რომ ამ შემთხვევაში სრულიად არ არის
 სავალდებულო მითითება იმაზე, რომ ეს არის ერთი პირის საწარმო/
 ხელოვნური იყო საწარმოთა ცალ-ცალკე დაყოფა სახელმწიფო და
 მუნიციპალურ საწარმოებად. საქართველოში დღეს მოქმედი მმართვე-
 ლობის ადგილობრივი ორგანოები სახელმწიფო ორგანოებია. ამიტომ
 მათ მიერ შექმნილი საწარმოები (რომლებიც მომავალში დაექვემდებარ-
 ებიან მეწარმეთა კანონის 2.3 მუხლს) სახელმწიფო საწარმოებია/
 იურიდიულად მათ შორის რაიმე განსხვავება არ არსებობს. კანონი
 მეწარმეთა შესახებ განამტკიცებს/საწარმოთა ექვს ორგანიზაციულ-
 სამართლებრივ ფორმას: ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული პა-
 სუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს),
 შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზო-
 გადოება (სს) და კოოპერატივი/
 ინდივიდუალური საწარმო არის ერთი პირის, როგორც დამოუ-
 კიდებელი ფიზიკური პირის, სამეწარმეო საქმიანობის მოწყობის ფორ-
 მა. ინდივიდუალური საწარმო არ არის იურიდიული პირი. ამ შემ-
 თხვევაში მეწარმე გამოდის, როგორც ფიზიკური პირი, საკუთარი სახე-
 ლით/ (2.2 მუხლი). ფიზიკური პირის არა ყოველგვარი საქმიანობა
 ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად და, აქედან გამომდინარე, მისი არა
 ყოველი აქტიურობა მიიღებს საწარმოს ფორმას. მაგალითად, საკუთარი
 ან სხვისი მანქანის გამოყენება ტაქსად ან ტვირთის გადასაზიდ საშუ-
 ალებად არ ჩაითვლება სამეწარმეო საქმიანობად, თუ ამ მანქანის გამომ-
 ყენებელს არა აქვს/სამეწარმეო წესით მოწყობილი ორგანიზაცია,
 მოწესრიგებული საკასო და საბუღალტრო საქმე“ (2.2 მუხლი). ეს

გულისხმობს შემდეგს: ფიზიკური პირი რეგისტრირებული უნდა იყოს სამეწარმეო რეესტრში. ამისათვის საკმარისია გვარისა და სახელის ჩაწერა და აღნიშვნა, რომ პირი არის ინდივიდუალური მეწარმე. მას უნდა ჰქონდეს სათანადო საბუღალტრო ჩანაწერები. / *MM*

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება. სპს ერთ-ერთი ძველი და მეტად გავრცელებული საევაჭრო (სამეწარმეო) საზოგადოებაა. მას იცნობს დასავლეთის ყველა ქვეყნის სამართალი/გერმანიაში მას ეწოდება Offene Handelsgesellschaft და მისი სამართლებრივი მდგომარეობა განმტკიცებულია გერმანიის საევაჭრო სჯულდებაში. საფრანგეთში ამ საზოგადოების სახელწოდებაა societe en nom collectif და მოწესრიგებულია საევაჭრო კოდექსითა და 1966 წლის 24 ივლისის კანონით საევაჭრო ამხანაგობათა შესახებ. ინგლისის 1890 წლის კანონი ამხანაგობათა შესახებ ამ საზოგადოებებს უწოდებს Partnership. რუსეთის კანონმდებლობა მას იცნობს полное товарищество-ს სახელით²⁷

უფიქრობ, რომ მეწარმეთა კანონმა, განსხვავებით ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების სამართლისაგან, სწორი სახელწოდება შეარჩია/განმსაზღვრელი ამ ტიპის საზოგადოებებში არის: პარტნიორობა სოლიდარული პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე/ამიტომ შინაარსის ძირითადი ელემენტი სამართლიანად იქნა აღბეჭდილი საზოგადოების დასახელებაში.

კანონის 20.1 მუხლის შესაბამისად, /სპს არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე ფიზიკური პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთგვარად და დამოუკიდებელ მეწარმეობას და პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები - უშუალოდ, პირდაპირ, მთელ ვალდებულებებზე, შეუზღუდავად მთელი თავისი ქონებით.)

კომანდიტური საზოგადოება. ეს პირთა წევრობაზე დაფუძნებულ საევაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ფორმაა/გერმანიის საევაჭრო სჯულდება მას იცნობს Kommanditgesellschaft-ის სახელით, ფრანგული სამართალი მას უწოდებს societe en commandite -ს, ინგლისის 1907 წლის კანონით მას ჰქვია limited partnership. რუსული კანონმდებლობის გავლენით სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონმაც გაითვალისწინა შერეული (კომანდიტური) სამეურნეო ამხანაგობა (მუხლები 11, 14). თუმცა დეტალური სამართლებრივი მოწესრიგება ქართულ სამართალში მას მეწარმეთა შესახებ

კანონის მიღებამდე არ აქონია.

კანონის 34-ე მუხლის თანახმად/საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, არის კომანდიტური საზოგადოება, თუ ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები კომპლემენტარები)/

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შპს-ს, როგორც მეწარმეთა ორგანიზაციის ფორმას, არა აქვს ისეთი ხანგრძლივი ისტორია, როგორც მაგალითად, სპს, კს ან სს/იგი პირველად შეიქმნა გერმანული კანონმდებლობის მიერ 1892 წელს ისე, რომ/მას ისტორიული ანალოგი ან წინამორბედი არ ჰყოლია. შპს-ების წარმოშობა ორმა გარემოებამ განაპირობა: პირველი, ეს იყო სს-ათა დაარსების რთული პროცედურის შეცვლა უფრო ლიბერალურით; მეორე, იყო პასუხისმგებლობის საკითხი/მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პირთა გაერთიანებების ისეთი ფორმები, როგორიცაა სპს ან კს, ბევრი უარს ამბობდა მათში მონაწილეობაზე, ვინაიდან არ სურდათ მთელი პირადი ქონება ყოფილიყო კრედიტორების წინაშე პასუხისმგებლობის ობიექტი. ამანაც განსაზღვრა შპს-ის დამკვიდრება სავაჭრო სამართალში²⁸/

გერმანელების მიერ შექმნილი სამეწარმეო საზოგადოებათა ეს ფორმა, რომელსაც ორიოდე წლის წინ ასი წლის იუბილე გადაუხადეს, თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად თვლიან შპს-ების მომწესრიგებელი სამართლის ნორმების უფრო მეტ დისპოზიციურობას სააქციო საზოგადოებებთან შედარებით²⁹ გერმანულ სამართალში მას ჰქვია Gesellschaft mit beschränkter Haftung - GmbH; ფრანგულ სამართალში მას ეწოდება societe a responsabilite limitee. შპს-ის პირდაპირი ანალოგი ინგლისურ სამართალში არ არსებობს. ამიტომ მას ხშირად უდარებენ ე.წ. კერძო კომპანიებს - Private company, close corporation³⁰.

შპს-თა სამართლებრივი სტატუსი საქართველოში პირველად განისაზღვრა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონში (მე-11 და მე-15 მუხლები) და მას ქართულ ენაზე მოკლე კომენტარებიც მიეძღვნა³¹.

კანონის 44-ე მუხლში განმტკიცებულია შპს-ს ლეგალური დეფინიცია: საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრე-

დიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით, ხოლო პარტნიორების პასუხისმგებლობა საწესდებო კაპიტალში მისი წილის ოდენობით, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.)

(სააქციო საზოგადოება. დასავლეთის ქვეყნებში სააქციო საზოგადოებები, როგორც წესი, მსხვილი სამრეწველო და კომერციული საზოგადოებებია.) მსოფლიოში ცნობილი ფირმები, როგორცაა მერსედეს-ბენცი, ფორდი, ჯენერალ-მოტორსი და ა.შ. არსებობენ სააქციო საზოგადოებების ფორმით.

სააქციო საზოგადოება არის ახალი ეპოქის, კოლონიალიზმისა და სამრეწველო რევოლუციის პირშმო. შპს-საგან განსხვავებით ის არ არის კანონმდებლობის ხელოვნური ქმნილება. სააქციო კანონმდებლობა მხოლოდ სააქციო საზოგადოებათა შექმნისა და განვითარების შედეგად წარმოიშვა. სააქციო საქმე ეკონომიკური ცხოვრების ხანგრძლივი განვითარების შედეგია. ამიტომ შეუძლებელია იმის თქმა, რომ საზოგადოებას ერთ დღეს წარუდგინა მზა მოდელი, ნიმუში სააქციო საზოგადოებებისა. ამის გამო მეცნიერებაში დღესაც სადავოა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი იყო პირველი სააქციო საზოგადოებები³². თუმცა უმეტესობა პირველი სააქციო საზოგადოებების წინამორბედად მიიჩნევენ St. Georgbank-ს გენუაში და Ambrosiabank-ს მილანში (მე-15 საუკუნე), რომელთათვისაც უკვე დამახასიათებელი იყო პასუხისმგებლობის შეზღუდვა და წილების გადაცემის შესაძლებლობა/სააქციო საზოგადოებების ადრეულ ფორმებად მიიჩნევენ სავაჭრო კომპანიებს (1600 წლიდან), კერძოდ, ბრიტანულ-აღმოსავლეთ ინდური და ჰოლანდიურ-აღმოსავლეთ ინდური სავაჭრო კომპანიები/თანამედროვე სააქციო საზოგადოებები კი გაჩნდა მხოლოდ მე-18 საუკუნეში და, უწინარეს ყოვლისა, საფრანგეთში. ამბობენ, რომ თუ არა სააქციო საზოგადოებები, სამთო საწარმოები, სამრეწველო ორგანიზაციები და, პირველ რიგში, რკინიგზა ვერასდროს ვერ გადავიდოდნენ კერძო საფუძველზე³³. თუმცა თანამედროვე პირობებში სააქციო საზოგადოებებს დიდი კონკურენცია გაუჩნდა შპს-ების სახით. მაგალითისათვის, გერმანიაში ერთ სს-ზე მოდის 150 შპს.

დასავლეთის ყველა მართლწესრიგი განამტკიცებს სააქციო საზოგადოებებს, როგორც სავაჭრო საზოგადოებათა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას. ფრანგულ სამართალში მას ეწოდება societe anonyme, გერმანულში - Aktiengesellschaft, ინგლისურ სამართალში Corporation და ისინი მოქმედებენ როგორც კერძო კაპიტალისტური, ასევე სახელ-

მწიფო-კაპიტალისტური საწარმოების სახით³¹.

პოსტკომუნისტური საქართველოს სამართალში პირველად სააქციო საზოგადოების ცნება შემოვიდა სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონის მიღებით. შემდგომ მთავრობის დადგენილებით განმტკიცდა სააქციო საზოგადოებათა სამართლებრივი მდგომარეობა³².

მეწარმეთა კანონი სააქციო საზოგადოებას ერთ-ერთ ძირითად სამეწარმეო საზოგადოებად მიიჩნევს და 51.1 მუხლში განამტკიცებს მის ლეგალურ დეფინიციას/სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომელსაც აქვს აქციებად დაყოფილი საწესდებო კაპიტალი/

კოოპერატივი. ისტორიულად კოოპერატივები მე-19 საუკუნეში წარმოიშვნენ. ისინი ნაყოფია კაპიტალიზმის განვითარებისა ევროპაში. კოოპერატივების წარმოშობის ძირითადი მოტივი იყო თვითდახმარება, ე.ი. ეს იყო ორგანიზაციის ისეთი ფორმა, რომლის ძირითად მიზანს შეადგენდა მასში გაერთიანებული წევრების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ მიზნით შეიქმნა პირველი სამომხმარებლო კოოპერატივები ინგლისში (1827, 1844 წლებში), გერმანიაში რაიფაიზენის კოოპერატივი (1871) და ა.შ.³⁶

კოოპერატივების ლეგალური დეფინიცია მოცემულია კანონის 60.1 მუხლში./„კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლების გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე“/

კანონი სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეებს ანიჭებს თავისუფლებას საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების არჩევისას რამდენიმე გამონაკლისის გათვალისწინებით: ა) სპს, კს და კოოპერატივის შესაქმნელად საჭიროა მინიმუმ ორი პირის არსებობა; ბ) შპს და სს დასაარსებლად ასევე აუცილებელია მინიმალური საწესდებო კაპიტალის არსებობა; გ) სპს-ის პარტნიორი და კს-ში კომპლემენტარი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი./

2.4 მუხლი ითვალისწინებს კიდევ ერთ შეზღუდვას: საწარმო, გარდა კოოპერატივებისა, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმით. ეს ნორმა ნაკარნახევია ეკონომიკური პოლიტიკის მოტივებით. ივარაუდება, რომ ორმოცდაათი პარტნიორის არსებობა მოგებაზე ორიენტირებულ საზოგადოებებში ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს დიდი კაპიტალის მქონე

საწარმოსთან, რომელიც აუცილებლად სააქციო საზოგადოების ფორმით უნდა არსებობდეს. იმპერატიული ნორმების როლი აქ უფრო მნიშვნელოვანია. ვიდრე სხვა ფორმის საზოგადოებაში.)

გარდა 2.1 მუხლში გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოებისა, შეიძლება ასევე არსებობდეს სახაზინო (სახელმწიფო) საწარმოები. როგორც წესი, ისინი იქმნება სახელმწიფოს მიერ ისეთი ამოცანების შესრულების მიზნით, რომლებიც აუცილებელია ქვეყნისა და საზოგადოების ნორმალური არსებობისა და განვითარებისათვის. ამ სფეროებს მიეკუთვნება რკინიგზა, ფოსტა-ტელეგრაფი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში სახაზინო (სახელმწიფო) საწარმოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სახელმწიფო ან მმართველობის ადგილობრივი ორგანო. ეს ორგანო განსაზღვრავს საწარმოს საქმიანობის პროფილს, მართვის ორგანოებს, ნიშნავს დირექტორს, განსაზღვრავს მის უფლება-მოვალეობებს და ა.შ.

ასეთი საწარმო წარმოადგენს იურიდიულ პირს და ურთიერთობებში გამოდის საკუთარი საფირმო სახელწოდებით. საფირმო სახელწოდებას განსაზღვრავს ამ საწარმოს შემქმნელი ორგანო. სახაზინო საწარმო სამეწარმეო რეესტრში შეიტანება ამ სახელწოდებით.

სახაზინო საწარმო საწარმოთა სპეციფიკური ფორმაა. ამიტომაც არ შედის იგი ტიპური საწარმოების ჩამონათვალში (2.1 მუხლი). თუმცა მისი გარდაქმნა 2.1 მუხლით გათვალისწინებულ ერთ-ერთ სამეწარმეო საზოგადოებად დასაშვებია. ამისათვის საჭიროა იმ ორგანოს გადაწყვეტილება, რომლის მიერაც შეიქმნა ეს საწარმო. მეორე აუცილებელი პირობა ამგვარი რეორგანიზაციისათვის ისაა, რომ სახაზინო საწარმო რეესტრირებული იყოს სამეწარმეო რეესტრში (2.3 მუხლის ბოლო წინადადება)³⁷.

პარტნიორის ცნება. პარტნიორი არის ერთ-ერთი სამეწარმეო საზოგადოების წევრი (მონაწილე), რომელსაც აქვს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები საზოგადოების მიმართ. „პარტნიორი“ არის კრებითი სახელწოდება იმ პირებისა, რომლებიც შეიძლება იყვნენ საზოგადოების დამფუძნებლები ან მოგვიანებით შემოვიდნენ საზოგადოებაში³⁸.

ვინ შეიძლება იყოს პარტნიორი? პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ასევე სახელმწიფოც.)

ფიზიკური პირი, როგორც პარტნიორი. ადრე მოქმედი კანონ-

მდებლობისაგან განსხვავებით კანონი არ ჰყოფს ფიზიკურ პირებს მოქალაქეებად ან არამოქალაქეებად, უცხოელებად ან არაუცხოელებად. კანონის კონცეფციაა, რომ პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი მიუხედავად მოქალაქეობისა, სქესისა, კანის ფერისა, ასაკისა და ა.შ. ეს კანონის უდიდესი მონაპოვარია, ვინაიდან იგი გათავისუფლდა იმ უაზრო ნახევრადპოლიტიკური დეფინიციებისაგან, რომლებიც უსვად იყო ადრე მოქმედ კანონმდებლობაში³⁹.

ამრიგად, პარტნიორი შეიძლება იყოს უცხოელი მოქალაქეც და მოქალაქეობის არმქონე პირი და მას რაიმე სპეციალური ნებართვის აღება ამისათვის არ სჭირდება. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნორმა, რომელიც ხელს უწყობს უცხოურ ინვესტიციებს და თანაბარ პირობებში აყენებს მათ ქართველ მეწარმეებთან ერთად.

ჩემი აზრით, არასწორია საქართველოში გავრცელებული შეხედულება, რომლის მიხედვითაც უცხოელ ინვესტორებს უნდა ჰქონდეთ უპირატესობა ქართველ ინვესტორებთან შედარებით. ეს აზრი ზნობრივი თვალსაზრისითაც სადავოა: რატომ უნდა მიენიჭოს უცხოელს შედევათი და უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდეს საკუთარი ქვეყნის წარმომადგენელი. უცხოელ ინვესტორებს ზუსტად ისეთივე პირობები უნდა ჰქონდეთ, როგორც საქართველოს მოქალაქეებსა თუ იურიდიულ პირებს და ეს პირობები თანაბრად ხელსაყრელი უნდა იყოს სამეწარმეო საქმიანობისათვის.

პარტნიორი შეიძლება იყოს ასევე არასრულწლოვანი პირიც. სრული ქმედუნარიანობის დადგომამდე მისი უფლება-მოვალეობები განზორციელდება მათი წარმომადგენლების მიერ. პარტნიორი, პირველ რიგში, გამოხატავს მესაკუთრის მონაწილეობას სამეწარმეო საზოგადოებაში. ამიტომ ასაკი აქ განმსაზღვრელი არ არის. სულ სხვაა დირექტორად (ე.ი. მმართველად, მენეჯერად) არჩევის საკითხი. აქ სრულ ქმედუნარიანობასთან ერთად სხვა პირობებიც უნდა იყოს საზეზუ.

პარტნიორი შეიძლება იყოს ყოველი იურიდიული პირიც. მხოლოდ კანონი აქ გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს: იურიდიული პირი არ შეიძლება იყოს სპს-ის პარტნიორი და კს-ის პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი (კომპლემენტარი).

ის საწარმო, რომელშიც ორმოცდაათზე მეტი პარტნიორია, უნდა ჩამოყალიბდეს სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით. ეს წესი არ ვრცელდება კოოპერატივებზე. ამის მიზეზი ისაა, რომ კოოპერირების მნიშვნელოვანი პრინციპი არის წევრთა განუსაზღვრელი რაოდენობის დაშვების შესაძლებლობა.

პარტნიორი შეიძლება იყოს ასევე სახელმწიფოც. ამ შემთხვევა-

ში იგი არაფრით განსხვავდება სხვა კერძო პირებისაგან. მისი სამართლებრივი მდგომარეობა სამეწარმეო საზოგადოებაში განისაზღვრება მისი წილის ოდენობით (სამეწარმეო საზოგადოებების დაფუძნების დროს ან მისი საქმიანობისას სახელმწიფოს ინტერესებს წარმოადგენენ მისი ორგანოები, მაგალითად, სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და ა.შ. ეს უკანასკნელები არ წარმოადგენენ იურიდიულ პირებს) როგორც ეს ხშირად გავრცელებულია თანამდებობის პირთა წარმოდგენებში.

კანონის 2.5 მუხლი განსაზღვრავს საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს: საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა.

რეგისტრაციის ცნება. რეგისტრაცია არის იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებისა და მოვლენების შეტანა სპეციალურ სახელმწიფო რეესტრში (მაგალითად, სამეწარმეო რეესტრში). როგორც წესი, რეგისტრაციას ორგანიზაციის მნიშვნელობა აქვს: ერთი, როგორც ფაქტის, მოვლენის აღნიშვნისა და მეორე, იურიდიული მნიშვნელობა. კანონი მეწარმეთა შესახებ განამტკიცებს სწორედ მეორე სახის რეგისტრაციას: რეგისტრაციას აქვს გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა: სამართლებრივად რაღაც მოვლენა მხოლოდ რეგისტრაციის შედეგად წარმოიშობა.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორი სახის რეგისტრაციას: საწარმოს რეგისტრაცია და საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მოვლენების რეგისტრაცია. რეგისტრაციის პირველი სახე განსაზღვრავს იმპერატიულ ნორმას: საწარმოს რეგისტრაცია სავალდებულოა. საწარმო, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი, წარმოიშობა მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. სამეწარმეო რეესტრი არის საჯარო (სახელმწიფო) რეესტრის ნაირსახეობა, რომელშიც აღირიცხება მეწარმეთა კანონით გათვალისწინებული ფაქტები და მოვლენები.

მომავალმა პარტნიორებმა შეიძლება განახორციელონ საწარმოს ჩამოსაყალიბებლად აუცილებელი ყველა მოქმედება: მოამზადონ წესდება, მოაწერონ ხელი მას. სანოტარო წესით დაადასტურონ იგი და ა.შ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საწარმო წარმოიშვა. ამისათვის აუცილებელია საწარმოს რეგისტრაცია სამეწარმეო რეესტრში. ამდენად, კანონი რეგისტრაციას გადამწყვეტ იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

რეგისტრაცია არ არის თვითმიზანი. მისი ძირითადი ფუნქციაა

საჯაროობის გზით დაიცვას მესამე პირები და კრედიტორები. ე.ი. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს რეესტრის მასალებს და გაიგოს, თუ რა ქონების მესაკუთრეა საწარმო. ესე იგი, რეგისტრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია არის პასუხისმგებლობის გარდაუვალობისა და ამ პასუხისმგებლობის მოცულობის ზუსტი ფიქსაცია/

რეალური ცხოვრება, რეალური ურთიერთობები ყოველთვის განსხვავდება სამართლებრივი ნორმებით დადგენილი ურთიერთობებისგან. ამიტომ ის, რაც დადგენილია კანონით, თავისთავად არ ნიშნავს, რომ უეჭველად შესრულდება. ე.ი. შესაძლებელია, რომ ზოგმა პირმა არ გაატაროს თავისი საწარმო რეგისტრაციაში. ამ დროს მთავარი პრობლემა არის კრედიტორების დაკმაყოფილების შესაძლებლობა და მისი რეალურობის უზრუნველყოფა. სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების კანონის თანახმად არარეგისტრირებული საწარმოს საქმიანობა აკრძალული იყო: ასეთი საწარმოს შემოსავალი ამოიღებოდა სასამართლო წესით და შეიტანებოდა ადგილობრივ ან სახელმწიფო ბიუჯეტში (მუხლი 37). ახალმა კანონმა სრულიად სამართლიანად თქვა უარი ამგვარ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ნორმაზე და სამეწარმეო საქმიანობაში გაუმართლებელ ჩარევაზე. ახალი კონცეფციის თანახმად არარეგისტრირებულ საწარმოთა საქმიანობა ადმინისტრაციული წესით არ არის აკრძალული. ეს არ შეესაბამება კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებს. თუმცა საგადასახადო სამართალი არარეგისტრირებული საქმიანობის შედეგად მიღებულ შემოსავლებს კლავინდებურად ამოიღებს სახელმწიფო ბიუჯეტში.

მეწარმეებს რეგისტრაციის გარეშეც შეუძლიათ საქმიანობა, ოღონდ კრედიტორების წინაშე ისინი პასუხს აგებენ არა როგორც ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოები, არამედ როგორც კერძო პირები. მაგალითად, სამმა პირმა გადაწყვიტა შექმნას შპს. შეადგინეს წესდება, მოაწერეს ხელი, დაამოწმეს სანოტარო წესით, მაგრამ არ გაუტარებიათ საზოგადოება რეგისტრაციაში. ამასობაში მათ საზოგადოების სახელით დადეს გარიგებები, რომლებიდანაც წარმოიშვა ვალდებულებები. ასეთ შემთხვევაში საზოგადოება კი არ აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე იმ პრინციპის მიხედვით, რითაც შპს აგებს პასუხს (ე.ი. მხოლოდ თავისი ქონებით), არამედ პარტნიორები. მამასადამე, ამგვარი მოქმედებისათვის სამივე ეს პირი პასუხს აგებს მთელი პირადი ქონებით პერსონალურად, შეუზღუდველად როგორც სოლიდარული მოვალეები (2.5 მუხლის მე-2 აბზაცი). თუ დამფუძნებლებმა ვალდებულების წარმოშობის შემდეგ გაატარეს საზოგადოება რეგის-

ტრაციაში. მაშინ ისინი კვლავ პერსონალურად და პირადი ქონებით აგებენ პასუხს ამ ვალდებულებებისათვის. ამგვარად ეს პასუხისმგებლობა ძალაში რჩება საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგაც.

მთავარი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ წესს, მდგომარეობს იმაში, რომ სწორედ ქონებრივი ურთიერთობების მონაწილეები უნდა იყვნენ დანტერესებული მოქცენენ კანონის შესაბამისად. ეს ის შემთხვევაა, როცა კერძო ინტერესები და კერძო მიზნები კანონის ნორმის შესრულების გარანტიას იძლევა, რომ სახელმწიფოებრივი იძულება არ არის აუცილებელი.

საწარმოთა სავალდებულო რეგისტრაციის წესი შეიძლება არ იქნეს გამოყენებული სახელმწიფო (სახაზინო) საწარმოების მიმართ. ეს გასაგებია: ნათელია, თუ ვინ დგას სახაზინო საწარმოს უკან. ესაა სახელმწიფო, რომელიც პასუხს აგებს თავისი საწარმოს ვალდებულებებისათვის.

სპს, კს, შპს, სს, კოოპერატივი და სახაზინო საწარმო წარმოადგენენ იურიდიულ პირებს.)

იურიდიული პირის ცნება. იურიდიული პირის ცნების საკითხი ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი და ამავე დროს სადავო თანამედროვე იურისპრუდენციაში. ბევრი ქვეყნის კანონმდებლობა არ იძლევა სრულყოფილ დეფინიციას, თუ რა არის იურიდიული პირი. ამ მხრივ გამოინაკლისი იყო საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები და მათ მიხედვით მიღებული მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კოდექსები. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 22-ე მუხლი იძლევა ასეთ ლეგალურ დეფინიციას: „იურიდიული პირი არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით მოიპოვოს ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობანი. იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, არბიტრაჟში ან სამედიატორო სასამართლოში“⁴⁰

მიუხედავად ამისა (იურიდიული პირის ცნება არც თუ ისე იშვიათად ბუნდოვანია და გაურკვეველი.) ამ გარემოებას ისიც ართულებს, რომ ზოგი ქვეყანა იურიდიულ პირად მიიჩნევს ისეთ ორგანიზაციებს, რომლებსაც სხვა ქვეყნები ასეთად არ ცნობენ. მაგალითად, გერმანია ღია სავაჭრო ამხანაგობებს არ თვლის იურიდიულ პირად, ხოლო საფრანგეთი აღიარებს ამ ამხანაგობებს იურიდიულ პირად.

ამ წერილის მიზანი არ არის იურიდიული პირების შესახებ არსებული კონცეფციებისა და კვლევების ანალიზი. აქ შემოვიფარგლები

მხოლოდ იმის აღნიშვნით, რომ „იურიდიული პირი“ არის აბსტრაქტული ცნება ადამიანთა იმ ორგანიზაციის გამოსაპატავად, რომლებიც შეიძლება იყვნენ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ე.ი. ფიზიკური პირების გარდა სამოქალაქო ურთიერთობებში მონაწილე ორგანიზაციებს პირობითად უწოდებთ იურიდიულ პირებს.

ამავე დროს არსებობს ნიშნები, რომლებიც აღიარებულა იურიდიული პირის არსებობის აუცილებელ წინაპირობად.

1. იურიდიული პირი არსებობს დამოუკიდებლად და მიუხედავად მასში შემავალ წევრთა ცვალებადობისა. ამ გაგებით იურიდიულ პირს განიხილავენ როგორც პიროვნებას, რომელსაც აქვს თავისი ნება და ეს ნება არ ემთხვევა მისი წევრების ნებას.

2. იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს თავისი ქონება, რომელიც გამოცალკევებულია წევრთა ქონებისაგან.

3. უფლება აქვს შეიძინოს, ისარგებლოს და განკარგოს საკუთრება, ასევე საკუთარი სახელით განახორციელოს კანონით ნებადართული მოქმედებები.

4. იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

5. იკისროს დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა (თუმცა ეს არ გამორიცხავს ცალკეულ შემთხვევებში მისი წევრების ქონებრივ პასუხისმგებლობასაც). ეს უკანასკნელი ნიშანი დამახასიათებელია სპს-სთვის.

თავისთავად ამ ნიშნების არსებობა არ იწვევს ამა თუ იმ ორგანიზაციის აღიარებას იურიდიულ პირად. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ ენიჭება ამ ფაქტის, ე.ი. იურიდიულ პირად აღიარების საკანონმდებლო რეგლამენტაციას. მეწარმეთა შესახებ კანონმა გაითვალისწინა დასავლეთის ქვეყნების კერძო სამართლის ტენდენცია და მეწარმეთა კოლექტიური ორგანიზების ყველა ფორმა აღიარა იურიდიულ პირებად.

რა სიახლით გამოირჩევა მეწარმეთა კანონი იურიდიული პირების განსაზღვრის დროს? შევეცდები აქ ჩამოვყალიბო ის ძირითადი საკითხები, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვთ:

1. სპს, კს, შპს, სს, კოოპერატივი და სახელმწიფო (სახაზინო) საწარმო წარმოადგენენ იურიდიულ პირებს. ეს ნიშნავს, რომ სხვა არც ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სამეწარმეო საქმიანობის სფეროში არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. საქართველოში გავრცელდა ასეთი პრაქტიკა: სამეწარმეო საზოგადოებების წესდებათა შემუშავებისას მასში წერდნენ, რომ ესა თუ ის საზოგადოება არის იურიდიული პირი. 1995 წლის 1 მარტიდან ეს წესი აღარ არის საჭირო. კანონმა თვითონ განსაზღვრა, თუ რომელი საზოგადოებებია

იურიდიული პირები და როგორ აგებენ ისინი პასუხს. ეს ნიშნავს, რომ უკვე წესდებებში იმის აღნიშვნა, რომ „საზოგადოება არის იურიდიული პირი“, აღარ არის აუცილებელი.)

2. საბჭოთა სამოქალაქო სამართალში განმტკიცებული წესიდან გამომდინარე მოქმედებდა ე.წ. იურიდიული პირების სპეციალური უყლებუარიაანობის ინსტიტუტი. ეს ნიშნავდა, რომ იურიდიულ პირებს შეეძლოთ მსოფლიდ იმ საქმიანობის განხორციელება, რომელიც პირდაპირ იყო აღნიშნული წესდებაში ან კანონში. სხვაგვარი მოქმედება მიიწნეოდა მართლსაწინააღმდეგოდ.) სამწუხაროდ ეს წესი შენარჩუნებული იქნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. ამას მაკონტროლებელი ორგანოები ბოროტად იყენებდნენ: პასუხს აგებინებდნენ შეწარმეებს ისეთი საქმეებისათვის, რომლებიც წესდებით არ იყო გათვალისწინებული. ამიტომ სამეწარმეო საქმიანობა პარადოქსული კურიოზებით იყო სავსე. მაგალითად, თუ წესდებაში არ იყო აღნიშნული, რომ საზოგადოებას ჰქონდა ბანკში ანგარიშის გახსნის უფლება, მას ბანკი ანგარიშს არ უხსნიდა; თუ წესდება არ განსაზღვრავდა, რომ საზოგადოებას ჰქონდა ნაღდი ან უნაღლო ანგარიშსწორების უფლება, მას აკრძალული ჰქონდა ნაღდი ფულის გამოყენება საქმიან ურთიერთობებში და ა.შ.

მეწარმეთა კანონმა უარი თქვა ამ მახინჯ მოვლენებზე: გააუქმა იურიდიული პირების სპეციალური უფლებუარიაანობის ინსტიტუტი. ე.ი. სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირებს უფლება აქვთ განაზორციელონ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება საზოგადოების მიზნებს და აკრძალული არ არის კანონით.) ამით სამეწარმეო ორგანიზაციები გათავისუფლდნენ ზედმეტი, დაუსაბუთებელი ზედამხედველობისგან, რასაც საკონტროლო ორგანოები ასორციელებდნენ მათ მიმართ.

(განსხვავებით იურიდიული პირებისაგან, ინდივიდუალური მეწარმე ურთიერთობებში გამოდის როგორც ფიზიკური პირი.)

ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებას შეეხებოდა, ბატონი სერგო ჯორბენაძე წერდა: “უაღრესად ძნელი ვითარების მიუხედავად, ჩვენი თაობის ქართველ ცივილისტებს გვხვდა ბედნიერება უკვე მესამე წელია, მთელი ძალისხმევა ჩაგვექსოვა ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავების საქმეში. ბევრ ქართველ ცივილისტს ენატრებოდა ეს დრო“⁴¹. ამ დროის ნაყოფია ქართული საკორპორაციო სამართალი, რომელიც უდავოდ შექმნის ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოს წინსვლისა და აყვავების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველს.

1. ბატონ სერგოს ხშირად საყვედურობდნენ, რომ ასეთმა დიდმა მეცნიერმა სამოქალაქო სამართალში სახელმძღვანელო არ დაწერა.

2. Карл Поппер. Открытое общество и его враги М. 1992. С. 9.

3. Hedemann, Justus Wilhelm, Die Fortschritte des Zivilrechts im XIX Jahrhundert. Erster Teil. Berlin, 1910. S. 1 ff.

4. Гегель, Философия права. М. 1990. С. 101.

5. თუმცა საბჭოთა სამართლის ისტორიაში იყო პერიოდი, როდესაც სამოქალაქო სამართალი ბურჟუაზიულ სამართლად იყო მონათლული და მის ნაცვლად იხმარებოდა "სამეურნეო სამართალი". ამიტომ სრულიადაც არ არის შემთხვევითი, როცა პირველ საბჭოთა სახელმძღვანელოდ სამოქალაქო სამართალში მიიჩნევენ 1935 წელს გამოცემულ "Курс хозяйственного права" ორ ტომად (Иоффе О.С. Развитие цивилистической мысли в СССР. Ленинград, 1975, С. 12).

6. სახელწოდება /"საკორპორაციო სამართალი" /-ე იერზე ჯავახიშვილისაგან ავიღე: "ქართული სამართლის ისტორია", წიგნი I. ი. ჯავახიშვილის შუგღევე ეს სახელწოდება ქართულ სამართალში თითქმის არავის გამოუყენებია. 1994 წელს ვეცადე იგი კვლავ შემომეტანა ქართულ იურისპრუდენციაში: ლაღო ჭანტურია. უძრავი ნივთების საკუთრება. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1994. გვ. 27. გერმანულ სამართალში სამართლის ამ დარგს ეწოდება Gesellschaftsrecht, ინგლისურად მას company law-ს უწოდებენ. რუსულ ენაში იგი დაპკვიდრდა როგორც предпринимательское право: Предпринимательское право. М., 1993. ვფიქრობ, რომ ეს არ უნდა იყოს კორექტული, ვინაიდან /სამეწარმეო სამართალი უფრო ფართოა, ვიდრე სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის სამართლებრივი მოწესრიგება, და მოიცავს საჯარო სამართალსაც. /ამავე დროს, ცნება Корпоративное право არც რუსული სამართლისმცოდნეობისთვისაა უცხო /"Корпоративное право - это система правил поведения, разработанных на предприятии, в организации, выражающих волю ее коллектива и регулирующих различные стороны деятельности данной организации. Иначе корпоративное право можно назвать внутриорганизационным /внутрифирменным правом": Кашанина Т.В. Хозяйственные товарищества и общества: правовое регулирование внутрифирменной деятельности. М. 1995. с. 1. საკორპორაციო სამართლის თეორიას კარგად იცნობდა 20-იანი წლების საბჭოთა იურისპრუდენციაც (Исаев И. А. Становление хозяйственно-правовой мысли В СССР (20-е годы). М. 1986. С. 158-173.)

7. ამგვარ ისტორიულ უკუღმართობას საფუძვლად ლენინის ცნობილი სიტყვები დაედო: "ჩვენ არაფერს კერძოს არ ვცნობთ, ჩვენთვის მეურნეობის

სვერში ცვლადური არის საჯარო-სამართლებრივი და არა კერძო”: Плотникс А.А. Становление и развитие марксистско-ленинской общей теории права в СССР. Рига. 1978. С. 200-201.

8. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნების შემდგომი პერიოდი იცნობს საწარმოთა იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის არსებობის აუცილებელ ფაქტორებს წარმოადგენენ. ამიტომ არაა, შემთხვევითი, რომ ოციანი წლების იურიდიულ ლიტერატურაში გამოკვლეულია იმ ეპოქის მეურნეობრიობის ორგანიზაციული ფორმები: კოოპერატივები, დაწესებულებები, სააქციო საზოგადოებები და ა.შ. (Исаев И. А. Становление хозяйственной-правовой мысли В СССР (20-е годы). М. 1986. с. 123-132. ამ ეპოქას განეკუთვნება აგრეთვე იურიდიული პირების შეზღუდული უფლებანაწიანობის პრინციპის წარმოშობა (მაგალითად, Вольф В. Ю. Основы хозяйственного права. М. 1926. с. 19-20.)

9. 1986 წლის 19 ნოემბერს მიღებულ იქნა სსრკ კანონი ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ, რომელშიც ზუსტად განისაზღვრა სფეროები, სადაც დასაშვებია იყო ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა.

10. 1988 წლის 26 მაისს მიღებულ იქნა სსრკ კანონი კოოპერაციის შესახებ.

11. თუმცა საბჭოთა სამართალი ცდილობდა უცხოელი პირების მონაწილეობით შექმნილი ერთობლივი საწარმოების მიმართ ფაქტობრივად გამოეყენებინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების პრინციპები. Совместные предприятия, международные объединения и организации на территории СССР. М. 1989.

12. ეკონომიკური რეფორმა. საქართველოს რესპუბლიკის ნორმატიული აქტების კრებული. წიგნი 1. 1992 წ. გვ. 12-39.

13. მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრილის №288 დადგენილება “სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ” და ა.შ.

14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავებელი კომისიის თავმჯდომარე არის ბატონი სერგო ჯორბენაძე.

15. ბეწარმთა შესახებ კანონის მიღების შემდეგაც ბევრი არაიურისტი მაინც თვლიდა აუცილებლად სავაჭრო კოდექსის მიღებას. თუმცა მათ არ ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ რა უნდა მოეწესრიგებინა სავაჭრო კოდექსს. საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ კანონშემოქმედებითი საქმიანობის ერთ-ერთ გეგმაში სავაჭრო კოდექსის შემუშავება დავალებული ჰქონდა ვაჭრობის სამინისტროს, მაშინ, როცა ამ სამინისტროს მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან სავაჭრო კოდექსს არაფერი საერთო არ აქვს.

16. მაგალითად, გერმანიაში 1898 წელს მიღებულ იქნა კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების შესახებ, ხოლო 1965 წელს – სააქციო

კანონი.

17. Rolf Knicper, Mark Boguslavskij. Konzept zur Rechtsberatung in Transformationsstaaten. Eschborn 1995, S. 27-28

18. სამეწარმეო საზოგადოებათა მოწვესრიგებელი ერთიანი კანონის შემუშავების იდეა დსთ-ის რამდენიმე სახელმწიფომაც გაიზიარა. მაგალითად, ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ 1995 წლის 2 მაისს მიღებულ იქნა ბრძანებულება, რომელსაც კანონის ძალა აქვს “სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ”. ბელარუსის კანონი, რომელიც მიღებულია 1992 წლის 9 დეკემბერს, აწესრიგებს მხოლოდ სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და დამატებითი პასუხისმგებლობის საზოგადოებების სამართლებრივ მდგომარეობას. 1995 წლის 2-9 დეკემბერს ლეიფენში (პოლანდია) გამართულ დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსის შემუშავებელი კომისიის სხდომაზე უკრაინის წარმომადგენლებმაც დაუჭირეს მხარი სამეწარმეო საზოგადოებების შესახებ ერთიანი კანონის მიღების იდეას.

19. აი რას წერდა ბატონი სერგო ჯორბენაძე მეწარმეთა შესახებ კანონის ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე გამოცემის წინასიტყვაობაში: “გერმანულ კოდექსებთან ერთად შემუშავებული ეს უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტი დასაუფლებელთა არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობას არ იმეორებს, თუმცა კონტინენტური ევროპის სამართლის ოჯახის საერთო სივრცის ტენდენციას შეესაბამება. სწორედ ესაა ქართული სამართლის განვითარების ბუნებრივისტორიული გზა” (საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ. თბილისი, გამომცემლობა “ნორმა“ 1995. გვ. 5).

20. Tagung “Zivil- und Wirtschaftsrechtsreform in postkommunistischen Gesellschaften”. WiRO, Heft 9 / 1994, S. 364-366.

21. Гражданское и торговое право капиталистических государств. Ч. I, под. ред. Р. Л. Нарышкиной. М. 1983. С. 36. Гражданское и торговое право капиталистических государств. Под. ред. Е. А. Васильева. М. 1993. С. 38 და სხვა.

22. ეს შეხედულება ნორმატიულად განმტკიცებულია დსთ-ს მოდელური სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლში და რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლში: “Нормы гражданского права, содержащиеся в других законах, должны соответствовать настоящему Кодексу” სამართლებრივი სახელმწიფოსათვის კატეგორიულად მიუღებელი ეს დებულება აღტაცებული ქების საგანია რუსულ სამართლისმცოდნეობაში: “Статья 3 выделяет головное значение ГК в системе иных актов гражданского права – нормы гражданского права, содержащиеся в других законах и подзаконных актах, должны соответствовать прежде всего ГК. В противном случае приоритет остаётся за нормами ГК” – წერს რუ-ის სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის კომენტარებში ვ.ნ. ლიტოვკინი: Комментарий ГК РФ, ч. I. М. 1995. С. 20.

უფრო მეტიც, თვით კოდექსის შიგნით გამოყოფენ ე.წ. “მუშა ნაწილს” და საწყისი კონსტიტუალური დებულებების ნაწილს. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ კოდექსის ე.ი. ერთიანი საკანონმდებლო აქტის ნორმებს თანაბარი იურიდიული ძალა და მნიშვნელობა არა აქვთ (Алексеев С.С. “Рабочая часть” Гражданского кодекса. ГК России. Часть вторая. (текст проекта, комментарий, проблемы). М. 1995. С. 5.

23. ფაქტობრივად შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ იურიდიულად ამის რეგლამენტაცია ყოველად არაკორექტულია.

24. მაგალითად, დსთ-ისათვის მომზადებულ მოდელურ სამოქალაქო კოდექსის პროექტში მრავლადაა ასეთი ნორმები: მუხლი 190 (ფასიანი ქვალადების სახეები), მე-10 თავი მთლიანად (მუხლები 195–200). იგივეს იმეორებს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი.

25. ასე, მოდელურ სამოქალაქო კოდექსსა და რფ-ის სამოქალაქო კოდექსში მოცემული ნორმები ფასიანი ქვალადების შესახებ არაერთარ პრაქტიკულ როლს არ შეასრულებენ, თუ არ იქნა მიღებული ცალკე კანონები ჩეკის, თამასუქისა და ა.შ. მაშინ რაღა საჭირო იყო მათი შეტანა სამოქალაქო კოდექსში?

26. Brox, Hans, Allgemeiner Teil des BGB, 15. Aufl. 1991, S. 331

27. ГК РФ, Ст. 69-81; Комментарий части первой ГК РФ, для предпринимателей. М. 1995. С. 115-120.

სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ საქართველოს კანონმა გაიმეორა რუსული სახელწოდება და აღნიშნულ საზოგადოებას ეწოდა სრული სამეურნეო ამხანაგობა. მისი სამართლებრივი მდგომარეობა განმტკიცებული იყო ზოგადი სახით სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების კანონის მე-13 მუხლში და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით “საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო ამხანაგობათა შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე”.

28. Baumbach/Hueck, GmbH-Gesetz. 15. Aufl. München 1988, S. 1-3.

29. Гражданское и торговое право капиталистических государств, часть 1, М. 1983, С. 191.

30. იქვე, გვ. 196.

31. ნ. მჭედლიშვილი, რ. მიგრიაული. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომენტარი. თბ. 1992 წ.

32. Karsten Schmidt, Gesellschaftsrecht. 1986 S. 580-581.

33. იქვე, გვ. 581

34. როგორც წესი, დასავლეთის ქვეყნებში სახელმწიფო სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობს შპს-ის ან სს-ის პარტნიორის სახით.

35. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 14 აპრი-

ლის №288 დადგენილება “სახელმწიფო საწარმოების, სახელმწიფო საწარმოთა გაერთიანებების სააქციო საზოგადოებებზე გარდაქმნის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ”

36. Чаянов А. Краткий курс кооперации. М.-Л. 1925. 4-е изд. С.9-10.

37. მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების გარდა, დსთ-ის წევრი-სახელმწიფოების კანონმდებლობა სხვა ფორმებსაც იცნობს, რომელთაგან ბევრა ხელშეწყობის და ტიპურია პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის. მაგალითად, აზერბაიჯანის კანონი საწარმოთა შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 1994 წლის 12 ივლისს, სახელმწიფო საწარმოთა რამდენიმე ფორმას განასხვავებს: “საწარმო, რომლის ქონება სრულ სახელმწიფო საკუთრებაშია; საწარმო, რომლის აქციათა საკონტროლო პაკეტი სახელმწიფო ორგანოსს განეკუთვნება” (მუხლი 6). იმავე მუხლის მე-7 აბზაცის შესაბამისად, სახელმწიფო არ აგებს პასუხს სახელმწიფო საწარმოს ვალდებულებებზე. ეს დებულება არ შეესაბამება საერთაშორისო სარბიტრაჟო სასამართლოს პრაქტიკაში არსებულ გამოცდილებასა და მოქმედ ნორმებს. სახელმწიფო დიახაც აგებს პასუხს სახელმწიფო საწარმოს ვალდებულებისათვის. ეს არის სახელმწიფო საწარმოს თავისებურება და განსხვავდება იმ კაპიტალური საზოგადოებებისაგან, რომელთა აქციების ან წილების ასივე პროცენტი ან საკონტროლო პაკეტი სახელმწიფოსს ხელშია.

38. ტერმინი “პარტნიორი” მეწარმეთა კანონმა პირველად შემოიღო. კანონი სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ პარტნიორს იყენებს: მხოლოდ მოქალაქეთა გაერთიანებებისა და კოლექტიური მეწარმეების აღსანიშნავად (მუხლი 2 მე-2 აბზაცი). სხვა შემთხვევაში კანონი იყენებს საზოგადოების წევრის ცნებას (მუხლი 13, 14 და ა.შ.).

39. საქართველოს კანონმაც “უცხოური ინვესტიციების შესახებ” განამტკიცა ანალოგიური დებულება. კერძოდ, ამ კანონის 6.1 მუხლის თანახმად “უცხოელ ინვესტორს ისეთივე უფლებები აქვს, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს”. კანონი მიღებულ იქნა 1995 წლის 30 ივნისს.

40. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის 24-ე მუხლის პირველი აბზაციც იძლევა იურიდიული პირის ლეგალურ დეფინიციას: “იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად ხანგრძლივი ვადით შექმნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით, დამოუკიდებლად აგებს პასუხს და რომელიც საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ”.

41. ს. ჯორბენაძე. საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. სამართლის რეფორმა საქართველოში. თბილისი, თსუ. 1994. გვ.139.

Проблемы кодификации гражданского законодательства

Джомарджидзе Леван Семенович
Доктор юридических наук, профессор

В республике идет процесс кодификации гражданского законодательства. Комиссия, которую возглавляет академик С. Джорбенадзе, интенсивно работает над проектом нового Гражданского Кодекса. Проводимая в настоящее время кодификация коренным образом отличается от кодификации 50-х годов, в результате которой был принят ГК ГССР 1964 г. Основная задача нового Гражданского Кодекса, который будет принят высшим законодательным органом республики - создание законодательной базы рыночной экономики.

В связи с этим представляет значительный интерес опыт кодификации гражданского законодательства в других странах. Прежде всего, это развитые страны традиционной рыночной экономики (Франция, Германия, Голландия, Италия и др.). Вместе с тем, не меньший интерес для нашей республики представляет опыт Российской Федерации, где с 1 января 1995 г. введен в действие новый ГК РФ (часть 1).

Опыт кодификации гражданского законодательства в Российской Федерации привлекателен для нас по следующим соображениям. Во-первых, это самый новый из всех существующих кодексов. Он разрабатывался выдающимися российскими учеными с использованием мирового опыта. И во-вторых, что особенно важно, при разработке ГК Республики Грузия, комиссии приходится сталкиваться с теми же трудностями, которые стояли перед учеными-юристами России. В течении 70 лет гражданское законодательство нашей республики развивалось в тесной связи с законодательством других союзных республик, входивших в состав СССР и, прежде всего, РСФСР. Опыт Российской Федерации тем более необходимо использовать, что, несмотря на сравнительно небольшой срок, прошедший с момента его принятия, выявились недостатки, которых можно было избежать. Это необходимо учесть при дальнейшей работе над проектом ГК Республики Грузия.

Принятию ГК РФ (часть 1) предшествовала большая подготовительная работа. Имели место дискуссии и, в том числе, в литературе, хотя это широко не освещалось по понятным причинам. В частности, серьезно дискутировался вопрос о том, должен ли быть

принят кодекс полностью или по частям. Была принята лишь первая часть (общая) ГК, что, на наш взгляд, едва ли было наилучшее решение.

Дискуссия продолжалась и в Государственной Думе РФ. Так, предметом дискуссии был вопрос о приоритете норм международного права. Еще до принятия ГК Российская Федерация присоединилась к ряду международных конвенций, в соответствии с которыми были приняты "Закон об авторском и других смежных правах"¹, "Патентный закон"².

Указанный принцип был закреплен в Конституции РФ.

Новый ГК РФ общепризнанные принципы и нормы международных договоров включает в состав правовой системы Российской Федерации. Более того, нормам международного права придается приоритет перед национальным законодательством России (пп. 1 и 2 ст. 7 ГК РФ).

Дискуссия, в частности, коснулась и вопроса о том, что следует понимать под гражданским законодательством. Только Кодекс и принятые в соответствии с ним федеральные законы или в понятие гражданского законодательства следует включать более широкое содержание, т.е. и указы президента, и постановления правительства или даже ведомственные акты. Дума, по нашему мнению, приняла правильное решение, которое нашло закрепление в п. 2 ст. 3 ГК РФ (часть 1), где указывается, что под гражданским законодательством понимается Кодекс и принятые в соответствии с ним федеральные законы.

Трудно переоценить значение данного принципа для нормального и стабильного регулирования имущественных отношений. Как известно, в течение многих лет в юридической литературе подвергался критике факт множественности нормативных актов, нередко противоречащих друг другу, отсутствия четкой иерархии законов. Все это чрезвычайно затрудняло реализацию этих норм на практике. Достаточно сказать, что лишь в сфере капитального строительства еще недавно действовало свыше 5000 законодательных и иных нормативных актов.

Разумеется, отношения, регулируемые Гражданским Кодексом, весьма обширны и разнообразны по своей природе и, следовательно, не могут быть сосредоточены только в Кодексе. В особенности это касается хозяйственно-правовых актов, носящих комплексный характер, т.е. сочетающих в себе как властные предписания, так и чисто гражданско-правовые нормы. Всегда будет существовать необходимость издания нормативных актов за пределами Кодекса, если иметь в виду сам характер имущественных и, в первую очередь,

предприимательских отношений. При этом особое значение приобретает устаконивание и соблюдение иерархии законов, четкое разграничение компетенции государственных органов при издании законодательных или новых нормативных актов.

Ранее, в течение последних десятилетий, термин "законодательство", обычно охватывал и подзаконные акты, указы, постановления правительства. Впервые в истории кодификации гражданского законодательства установлен приоритет Кодекса как основополагающего акта.

В ряде случаев ГК допускает возможность правотворчества и, в частности, развития его норм не только в законах, но и в указах президента и постановлениях правительства. Для краткого названия этих актов в Кодексе употребляется термин "иные правовые акты". Однако здесь идет речь не о любых нормативных актах, а лишь об актах нормативного характера (пп. 3 и 4 ст. 33 ГК РФ). Таким образом, не исключается возможность издания ведомственных актов, что неизбежно в сфере хозяйственных, рыночных отношений. Но все эти акты будут иметь юридическую силу лишь в том случае, если они не противоречат закону (п. 5 ст. 3 ГК РФ).

В Кодексе закреплен также приоритет гражданского законодательства при регулировании имущественных отношений в смежных отраслях законодательства (земельное, семейное, трудовое). Для этих случаев Кодекс допускает субсидиарное применение норм ГК. Это подтверждается и тем, что некоторые нормы смежных отраслей права включены в ГК. Например, в числе объектов недвижимого имущества перечисляются земельные участки, участки недр, обособленные водные объекты (ст. 130 ГК РФ). В ст. 256 ГК РФ в общем виде урегулирован вопрос об общей собственности супругов.

Законодатель отказался от ставшей традиционной для действующих кодексов преамбулы, поясняющей роль и принципы гражданского права. Фактически осуществлена деполитизация гражданского законодательства. В главе I "Гражданское законодательство" закреплены основные начала, отношения, регулируемые гражданским законодательством, его состав, действие во времени, соотношение норм законодательства и обычаев делового оборота, соотношение его актов и норм международного права.

Гражданское законодательство основывается на признании равенства участников, регулируемых им отношений, неприкосновенности собственности, свободы договора, недопустимости произвольного вмешательства кого-либо в частные дела, необходимости беспрепятственного осуществления гражданских прав, обеспечения

восстановления нарушенных прав, их судебной защиты (ст. 1).

С признанием частной собственности и разрешением частным лицам вести незапрещенную законом коммерческую деятельность, ГК сформулировал принципы частного права, адекватные рыночной экономике. Они в корне отличаются от общих начал, на которых базировалось гражданское право советского периода. В ст. 1 названы общепризнанные принципы частного права. В качестве обязательной предпосылки правового положения лиц, участвующих в имущественных отношениях, признается юридическая независимость каждого из них, их автономия. Юридическое равенство признается за гражданином, объединением граждан, юридическим лицом, вне зависимости от формы собственности (частная, государственная, муниципальная). Вслед за Конституцией РФ, ГК признает и защищает равным образом все формы собственности.

В ГК последовательно проводится принцип свободного распоряжения каждым принадлежащим ему гражданскими правами. Граждане и юридические лица не могут выходить за рамки закона и иных обязательных для них правомерных актов. В тексте Кодекса упомянуты только что нормы содержат соответствующие оговорки. Поэтому, для того, чтобы представлять себе, как далеко в действительности простирается эта свобода, надо знать, в какой мере ГК ее ограничивает.

Для ГК, как ни для какого другого закона, характерна диспозитивность большинства его норм, означающая, что такие нормы "применяются постольку, поскольку соглашением сторон не установлено иное" (п. 4 ст. 421). Оговорка "если договором", либо "соглашением сторон", либо "сторонами" не установлено иное - характерный признак диспозитивной нормы - есть во многих вошедших в Кодекс общих положениях об обязательствах и договорах (раздел 3). Отдельные диспозитивные нормы есть и в двух первых разделах ГК. Очевидно, диспозитивность будет свойственна также большинству правил о договорах отдельных видов, которые войдут во вторую часть ГК.

Но в первой части Кодекса есть и значительное число (даже целые группы) императивных норм, которые исключают возможность иных вариантов поведения, чем предписанных такими нормами. Когда, например, в статье 50 ГК точно называются организационно-правовые формы, в которых могут создаваться в качестве юридических лиц коммерческие организации (п. 2), это значит, что ни в каких других формах их создавать не разрешается. Императивность этой, как и многих других норм в главах 3-5 ГК, объясняется тем, что правовое положение (статус) тех, кто участвует

в гражданском обороте, должно быть определено законом совершенно точным образом. Определенность статуса гражданина или юридического лица (а он включает и основополагающие правила об ответственности соответствующего субъекта) - необходимое условие нормального гражданского оборота. Возможность произвольно изменять свой статус породила бы, по меньшей мере, у участников гражданских правоотношений недоверие друг к другу и серьезно подорвала бы стабильность оборота. Отсюда - жесткие правила Кодекса об образовании юридических лиц, их регистрации, реорганизации и многие другие.

Сходными причинами объясняются и императивность многих правил раздела 2 ГК, определяющих содержание конкретных правомочий собственника, обладателя других вещных прав.

Следует остановиться на вопросе о так называемых смежных с ГК кодексах. Как известно, наряду с ГК имущественные отношения в Российской Федерации в определенных рамках регулируются и другими кодексами - Кодексом о браке и семье, Жилищным Кодексом и Земельным Кодексом. В настоящее время идет процесс обновления этих кодексов.

Прежде всего о брачно-семейном кодексе. С принятием ГК РФ 1995 г. (часть 1), КЗОБС значительно похудеет: две главы из него (Опека и попечительство и Акты гражданского состояния) перенесены в ГК.

Возникает вопрос, нужен ли отдельный брачно-семейный кодекс!

Таких кодексов нет в большинстве стран. Так, в ФРГ семейно-брачные отношения регулируются Книгой 4 Германского Гражданского уложения, в Швейцарии - Книгой 2 Швейцарского гражданского кодекса. Во Франции часть норм, регулирующих брачно-семейные отношения сосредоточены в Книге 1 Французского гражданского кодекса, а нормы об имущественных отношениях супругов и нормы о брачном договоре - в Книге 3.

В странах общего права семейные отношения регламентированы отдельными законодательными актами. Так, в Англии действует Закон о браке 1949 г.³

Наиболее сложным является вопрос о Земельном Кодексе. В новый ГК РФ включена довольно обширная глава 17 под названием "Право собственности и другие вещные права на землю" Эта глава должна быть введена в действие после введения в действие Земельного Кодекса РФ.

Между тем, в процессе кодификационных работ возникли серьезные противоречия между принятым Думой ГК РФ (часть 1) и принятым в первом чтении вариантом проекта Земельного Кодекса РФ.

ГК РФ в соответствии со ст. 9 Конституции РФ включил землю в число объектов гражданского оборота. Что касается проекта Земельного Кодекса, он вносит существенные ограничения в вопрос о гражданском обороте земли и других природных ресурсов. Оборот земельных участков в крупных городах производится только на основе аренды и продажи в аренду. В малых городах земельные участки могут передаваться в собственность для индивидуального, жилого и гаражного строительства, коллективного садоводства. Если в строснии или сооружении сохраняется доля государственной или индивидуальной собственности, в будущем приватизация участка предприятия запрещается.

Земельные участки колхозов и совхозов, уже реорганизованных в хозяйственные товарищества, общества, производственные кооперативы, передаются им в собственность как юридическим лицам с земельными паями граждан. Однако, членам этих организаций, которые получили земельные участки в собственность, выдается документ, подтверждающий лишь количественное и стоимостное выражение их земельных паев, а полученные ими свидетельства о праве собственности на землю утрачивают силу. Реорганизуемые в настоящее время хозяйства смогут получить земельные участки уже только в постоянное бессрочное пользование и в аренду до 50 лет, но не в собственность.

Земельные участки крестьянским и фермерским хозяйствам предоставляются с правом пожизненного наследуемого владения или в аренду. Получая такой участок, фермер обязуется проживать на нем и лично участвовать в ведении хозяйства не менее 20 лет. Однако ~~продажа~~ продажа и залог земельных участков сельскохозяйственного назначения не допускается.

В свободном гражданском обороте находятся лишь земельные участки, которые переданы в собственность граждан только для коллективного и индивидуального садоводства, огородничества, животноводства, жилищного, дачного и гаражного строительства, а также земельные участки личных подсобных хозяйств.

Таким образом, в отличие от ГК РФ, лишь эта последняя категория земельных участков находятся в свободном гражданском обороте.

Независимо от того, как будет решен данный вопрос в будущем, полагаю, что вопрос о земле должен был быть включен не в ГК, а в Земельный Кодекс, ибо это - предмет земельного, а не гражданского законодательства.

Наряду с кодексом о браке и семье в настоящее время разработан также проект Жилищного Кодекса РФ. Совсем непонятно зачем

нужен самостоятельный жилищный кодекс. Известно, что до 1964 года такого кодекса в РСФСР не существовало. Нет такого кодекса и в других странах. Как показывает практика, в рамках ГК с достаточной полнотой возможно регулирование жилищных отношений, тем более что в условиях рыночной экономики, когда роль государственного жилищного фонда в обеспечении бесплатным жильем сведена к минимуму.

Уделив внимание так называемым смежным кодексам, нельзя не коснуться также проблемы кодификации предпринимательского законодательства. Еще до принятия ГК РФ в исследовательской программе "Пути и формы укрепления Российского государства", основные направления которой были утверждены Указом Президента Российской Федерации от 29 апреля 1994 г. N 848 отмечалось, что в целях наиболее полного правового обеспечения вхождения России в рынок, должны быть приняты, в числе других актов, гражданский и предпринимательский кодексы.

До принятия ГК РФ дискутировался вопрос, включать в него лишь общие нормы о регулировании имущественных отношений, охватывающих все сферы деятельности или также и специальные нормы о предпринимательской деятельности? Или же следует принять отдельные кодексы: гражданский и предпринимательский!

В принятом Госдумой ГК РФ указывается, что гражданское законодательство регулирует отношения между лицами, осуществляющими предпринимательскую деятельность или с их участием, исходя из того, что предпринимательская деятельность является самостоятельной, осуществляемой на свой риск деятельностью, направленной на систематическое получение прибыли от пользования имуществом, продажи товаров, выполнения работ или оказания услуг лицами, зарегистрированными в этом качестве в установленном законом порядке (абз. 3, п. 1, ст. 2 ГК). В ГК имеются и специальные нормы о предпринимательской деятельности. Это дало основание М. Брагинскому сделать категоричный вывод, согласно которому "признав, что предпринимательская деятельность регулируется именно гражданским законодательством, ГК таким образом безоговорочно отверг возможность параллельного существования гражданского и, независимо от него, предпринимательского (вариант - торгового или хозяйственного) кодекса⁴. С этим никак нельзя согласиться. Не вызывает сомнения, что большую роль в регулировании предпринимательских отношений играет гражданское законодательство, как законодательство рыночной экономики.

Вместе с тем, гражданское законодательство, метод

регулирования которого базируется на равенстве сторон и автономии участников этих отношений, не может охватить весь комплекс предпринимательской деятельности. Об этом свидетельствует опыт регулирования предпринимательских отношений в наиболее развитых странах с традиционными гражданскими кодексами - во Франции, Германии и др., где наряду с гражданскими кодексами или же при их отсутствии (например, в США) приняты специальные кодексы и законы по регулированию предпринимательских отношений. Лишь в Нидерландах существует единый Гражданский Кодекс, в который включены и нормы по правовому регулированию предпринимательских отношений. Хотя в Италии в 1942 году были также объединены гражданский и торговый кодексы, однако, как это отмечалось в юридической литературе, такое объединение привело к ухудшению правового регулирования хозяйственных отношений в этой стране⁵.

Вместе с тем, следует иметь в виду, что специфика регулирования предпринимательского (торгового) права существует независимо от того, регулируется оно гражданским или торговым (предпринимательским) кодексом.

Рассматривая вопрос о включении в некоторых странах норм торгового права в гражданский кодекс, немецкий ученый К.Хопт пишет: "Это, однако, не означает, что эти страны не имеют торгового права, т.к. им нужны, как и другим странам специальные юридические правила для торговой деятельности"⁶. Следовательно, Хопт практикует торговое (по сути дела, предпринимательское) право, как отрасль права, существующую объективно, независимо от того, имеется ли в том или ином государстве торговый кодекс или же нормы торгового права включены в Гражданский Кодекс. Независимо от этого, известно, что кодификация является наиболее эффективной и желательной формой систематизации законодательства.

В настоящее время предпринимательское право как самостоятельная отрасль права формируется и в Российской Федерации. На это справедливо указывали многие ученые-юристы: А.Г.Быков,⁷ В.С.Мартемьянов⁸, В.К.Мамутов⁹, В.В.Лаптев¹⁰.

Зарубежный опыт показывает также, что без вмешательства государства в хозяйственную жизнь страны невозможно сохранить нормальные рыночные отношения, добросовестную конкуренцию, тяготеющих к монопольной деятельности. Наблюдается повсеместно тенденция все большего вмешательства государства в хозяйственную жизнь. В области гражданского права большую роль начинают играть административные акты. Особую роль приобретает так называемое делегированное законодательство, т.е. нормативные акты, издаваемые

правительством в силу предоставленных ему особых полномочий¹¹. Указанные акты, издаваемые в сфере экономики, носят уже не гражданско-правовой, а административно-правовой характер, содержат, как правило, императивные, обязательные для исполнения нормы. Аналогичная тенденция наблюдается и в Российской Федерации. Уже после введения в действие нового ГК РФ был принят ряд важнейших законодательных актов в сфере предпринимательских отношений. Это федеральные законы: "Об естественных монополиях"¹² от 19 июля 1995 г., "О государственном регулировании внешнеторговой деятельности"¹³ от 7 июля 1995 г., "О федеративном железнодорожном транспорте"¹⁴ от 25 августа 1995 г., "О внесении изменений и дополнений в Закон РСФСР О конкуренции" и ограничении монополистической деятельности на товарных рынках"¹⁵ от 21 апреля 1995 г., "О финансово-промышленных группах"¹⁶ от 27 октября 1995 г. и др.

Указанные акты носят комплексный характер и должны быть отнесены к хозяйственно-правовым актам в сфере предпринимательства. Они не могут быть включены в ГК РФ. А поскольку уже сегодня имеется солидный блок хозяйственных актов в сфере предпринимательской деятельности, необходима их систематизация, но не в рамках гражданского, а другого хозяйственного (предпринимательского) кодекса¹⁷. Идея разработки и принятия хозяйственного кодекса длительное время поддерживается рядом авторов¹⁸.

За принятие предпринимательского кодекса стоит и один из разработчиков проекта ГК РФ Ю.К.Толстой. По его мнению, сложнее вопрос, каким должен быть предпринимательский Кодекс. Должен ли он быть смоделирован в исключительно в расчете на гражданско-правовые отношения в сфере предпринимательства или он должен регулировать и отношения по управлению предпринимательской деятельностью. В первом случае предпринимательский кодекс выступает как своего рода дочернее предприятие гражданского кодекса, во втором, как комплексный законодательный акт, в котором должны быть кодифицированы как гражданские, так и административно-правовые нормы, регулирующие отношения по осуществлению предпринимательской деятельности, управлению ею. Ю.К.Толстой считает оптимальным второй вариант решения данного вопроса¹⁹.

В отличие от Ю.К.Толстого, полагаем, что наряду с уже принятым ГК следует разработать и принять кодекс, в котором должны быть кодифицированы хозяйственно-правовые акты по управлению и контролю за предпринимательской деятельностью. При

этом не следует забывать, что издаваемые в настоящее время хозяйственно-правовые акты в сфере предпринимательского права носят, как правило, комплексный характер. Чтобы избежать дублирования, в новом кодексе следует предусмотреть отсылочные нормы к ГК РФ.

Целесообразно, по нашему мнению, новый кодекс назвать не предпринимательским, а хозяйственным, имея в виду, что нормы по осуществлению предпринимательской деятельности регулируются также и в ГК РФ.

¹ "Российская газета" за 3 августа 1993 г.

² Ведомости Съезда народных депутатов РФ и Верховного Совета РФ 1992 г., N 42 стр. 2319, стр. 2320, а также 1993 г., N 30, стр. 1167

³ См. об этом подробно "Гражданское и торговое право капиталистических государств" под ред. Е.А.Васильева М., "Международные отношения", стр. 515-526.

⁴ Комментарий части первой Гражданского Кодекса Российской Федерации для предпринимателей - М., "Фонд" Правовая культура", 1995, стр. 22

⁵ Гражданское и торговое право капиталистических государств под ред. К.К.Яичкова, М., 1966 г. стр. 30-31

⁶ Государство и право, 1995, N 5, стр. 49

⁷ Быков А.Г. Предпринимательское право: проблемы формирования и развития - Вестник МГК, Сер II "Право", 1993, N 6, стр. 3

⁸ Мартемьянов В.С. Хозяйственное право, т. 1, М., 1994, стр. 1- 17

⁹ Мамутов В.К. Кодификация хозяйственного законодательства Украины в новых экономических условиях, Государство и право 1994 г. N 6, стр. 77

¹⁰ Лаптев В.В. Хозяйственное право - право предпринимательской деятельности - Государство и право, 1993, N 1 стр. 33

¹¹ Гражданское и торговое право капиталистических государств, под ред. Е.А.Васильева М., "Международные отношения", 1993 г. стр. 29

¹² "Экономика и жизнь", N 35, сентябрь 1995 г.

¹³ "Российская газета" от 24 октября 1995 г.

¹⁴ "Российская газета" от 30 августа 1995 г.

¹⁵ "Российская газета" от 30 мая 1995 г.

¹⁶ "Российская газета" от 6 декабря 1995 г.

¹⁷ Трудно понять позицию авторов, выступающих вообще против систематизации хозяйственного законодательства (см. Комментарий к Гражданскому Кодексу Российской Федерации, отв. ред. О.Н.Садиков, Юриформцентр, М., 1995 г., стр. 14

¹⁸ См. В.В.Лаптев - Введение в предпринимательское право, Ин-т государства и права РАН, М., 1994 г., стр. 26-30; Л.С.Джомарджидзе Вопросы

совершенствования хозяйственного законодательства Сборник научных трудов, Владикавказ, 1977, стр. 65-73; В.С. Мартемьянов - Хозяйственное право, т. 1. Изд. БЕК, М., 1994, стр. 33 и др.

¹⁹ См. Предисловие к Гражданскому Кодексу Российской Федерации Научно-издательский центр "Альфа", Коммерческо-издательская фирма "Равена", Санкт-Петербург 1994 г., стр. 6-8.

კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები

რომან შენგელია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სახელშეკრულებო ხასიათის ვალდებულების შესრულებაზე არსებული მოთხოვნების შესრულების ძირითადი პრინციპებისაგან, ნაწილობრივ, არც თუ ისე უმნიშვნელოდ, განსხვავდება სამართლებრივი მდგომარეობა საპასუხო ანაზღაურებაზე ანუ ფასზე მოთხოვნების არსებობისას. Civil law-ში მევალე განიხილება მხოლოდ როგორც ვალდებული მისთვის დაკისრებული ორმხრივი საპასუხო ვალდებულების შესრულებისათვის, მაშინ, როდესაც ის ხელშეკრულების დამახასიათებელი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ითვლება მხოლოდ უფლებამოსილად. ამდენად, მევალე პრინციპულად არ არის ვალდებული ფაქტიურად მიიღოს ანაზღაურება. ეს არის მხოლოდ და მხოლოდ მევალის უფლება და არა ვალდებულება, მის შეუსრულებლობას ამდენად თან არ მოსდევს შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა²⁵. მაშასადამე, საქმე ეხება მარტოოდენ უბრალოდ ვალდებულებას (დაკისრებას). დამკვლეველი პირი თავისუფალია არჩევანში, განახორციელებს თუ არა ის ქმედებას, მაგრამ თუ ის ამ ქმედებას არ განახორციელებს, ამ შემთხვევაში ის უნდა შეეგუოს იმას, რომ გარკვე-

ული ზიანი მიადგება²⁶.

ის, რომ მევალე არ იღებს მოვალის შესრულებას, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მან არ უნდა შეასრულოს საპასუხო ვალდებულება. რადგანაც იგი ვალდებულია გააკეთოს ეს. მაგრამ მაშინაც კი, როცა მოვალეს სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით ბოლოს და ბოლოს შეუძლია ფასის (Preis) გადახდა მოიყვანოს სისრულეში, ის მაინც ვალდებული რჩება მზად ჰქონდეს შესრულება მევალისათვის.

საპასუხო ანაზღაურებაზე (ფასზე) პრეტენზიის თავისებურებად კლინდება მრავალ შემთხვევაში მისი არ მიღების უკუქმედება ხელშეკრულების ხასიათის ანაზღაურების მოვალის პრეტენზიის მოცულობასა და საშუალებებზე.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორი (მევალე), რომლის მიმართაც ვალად აქვთ გარკვეული სამსახური, ამ სამსახურს არ მიიღებს, მაშინ ამ ვითარებას ჯერ არ ექნება ზემოქმედება საპასუხო ანაზღაურებაზე გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსის §615-ს მიხედვით. მოვალის, რომელსაც ვალად ედება რაღაცა სამსახური, პრეტენზია შეთანხმებულ ანაზღაურებაზე ძალაში რჩება, თუმცა მან უნდა ანგარიშში გაითვალისწინოს ის თანხები, რაც მან დაზოგა მომსახურების არ მიღებით. მაშასადამე, მოვალემ, რომელსაც ვალად ედება რაღაც სამსახური, უნდა დაირიცხოს, როგორც სამსახურის არ მიღების შედეგად მიღებული დანაზოგები, როგორცაა მაგალითად მგზავრობის ზარჯები, ასევე სხვაგან გამომუშავებული საზღაური, მან უპირველეს ყოვლისა უნდა დაირიცხოს ფაქტიური მონაპოვარიც, რამდენადაც მან ბოროტი განზრახვით არ გამოიყენა გამომუშავების შანსი. როგორც ყველგან BGB-ში აქაც შემცირებულია სუბიექტური მოთხოვნები და ისინი განზოგადებულია. დღეისათვის ბოროტი განზრახვის ჩასათვლელად საკმარისია უკვე ის, რომ სამსახურის ამღები არ იყენებს მისთვის ცნობილ შესაძლო სამუშაოს საშუალებას²⁷. რეალური შესაძლებლობა ცალკეულ შემთხვევებში განისაზღვრება ადრინდელი სამუშაო პირობებისა და ანაზღაურების გამომუშავების შესაძლებლობების შედარებით. თუ ისინი შემდგომშიც შედარებადი არიან, მაშინ მოვალეს, რომელსაც ევალება გარკვეული სამსახური, უფლება არა აქვს შედეგის გარეშე უარი თქვას მისთვის ცნობილი მუშაობის შესაძლებლობაზე. მოვალე, რომელსაც ევალება გარკვეული სამსახური, თვითონაც უნდა შეეცადოს შესაძლო ფარგლებში მოიპოვოს სხვა ამგვარი სამუშაო შესაძლებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პრაქტიკულად უპერსპექტივოა.

იგივე ეხება §649-ს მიხედვით ნარდობის ხელშეკრულებას და §552-ის მიხედვით ქირავნობასაც, მაგრამ აქ არ ითვლება ბოროტი

განზრახვით შესრულებელი სამუშაო; ანუ არ არის დადგენილი დამ-
ქირავებლის ზიანის შემცირების ვალდებულება. ზუსტად იგივე პრინ-
ციპს აქვს ადგილი Civil Law-შიც. მომსახურებისა და ნარდობის ხელ-
შეკრულებისათვის იტალიაში codice civil-ს 1685; 1723; 172; 1738;
2237-ე მუხლებში; ავსტრიაში ავსტრიის სამოქალაქო სამართლის კო-
დექსის 1107; 1155 და 1168-ე მუხლებში; შვეიცარიაში ვალდებულებითი
სამართლის 324; 337c; 377-ე მუხლებში; აქ ვალდებულებითი სამარ-
თლის 263-სა და 264-ე მუხლებში ქირისთვისაც კი არის ზიანის
შემცირების ვალდებულება. ამგვარი ნორმები არსებობს აგრეთვე ქარ-
თული პროექტის 504-ე (ქირა) და 584-ე (მომსახურებისა და ნარდო-
ბის ხელშეკრულება) მუხლებში.***

ვ) შედეგი

მაშასადამე, ირკვევა, რომ Civil law-სათვის უცხო არ არის ზიანის
სამართლებრივი კატეგორიები, როგორცაა მოგების გადახდა და ზიან-
ის შემცირების ვალდებულებები როგორც ქმედების შესრულების მოთ-
ხოვნის დროს, ასევე ფულადი ანაზღაურების ვალდებულების სპეციფი-
ური შესრულების დროს.

თუმცა civil law-სთვის ზიანის შემცირების ვალდებულებები სავსე-
ბით ბუნებრივია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს. ის, ვისაც
შუქძლია წამოაყენოს მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე, ვალდებულია
დამრღვევის მიმართ, რომ მისი ზიანი რაც შეიძლება მცირედ შეინარ-
ჩუნოს და თუ საჭიროა, კიდევ შეამციროს. წინააღმდეგ შემთხვევაში,
თუ კი ის ამ თავის მოვალეობას დაუდევრად მოეპყრობა, ის უნდა
შეეგუოს თავისი პრეტენზიების შეკვეცას²⁸. თუმცა აქამდე ზიანის შემ-
ცირების ვალდებულება შესრულების მოთხოვნების არსებობისას არ
ყოფილა გამოყენებული, ეს წინააღმდეგობაში მოვიდა რეალური შესრუ-
ლების ძირითად პრინციპთან.

ის ფაქტი, რომ ზიანის შემცირების ვალდებულება გარკვეულ
ხელშეკრულებებში კანონითაა გათვალისწინებული, აქ იქნა აღნიშნუ-
ლი. ფასზე პრეტენზიების დროს კი ის ნაწილობრივ მოქმედებს. ის
ფაქტი, რომ ეს გარემოება არასოდეს ყოფილა ფორმულირებული, რო-
გორც ზოგადი პრინციპი, უპირველეს ყოვლისა იმის ბრალია, რომ
რეალურმა შესრულებამ დამკვიდრება დაიწყო მხოლოდ მე-18 საუკუნის

*** მუხლების ნუმერაცია კოდექსის პროექტში შეცვლილია (რედაქტორის
შენიშვნა)

ბოლოს და კიდევ უფრო გვიან განვითარდა ფასზე პრეტენზიის შეზღუდვა. ასე რომ ამ, ძირითადად მე-19 საუკუნეში შექმნილი კანონების ავტორებისათვის, ეს პრინციპები ზოგადი პრინციპების სახით ჯერ კიდევ უცნობი იყო.

2) *Common Law* (საერთო სამართალი)

Common law-ს აქვს სრულიად განსხვავებული სახელშეკრულებო სისტემა. ზემოთ მოყვანილისაგან განსხვავებით მოთხოვნა ნატურით შესრულებაზე პრინციპულად უცნობია²⁹.

“სამართლებრივი ვალდებულებითი შეპირების ერთადერთი უნივერსალური შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ კანონი ავალდებულებს დამპირებელს ანაზღაუროს ზიანი, თუ დაპირებულის შესრულება შეუძლებელია”³⁰.

მამასადამე, სახელშეკრულებო დაპირება გაგებულია არა როგორც გარკვეული ქმედების დაპირება, არამედ როგორც გარანტია გარკვეული ეკონომიკური წარმატებისა³¹. ამის მიხედვით ქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში მოვალე ვალდებულია მხოლოდ ზიანი ანაზღაუროს³².

ა) მოთხოვნები სახელშეკრულებო ხასიათის შესრულებებზე

Common law-შიც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება, არასაკმარისი აღმოჩნდა. ამიტომ განვითარდა *specific performance*-ს³³, როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება. მის მიხედვით გამონაკლისის სახით შეიძლება რეალური შესრულების მოთხოვნა, თუ მევალეს ანაზღაურებაზე განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია და ზიანის ანაზღაურებით ის არ იქნებოდა საკმარისად დაცული, რადგანაც ეს “არაადეკვატური” იქნებოდა³⁴, განსაკუთრებით კი, თუ შეპირებული ანაზღაურება ერთჯერადია³⁵. საუკეთესო მაგალითი ერთჯერადი ქონებისა არის უძრავი ქონება³⁶. თუ საქმე ეხება მიწის ნაკვეთის ანაზღაურებას, ასევე მის გამოყენებას, მოთხოვნა *specific performance*-ზე მისი ერთჯერადობის გამო პოულობს განხორციელებას³⁷. სხვა შემთხვევები, რომლებშიც *specific performance*-ს უზრუნველყოფა შესაძლებელია გამონაკლისის სახით, “*unique goods*-ზე (განსაკუთრებული ქონება) ვალდებულებების პარალელურად არიან ისეთებიც, რომლებშიც ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა მხოლოდ ნორმალურ კომპენსაციას, ანდა რომლებშიც მისი მიღწევა ძნელად შესაძლებელია³⁸. *Specific performance*-ს უზრუნველყოფის მზარდი მზადყოფნა

ფიქსირდება აგრეთვე კომპლესურ ხანგრძლივ ხელშეკრულებებშიც, რომლებშიც მხარეებს მნიშვნელოვანი სპეციფიური ტრანსაქციური ინვესტიციების საფუძველზე, რომლებიც სხვაგან არ შეიძლება იქნენ გამოყენებული ანდა სხვაგვარად რეალიზებული, აქვთ განსაკუთრებული ინტერესი ხელშეკრულების ზუსტად შესრულებისადმი³⁹.

მაგრამ, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც specific performance პრინციპულად შესაძლებლად გვევლინება, არსებობს სხვადასხვა მიზეზები, რომელთა გამოც სასამართლომ შეიძლება მასზე უარი თქვას. ასე მაგალითად, მისი უარყოფა შეიძლება გამოიწვიოს აღსრულების სიძნელებმა. ამიტომ, specific performance-ზე უარი ითქმის ძირითადად გარკვეული სახის მომსახურების გაწევაზე მოთხოვნის დროს⁴⁰. უარის თქმის მიზეზია აგრეთვე ისიც, თუ specific performance-ს მისჯა იქნებოდა განსაკუთრებული სიმკაცრე⁴¹, ანდა თუ სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების ხარჯები მევალის მოგებას მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა⁴².

ამის საწინააღმდეგოდ არის სანიმუშო მაგალითი, რომელშიც მიეცემა მხოლოდ ზიანის ანაზღაურება, განსაკუთრებით ის სიტუაცია, როდესაც მევალეს მეტ-ნაკლებად ადვილად შეუძლია შეისყიდოს საქონელი ბაზარზე ანდა უფრო ზოგადად, ის შემთხვევები, რომლებშიც ზიანის შემცირება შესაძლებლად და მიზანშეწონილად ჩანს⁴³.

ბ) პრეტენზია საპასუხო ანაზღაურებაზე (ფასი)

იგივე პრინციპი არსებობს აგრეთვე ფასებზე საჩივრების დროს. Common law-სთვის ზოგადად ძალაშია წესი, რომ მოვალეს არა აქვს საშუალება აიბულოს მევალე ხელშეკრულების შესრულებისას მასში მონაწილეობა მიიღოს, ანდა აიბულოს ის მიიღოს შესრულება⁴⁴. ასევე ზოგადად ძალაშია წესი, რომ საჩივარი საპასუხო ანაზღაურების გადახდაზე მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა მევალემ მიიღო შესრულება⁴⁵. ამდენად, მოვალე მევალის მიერ შესრულების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ძირითადად ყოველთვის დამოკიდებულია ხელშეკრულების დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე⁴⁶. თუმცა მისი გამოწვევა არ ხდება ავტომატურად მონაწილეობის მიუღებლობით ანდა მევალის მიერ მიღების გზით. მაგრამ შესრულების დაბრკოლება მევალის ბრალით ყოველთვის მაშინ ითვლება არსებითად და ხელშეკრულების დამრღვევ მოქმედებად, რაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას იძლევა, თუ ის იწვევს იმას, რომ მან აღარ უნდა

შესრულოს მასზე დაკისრებული საპასუხო ანაზღაურება⁴⁷.

აქედან გამომდინარე, ადგილი არა აქვს გადახვევას action for an agreed sum-იდან⁴⁸, ანუ გარკვეული ხელშეკრულებით შეთანხმებულ თანხაზე საჩივრიდან. ესეც მხოლოდ მაშინ ხორციელდება, თუ საპასუხო ანაზღაურება უკვე (ნაწილობრივ) შესრულებული იყო⁴⁹, ანდა თუ არსებობს კიდევ მევალის მატერიალური ლეგიტიმური ინტერესი შემდგომ შესრულებაზე⁵⁰. ფონი და მიზანი ამ შეზღუდვებისა არის აზრი, რომ მოვალე უნდა ჩააყენონ ისეთ სიტუაციაში, რომ შესძლოს სხვაგვარად განახორციელოს შესრულება და ასე შეამციროს თავისი ზიანი. ამიტომ მოვალეს, მევალის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგაც, მიუხედავად მისი პრინციპული არჩევის უფლებამოსილებისა მიიღოს მასში ჩადებული “ხელშეკრულების გაუქმების წინადადება” თუ არა⁵¹, არა აქვს უფლება გააგრძელოს ხელშეკრულების შესრულება და action for an agreed sum-ის საშუალებით რეალური შესრულება განახორციელოს, არამედ იგი შეზღუდულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით⁵² და ამით ისევ ზიანის შემცირების ვალდებულებას ექვემდებარება.

action for an agreed sum აქედან გამომდინარე წარმოადგენს მოვალის მხარეზე აღრიცხულ specific performance-ს საშუალებით გასაჩივრებად მევალის ანაზღაურებას. ამასთან, ორივე ეფუძნება ერთსა და იგივე შეფასების საფუძველს, კერძოდ, იმ პირის ზიანის შემცირების ვალდებულებასთან მიმართებაში, რომელსაც შეეხო შეუსრულებლობა⁵³.

საერთო სამართლის მიხედვით შესაძლებელია სამართლებრივი მდგომარეობა ასე ჩამოყალიბდეს: “that the law makes the promisor pay damages if the promised event does not come to pass. In every case it leaves him free from interference until the time for fulfilment has gone by, and therefore free to break his contract if he chooses.”⁵⁴

ზიანის დაანგარიშებისათვის არსებითია, რომ დაზარალებულს ყოველთვის ეკისრება ზიანის შემცირება⁵⁵. მან უნდა გადადგას ყველა შესაძლო ნაბიჯი, რომელსაც შეუძლია ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზიანის შემცირება, სხვაგვარად მას არ შეუძლია მოითხოვოს ის⁵⁶.

როგორც კი მყიდველს ან გამყიდველს შეეძლება დაფარვის ოპერაციის ჩატარება, ასევე მსგავს ქონებაზე, მათ ის უნდა განახორციელონ და ამონაგები უნდა ჩაწერონ მეორე პირის კრედიტზე⁵⁷, ანდა გაუმართლებლად განთავისუფლებულმა მოვალემ, რომელსაც ეკისრება რაიმე საქმის შესრულება, უნდა მოძებნოს შესაბამისი საქმიანობა⁵⁸.

“After breach, a plaintiff is not entitled to sit back, do nothing and sue

for damages for the performance promised. He must take positive steps to reduce his losses, by going into market and seeking a replacement performance, where this is possible.”⁵⁹

მამასადამე, ხელშეკრულების დარღვევის დაწყებისთანავე მეორე მხარე უკვე ვალდებულია ზიანი შეამციროს (mitigation of damages). თუ კი იგი განგებ ან დაუდევრობის გამო არ განახორციელებს დაფარვის ოპერაციას, მაშინ მან უნდა აღიაროს მის მიერ მისი ზიანის შემცირების ვალდებულების დარღვევით გამოწვეული პროტესტი. მევალეს ამასთან იცავს ის, რომ მას (გარკვეულ საზღვრებში) შეუძლია მოვალისაგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურების სახით ზიანის შემცირებისათვის საჭირო ხარჯების გაღება, მაშინაც კი, თუ მათ წარმატება არა ჰქონდათ.

3) შედეგი

Common law-ს სამართლის სისტემაში არსებული, ზემოთ აღწერილი სამართლებრივი სიტუაციის გამო მხოლოდ ეკონომიკური მოტივაციების ვარაუდი უდავოდ მცდარი იქნებოდა. ისტორიულად ამის უკან დგას იგივე იდეა თავისუფალი ადამიანისა, რომელიც კონტინენტურ-ევროპულ სამართლის სისტემაში დიდი ხნის მანძილზე ხელს უშლიდა რეალური შესრულების პრინციპის დამკვიდრებას და ის, თუ როგორ გამოიყენება ის იძულებითი აღსრულების სიძნელების დროს და ასევე მარტივი სამართლიანობის პრინციპი, რომ მევალის ზიანის შემცირების ვალდებულება ხორციელდება ხელშეკრულების დამცველი მოვალის წინააღმდეგ წამოყენებული შესრულების მოთხოვნის დროსაც.

Common law-ს შედეგებით-სამართლებრივი ანალიზიდან გამომდინარეობს შემდგომი გაფრთხილება რეალური შესრულების პრინციპის მკაცრი დაცვის წინააღმდეგ. იგი (common law) პრინციპულად არ იცნობს მოთხოვნას შესრულებაზე, არამედ სახელშეკრულებო დაპირება მის მიხედვით წარმოადგენს მხოლოდ გარანტიას გარკვეული წარმატების მიღწევისა. ბუნებრივია, ეს უკიდურესობაც ვერ იქნება მკაცრად დაცული, რადგანაც არც თუ იშვიათია სიტუაციები, როდესაც არსებობს განსაკუთრებული და აუცილებელი რეალური შესრულების მოთხოვნილება. აქედან გამომდინარე common law-ში ჩამოყალიბდა, გამოზღინარე მორალური მოსაზრებებიდან, შედეგება specific performance-ს სახით, ეს უკანასკნელი აკეთებდა ზუსტად იმას, რაც ერლიხმა უკვე აღწერა რეალური შესრულების ისტორიულ დამკვიდრებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ის სვამს კითხვას ამგვარი მოთხოვნის გარდაუვალი არსებობის შესახებ. ამდენად, specific performance-ს ირჩევენ იმ

შემთხვევაში, თუ ზიანის ანაზღაურება საკმარისად ვერ აკმაყოფილებს მეგალის ინტერესებს.

4) საერთაშორისო სამართალი

ა) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყიდვა-გაყიდვის სამართალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყიდვა-გაყიდვის სამართალი (UNKR) ისევე, როგორც civil law, გამოძინარეობს რეალური შესრულების პრინციპიდან. მყიდველს UNKR-ს 46 I მუხლის მიხედვით აქვს ნატურით შესრულების მოთხოვნის უფლება ისევე, როგორც გერმანული BGB-ს §326-ის მიხედვით მყიდველს შეუძლია საქონლის მიუწოდებლობის შემთხვევაში გამყიდველს მისცეს ვადა და მისი გასვლის შემდეგ ხელშეკრულება გამოაცხადოს გაუქმებულად და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. ანუ UNKR-ში პრინციპში მოქმედებს civil law-ს სისტემა.

ფასზე არსებული პრეტენზიების დროს იგივე ვითარებაა. ამოსავალ წერტილში UNKR აქ კიდევ უფრო მკაცრიც კი არის, ვიდრე civil law, რადგანაც მყიდველი აქ UNKR-ის 53; 60; 62-ე მუხლების მიხედვით საქონლის შესყიდვაზეც კი არის ვალდებული. მაგრამ ყველა წესის მიხედვით გამყიდველი განსაზღვრავს ყიდვის ფასს, რადგანაც საქონლის შესყიდვის აღსრულება არა მარტო common law-ს სფეროში, არამედ აგრეთვე კონტინენტურ-ევროპულ სამართალშიც რთული და ძნელი საქმეა⁶⁰.

თითოეულ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ (ეროვნულმა) სასამართლომ UNKR-ის 28-ე მუხლის თანახმად ნატურით შესრულებაზე გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ გამოიტანოს, თუ ამგვარი მოთხოვნა ეროვნულ სამართალშიც არის გათვალისწინებული. ეს შეზღუდვა ეხება უპირველეს ყოვლისა common law-ს სახელმწიფოებს, რომელთა მოთხოვნითაც ის მიღებული იქნა⁶¹.

UNKR შეიცავს აგრეთვე რეალურ შესრულებაზე პრეტენზიის სხვადასხვა შეზღუდვას. ასე, მაგალითად UNKR-ის 88-ე მუხლის მიხედვით გამყიდველი ვალდებულია იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი აყოვნებს (საქონლის) მიღებას, გაყიდოს საქონელი, თუ ეს უკანასკნელი ხანგრძლივი ლოდინის გამო შეიძლება გაფუჭდეს. UNKR-სათვის ცხადად აღიარებულია აგრეთვე ისიც, რომ მყიდველის მიერ გარიგებაზე უარის თქმის შემთხვევაში გამყიდველს არ შეუძლია ხელშეკრულების შესრუ-

ლების გაგრძელება მის ხარჯზე, რათა შემდეგ შეეძლოს სრული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა⁶². მრავალი ავტორი განსხვავებული მნიშვნელობით იმასაც უშეებს, რომ ზიანის შემცირების ვალდებულებამ შეიძლება UNKR-ის 77-ე მუხლის მიხედვით გამოიწვიოს იმის აუცილებლობა, რომ რეალური შესრულების მაგივრად ზიანის ანაზღაურება მოითხოვება და მევალემ უნდა ჩაატაროს დაფარვის ოპერაცია⁶³.

ბ) Lando - კომისიის პროექტი

პრინციპში Lando-ს პროექტი⁶⁴ PECL-ის 4.101.11 და 4.102.1 მუხლებში ეფუძნება რეალური შესრულების პრინციპს. ისეთი ვალდებულების კრედიტორს, რომელიც არ მდგომარეობს ფულის გადახდაში, შეუძლია PECL-ის 4.102.1 მუხლის მიხედვით მოითხოვოს specific performance-ი, თუმცა ეს მე-2 აბზაცის მიხედვით არ არის ძალაში, თუ შესრულება იქნება მართლსაწინააღმდეგო ანდა შეუძლებელი (lit-a), ან თუ ის მოითხოვდა შესრულების მოვალის არაადეკვატურ ეკონომიკურ ძალისხმევას (lit-b), ან თუ შესრულება დამოკიდებული იქნება კერძო ურთიერთობებზე (lit-c), ან თუ მევალეს შეუძლია მოითხოვოს შესაძლო შესრულება სხვა პირის საშუალებით (lit-d). მე-3 აბზაცის მიხედვით მოვალე კარგავს შესრულების მოთხოვნის უფლებას, თუ ის მას არ აღძრავს შეუსრულებლობის შემდეგ შესაბამისი დროის მანძილზე. თუ კი ამ დროის გავლის შემდეგ მოთხოვნა შესრულებაზე არ არსებობს, მევალეს შეუძლია PECL-ის 4.103-ე მუხლის შესაბამისად მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. შესრულებაზე მოთხოვნის შეზღუდვების შესაბამისად შეიძლება ეს მოთხოვნაც შეიზღუდოს, თუ მევალემ დაარღვია თავისი ზიანის შემცირების ვალდებულება.

ფულის მევალეს და სახელშეკრულებო ხასიათის შესრულების მოვალეს PECL-ის 4.101-ე მუხლის მიხედვით უფლება აქვს შესრულება მოახდინოს მეორე მხარის წინააღმდეგობის მიუხედავად და მოითხოვოს შთანხმებული თანხა. specific performance-ზე უფლებას აქვს სხვადასხვა გამონაკლისები, PECL-ის 4.101 II 2 lit-a-ს მიხედვით იგი არ მოქმედებს (ძალაში არ არის), თუ მევალეს განსაკუთრებული ძალდატანების გარეშე შეუძლია ჩაატაროს დაფარვის ოპერაცია, lit b-ს ნორმის მიხედვით ასევე, თუ შესრულება კონკრეტულად არაადეკვატური იქნებოდა.

UNKR-ში თავს იჩენს სამართლის უნიფიცირების მცდელობა ჯერ კიდევ სრულიად არასაკმარისი სახით, რომელშიც UNKR 28-ე მუხლი ამა თუ იმ ქვეყანას ნებას აძლევს პროცესი გაატაროს საკუთარი პრინციპების მიხედვით, რითაც მიზანი არ მიიღწევა. სხვაგვარადაა საქმე Lando-ს კომისიის პროექტში, რომელიც ზიანის შემცირების ვალდებულებას common law-სთან შეთანხმებით შესრულების პრეტენზიების მიმართაც იყენებს, რეალური შესრულება თითოეულ შემთხვევაში გამორიცხულია, თუ მევალეს შეუძლია შესაძლო დაფარვის ოპრაციის განხორციელება. როგორც უკვე ვნახეთ, ეს civil law-სათვის არც თუ ისე უცხოა, როგორც ეს შეიძლება გვეჩვენოს პირველი შეხედვით, ყოველ შემთხვევაში ფასზე პრეტენზიების შემთხვევების დროს მაინც მსგავსი პროცესი უცნობი არ არის კონტინენტურ-ევროპულ სამართლის წრეში, თუმცა იგი შეზღუდულია სხვადასხვა ხელშეკრულების ტიპებით.

შემდგომში მაინც გამოსაკვლევი იქნება, აირჩია თუ არა Lando-პროექტმა სწორი ამოსავალი წერტილი, ანუ რომელი სისტემა გამოდგება საუკეთესოდ საკანონმდებლო პერსპექტივის თვალსაზრისით.

II. ექსკურსი: რეალური შესრულება და მოთხოვნის უფლების დეფინიცია

ჩვენ უკვე შევხებთ პირველ პოსტულატს, რომელიც გამომდინარეობს სამართლებრივ-მედარებითი დასკვნებიდან, რადგანაც ის არც თუ ცოტათია დაკავშირებული რეალური შესრულების “უწმინდესობასთან”. ჩვეულებრივ Windscheid-ის მიხედვით მოთხოვნა და პრეტენზია იდენტური ცნებებია⁶⁵. მაგრამ, რადგან მოთხოვნა BGB-ს §362ff-ს მიხედვით მხოლოდ შესრულების გზით უქმდება, თავდაპირველად ხდება მოთხოვნის დაცვის უარყოფა უბრალო ზიანის ანაზღაურების გზით, რადგანაც თუ მოთხოვნა შემოფარგლული იქნება შესრულებაზე, მაშინ ამ შემთხვევაში, აქედან გამომდინარე შესაძლო დაფარვის ტოლფასი პრეტენზია, შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ პრეტენზია რეალურ შესრულებაზე, მევალეს კი შეეძლებოდა შესრულების მოთხოვნა.

პრეტენზიისა და მოთხოვნის ტრადიციული სტრუქტურირება მრავალი თვალსაზრისით უარყოფს არც თუ დიდი ხნის წინ Schmidt-ის

მიერ წარმოდგენილ თვალსაზრისს, რომელსაც აქ აღარ წარმოვადგენთ⁶⁶. ყოველივე თქმულიდან გამომდინარეობს, რომ პრეტენზია და მოთხოვნა უნდა განიხილებოდნენ, როგორც სრულიად განსხვავებული მოვლენები, როგორც ამას ადგილი აქვს განსაკუთრებით UNKR-სა და common law-ში და არც თუ უკანასკნელ ადგილზე ისტორიაშიც⁶⁷. აქ რეალური შესრულება ხშირად გვევლინება როგორც ნაკლებ დამოუკიდებელი აზრი. ზიანის ანაზღაურება და რეალური შესრულება განიხილება, როგორც სხვადასხვა, მაგრამ მაინც ფუნქციონალურად თანასწორი სამართლებრივი დაცვის საშუალება შეუსრულებლობისათვის. ამ ცნებების საშუალებით ირკვევა განსხვავება პრეტენზიასა და მოთხოვნას შორის. ამდენად პრეტენზია, რომელიც წარმოიშობა მოთხოვნის უფლების დარღვევიდან, არაერთარ შემთხვევაში არ უნდა იყოს აუცილებლად მოთხოვნის უფლების იდენტური⁶⁸. ეს პოსტულატი გვეხმარება მოთხოვნის და პრეტენზიის მადიფერენცირებელი განმარტების ჩამოყალიბებაში, რომელშიც პრეტენზია წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ შესაძლებელ სანქციას მოთხოვნის უფლების დარღვევისათვის⁶⁹. მოთხოვნის უფლება წარმოადგენს მხოლოდღა უფლებას ანაზღაურებაზე მისი (მხოლოდ მისთვის მინიჭებული) აღსრულების უფლებამოსილებას.

ეს ქმნის შანსს, რომ რეალური შესრულება აღარ იქნება გაგებულ იროგორც სწორედ მასზე მიმართული მოთხოვნის უფლების ლოგიკური შედეგი, არამედ რეალური შესრულება და ზიანის ანაზღაურება გაგებულ იქნეს, როგორც ორი შესაძლო სანქცია შეუსრულებლობისათვის, რითაც მოცემულია შანსი ლოგიკური აუცილებლობის მაგივრად ერთ-ერთ მათგანს მისცენ ხმა, ამა თუ იმ პროტესტის სხვადასხვა შედეგებიდან გამომდინარე განსაზღვრონ ადეკვატური შეუსრულებლობის სანქციები. ამისდა მიხედვით, ყოველ შემთხვევაში, დადგენილია, რომ პრეტენზიის ცნება არ ახდენს რეალური შესრულების გადაწყვეტილების დეტერმინირებას.

III. რეალური შესრულების ეკონომიკური ანალიზი

ის, რომ კაპიტალისტური ეკონომია მაინც მოითხოვს პრეტენზიას შესრულებაზე, ითქვა ჯერ კიდევ 1776 წელს საბაზრო ეკონომიკის ფუძემდებლის, ინგლისელი ეკონომისტის ადამ სმიტის მიერ, რადგანაც ვაჭრობა და ხელოსნობა იშვიათად თუ ვითარდებოდა წარმატებით დიდხანს ერთ ქვეყანაში,

“... რომელსაც არ გააჩნია სპეციალური სამართალი, რომელშიც ადამიანები თავიანთ საკუთრებას დაცულად არ გრძნობენ, რომელშიც

ნდობის ფაქტორი ხელშეკრულებებში კანონით არ არის უფრო გაძლიერებული, რომელშიც ხალხი, როგორც წესი, არ ელის სახელმწიფო ძალაუფლების გამოვლენას, რათა შეძლონ აიძულონ გადახდისუნარიანი მოვალეები გადაიხადონ ვალი⁷⁰.

მაგრამ ეს ციტატა იმ დროს განეკუთვნება, როდესაც პრეტენზია შესრულებაზე დღევანდელი გაგებით პრაქტიკულად უცნობი იყო, განსაკუთრებით ინგლისში. არც თუ ტყუილად ლაპარაკობს სმიტი ნდობაზე ხელშეკრულებებში, რომელიც გადახდის მოლოდინით უნდა იყოს დაცული. იმას, რომ ეს მომენტი სრულიად საკმარისია, აჩვენებს ყველა common law-ს ქვეყნების ეკონომიკა, სადაც, როგორც უკვე ნაჩვენები იყო, პრინციპულად არ არსებობს პრეტენზია რეალურ შესრულებაზე.

ეს გვიჩვენებს, რომ ნდობა ხელშეკრულებებში სრულიად აუცილებელია. ეკონომიკურად კი საჭირო არის მხოლოდ, რომ დაცული იყოს ანაზღაურების მოლოდინი, ამასთან პირველ რიგში, აუცილებლად ზიანის ანაზღაურება. ამ შემთხვევაში პრინციპში არ არსებობს საჭიროება რეალური შესრულების პრეტენზიისა, ესეც იმის მაჩვენებელია, რომ რეალურ შესრულებაზე პრეტენზიის ინსტიტუციონირება განსაკუთრებულ სამართლებრივ გამართლებას საჭიროებს, რომელიც მის ფარგლებს სცილდება. სამართლის ეკონომიკური ანალიზი⁷¹ უფრო შორსაც მიდის, კერძოდ, მას არ მიაჩნია პრეტენზია რეალურ შესრულებაზე მიზანშეწონილად არა მარტო ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ იგი მას წამგებიანადაც კი თვლის⁷².

ა) ეკონომიკური ანალიზი სახელშეკრულებო ხასიათის შესრულებებზე პრეტენზიების დროს

ზოგადი ამოსავალი არის ის, რომ გამყიდველის (შესრულების მოვალის) განთავისუფლება მისი ვალდებულებისაგან შეიძინოს ყიდვა-გაყიდვის საგანი, მაშინ ეკონომიკურად უფრო ეფექტური იქნება, თუ მისი შეძენისათვის (შესრულებისათვის) საჭირო დანახარჯი გადააჭარბებს მყიდველის ინტერესს შესრულებაზე. ეს არის საკითხის გადაჭრის ეკონომიკურად ხელსაყრელი გზა. მოვალე მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს ხელშეკრულების დარღვევას, თუ შესრულების დანახარჯები ანუ თანხა, რომელიც მან შევალეს უნდა გადაუხადოს ზიანის ანაზღაურების სახით, მისი პარტნიორის სარგებელზე მეტი იქნებოდა, რეალური შესრულების წესები რომ ძალაში ყოფილიყო, მოვალეს მოუწევდა ისეთი დატვირთვა, რომელიც გადააჭარბებდა მისი ხელშეკრულების პარტნი-

ორის სარგებელს, რადგანაც მევალეს შეეძლო მისგან მოეთხოვა რეალური შესრულება. მაგრამ ეს არაადეკვატური იქნებოდა, რადგანაც ხარჯები გადაამეტებდა სარგებელს. ამდენად, უფრო ეფექტური და მევალისათვის უვნებელია ზიანის ანაზღაურების წესი, რადგანაც ის შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურების შედეგად არ დაზარალებდა.

მაშასადამე, თუ მაგალითად, გამყიდველი შეპირდება საქონლის შეძენას 100-ად, თანაც ის შეძენის ხარჯებს 80-ით და მოგებას 20-ით ანგარიშობს, მაგრამ შემდგომში გამოირკვევა, რომ შეძენა კონკრეტულ გამყიდველს 150 დაუჯდებოდა, მაშინ მაკროეკონომიკური თვალსაზრისით უაზრობა იქნებოდა, თუ მყიდველი რეალური შესრულების წესის გამო ამ დანახარჯს გამყიდველისაგან მოითხოვდა, თუმცა მას შეეძლო საქონელი შეეძინა მესამე პირისაგან 120-ად, რის შედეგადაც გამყიდველი 20-ს ღირებულებას ზიანის ანაზღაურების სახით აანაზღაურებს.

თუმცა გამოითქვა იმის საწინააღმდეგო აზრი, რომ უმჯობესია, თუ მხარეები თვითონ აირჩევენ, თავიანთი კერძო ავტონომიის ფარგლებში, მოლაპარაკებით მიღწეული შეთანხმების გზით მათთვის ხელსაყრელ სამართლებრივ საშუალებას. და მაინც, შევაჭრების გზით განაწილების ეფექტის მიუხედავად, არსებობს სხვადასხვა მიზეზები, რათა არჩეულ იქნეს უნივერსალური, უფრო ეფექტური რეგულირების საშუალება⁷³. ერთის მხრივ, იმიტომ, რომ სისწორის გარანტია, მოლაპარაკების გზით შეთანხმებულ ხელშეკრულებაში ყოველთვის როდია დაცული⁷⁴, რის გამოც ზოგი რამ იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ შესყიდვის ვალდებულება უნდა დაეღოს მოლაპარაკებაში ემპირიულად უფრო ძლიერ ანაზღაურების შემომთავაზებელს, რადგანაც ის უფრო შეძლებს თვითონ იზრუნოს თავის ეკონომიკური კეთილდღეობისათვის. გენერალური, მაქსიმალურად უფრო ეფექტური შედეგის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ მისი არჩევანი შეესატყვისება სამართლის ეკონომიკური ანალიზის სხვა ძირითად მოთხოვნას, - შეიქმნას სამართალი, რომელიც მაქსიმალურად დაზოგავს⁷⁵ ტრანსაქციურ (გარიგების) ხარჯებს⁷⁶. ამიტომ ტრანსაქციური ხარჯების გამომწვევი მოლაპარაკებები სამართალმა საჭირო არ უნდა გახადოს. ის უფრო უნდა ცდილობდეს, ისინი სულ გამორიცხოს იმ გზით, რომ დისპოზიციურმა სამართალმა გაითვალისწინოს უნივერსალური (პრაქტიკაში უფრო ხშირი) უფრო ეფექტური შედეგი, რითაც ის შეასრულებდა თავის ერთ-ერთ უპირველეს ფუნქციას, თავიდან აიცილოს ფუჭი მოლაპარაკებები.

ზიანის ანაზღაურების წესის წინააღმდეგ მეტყველებს აგრეთვე ზიანის ოდენობის დამტკიცების პრობლემა, მოვალეს ხშირად არ შეუძლია ცალსახად დამტკიცოს ის ზიანი, რომელიც მან განიცადა. მაგა-

ლითად, ამა თუ იმ მეწარმემ მიუწოდებლობის გამო უნდა შეზღუდოს თავისი წარმოება. დაკარგული მოგება თუმცა შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს, მაგრამ მევალეს გაუჭირდებოდა იმის დამტკიცება, რომ ზოგიერთი კლიენტი საქონლის არმიწოდების გამო ხანგრძლივი ვადით გადავიდა სხვა მიმწოდებელთან⁷⁷. იგივე მიმართულებისაა მოდავება იმის თაობაზე, რომ ზიანის ანაზღაურების წესი არ იცავს “consumer surplus”-ს ანუ არა მოგების მაძიებელი მომხმარებლის ინდივიდუალურ, არამატერიალურ და ამდენად ძნელად დასაანგარიშებელ სარგებლობის ინტერესებს⁷⁸.

ეს არგუმენტი გამართლებულია, მაგრამ ეხება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების და რეალური შესრულების წესების კონკურენციის ჩამოყალიბებას. მტკიცების სიძნელები ეხება მხოლოდ კითხვას, არის თუ არა და როდის არის ზიანის ანაზღაურება common law-ს თვალსაზრისით არაადეკვატური. რადგანაც ის, რომ მტკიცების სიძნელები პრინციპულად specific performance-ის სასარგებლოდ მეტყველებდნენ, აღიარებულია იქაც (common law-ში), მაგრამ ყოველ შემთხვევაში მისი წესად შემოღება შესაძლებელი იყო. პირდაპირ კლასიკური შემთხვევა, როდესაც common law-ში specific performance იქნებოდა დადგენილი, არის საქონლის არმიწოდების მაგალითი, რადგანაც მასში ამოსავალი არ არის, რომ მყიდველი ვერ პოულობს სხვა მიმწოდებელს. საქმე ეხება, საქონლის შემთხვევაში, როგორც ჩანს, ინდივიდუალურ პროდუქციას. მაშასადამე, საქონლის “უნიკალობის” გამო ზიანის ანაზღაურება არ იქნებოდა ადეკვატური.

მაშასადამე, შაულელური შედეგის სახით, შეიძლება დავაფიქსიროთ, რომ ზიანის ანაზღაურების წესს პრინციპულად მივყავართ ეკონომიკურად უმჯობეს შედეგებამდე. მხოლოდ მაშინ, როცა მევალისაგან მოითხოვება მონაწილეობა მიიღოს ზიანის შემცირებაში, რადგანაც სხვაგვარად ის კარგავს თავის ზიანის ანაზღაურების პრეტენზიის ნაწილს, შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული უაზრო შედეგები რაციონალური მაკროეკონომიკური თვალსაზრისით.

ბ) საკასუხო ანაზღაურებაზე პრეტენზიის ეკონომიკური ანალიზი

ახლა კი უნდა შევხვით საწინააღმდეგო შემთხვევას მოვალის პრეტენზიას მევალის წინააღმდეგ მისი გადახდის ვალდებულების შესრულებაზე. ანგლო-ამერიკული ზიანის ანაზღაურების წესის მიხედვით აქ ძალაში უნდა ყოფილიყო ის წესი, რომ გამყიდველს მიღებამდე ვვალდება (ეკისრება) საქონლის მოხმარება. თუ კი ის მას თავზე მოახ-

ვევდა მყიდველს, მაშინ ადგილი ექნებოდა საფრთხეს, რომ საქონელი მყიდველთან უსარგებლო იქნებოდა, რადგან მისი გამოყენება ჩვეულებრივი წესით, როგორც ამას აჩვენებს მისი უარის თქმა მიღებაზე, გამყიდველს აღარ შეუძლია. ეს იქნებოდა არახელსაყრელი მაკროეკონომიკური თვალსაზრისით და ასევე წარმოადგენდა მნიშვნელოვან სიმკაცრეს მყიდველისათვის. თუმცა, მყიდველს შეეძლო ეცადა საქონლის შემდგომი გასაღება, მაგრამ ეს მცდელობა შეიძლება უშედეგო გამოდგეს იმის გამო, რომ მას არა აქვს ბაზარზე გასასვლელი, უფრო მეტად კი იგი მას მნიშვნელოვან ფასდაკლებაზე აიძულებდა⁷⁹. ამას ემატება ყველა წესის დაცვით სუბოპტიმალური გასხვისების მიღწევის საფუძველი, რამდენადაც გასხვისება ეკისრება მყიდველს; სახელდობრ, მან საქონელი უნდა გაყიდოს ისე, როგორც იგი მეორე ხელიდან უნდა გაიყიდოს⁸⁰.

პრაქტიკული განსხვავებები უფრო მოქმედი გახდება, თუ შემდეგ ამერიკულ მაგალითს გერმანულ სამართალს მივესადაგებთ.

დაქვრივებულმა Bacon-მა განიზრახა კვლავ დაქორწინებულიყო და თავისი ახალი ზახლისათვის იყიდა ბინის მოწყობილობა, მაგრამ ქორწინებამდე გარდაიცვალა. მისმა მემკვიდრეებმა უარი განაცხადეს ავეჯის აღებაზე და გადახდაზე, რადგანაც მათ ის არ სჭირდებოდათ. გამყიდველი კი მოითხოვდა შესრულებას და იჩივლა გადახდაზე. საჩივარი უარყოფილ იქნა, თუმცა საქმე არ ეხებოდა სტანდარტულ საქონელს.

ეს შედეგი ეკონომიკურად გონივრულია, რადგანაც გამყიდველის განკარგულებაშია გაყიდვის მთელი აპარატი, მას მყიდველზე უკეთ შეუძლია შეეცადოს საქონლის გასაღებას, მით უფრო, რომ მყიდველის ხელში ის მნიშვნელოვნად დაკარგავდა ფასს. გამყიდველს კი ამით არსებითი ზიანი არ მიადგებოდა, რადგანაც მას შეეძლო შესაძლო დანაკარგი აენაზღაურებინა მემკვიდრეებისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გზით⁸¹.

თუ ამ შემთხვევას გადავჭრით გერმანული სამართლისათვის, მაშინ გამყიდველს შეეძლო ეჩივლა ავეჯის წაღების მოთხოვნით. ამის გამო კი აუცილებლად წარმოიშობოდა ზემოთ ჩამოთვლილი დანაკარგები. შედეგად გვექნებოდა რესურსების უაზროდ გაფლანგვა და მყიდველის ზიანის გაუმართლებელი გაზრდა.

ეს დაკვირვება ეხება არა მარტო ყიდვა-გაყიდვის სამართალს. ხელშეკრულების სხვა ტიპების შემთხვევაშიც ადგილი აქვს სახელშეკრულებო ხასიათის შესრულებას შემომთავაზებლის ზიანის შეძირების ვალდებულების უქონლობით გამოწვეულ არაეფექტურობას. თუ შევა-

ლეს აღარ შეუძლია გამოიყენოს სახელშეკრულებო სასიათის შესრულება, სამართალი იძლევა რეალურ შესრულებაზე აუცილებელი პრეტენზიის ფორმით, მცდარ, გაფლანგვისათვის სტიმულის მიძემ ბიძეს. თუ მევალეს არ ეხება ვალდებულება, რომ საქონელი გაყიდოს, არამედ მას შეუძლია დაუსჯელად მიატოვოს ის, რადგანაც ის მაინც უცვლელად მიიღებს საპასუხო ანაზღაურებას, ასეთ შემთხვევაში ძალზე იოლად იქნება ამოღებული საქონელი ბაზრიდან და ამასთან გაფლანგვის მომენტი მით უფრო ნაკლებად იქნება თვალში საცემი, რაც უფრო მცირე ქონებას ეხება საქმე. ეს მომენტი კიდევ უფრო ძლიერდება, როცა ნარდობის ხელშეკრულების ანდა ყიდვა-გაყიდვის სამართალში ჯერ კიდევ მომავალი წარმოების ანდა შექენის ანაზღაურებები იხარჯება, რათა წარმოიშვას ანაზღაურების პრეტენზია. ხელშეკრულებაზე უარის თქმის მიუხედავად მწარმოებელი აწარმოებს შეკვეთილი 100 000 სპეციალური ნაწილების ბოლო 90 000-ს. მიუხედავად ამისა, მყიდველი აგზავნის საქონელს მიუნჰენიდან ჰამბურგში და ა.შ. ამგვარ განსაკუთრებით აშკარა გაფლანგვაზე რეაგირებას ახდენს გერმანულ სამართალში BGB-ს §649.

რამდენადაც საქმე ეხება მხოლოდ გამოუყენებლად დარჩენილი ხელშეკრულების ანაზღაურებას, როგორც ამას ადგილი აქვს მომსახურების ანდა ქირავნობის ხელშეკრულებაში, ჭარბი ასორტიმენტის შემოთავაზების შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს, რომ როცა ეს წინადადება ბაზარზე მოდის, ამის შედეგად სხვა მსგავსი უსარგებლოდ რჩება. მაგალითად, თუ ერთ ქალაქში არსებობს 10 მაღაზიის ასორტიმენტი და მხოლოდ 10 მომხმარებელი, მაშინ, იმ შემთხვევაში, თუ ბაზარს ერთი მომხმარებელი გამოეთიშებოდა, მაგალითად, ავადმყოფობის გამო, დარჩებოდა მხოლოდ 9 მომხმარებელი, ანუ შეიძლებოდა უკვე გაჩენილიყო არგუმენტირების საფუძველი, რომ ერთ-ერთი ამ ასორტიმენტიდან უსარგებლო დარჩებოდა, ანუ ზიანის შემცირების ვალდებულება ზოგადი თვალსაზრისით არ მიგვიყვანდა რესურსების ეფექტურ გამოყენებამდე.

მაგრამ ამას შეიძლებოდა ორგვარი შედეგი ჰქონოდა: ან არსებობს მკაფიო განსხვავებები ასორტიმენტებს შორის, მაშინ ერთ-ერთი მომხმარებელი, რომელსაც დაქირავებული ჰქონდა უარესი ფართი, გამოიძვლიდა მას, ან ადგილი აქვს პროცესს, რომელიც ბოლოს მიგვიყვანდა უარეს ასორტიმენტამდე. თუ განსხვავება ასორტიმენტს შორის ისეთი არსებითი არ არის, რომ ტრანსაქციურმა ხარჯებმა გაამართლოს შეცვლა (ადგილის), ანდა გამოთავისუფლებული ასორტიმენტი ისედაც ყველაზე უარესი იყო, მაშინ ეს მოსაზრება ისევე უსარგებლოდ დარჩებოდა. ამდე-

ნად, მოცემული არგუმენტი საქმის არსს ეხება.

და მაინც, ეს შედეგები შეიძლება ყოფილიყო ან ეკონომიკურად სასურველი, ანდა რეალურ შესრულებასა და ზიანის ანაზღაურების პრინციპს შორის განსხვავება აღარ იარსებებდა. ყველა შემთხვევაში სასურველია ამ გზით გამოწვეული კონკურენციის არსებობა, რომელიც მოითხოვს რესურსების ოპტიმალურ განკარგვას, რათა მყიდველს მუდამ შეეძლოს მიიღოს საუკეთესო წინადადება და ნაკლებად კარგი კი კონკურენციის პრინციპს - "გადარჩება უფრო ძლიერი" - დაუექვემდებაროს.

ტენდენციურად ეს იქნებოდა ყველაზე უარესი წინადადება, რომელიც ბაზრის პირობებს დაქვემდებარებული, უსარგებლოდ დარჩებოდა, ის იძულებული იქნებოდა ან გაუმჯობესებულიყო, ანდა მთლიანად მორგებოდა ბაზარს და ეპოვნა სხვა ეკონომიკური ნიშა, სადაც ის სიცოცხლისუნარიანი იქნებოდა (მაგ. გამჭირავებელი მაღაზიის შენობას აქირავენს საწყობად ანდა გადააკეთებს მას ბინად). თუ ეს შესრულდება, რის რეალობასაც განსაზღვრავს სავარაუდო შესაძლებლობები, რომლებიც უნდა მოიმოქმედოს ამ შემომთავაზებელმა თავისი წინადადების შედეგის გასაუმჯობესებლად ანდა მისი უფრო მოქნილად გასახდომად, მაშინ ზიანის შემცირების ვალდებულებას ექნებოდა სასურველი შედეგი. თუ ის მარცხს განიცდის, ასევე მარცხით დამთავრდება ზიანის შემცირება, რომლის უარყოფითი მხარე აზარალებს არა მოვალეს, რომელმაც (ხანგრძლივი) ხელშეკრულების გზით ამ რისკისაგან თავი დაიხლვია, არამედ მევალეს, რადგან მან (ჯერ) უნდა გადაიხადოს შემდგომი შესრულების ხარჯები, მოვალის მოლოდინი ზიანის ანაზღაურების თაობაზე დატული რჩება, მევალის მიერ რისკის გაწევის მომენტი კი ხორციელდება.

ზიანის ანაზღაურების პრინციპის შემდეგი უპირატესობა შესრულების პრინციპთან შედარებით არის ის, რომ მას შეუძლია დაზოგოს ტრანსაქციური ხარჯები. ყოველმა მხარემ პრინციპში იცის, რომ მისი მოთხოვნილება შეიძლება შეიცვალოს, ამიტომ ყოველთვის უნდა ცდილობდეს, შექმნას ისეთი სახელშეკრულებო წესები, რომლებშიც შესაძლოა საფესურებრივად არსებული ალბათობის მიხედვით გათვალისწინებულ იქნეს შესაძლო ინტერესთა მთელი დიაპაზონი. ეს რომ ზიანის შემცირების ვალდებულების მიხედვით უკვე ფართოდ გავრცელებული შემთხვევა იყოს, შეიძლებოდა ეს ორმხრივი საჭირო მცდელობები ფუჭად დარჩენილიყო. ამ შემთხვევაში შესაძლებლად გამხდარი მზადყოფნა უფრო მაღალი რისკისადმი, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი უზრუნველყოფითი ღონისძიებების შემცირების სურვილთან, სწორედ რომ არ არის საწინააღმდეგო არგუმენტი. მხარეების დაგეგმვა ისედაც

იშვიათად ითვალისწინებს მოთხოვნების შესაძლო ცვლილებას. ნეგატიური ზემოქმედებები ამის გამო ისედაც მცირე დაგეგმვის დონეზე, მაშასადამე, საზღვრებს არ უნდა გასცდეს, განსაკუთრებით კი, იქაც, სადაც გათვალისწინებულია, რომ გეგმა მოლაპარაკებების რესურსების ანდა (მისი) გატარების ძალაუფლების დეფიციტის გამო უფრო იშვიათია სახელშეკრულებო შეთანხმებებში. ამასთან, პრინციპულად სასურველი იქნებოდა მზადყოფნა უფრო მაღალი რისკისადმი.

IV. Specific performance და ზიანის ანაზღაურება რეალობაში

შემდგომი დაეჭვება რეალური შესრულების წესში გამომდინარეობს იქიდან, რომ ეს სამართლებრივი დაცვის საშუალება civil law-ს სამართლის სისტემაშიც პრაქტიკულად მხოლოდ მცირე როლს თამაშობს. რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია გარანტირებული პოსტულატები ემპირიული გამოკვლევის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ მევაღე, როგორც წესი, უარს ამბობს თავის რეალური შესრულების პრეტენზიაზე და ირჩევს ზიანის ანაზღაურების უფრო იოლად გასაგებ მოთხოვნას გარდა იმ სფეროებისა, რომლებშიც common law-ს მიზღვითაც უნდა მიეცეს უპირატესობა specific performance-ს, ასე, მაგალითად ხელოვნების ნიმუშების, სხვა ინდივიდუალური ნივთების და, განსაკუთრებით, უძრავი ქონების შესყიდვის დროს⁸². დაფარვის ოპერაცია გვპირდება ხელშეკრულებაში ნავალდებულები რეალიზებიდან უდიდესი ნაწილის მოკლევადიან უკუმოგებას⁸³, მაშინ, როდესაც გაჯიუტებული მოვალის წინააღმდეგ შესრულებაზე ჩივილი გვპირდება მხოლოდ ხანგრძლივ პროცესს, რომლის შედეგიც უცნობია. ამდენად, მიახლოებით გამოთვლილი ზიანის (განსაკუთრებით დაკარგული მოგების) ატანა უფრო იოლია, ვიდრე სრული და ლიკვიდირებაში დაეჭვების არარსებობის შემთხვევაშიც კი სათუო ნატურაში შესრულების გზით სამართლებრივი დაცვის განხორციელებისა. ამასთან, შეუსრულებელი ხელშეკრულების განხორციელება აწყდება მნიშვნელოვან სიძნელეებს იძულებით აღსრულებაში, თუნდაც რომ ის თეორიულად შესაძლებელი იყოს.

ამდენად, სამართლის ადრესატების უმრავლესობა ირჩევს მთელ civil law სამართლის სისტემაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივ საშუალებას. საჩივრები ხელშეკრულების ხასიათის ანაზღაურების რეალური შესრულების მოთხოვნით ძალზე იშვიათად გვხვდება.

სამაგიეროდ, უფრო ხშირია საჩივრები გადახდაზე, მაგრამ ესენი უმეტესად ეხება იმ შემთხვევებს, რომლებშიც ერთი მხარე მეტნაკლებად დასაბუთებულად ამოდის იქედან, რომ უკვე შესრულებული აქვს

თავისი ვალდებულების შესრულების ვალდებულება, ამ შემთხვევაში ან ხელშეკრულებით დადგენილი შესრულების საქმე ეხება მხოლოდ ნაკლოვანებებს ან ხელშეკრულებით დადგენილი შესრულების პროგრამიდან სხვა გადახვევებით გამოწვეულ შედეგებს.

De facto-დ გერმანიაშიც ძალაშია ზიანის ანაზღაურების პრიმატი, საეჭვოა მხოლოდ ის, არსებობს თუ არა შედეგის სახით ემპირიულად ნამდვილად დასახელების ღირსი განსხვავებები, რადგანაც იქ, სადაც ჩვენთან გვხვდება საჩივრები შესრულებაზე, common law-ში არსებობს specific performance-ის საშუალება⁸¹. აქედან გამომდინარე, მოცემული შეფასებები ფაქტიურად სწორია, ერთადერთი არსებითი განსხვავება მდგომარეობს ზიანის შემცირების ვალდებულებაში, რომლის ერთ-ერთი დანიშნულება common law-ში არის ის, რომ მოვალე არ იყოს მევალის ხარჯზე.

V. ექსკურსი: რეალური შესრულების საგვემო ეკონომიკის პირობებში

როგორც ვნახეთ, რეალურ შესრულებას საბაზრო ეკონომიკის სისტემისათვის მხოლოდ მცირე მნიშვნელობა გააჩნია, ზიანის ანაზღაურების გზით მიღწეული ეკონომიკური კომპენსაცია კი დომინირებული რეალობაა. გაცილებით მნიშვნელოვანია რეალური შესრულება სოციალისტური სამართლის სისტემაში. მთლიანი გეგმით შედგენილი კბილანებივით ერთმანეთში ჩამჯდარი ხელშეკრულების კონსტრუქცია გაშეშდებოდა, თუ ცალკეული კბილანები გაჩერდებოდნენ და არ შეასრულებდნენ სახელშეკრულებო ვალდებულებას. ამისი კომპენსაცია საგვემო ეკონომიკაში ზიანის ანაზღაურების გზითაც არ მოხერხდებოდა, რადგანაც იქ არ არსებობს დეცენტრალიზებულად ორგანიზებული, ღია ბაზარი, რომელზედაც გაწილებული მხარე ზიანის ანაზღაურების გზით მიღებული რეალიზების საშუალებით სხვაგან მომარაგდებოდა. ამიტომ, რეალური შესრულების პრინციპს საგვემო ეკონომიკაში ელემენტარული მნიშვნელობა გააჩნია, მაშინ, როდესაც დეცენტრალიზებულ საბაზრო ეკონომიკაში უმთავრესად ზიანის ანაზღაურება გვეკლინება საკმარის სანქციად. სწორედ ამიტომ არსებობს სოციალისტური სამოქალაქო სამართლის კოდექსში ტენდენცია, ვალდებულების შესრულების გარანტია მოთავსებულ იქნეს ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, რათა მას მიენიჭოს მისი უდიდესი როლი და მნიშვნელობა გვემოური ეკონომიკისათვის. საბაზრო ეკონომიკის სისტემაში კი ამის საჭიროება არ არსებობს.

გ. რეალური შესრულების მხარდამჭერი დასაბუთებები

ბოლო კამათი რეალური შესრულების პრეტენზიის გარშემო ჩატარდა 1877 წლის გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედების ანდა მოქმედებისაგან თავის შეკავების თაობაზე სამოქალაქო სამართლებრივი პრეტენზიების აღსრულების საკითხების რეგულირების ფარგლებში. რეგულირება, რომელიც არსებითად შეესატყვისებოდა დღევანდელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის §§888, 890, იმით იქნა გამართლებული, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი ბოროტი განზრახვით დაუმორჩილებლობა საჭიროებს მკაფიო სანქციებს, სასჯელსაც კი. ის ფაქტი, რომ ამას აღარ შეუძლია რეალური შესრულების გამართლება, სახეზეა, მაგრამ ზოგადი დასაბუთება, რომელიც მის მიზანს სცილდება, გვიჩვენებს, თუ რა მოტივაციიდან გამომდინარე შეიძლებოდა რეალური შესრულების პრეტენზია ამგვარად ფართოდ დამკვიდრებულიყო გერმანულ სამართალში.

გაცილებით უფრო რეალისტურად იქნა დასაბუთებული ეს წესი იმ მოსაზრებით, რომლის ციტირებაც დღესაც მრავალგზის ხდება:

“მოვალეს არ უნდა მიეცეს უფლება ვალდებულების შეუსრულებლობის და კიდევ უფრო მეტად ვალდებულების წინააღმდეგ წარმოებული პოზიტიური ქმედების გზით მევალეს მოათხოვინოს ინტერესი, რომლის მოთხოვნაც საგნის შეუფასებადობის გამო შესაძლოა სრულიად ილუზორული იყოს.”⁸⁵

ეს არის საბოლოო ანგარიშში ზუსტად ის შემთხვევები, რომლებმაც ჩვენში მიგვიყვანეს რეალური შესრულების ზოგად განხორციელებამდე, რომლებმაც common law-ში მიგვიყვანეს მხოლოდ specific performance-ის გამონაკლისის სახით ჩამოყალიბებამდე. ესენია (იშვიათი) შემთხვევები, რომლებშიც ზიანის ანაზღაურება გვეკლინება, როგორც მევალის არასაკმარისი კომპენსაცია, რადგანაც მას აქვს სპეციფიური კონკრეტული (ერთჯერადი) შესრულების არამატერიალური ინტერესი.

Hager-ს მიაჩნდა სამართლის გარანტია გერმანული სამართლის ერთ-ერთ უპირატესობად⁸⁶. ამ თვალსაზრისით სწორია, რომ რეალური შესრულება არ იწვევს დაანგარიშების სიძნელეებს და შეთანხმებული შესრულების ვადის გამო იგი არ იცნობს ვადის პრობლემებს. მაგრამ მოცემული პრინციპის გამართლებას მხოლოდ ეს მოსაზრება არ წარმოადგენს, რადგანაც სიძნელეები მართვადია, როგორც ამას common law გვიჩვენებს.

კიონდგემ და რანდომმა რეალური შესრულების წესის გასამარ-

თლებლად კიდევ იმაზეც მიუთითეს, რომ *pacta sunt servanda*-ს ამგვარი დასუსტება შეარყევდა პრინციპულ ნდობას ფუნქციონირებად ხელშეკრულებაში⁸⁷. სრულიად მიუხედავად იმისა, რომ *pacta sunt servanda* არ გულისხმობს რეალური შესრულების დაცვას, ის, რომ ეს აზრი ან მცდარია ანდა მას არავითარი გავლენა არ გააჩნია, უკვე გვიჩვენებს *comimon law*-ში ჩახედავა⁸⁸, სადაც იგი უძველესი დროიდან მოქმედ უფლებად გვევლინება. მიუხედავად ამისა, ინგლისმა შექლო გამხდარიყო საბაზრო ეკონომიკის აკვანი და აშშ კი ეკონომიკური შანსის სიმბოლოდ გვევლინება. ამ თეზისის სისუსტეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რეალურ შესრულებას ფაქტიურად გერმანიაშიც თითქმის არ გააჩნია ემპირიული მნიშვნელობა და კიდევ ის, რომ BGB-ს §§615, 649-ის დებულებები, რომლებიც, როგორც ვნახეთ, სხვას არაფერს წარმოადგენენ, თუ არა ზიანის ანაზღაურების უბრალო მოთხოვნას, ასევე არ მიგვიყვანენ მსგავსი ნდობის დაკარგვამდე ანდა წინასწარ განზრახული ხელშეკრულების მოშლამდე. BGB-ს 615, 649 პარაგრაფების მიერ საკითხის გაუმჯობესებელი გადაჭრის შანსზე დაყრდნობით საქმე მივიღა არცთუ წინასწარ გაუაზრებელ ხელშეკრულების დადებამდე. ამასთან დაკავშირებით Hellner-მა დამაჯერებლად მოიყვანა ციტატა (სკანდინავიელი) კანონმდებლის პერსპექტივიდან:

“ის (საქმის შემკვეთი – რონალდ კანდელჰარდტი) მაშინ არ გამოიყენებს ხელშეკრულების მოშლის უფლებას, თუ მისთვის იოლად შესაძლებელია არასასურველი საქონელი ზიანის გარეშე, ანდა მცირეოდენი დანაკარგით გაყიდოს სხვაზე, რადგანაც ანაზღაურების წესების თვალსაზრისით ამგვარი ქმედება მისთვის სისტემატიურად მომგებიანი იქნება. ამიტომ, უმნიშვნელოა იმის საშიშროება, რომ ვიღაცა დაუფიქრებლად შეუკეთას საქონელს, იმ რწმენით, რომ მას შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს დანაკარგის გარეშე”⁸⁹.

ამას კიდევ უნდა დავმატოს ის, რომ ეს მით უფრო ძალაშია, როდესაც ხელშეკრულებაზე უარის მთქმელისათვის მუდამ არსებობს საფრთხე, რომ ანაზღაურების წესების მიხედვით ის უნდა ელოდეს იმას, რომ ხელშეკრულებას დანახარჯების გარეშე ვერ დააღწევს თავს. თუ კი საქმე არ ეხება ინდივიდუალურ საქმეს, მევალეს მოუწევს პოზიტიურ ინტერესებზე ვალდებულების საქმის აღძვრის შემთხვევაში მინიმუმ მოგების გადახდა, ამგვარ დანახარჯს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ანაზღაურებას, მხოლოდ მაშინ ეგუებიან, თუ სანაცვლოდ არსებობს ხელშეკრულების მოშლის გამართლებული ინტერესი და იგი საკმარისი უნდა იყოს, როგორც შემინება ანაზღაურებების დაუფიქრებლად მოთხოვნის წინააღმდეგ.

მაშასადამე, არ უნდა გვეშინოდეს ეკონომიკურად ნაკლიანი ცვლილებებისა ზიანის ანაზღაურების პრიმატის დროს. ამიტომაც ვერ ნახა Max Weber-მა, მიუხედავად ინგლისის და გერმანიის განსხვავებული კერძო სამართლის სისტემებისა, სამართლით განპირობებული განსხვავებები ეკონომიკურ განვითარებაში, არამედ სამართლიანად გაუსვა ზახი:

“საქმის ვითარების სამართლებრივი წესრიგი იურიდიული აზროვნების კატეგორიების პოზიციიდან შეიძლება ფუნდამენტურად განსხვავებულად იყოს დანახული ისე, რომ ეს მნიშვნელოვნად არ შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, და თუ მხოლოდ ეკონომიკის წესების თვალსაზრისით განსხვავებულ პუნქტებში დაინტერესებულ პირთათვის პრაქტიკული ეფექტი ერთი და იგივეა”⁹⁰.

სწორედ ამას აქვს ადგილი შესრულების პრეტენზიის მქონე მვეალისათვის მაშინაც, თუ რეალური შესრულების პრიმატის ნაცვლად შეპირება დაცული იქნებოდა პირველ რიგში ზიანის ანაზღაურების გზით და მხოლოდ იქ, სადაც არსებობს უფრო ფართო დაცვის სპეციფიური ინტერესი, იქნება უზრუნველყოფილი რეალური შესრულება (როგორც გამოჩაქლისი). რადგანაც ჩვენში de facto უკვე ეხლაც ადგილი აქვს რეალური შესრულების თაობაზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

დ. რეზიუმე

ეს ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ის, თუ როგორ ვეპყრობით ჩვენ დღესდღეობით პრეტენზიას რეალურ შესრულებაზე, არავითარ შემთხვევაში არ არის თავისთავად ცხადი, უფრო მეტიც, დგება საკითხი მისი ფარგლების შეზღუდვის შესახებ. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს უკან სვლას რომაული სამართლისაკენ. რეალური შესრულების პრინციპი ზოგადად სწორია და ადეკვატური და common law-ში უფრო ნაკლებად გათვალისწინებული. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენში უკვე არაფრის გადაჭარბება არ ხდება. სწორი და მნიშვნელოვანია ამდენად ის, რომ რეალურ შესრულებაზე პრეტენზიის დადგენამდე უნდა კარგად გაეიაზროთ, სჭირდება თუ არა მვეალეს ეს დაცვა და ხომ არ შეიძლება ფინანსურად ის ასევე წარმატებით იქნას ზიანისაგან დაცული. ეს მიგვიყვანდა ეკონომიკურად უმჯობეს შედეგებამდე ისე, რომ ეთიკის მოთხოვნებიც არ დაირღვეოდა.⁹¹

წინამდებარე თავმა გვიჩვენა რომ, ზიანის შემცირების ვალდებულება ზიანის ანაზღაურების სამართლის დოგმატიკაში ყოველგვარი იძულების გარეშე უნდა მოთავსდეს. მაგრამ თუ მივხედებით, რომ ზი-

ანის ანაზღაურება და რეალური შესრულება წარმოადგენენ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ორ შესაძლო და ფუნქციონალური თვალსაზრისით ერთსა და იგივე სამართლებრივი დაცვის ფორმას, აღარც ზიანის შემცირების ვალდებულება მოგვეჩვენება რეალური შესრულების პრინციპთან წინააღმდეგობაში მყოფად. იგი უფრო შეესაბამება სამართლიანობის მოთხოვნას, რომ ზიანის შემცირების ვალდებულება რეალური შესრულების მიმართაც იქნეს გამოყენებული. რადგანაც, აბა, როგორ შეიძლება იმის დასაბუთება, რომ პირი არ საჭიროებს ანგარიში გაუწიოს თავის სახელშეკრულებო პარტნიორს, მაგრამ ანგარიშს უწევს მესამე პირს, რომელმაც იქნებ წინასწარ განზრახულადაც კი შელახა ვინმეს ინტერესები. ნლობა და რწმენა, მაშასადამე, უფრო მეტად მოითხოვენ ზიანის შემცირების ვალდებულების გამოყენებას რეალურ შესრულებაზე, ვიდრე ზიანის ანაზღაურების დროს, რადგანაც აქ საქმე ეხება მვეალისაგან ხელშეკრულების ერთგული მოვალის მოთხოვნების გათვალისწინებას და არა ნებისმიერ მესამე დამრღვევ პირს. სანამ მვეალეს თავისი შესაძლებლობის გამოყენებით შეუძლია შეამციროს თავისი ზიანი, მას არ შეუძლია და არც უფლება აქვს თავისი მოვალისაგან მოითხოვოს რეალური შესრულება მისი ინტერესის გათვალისწინების გარეშე.

შეპირების რეალობასთან შესაბამისად დაცვის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების გზით, ხელშეკრულება, როგორც წესი, ძალაში რჩება. პრინციპში, *pacta sunt servanda* ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ მეორე მხარის მოლოდინი ანაზღაურებაზე არ ირღვევა. ირღვევა მხოლოდ რეალური შესრულების პრინციპი, პერსონალური შესრულების პრინციპი.

მას არ უპირისპირდება რაიმე სპეციფიური სამართლებრივი ვალდებულება, უარი თქვას ხელშეკრულების დალატსა ანდა ხელშეკრულების დარღვევაზე: ამის აღიარება არ შეიძლება². ეს იქნებოდა მხოლოდ პოზიტიური ვალდებულებების კისრების ვალდებულების ნეგატიური ვარიანტი და, აქედან გამომდინარე, არაფრის მთქმელი წარმოადგენა³. პირველ რიგში, სამართალმა არ შეიძლება მსგავსი მოვალეობა ისე გარდაქმნას, რომ რეალური შესრულების ვალდებულება პრაქტიკულად გაორმაგდეს. იმას, თუ როდის შეუძლია მვეალეს, ან როდის უნდა გადავიდეს იგი ზიანის ანაზღაურებაზე, განსაზღვრავს მხოლოდ პოზიტიური სამართლებრივი მდგომარეობა, ამ მდგომარეობაში ჩართული სხვა რაიმე ხელშეკრულების დარღვევის შეწყვეტის ვალდებულება არ არსებობს.

ე. დასკვნები ქართული პროექტისათვის

ქართული პროექტის 339-ე მუხლის* ახლად შემოთავაზებული განმარტება იღებს Lando-კომისიაში შემოტანილ საერთაშორისო სამართლის უნიფიცირებად კონვენსუსს და თანმიმდევრულად ავითარებს მას. რეალური შესრულების პრინციპზე დაფუძნებით იგი (კონვენსუსი) პირველი აბზაცის მე-4 წინადადებაში და მე-4 აბზაცში გასაკუთრებით ზიანის შემცირების ვალდებულების საშუალებით არის აქტუალურად გამხდარი. ამით ეს ნორმა ზუსტად გამოხატავს სამართლიანობის მოთხოვნას, რომ მევალეს მანამდე არ შეუძლია აიძულოს თავისი მოვალე შესრულებაზე, სანამ მას თვითონ გააჩნია საშუალება სადმე სხვაგან (უფრო იაფად) მოიპოვოს შესაბამისი შესრულება, მაგრამ, მეორეს მხრივ, ითვალისწინებს იმასაც, რომ მევალეს მაშინ აქვს პრეტენზია რეალურ შესრულებაზე, თუ ეს, ანუ შესრულების სხვაგან მიღება, მისთვის შეუძლებელია.

მაშასადამე, ყოველთვის არსებითია მხოლოდ ის, რომ სამართალი იცავს შეპირების შესრულების მოლოდინს, როგორც ეს უკვე იყო ფორმულირებული ადამ სმიტის მიერ. ეს ნიშნავს Pacta sunt servanda-ს პრინციპს, რომელიც ქართულ პროექტში სრულად იქნა განხორციელებული. მხოლოდ ის საკითხი, თუ როგორ უნდა იქნეს დაცული ეს მოლოდინი, პროექტმა სამართლიანად მიანდო ადგილობრივ პირობებში და მის ცვლილებებში გარკვეულ ქართულ სასამართლოებს.

მაშასადამე, ქართულმა პროექტმა თავი გაართვა თავის ამოცანას, შეექმნა თანამედროვე სამართალი. სწორედ რეალური შესრულების საკითხში ვხვდავთ, რომ ქართულ პროექტში ამასთან უკვე გათვალისწინებულია მომავალი სამართლის უნიფიცირების მნიშვნელობა და ამგვარად იგი ამოცანად ისახავს საქართველოს ხალხის და იურისტების მომავალი (ევროპული) სამართლის უნიფიცირებისათვის სათანადო მომზადებას. ამდენად, მოცემული პროექტი სავსებით შეიძლება გამოყენებული იქნეს ჯერ კიდევ შესაქმნელი ევროპული ვალდებულებითი სამართლის მოდელად.

გარდამავალ ფაზაში, როგორც უწოდებენ ქართულ ეკონომიკას, რომლის დროსაც ვრცელი დეცენტრალიზებული ბაზრის შექმნის გიგანტური ამოცანა ჯერ კიდევ ბოლომდე უნდა იქნეს მიყვანილი, რეალური შესრულების პრინციპი უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, ვიდრე

* მუხლების ნუმერაცია შეცვლილია (რედაქტორის შენიშვნა).

ეს ზღედა ევროპის ქვეყნებში, აშშ-სა და იაპონიაში, სადაც მევალის-თვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს საჭირო საქონლის ან მომსახურების მოპოვება ბაზარზე. ამდენად, 339-ე მუხლი ჯერ-ჯერობით არ იქნება ისეთი აქტუალური, როგორც ეს ხსენებულ ქვეყნებშია. ქართველ ხალხს უნდა ვუსურვოთ, რომ საქართველოში მალე შეიქმნას იმის პირობები, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას სასამართლოებში აქაც დომინირებული მნიშვნელობა ჰქონდეს.

ავტორმა გაიცნო ქართველები, როგორც ამოუწურავი, თავდადებული შემოქმედების სურვილით და პოზიტიური ოპტიმიზმით სავსე ადამიანები და იგი იმედით უყურებს მომავალს და ფიქრობს, რომ უახლოეს მომავალში ისინი სასურველს მიაღწევენ.

დაე, კიდევ დიდხანს შეძლოს იუბილარმა ამ პროცესში წვლილის შეტანა.

Subjektive oder objektive Vertragshaftung?

Ein rechtsvergleichender Blick auf die Rolle des Verschuldens im Vertragsrecht

Mario Pellegrino
Universität Bremen

I. Einleitung

Gegen eine Verdrängung des Verschuldensprinzips im Vertragsrecht der sowjetischen Rechtsordnung hat sich einst Dshorbenadze gewandt, indem er das Verschulden als unverzichtbares Element auch in einer sozialistischen Wirtschaftsordnung ansah¹. Die Tendenz die Vertragshaftung vom Verschuldensprinzip abzulösen, ist jedoch auch den marktwirtschaftlich organisierten Wirtschaftsordnungen nicht fremd². Die weitgehendste Forderung ist insoweit von Trimarchi gekommen, demzufolge auf das Verschuldensprinzip bei der Vertragshaftung ganz zu verzichten sei, da es nicht zu einer optimalen Ressourcenallokation in einer Volkswirtschaft führe³. Für Georgien stellt sich angesichts der Arbeiten an einem neuen georgischen Zivilgesetzbuch daher die Frage, ob die Aussagen Dshorbenadzés auch für den Übergang in eine Marktwirtschaft weiterhin Geltung beanspruchen können. Der Beitrag soll daher unter Heranziehung einiger exemplarischer Vertragsrechtsmodelle aus rechtsvergleichender Sicht die Rolle des Verschuldens beleuchten.

II. Der Verschuldensbegriff

ეს პრინციპი უნდა გამომდინარეობდეს პასუხისმგებლობის აღიარებიდან, რასაც შეეყრება ის მდგომარეობა, რომ მოვალე პასუხს აგებს მხოლოდ იმ ქმედებებზე, რომლებიც მას თავისი უნარის და ცოდნის საფუძველზე შეეძლო თავიდან აეცილებინა⁵. მოქმედი პირების უნარისა და ცოდნის გათვალისწინება ძალზე დააბრკოლებდა ურთიერთობებს ისეთ ეკონომიკის პირობებში, რომელიც ყვრდნობა საქონლის გაცვლა-გამოცვლას ხელშეკრულების საფუძველზე⁶. ამის შესაბამისად გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) ავტორებმა უკვე გაითვალისწინეს, რომ ბრალეულობა მხოლოდ იმდენად შეიძლება იქცეს ყურადღების საგნად, რამდენადაც ის შეესაბამება "გამრჯე, მზრუნველი მეოჯახის სიბუჯითეს, სიფრთხილეს (სიფხიზლეს) და ქმედიუნარიანობას, რომელიც კეთილსინდისიერად და ერთგულად დარაჯობს თავისიანებს და თავის ქონებას"⁷. ამიტომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსში შევიდა ობიექტირებული ბრალეულობის ცნება, რაც შეესაბამება სხვა სამართლის სისტემებში არსებულ შეხედულებას⁸. აქედან გამომდინარე, ასევე მიზანშეწონილია სუბიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მიღება, თუ ბრალეულობის ცნება ამ თვალსაზრისით გაობიექტურებულია⁹. სუბიექტური პასუხისმგებლობის საპირისპიროდ ობიექტური პასუხისმგებლობა გამოირიცხავს ბრალეულობის გათვალისწინებას. ამ მდგომარეობის მიხედვით მოვალეს არ შეუძლია განთავისუფლდეს თავისი პასუხისმგებლობისაგან იმის მტკიცების გზით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევა მისი ბრალით არ მომხდარა. ამ თვალსაზრისით სუბიექტური და ობიექტური პასუხისმგებლობა უნდა წარმოადგენენ იმ პოლუსებს, საითაც მიმართულია განხილვა.

III. სუბიექტური და ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მქონე მოდელები

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) მიხედვით ბრალეულობის მოთხოვნა ზოგადი გაგებით არის სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის წინაპირობა¹⁰. ძირითად ნორმას წარმოადგენს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §276, რომელიც ადგენს, რომ მოვალე პრინციპულად პასუხს აგებს მხოლოდ განზრახვისა და გაუფრთხილებლობისათვის. ამ კონტექსტში სამოქალაქო კოდექსის §§ 278-ე და 279-ე განხილულ უნდა იქნეს როგორც გამოჩაკლისი დებულებები, რომლებიც ადგენენ ბრალისგან დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას დამხმარე პირების მონაწილეობის და სახეობითი ბრალის შემთხვევაში.

ვალდებულებითი სამართლის შემმუშავებელი კომისიის მიერ შე-
მოთავაზებული წინადადებები ამ კონცეფციას იცავს; საგარანტიო პასუ-
ხისმგებლობის განვრცობა განზრახული არ არის¹¹.

იგივე მდგომარეობაა მოვალის პასუხისმგებლობასთან დაკავშირე-
ბით პოლანდიის ახალ სამოქალაქო კოდექსში: მუხლები 6.74 და 6.75
ავალდებულებენ მოვალეს ანაზღაუროს ყოველი ზიანი, რომელიც შე-
უსრულებლობის გამო წარმოიქმნება, თუ კი მას შეუსრულებლობა
მიეწერება. ამგვარი მიწერის წინაპირობა კი არის ბრალეულობა, თუ
კანონიდან, გარიგებიდან ან ზოგადად აღიარებული შეხედულებიდან
სხვა რამ არ გამომდინარეობს¹². არსებით განსხვავებას გერმანული
სამართლისგან ამის მიხედვით წარმოადგენს მხოლოდ გამოკვეთილი
საკანონმდებლო დებულება, რომლის მიხედვითაც საგარანტიო პასუ-
ხისმგებლობა ზოგადად აღიარებული სამართლებრივი პრინციპებიდან
შეიძლება გამომდინარეობდეს¹³. ამას გარდა, პოლანდიის სამოქალაქო
კოდექსი 6.77-ე მუხლში არეგულირებს პასუხისმგებლობას ტექნიკურ
ნაწილზე, რომლის მიხედვითაც ის პრინციპულად აგებს პასუხს სა-
ხელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად გამოყენებული სა-
შუალებების ვარგისიანობაზე¹⁴.

სხვა პრინციპებს მისდევს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის
რეგულირება Code civil-ში. მასში სახელშეკრულებო პასუხისმგებლო-
ბის ზოგადი რეგულირება ხარვეზებით განხორციელდა.¹⁵ Code civil-ის
1137-ე მუხლის მიხედვით ის პირი, ვისაც აკისრია საგნის (ნივთის)
შენახვა, ვალდებულია ამასთან აჩვენოს “bonpere de famille”-ს სიზუს-
ტე. Code civil-ის 1147-ე მუხლში კი, პირიქით, ნათქვამია, რომ მოვა-
ლემ პასუხი უნდა აგოს შეუსრულებლობაზე, თუ ის ვერ დაამტკიცებს,
რომ ამის მიზეზს წარმოადგენს “causa etrangere”, ხოლო Code civil-ის
1137-ე მუხლი ადგენს ბრალეულობის მასშტაბს, Code civil-ის 1147-ე
მუხლის საფუძველზე მოვალეს შეუძლია მხოლოდ ობიექტური მიზეზე-
ბის საშუალებით განთავისუფლდეს ვალდებულებისაგან და ამდენად,
იგი პასუხს აგებს თავის დაპირებაზე. აქედან გამომდინარე სახელშეკ-
რულებო პასუხისმგებლობის ზოგადი თეორია განავითარა Demogue-მ¹⁶.
მან განასხვავა “obligations de moyens” და “obligations de resultat”¹⁷.
პირველ შემთხვევაში მარტოოდენ ქცევის ვალდებულებები ეკისრებათ,
აქედან გამომდინარე მოვალე პასუხისმგებელია მხოლოდ მაშინ თუ იგი
არ დაიცავს ხელშეკრულებით შეთანხმებულ სიზუსტეს. მეორე შემ-
თხვევაში მოვალე გარკვეული შედეგის მიღწევას კისრულობს. თუ ეს
არ მოხდა, მაშინ მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ ეს აიხსნება “Cause
etrangere”-ით, რომელზეც ის პასუხს არ აგებს. ცალკეულ შემთხვევაში

ფრანგული თეორიის "Cause entrangere"-ს ცნება ერთის მხრივ აერთიანებს "force majeure"-ს და, მეორეს მხრივ, მევალის ან მესამე პირის ქმედებებს, რომლებიც ზიანის წარმოქმნას უწყობენ ხელს.¹⁸

სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაკუთრებული კონცეფცია გააჩნია 1942 წლის Codice civile-ს. მასში ცენტრალურ ნორმას წარმოადგენს Codice civile-ის 1218-ე მუხლი, რომლის მიხედვით მოვალე, რომელიც არ ასრულებს ვალდებულებას როგორც წესი და რიგია, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, თუ იგი არ დაამტკიცებს, რომ შეუსრულებლობის მიზეზია სახელშეკრულებო ვალდებულების განხორციელების შეუძლებლობა, რაზეც მოვალე პასუხს არ აგებს. ამის მიხედვით მოვალის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების წინაპირობაა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა. ვიდრე ადგილი არ ექნება ამგვარ მოვლენას, მანამ მოვალე პასუხს აგებს მის მიერ მიცემულ პირობაზე¹⁹.

პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს Codice civile-ს, ძალიან ახლოსაა პასუხისმგებლობის მოწყისრიგებებთან Common Law-ში. ზოგადად ეს "Common Law"-ში ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება საგარანტიო ვალდებულებას ფუძნება (strict liability). ამის მიხედვით მოვალე პასუხისმგებელია მის მიერ ერთხელ მიცემული დაპირების საფუძველზე. თუმცა საგარანტიო პასუხისმგებლობა გარკვეულ შეზღუდვას განიცდის "doctrine of frustration"-ის მეშვეობით. ამის მიხედვით მოვალე პასუხს აგებს შესაძლებლისა და გათვალისწინებადის ფარგლებში მისი პირიდანდელი სახელშეკრულებო ვალდებულებისათვის²⁰.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ნასყიდობის შესახებ საფუძვლად უდევს უპირატესი პასუხისმგებლობა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისათვის. თუმცა CISG-ის 79-ე მუხლი ითვალისწინებს ვალდებულებებისაგან განთავისუფლების შესაძლებლობას²¹. მის მიხედვით მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ შეუსრულებლობა იმ მიზეზითაა განპირობებული, რომელიც მოვალის გაელენის სფეროს მიღმა ძვეს და მისგან არ უნდა მოველოდეთ იმას, რომ იგი გაითვალისწინებს დაბრკოლების მიზეზს ან თავიდან აიცილებს და გადალახავს დაბრკოლების მიზეზს ან მის შედეგებს²². მსგავსივე პრინციპი შედის ლანდოს კომისიის ევროპის საკონტრაქტო სამართლის პრინციპების 108-ე მუხლის მესამე პუნქტში²³⁻²⁴.

მიმოხილვა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის კლასიფიკაციის შემთხვევაში ორი ძირითადი მიმართულების განსხვავებას გვაწვდის სუბიექტური პასუხისმგებლობა, რომელიც გერმანიის სამოქალაქო კო-

დექსისა (BGB) და პოლანდიის სამოქალაქო კოდექსისთვისაა (NBW) დამახასიათებელი, ემყარება იმას, რომ პროტესტმა ბრალის უქონლობის შესახებ მხოლოდ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის გაუქმება შეიძლება გამოიწვიოს. ამის საპირისპიროდ Code civile, Common Law და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ნასყიდობის შესახებ გულისხმობს დაბრკოლების მიზეზს; თუ არსებობს ეს მიზეზი, მაშინ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების გათვალისწინებაც ხდება. შუალედური მდგომარეობა უკავია ამის საპირისპიროდ Code civil-ს, რამდენადაც იგი იცნობს როგორც ობიექტურ (obligation de resultat) ასევე სუბიექტურ (obligation de moyens) სახელშეკრულებო ვალდებულებას.

IV. ბრალის გათვალისწინება სამართლებრივ მოდელებში ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობით

წინამდებარე მოსაზრებები მოწმობენ, რომ განსაკუთრებით Codice civile-ს 1218-ე მუხლი, Common Law და გაეროს კონვენცია ნასყიდობის შესახებ არ მიიჩნევენ ბრალს ამოსავალ წერტილად სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისათვის. ამით ჯერ კიდევ არ არის ნათქვამი თამაშობს, თუ არა ბრალეულობის პრინციპი ამის გამო რაიმე როლს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობაში. ამდენად საინტერესოა, ვრცელი განხილვა ეუბღენათ ბრალს ამ სამართლებრივ მოდელებში.

1. ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობიდან სუბიექტურ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისაკენ Codice civile-ში

ის გარემოება, რომ Codice civile-ს კონცეფციაში მოვალე მუდმივად პასუხისმგებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ეს უკანასკნელი ობიექტურად ჯერაც შესაძლებელია, არ ნიშნავს, რომ იტალიურ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობაში ბრალეულობის ელემენტი უცნობია. კანონის კონცეფცია Osti-ს უკავშირდება, რომელმაც თავისი აზრით შექმნა “ობიექტური თეორია”²⁵. ამის მიხედვით Codice civile-ს პასუხისმგებლობის მოწესრიგებები შეზღვენაირად უნდა აიხსნას. Codice civile-ს 1218-ე მუხლის გვერდით არსებობს Codice civile-ს 1176-ე მუხლი, რომელიც ადგენს სიზუსტის სტანდარტს და რომელშიც ნათქვამია, რომ მოვალემ თავისი

ვალდებულებების შესრულებისას “Buon padre di famiglia”-ს გულმოდგინება უნდა გამოაჩინოს. ამის მიხედვით Codice civile-ს 1218-ე მუხლი შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას, თუ საქმე ეხება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. ვიდრე ჯერ კიდევ შესაძლებელია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, მოვალეს არ ძალუძს იმით აპელირება, რომ თითქოს მას არ მიუძღვის ბრალი სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობაში. მაგრამ ბრალეულობა გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, როცა დასადგენია, უნდა მიეწეროს თუ არა მოვალეს ის გარემოება, რომელმაც განაპირობა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა²⁶. დამოუკიდებელ მნიშვნელობას იძენს Codice civile-ს 1176-ე მუხლი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ჩარჩოებში. ამ ნორმამ უნდა განსაზღვროს, თუ რა გზით უნდა შეასრულოს მოვალემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები²⁷.

ობიექტური თეორია უდავოდ შეესატყვისება საკანონმდებლო განჯერასვას²⁸. მის წარმოქმნას იგი უპირველესად ისტორიულ გარემოებებს უნდა უმაღლოდეს. იგი პირველი მსოფლიო ამის გამოცდილებით აიხსნება. გაუფიცვებმა, საომარი ქმედებების შედეგებმა, სახელმწიფოს ჩარევამ საწარმოო თავისუფლებებში თან მოიტანა ეკონომიკური ურთიერთობების საგრძნობი შეფერხება, რის გამოც (ვალდებულებებისაგან) განთავისუფლების სუბიექტური მიზეზების გათვალისწინებამ გამოიწვია სამართლებრივი ურთიერთობების მკაფიოდ გამოკვეთილი არასაიმედობა²⁹. ამდენად Codice civile-ს 1218-ე მუხლი შეიძლება გავიგოთ როგორც მცდელობა, აღადგინოს ბრუნვითი ეკონომიკისათვის საჭირო სამართლებრივი გარანტია. მართალია, ეს ნორმა, როგორც სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ამოსავალი წერტილი, თეორიის უმეტესი ნაწილისათვის ძალზე მკაცრი ჩანს³⁰. სუბიექტური თეორიით განსაკუთრებით Giorgiani-მ სცადა ბრალეულობა იტალიური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ცენტრში დაეყენებინა³¹. Giorgiani აქამდე მიდის, ვარაუდობს რა, რომ Codice civile-ს 1218-ე მუხლი მხოლოდ იმგვარი ხელშეკრულების მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული, რომლებშიც მოვალე სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების სწორედ დამატებითი შეუძლებლობის თავიდან აცილებას კისრულობს. ამგვარ მოვლენას ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, რომლებიც მოიცავენ გარკვეული ნივთის შექმნას, დაბრუნებას და სხვის საკუთრებაში გადაცემას³². მაგრამ თვით ამ სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაშიც კი ბრალეულობის პრინციპი თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს, რამდენადაც ნორმა შეიცავს ქცევის

წესს, რომლის მისხედვითაც მოვალეს დასჯირდება ძალისხმევა იძის-
თვის, რათა შეაფერხოს ობიექტური შეუსაძლებლობა. აქედან გამომდინა-
რე, სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა ვერ შემოიფარვლება იმით,
რომ მოითხოვოს მოვალისაგან ქცევა, რომელიც ობიექტური შეუსაძლებ-
ლობის წარმოქმნას შეაფერხებსო. მეეალეთა ინტერესების დასაცავო-
ფილებლად აუცილებელი ხდება ქცევის წესი, რომელიც უზრუნველ-
ყოფს, რომ მევალისათვის შესრულდეს სასჯელშეკრულეკო ვალდებულე-
ბები. ამგვარი ქცევის წესისათვის საფუძველს იგი ხედავს "diligentia"-
ში³³. Giorgiani-ს მიხედვით ქცევის წესები და "diligentia" ერთმანეთს
ემთხვევა, ასე რომ იგი თეორიაში სხვეთან ერთად აცხადებს, რომ
სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა Codice civile-ში მოვალის ბრალს
ემყარებაო³⁴.

ამ შეხედულებას ეთანხმება ის, რომ კანონმდებელი Codice civile-ს
განსაკუთრებულ ნაწილში უამრავ ადგილას მოვალის პასუხისმგებლო-
ბას მის ბრალზე დამოკიდებულად აცხადებს. ასე მაგალითად, Codice
civile-ს 1494-ე მუხლის მიხედვით გამყოფეკის შეუძლია განთავისუფ-
ლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებებისაგან ერთ-ერთი მხარის
პასუხისმგებლობის შემთხვევაში, აღებული ვალდებულებების შესრუ-
ლებაში ნაკლოვანებების გამო მხარის, თუ იგი დაამტკიცებს, რომ მან
ბრალის გარეშე არაფერი იცოდა ნაკლოვანებების შესახებ. მსგავს ნორ-
მებს შეიცავს სანარდო ხელშეკრულების სამართალი Codice civile-ს
1668-ე მუხლში, რის მიხედვითაც ზიანის ანაზღაურების პრეტენზია
ერთ-ერთი მხარის პასუხისმგებლობის შემთხვევაში აღებული ვალდე-
ბულების შესრულებაში ნაკლოვანების გამო ვარაუდობს მწარმოებლის
ბრალეულობას. და ბოლოს, შემნახველს ობიექტური პასუხისმგებლობა
ეხება მხოლოდ შენახული ნივთის დაბრუნების შესაძლებლობის თეალ-
საზრისით (Codice civile მუხლი 1780), მაგრამ არა შენახვის შემთხვე-
ვაში ზოგადი ვალდებულებების გამო.

ამასთან ბრალეულობის პრინციპი სასამართლო პრაქტიკაში დიდი
მნიშვნელობისაა, თუ ქმედებანი ხელშეკრულების საგანს წარმოადგენენ.
ამდენად სასამართლო პრაქტიკამ გადმოიღო ფრანგული სამართლისა-
გან მომდინარე განსხვავება obligations de resultat-ის (obligationi di
risultato) და obligations de moyens (obligationi di mezzo)-ის მიხედვით³⁵.
Obligationi di risultato-ს, მამასადამე შედეგის ვალდებულებების, შემ-
თხვევაში საკმარისია, თუ მეეალე დაამტკიცებს, რომ არ იქნა მიღებუ-
ლი ხელშეკრულებით ნაკისრი შედეგი, ასე რომ მოვალეს პრინციპში
შეუძლია გათავისუფლდეს თავისი პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ Codice
civile -ს 1218-ე მუხლის ფარგლებში³⁶. თუ მხოლოდ obligationi di

mczzo, ე.ი. ქცევის კალდებულებები ქმნიან ხელშეკრულების საგანს, მაშინ ბრალეულობის პრინციპი სრულად ამოქმედებას იწყებს, რამდენადაც მოვალის პასუხისმგებლობის გათვალისწინება მხოლოდ მაშინ ხდება, თუ იგი სახელშეკრულებო ვალდებულებებს ჩვეული სიზუსტით (გულმოდგინებით) არ ასრულებს³⁷.

ბრალისაგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის მტკიცე შემთხვევების ჯგუფებს იტალიურ სამართალში განეკუთვნებიან, უპირველეს ყოვლისა, შესყიდვის უპირატესი ვალდებულებები ფულადი და გვარეობითი ნივთებიდან წარმოშობილი ვალდებულების ან საგარანტიო პრეტენზიები საგარანტიო სამართალში, რაც ასევე შეესაბამება სამართლებრივ მდგომარეობას გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (BGB) მიხედვით³⁸. ამდენად ვლინდება, რომ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობამ იტალიურ სამართალში, თუმცა კი იგი ჩაფიქრებული იყო როგორც ობიექტური პასუხისმგებლობა, ფართო სივრცე დაუთმო ბრალეულობის პრინციპს.

2. თითქმის გამოუყენებელი ბრალეული პასუხისმგებლობა Common Law-ს სახელშეკრულებო სამართალში

ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მეორე მაგალითის სახით გამოდგება Common Law. საყოველთაოდ მიღებული შეხედულების მიხედვით სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ამ სამართლებრივ წრეში ემყარება გარანტიას, ასე რომ ბრალეულობა ამ შემთხვევაში პრინციპულ როლს არ თამაშობს³⁹. ეს მოსაზრება Ranieri v. Mileის შეხედულებებს ემთხვევა: “აქსიომაა ის, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან მიმართებაში ხელშეკრულების დარღვევისათვის, ზოგადად უმნიშვნელოა, თუ რატომ ვერ შეასრულა მოპასუხემ თავისი ვალდებულებები და, რა თქმა უნდა, არ არსებობს გამამართლებელი არგუმენტი იმის სახით, რომ მან გააკეთა ყველაფერი, რაც კი შეეძლო”⁴⁰. ამ მოსაზრების დასაბუთება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა საქმე ეხება ფულად ვალს, რადგან მოვალეს არ შეუძლია გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან, რამდენადაც იგი ვალის გარეშე გადახდის სირთულეებს აწყდება⁴¹. ბრალისაგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა ამასთან არსებობს სერიული ნივთების მიწოდების ვალდებულების შემთხვევაში⁴². იგივე ითქმის პრინციპში სახელშეკრულებო საგნის ნაკლის შემთხვევაში; ამავე დროს არაარსებითია, საქმე ეხება ყიდვის ხელშეკრულებას თუ ქირაუნობის ხელშეკრულებას.⁴³

სხვაგვარი ვითარებაა ინგლისურ სამართალში მიწის ყიდვის ან იჯარით აღების შემთხვევაში. რადგან ამ სფეროში პრინციპი *caveat emptor* მოქმედებს, სასამართლოებში არსებობს ტენდენცია, ზოგჯერ გამყიდველს აკისრებენ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას ბრალის შემთხვევაში⁴⁴ აქედან გამომდინარე, *Common Law*-ში ვამუყუბულია პრინციპი, რომ მან, ვინც იკისრა ვალდებულება გარკვეული მომსახურების გაწევის შესახებ, ეს უკანასკნელი უნდა შეასრულოს "reasonable care and skill"-ის გათვალისწინებით.⁴⁵

1982 წლის ბრძანებულება "Supply of Goods and Services Act"-ის შესახებ (იხ. 13) ინგლისში მკაფიოდ ადგენს პასუხისმგებლობას, რომელიც ემყარება მიმწოდებლის ბრალეულობას და ბოლოს, ყურადღებას იმსახურებს ის, რომ ბრალეულობა ზოგადად სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შემთხვევაში იძენს მნიშვნელობას, რამდენადაც გასარკვევია ის, აგებს თუ არა პასუს მოვალე შეუსრულებლობის განმაპირობებელ დაბრკოლების მიზეზზე⁴⁶.

ყოველივე ამით ჩანს, რომ პირველი შთაბეჭდილება არ დასტურდება და *Common Law*-შიც ბრალეულობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ელემენტს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ ინგლისურ თეორიაში ბრალეულობას სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შემთხვევაში, როგორც დოგმატურ კატეგორიას, აქამდე მხოლოდ მცირე მნიშვნელობა ენიჭებოდა⁴⁷. ერთის მხრივ ამის მიზეზი შესაძლოა იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო პრაქტიკამ ამჯობინა "implied terms"-ის შესახებ შემოხვევიდან შემთხვევამდე განესაზღვრა, თუ როგორი სიზუსტე უნდა დაიცვას მოვალე ხელშეკრულებათა შესრულებისას⁴⁸. მეორეს მხრივ ჩანს, რომ აქ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განვითარების ისტორიას ენიჭება დიდი მნიშვნელობა. წინა პლანზე იდგა დაპირება, რომლის შეუსრულებლობაც უკვე თავისთავად ხელშეკრულების დარღვევას იწვევდა. ამ შეხედულებას მივყავართ რისკის მკაცრ, მაგრამ მკაფიოდ გამოკვეთილ განაწილებამდე და ამით სამართლებრივი ურთიერთობის განვითარებისკენ პრივილეგიებისაკენ⁴⁹. ეს მკაცრი შეხედულება, ალბათ, თუნდაც იმის გამოც მოიკიდებდა ფართოდ ფეხს, რომ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ძირითადად ნასყიდობის ხელშეკრულებაზეა ორიენტირებული, რომლის შემთხვევაშიც უფრო გამართლებულია პასუხისმგებლობა უპირატესი შესყიდვის უფლებაზე. მაგრამ სწორედ "doctrine of frustration" გვიჩვენებს, რომ თვით აქ გარკვეული შეზღუდვების განხორციელებაა აუცილებელი.

3. ნასცილობის შესახებ გაეროს კონვენციის ზომიერი ობიექტური პასუხისმგებლობა

ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მოდელებს შორის გაეროს ზემოსსწრებულ კონვენციას შეუძლია გარკვეული განმარტებები მოგვეცეს ბრალეულობის პრინციპის მნიშვნელობის შესახებ. CISG-ის 79-ე მუხლი დაკავშირებულია არა მხოლოდ შეუძლებლობის ნიშანთან, არამედ ამოდის დაბრკოლების მიზეზიდან, რომელიც მოვალის ზეგავლენის სფეროს ფარგლებს მიღმა ძვეს. ეს ნორმა ემყარება ე.წ. “სფეროების თეორიას”, რომლის მიხედვითაც მოვალე პასუხისმგებელია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეფერხების შემთხვევაში, რომელიც მისსავე სფეროში წარმოიქმნა⁵⁰. მოვალის პასუხისმგებლობის მასშტაბი განისაზღვრება ამდენად არა მისი ქცევით, არამედ იმ სფეროთი, საიდანაც მომდინარეობს ვალდებულებების შესრულების შეფერხება. ამდენად ფრანგულ სამართალთან სტრუქტურული თანხვედრა შეიმჩნევა, რამდენადაც იქ შესაძლებელია მოვალის განთავისუფლება ვალდებულებისგან, თუ მას “cause étrangère”-ის მოხმობა შეუძლია⁵¹. უნდა მიეკუთვნოს თუ არა ვალდებულების შესრულების შეფერხება მოვალის სფეროს, შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსის და იმის გათვალისწინების გზით, რაც სახელშეკრულებო მხარეებს კეთილგონიერულად ექნებოდათ შეთანხმებული⁵². მაგრამ პასუხისმგებლობის განაწილება სფეროების მიხედვით არ ნიშნავს, რომ სუბიექტური ელემენტები გაუთვალისწინებელი რჩება. ამას შედეგად მოსდევს ის, რომ ვალდებულებისგან განთავისუფლება იმას ევალება, ვისი სფეროდანაც მომდინარეობს ვალდებულების შესრულების შეფერხება. ნორმა საამისოდ სუბიექტურ ელემენტებს მიმართავს. თუ არსებობს შეფერხების მიზეზი, მაშინ უნდა ვიკითხოთ, შეეძლო თუ არა გაუთვალისწინებინა მას ეს მიზეზი ხელშეკრულების დადებისას ან შეიძლება თუ არა მისგან მოველოდეთ იმას, რომ იგი თავიდან აიცილებს ამ მიზეზს ან გადალახავს მის შედეგებს.

ამის მიხედვით გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა ნებისმიერი ბრალეულობა და შეიძლება იხიცი კი მოხდეს, რომ მოვალე პასუხისმგებელი იქნება, როცა საქმე ეხება ვალდებულების შესრულების სრულიად დაუძლეად დაბრკოლებას⁵³. მაგრამ პასუხისმგებლობა საკუთარი სფეროსთვის მსუბუქდება, მოქმედებს რა, თუნდაც შეზღუდულად, ბრალეულობის პრინციპი⁵⁴.

ამდენად, შეიძლება იმის დადგენა, რომ გაეროს კონვენცია სახელ-

შეკრულებო პასუხისმგებლობის მოწესრიგების შემთხვევაში ბრალეულობის ელემენტებს მოიცავს. ეს განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რადგან კონვენცია მხოლოდ ნასყიდობის სამართალზეა მორგებული და უპირატესი შესყიდვის უფლების იქ დამკვიდრებული მნიშვნელობის გამო უფრო იოლი იქნებოდა უარის თქმა ბრალეულობის ნიშანზე, რადგან ფარგლებს გადასული სამართლებრივი ურთიერთობების დროს მასზე დიდი მოთხოვნა არსებობს: აქედან გამომდინარე, გაეროს ნასყიდობის სამართალი ადრესატთა გარკვეულ წრეზეა ორიენტირებული, მათ ზოგადად საქმიანი გამოცდილება და კომპეტენცია გააჩნიათ, ასე, რომ მათგან უნდა მოველოდეთ, რომ ხელშეკრულების შესრულებისას ისინი უკეთ განჭვრეტენ მოსალოდნელ რისკს.⁵⁵ თუმცა ბრალეულობის ელემენტების გამოყენება ობიექტური სიზუსტის მასშტაბის მეშვეობით შეიძლება კიდევ აკმაყოფილებდეს ამ გარემოებებს და მან ამავე დროს შესაძლოა რისკის დიფერენცირებული განაწილება დაამკვიდროს.

საბოლოო ჯამში სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების ნიმუშები ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობით გვიჩვენებენ, რომ ეს სამართლებრივი სისტემები არ უარყოფენ ბრალეულობას, როგორც სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ელემენტს. თუ არსებობს ქცევის ვალდებულებები, მაშინ პასუხისმგებლობა მხოლოდ იმის მიხედვით განისაზღვრება, მოცემულია თუ არა ბრალეულობა. აქ არ არსებობს სხვაობა ობიექტურ და სუბიექტურ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობებს შორის. მაგრამ სხვა ვალდებულებების შემთხვევაშიც მოვალემ პასუხი უნდა აგოს თავის დანაპირზე. პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება შეუსრულებლობის შემთხვევაშია შესაძლებელი. იმ დროს, როცა გაეროს კონვენცია დასაშვებად მიიჩნევს პროტესტს არაბრალეულობის შესახებ შეზღუდული მოცულობით, მოვალეს შეუძლია შეუზღუდავად აღძრას პროტესტი Codice civile-ს პასუხისმგებლობითი სამართლის მიხედვით.

V. ბრალეულობის პრინციპი სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ვალდებულებათა სისტემაში

მოტანილი მოსაზრებები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ბრალეულობის პრინციპს იმ სამართლებრივ მოდელებში, სადაც ობიექტური პასუხისმგებლობა წინა პლანზე დგას, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე ეს თავდაპირველად შეიძლება მოგვეჩვენოს. განხილვისას მკაფიოდ იკვეთება ურთიერთკავშირი ცალკეულ სახელშეკრულებო მოვალეობებს

და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას შორის. ამდენად ფართო გაგების მიზნით უნდა გადაისინჯოს ბრალეულობის ფუნქცია ცალკეული სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში. საამისოდ შემდგომი დანაწევრება გამოდგება. თავდაპირველად შესწავლილ უნდა იქნეს შედეგის ვალდებულებები, შემდგომ ქცევის ვალდებულებები და ბოლოს დაცვის ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება სახელშეკრულებო ურთიერთობაში არსებობდეს, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს განსხვავება არ ითვალისწინებს, მევალესა და მოვალეს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებში ძირითად ვალდებულებებს ენება საქმე თუ მეორად ვალდებულებებს. ამ კონტექსტში არსებითია მხოლოდ ის, მიმართავს თუ არა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მოდელი ამ ვალდებულებების შესრულების დროს ბრალეულობის პრინციპს.

1. შედეგის ვალდებულებები

შედეგის ვალდებულებებია ისეთი ვალდებულებები, რომელთა შემთხვევაშიც მოვალე იძლევა საგარანტიო პირობას, რომ იგი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით დასახული მიზნის შესრულებაზე. ასეთი სახის ვალდებულებები გამართლებულია იქ, სადაც მოვალეს საერთოდ ძალუქს გათვლადი რისკის გათვალისწინებით უზრუნველყოს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისათვის დასახული მიზნების განხორციელება⁵⁶.

ამდენად, შედეგის ტიპურ ვალდებულებებს განეკუთვნება პასუხისმგებლობა ფულადი და გვარობითი ნივთებისათვის ან საგარანტიო პასუხისმგებლობა ნივთის ნაკლის გამო. თანდათან ვლინდება ის ვითარება, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი სისტემები იმგვარად უახლოვდებიან ერთმანეთს, რომ მოვალე გარანტიას იძლევა სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შედეგზე⁵⁷. შედეგის ვალდებულების ბუნებაშია, რომ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, რომელიც წინა პლანზე აყენებს ობიექტურ პასუხისმგებლობას, განსაკუთრებით ასეთ ვალდებულებებს აერთიანებს, რადგან იგი გამორიცხავს სუბიექტური მოსაზრებების გათვალისწინებას შედეგის მიულწევლობის შემთხვევაში. სამართლებრივი სისტემები კი, რომლებიც ბრალეულობის პრინციპს წინა პლანზე აყენებენ, ამდენად, საჭიროებენ შემზღუდავ ნორმას (§279, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი) ან სახელშეკრულებო შეთანხმების შესაბამის განმარტებას⁵⁸.

2. ქვევის ვალდებულებები

Common Law-ის შესახებ მოტანილი მსჯელობები ნათლად მოწმობენ, რომ სახელშეკრულებო სამართალი არ იფარგლება სახელშეკრულებო ვალდებულებებით, რომელთა საგანს წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შედეგი, არამედ შესაძლოა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებელი ქმედების აუცილებლობა არსებობდეს⁵⁹. მაგრამ არსებობს ზოგიერთი მოსაზრება, რომლებიც სახელშეკრულებო ვალდებულებების დამოუკიდებელი კატეგორიის არსებობას სადავოდ მიიჩნევენ ან, სულ მცირე, ეჭვქვეშ აყენებს მათ მნიშვნელობას⁶⁰. ამგვარი სახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესასრულებელი ქმედების განხორციელება მართებთ. არსებობს საპირისპირო მოსაზრება, რომ თვით მომსახურების ვალდებულებები შედეგთან მიმართების მქონე სახელშეკრულებო ვალდებულებებს წარმოადგენს და ამდენად არა მხოლოდ მომსახურების გამწვევის ქცევის, არამედ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების შედეგის აუცილებლობაც არსებობს⁶¹. ამგვარი მოსაზრებების მიხედვით სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შედეგის არმიღება ან მომსახურების გამწვევის პასუხისმგებლობას უნდა იწვევდეს და ამით მათ ამ შედეგის მისაღწევად გარკვეული რისკის გაწვევასაც აიძულებდეს⁶². ან შედეგის ცნება ჰკარგავს ჩვეულებრივ მისთვის მიწერილ შინაარსს. შედეგი ზოგადად მოიაზრება როგორც გარკვეული ხდომილება. ეს მართლაც ასეა თუ არა, ამგვარი გაგების შემთხვევაში შეფასებითი დასკვნის გარეშე ძნელი დასადგენია. თუ ხდომილება არ წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს, მაშინ საჭიროა შეფასებითი დასკვნა, ვარგისია თუ არა ეს ქმედებები შედეგის მისაღწევად, რამდენადაც შეიძლება არსებობდეს შესაძლებლობა, რომ მოვალემ შეასრულა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, თუმცა დასახული შედეგი მიღწეული არ იქნა. ამით კი კვლავ ქცევის ვალდებულების დადგენასთან აღმოვჩნდებით. ამიტომ გარკვეული შედეგი ქცევის ვალდებულების შემთხვევაში შეიძლება სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ქმედების მიზანი იყოს, მაგრამ არა სახელშეკრულებო ვალდებულების საგანი. ქცევის ვალდებულებისას ვალდებულების შესრულება მოიწურება ქცევის გარკვეული სტანდარტის დაცვით. ხელშეკრულებით შეთანხმებული ქცევის მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა შეესატყვისება სახელშეკრულებო ვალდებულების შესასრულებელი შეთანხმებული ქმედების ბრალეულ შეუს-

რულელობას. ამდენად ჩნდება ორმაგი ფუნქცია, რომელიც ბრალეულ-ლობაში გვხვდება. ერთი მხრივ იგი ფუნქციონირებს როგორც მოვალისათვის პასუხისმგებლობის მიწერის ზოგადი კრიტერიუმი, მეორე მხრივ იგი ადგენს ვალდებულების შინაარსს სიზუსტის ვალდებულებების დარღვევასთან გაიგივების გზით⁶³.

ეს შეხედულება გერმანულ სამართალში სირთულეებს არ ქმნის, რადგან გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე პარაგრაფი ქცევის ვალდებულების შინაარსს გამოხატავს ურთიერთობისათვის მართებული სიზუსტით. შესაბამისი მოსაზრება უდევს საფუძვლად ფრანგულ თეორიაში არსებულ განსხვავებას⁶⁴. Codice civile ანგარიშს უწევს 1176-ე მუხლის გამოყენების ფაქტს, რომლის მიხედვითაც მოვალემ უნდა გაითვალისწინოს “diligenza del buon padre di famiglia”. Common Law მოითხოვს, რომ მოვალემ სახელშეკრულებო ვალდებულებები “reasonable care and skill”-ით შეასრულოს⁶⁵. როგორც ჩანს, გაეროს ნასყიდობის სამართალი ამ მოსაზრებას არ ითვალისწინებს, რადგან CISG-ის 79-ე მუხლი არ განასხვავებს შედეგის და ქცევის ვალდებულებებს. თუმცა ნორმის გამოყენება ვარაუდობს, რომ მოვალემ თავისი ერთ-ერთი სახელშეკრულებო მოვალეობათაგანი არ შეასრულა⁶⁶. გაეროს კონვენცია ამდენად არ შეიცავს ზოგად მასშტაბს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებელი ქმედების მოთხოვნებთან დაკავშირებით, რისი მიზეზიც უეჭველია იმაში მდგომარეობს, რომ ნასყიდობის სამართლებრივი ვალდებულებები უმეტესად არ წარმოადგენს საქმიანობის ვალდებულებებს⁶⁷. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს განსხვავება გაეროს ნასყიდობის სამართლის ჩარჩოებში ზედმეტია⁶⁸. CISG-ის 85-ე მუხლით მოცემულია სახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც არ წარმოადგენს შედეგის ვალდებულებას, რამდენადაც გამყიდველმა უნდა გაატაროს საქონლის დაცვისთვის მიზანშეწონილი ღონისძიებები. მხარეებს შემდგომ შეუძლიათ ქცევის ვალდებულებები ხელშეკრულების საგნად აქციონ, ამასთან ნასყიდობის კონვენციის მიხედვით უნდა განისაზღვროს, ადგილი აქვს თუ არა სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას. იმის გასარკვევად, თუ რა წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების შინაარსს, როცა სახელშეკრულებო ვალდებულება სახეზეა, კონვენცია გვთავაზობს ასეთ შემთხვევებში მივმართოთ CISG-ის მე-7 მუხლს და ამით ერთგულებისა და ნდობის პრინციპს⁶⁹, რაც საბოლოოდ შეიძლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ მოვალეს მართებს სიზუსტე, რომელიც სახელშეკრულებო რისკის განაწილების გათვალისწინების გზით მიღწევა⁷⁰.

გაეროს კონვენციის მოდელი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ბრა-

ლეულობის პრინციპის უკანა პლანზე გადაწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლო, თუ შედეგის ვალდებულებებს სახელშეკრულებო მხარეების ვალდებულებათა სისტემაში წამყვანი ადგილი უჭირავთ. ზოგად სახელშეკრულებო სამართალში, რომელშიც ქცევის ვალდებულებები რეგულარულად უდიდეს წილს შეადგენს, ბრალეულობა, როგორც ჩანს, აუცილებლობას წარმოადგენს.

3. დაცვის ვალდებულებები

ქცევის და შედეგის ვალდებულებების გვერდით არსებობს სხვა ვალდებულებები, რომლებიც არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე, არამედ ქონების და სახელშეკრულებო მხარეების პიროვნული ხელშეუხებლობის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. მაგრამ ამ ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთაც ზოგადად დაცვის ვალდებულებებს უწოდებენ, მთლად ნათელი არ არის, მართლაც და სახელშეკრულებო ვალდებულებებს ეხება თუ არა საქმე. არსებობს ეჭვი მიმართებების დამყარების თაობაზე, რადგან ამით დელიქტური და სახელშეკრულებო მოვალეობის საწყისი განსხვავებულობა შეუმჩნეველი რჩება. ეს ძირითადი სხვაობა იმ ვარაუდს ემყარება, რომ დელიქტური ვალდებულებების შემთხვევაში საქმე ეხება კანონიერი ძალის მქონე გამოსწორების ვალდებულებებს, მაშინ როდესაც სახელშეკრულებო ვალდებულებები იურიდიული მორიგეობით დაფუძნებული ხელშეკრულების ქმედებების შესრულების ვალდებულებებს წარმოადგენენ⁷¹. დაცვის ვალდებულებები, რომლებსაც ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა ეკისრებათ, ამ სქემაში დელიქტურ სამართალს მიეკუთვნება. მიუხედავად იმ კრიტიკისა, რომელიც მიმართულია დაცვის ვალდებულებების სახელშეკრულებო ვალდებულებების წრისთვის მიკუთვნების წინააღმდეგ⁷², ეს დოგმატიური მოვლენა გერმანული სამართლის მტკიცე შემადგენელია. *Culpa in contrahendo*-ს და ინსტიტუტების გარეშე, რომლებიც სამართლებრივი განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა, ბრალის სამართლის დოგმატიკა უკვე წარმოდგენილია⁷³. ამასთან ბრალეულობის სამართლის რეფორმის ჩარჩოებში გათვალისწინებულია მისი კანონით განმტკიცება⁷⁴. რამდენადაც პოზიტიური სახელშეკრულებო დარღვევა მუდმივად გულისხმობს ბრალეულობას, გერმანულ სამართალში დაცვის ვალდებულებები ქცევის ვალდებულებებს წარმოადგენენ.⁷⁵

სახელშეკრულებო მხარეების დაცვის მოთხოვნა არა მხოლოდ

გერმანული სამართლისათვის დამახასიათებელი მოვლენაა, არამედ მან ასახვა ჰპოვა იტალიურ სამართალშიც “obligatione di protezione”-ს ცნების ქვეშ⁷⁶. სამართლებრივ საფუძველს აქ წარმოადგენს ერთგულების და ნდობის პრინციპი, რომლებიც ასახულია 1175-ე და 1137-ე, 1366-ე, 1375-ე მუხლებში⁷⁷. დაცვის ვალდებულებების დარღვევას მოსდევს 1218-ე მუხლის გამოყენება; ასე, რომ მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ იგი არ არის პასუხისმგებელი დარღვევაზე. ფრანგულ სამართალში არსებობს ასევე შესაბამისი obligation de securite. ეს უკანასკნელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც obligation de resultat-ის ფორმით, ასევე obligation de moyens-ის ფორმით⁷⁸. უკვე 1911 წლის 21 ნოემბრის ცენტრალურ გადაწყვეტილებაში cour de cassation-მა დაადგინა, რომ გადაყვანს ვალდება მგზავრის დანიშნულების ადგილზე “sa in et sauf” გადაყვანა, ამასთან მან მიიღო შედეგის ვალდებულება⁷⁹. უმეტეს წილად ფრანგულ სამართალში დაცვის ვალდებულებების შემთხვევაში საქმე ეხება ქცევის ვალდებულებებს⁸⁰.

Common Law დაცვის ვალდებულებებს პრინციპულად დელიქტურ სამართალს მიაკუთვნებს. სასამართლო პრაქტიკა ადგენს სახელშეკრულებო მეორად ვალდებულებებს, ამოდის რა implied term-იდან⁸¹. თუმცა მას არ მიეკუთვნება დაცვის ვალდებულებები, თუ ისინი ხელშეკრულების ბუნებაში არაა ჩადებული⁸². ყოველივე ეს იქამდე მიდის, რომ დაქირავებულ მუშას მხოლოდ დელიქტური სამართლის საფუძველზე შეუძლია მისთვის სამუშაოს მიმცემის მიერ დაცვის ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში საქმის აღძვრა⁸³. ამის მიღმა დგას ის მოსაზრება, რომ სამუშაო ადგილზე ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევას უფრო მეტი რამ აქვს საერთო უბედურ საგზაო შემთხვევასთან, ვიდრე სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობასთან⁸⁴. დაცვის ვალდებულებები სახელშეკრულებო სამართალში ხელშეკრულებით გათვალისწინებული მაგალითის სახით იმგვარად ჩნდება, რომ მყიდველს აქვს ანაზღაურებაზე პრეტენზიის უფლება, თუ იგი შესაძენი ნივთების დეფიციტის გამო პირად ხელყოფას განიცდის. ასეთ შემთხვევებში არსებობს ბრალისაგან დამოუკიდებელი პასუხისმგებლობა⁸⁵.

კონტინენტური ევროპის სამოქალაქო სამართალსა და Common Law-ს შორის აზრთა სხვადასხვაობის პირობებში სულაც არაა გასაკვირი, რომ არსებობს დავა იმის თაობაზე, მოიცავს თუ არა ნასყიდობის სამართალი დაცვის ვალდებულებებსაც⁸⁶. კონვენციაში არაა მოცემული შესაბამისი ნორმები და ამას ემატება ისიც, რომ CISG-ის მე-5 მუხლი გამორიცხავს კონვენციის გამოყენებას გამყიდველის პასუხისმგებლობასთან მიმართებაში, თუ საქონელი პიროვნების სიკვდილის და სხეუ-

ლის დაზიანების მიზეზს წარმოადგენს. ნორმის ტექსტი და მიზანი არ ეწინააღმდეგება დაცვის ამგვარ ვალდებულებებს. რამდენადაც ნორმის ტექსტი მიმართებაშია მხოლოდ ზიანთან, რომელიც განაპირობა საქონელმა, და არა სხვა დარღვევებთან.⁸⁷ ნორმის მიზეზში ამ შემთხვევაში უნდა შეაფერხოს უხარისხო პროდუქციის გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის ნაციონალურ სამართალთან გადაკვეთები⁸⁸. ამიტომ გაეროს ნასყიდობის კონვენციაში დაცვის უფლებების სასარგებლოდ მით უფრო მეტად მეტყველებს ის, რომ დაცვის უფლებების გაჩენა ზოგად დოგმატურ განვითარებას უპირისპირდება, რომელსაც სახელშეკრულებო ვალდებულებები არ დაჰყავს სახელშეკრულებო შესრულების უბრალო გაცვლა-გამოცვლაზე. მასში კონკრეტდება ერთგულების და ნდობის მოთხოვნა (ცნება), რომელიც მოიცავს ზუსტი ქმედების ვალდებულებას სახელშეკრულებო მხარეების ქონების სფეროში ხელშეკრულების შესრულების გაცვლა-გამოცვლის განხორციელებისას⁸⁹. სწორედ აქ შეიძლება იყოს ინგლისურ სამართალში სახელშეკრულებო დაცვის ვალდებულებების არასაკმარისი განვითარების მიზეზი, ეს ვალდებულებები არსებობს სასაქონლო დეფექტებისაგან დამოუკიდებლად, რადგან ერთგულების და ნდობის პრინციპს ინგლისური სამართალი არ იცნობს⁹⁰. გაეროს ნასყიდობის კონვენციაში კი ეს პრინციპი სწორედ მე-7 მუხლშია მოცემული. ამ მიზეზის გამო სახელშეკრულებო მხარეებს ამგვარი პრეტენზიის უფლება უნდა მიენიჭოთ, თუ ეს მიზეზი კონვენციის საერთაშორისო ხასიათს და მის ერთიან გამოყენებას, ასევე საერთაშორისო კომერციაში კეთილი ნდობის დაცვა-შენარჩუნებას არ ეწინააღმდეგება⁹¹. როცა საქმე ეხება დამოუკიდებელი დაცვის ვალდებულებებს, რომლებიც სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ხელშეკრულებისადმი საწინააღმდეგო ხასიათიდან გამომდინარეობს, კვლავაც უნდა განისაზღვროს დაცვის ვალდებულებების სტანდარტი ერთგულებისა და ნდობიდან გამომდინარე. ამდენად ნასყიდობის კონვენციის გამოყენების დროსაც ბრალეულობის პრინციპს უნდა მიეპართოთ.

მოტანილი მოსაზრებები მოწმობენ, რომ დაცვის ვალდებულებების არსებობა, რომლებიც შეიძლება დაიყოს თავის მხრივ შედეგის ვალდებულებებად და ქცევის ვალდებულებებად, უკანასკნელ შემთხვევაში კვლავ საჭიროებენ პასუხისმგებლობის სტანდარტს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დგინდება, არსებობს თუ არა სიზუსტის ვალდებულების დარღვევით სახელშეკრულებო ვალდებულება, ჩნდება მოვალის პასუხისმგებლობა. ნორმები, რომლებიც მისადაგებულია ვალდებულებების შესრულების მიღწევაზე, ამ მიზეზობრივ კავშირს ფარავს.

VI. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა ზოგად სახელშეკრულებო სამართალში

მოტანილი მოსაზრებები გვამცნობენ, რომ ობიექტური და სუბიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის სისტემები ერთმანეთს უახლოვდება, მსუბუქდება რა პირველ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ბრალის გათვალისწინებით, ხოლო მეორე შემთხვევაში ბრალის შეზღუდვის გზით პასუხისმგებლობა უფრო მკაცრდება. მაგრამ რამდენადაც ეს მიახლოება არამცდარაა არ ნიშნავს მსგავსებას პასუხისმგებლობის კონცეფციაში, უნდა გადაწყდეს, თუ პასუხისმგებლობის რომელი სისტემა იმსახურებს ზოგად სახელშეკრულებო სამართალში უპირატესობის მინიჭებას. ობიექტური სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა გაეროს ნასყიდობის კონვენციის ან Codice civile-ს გაგებით მშვენივრად გამოდგება ქმედების ინსტრუქციის სახით, რომელიც უნდა დაიცვას საწარმომ, რათა გარანტირებულ იქნეს სახელშეკრულებო შეთანხმების შესრულების შედეგი. მოვალემ წინასწარ უნდა გაითვალისწინოს დაბრკოლებები, რომლებიც სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას გადაეღობება, და უნდა დასძლიოს ან თავიდან აიცილოს მათი შედეგები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: საწარმო იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ადგილი არ ჰქონდეს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებათა შეფერხებებს, რომლებიც ზოგადად მართვას ექვემდებარებიან. თუ რა სახით უნდა შესრულდეს ხელშეკრულების შესრულების ვალდებულება, ამას არც Codice civile-ს 1218-ე მუხლი აწესრიგებს და არც CISG-ის 79-ე მუხლი. უპირატესი შესყიდვის უფლების შემთხვევაში ამის საჭიროება საერთოდ არ არსებობს, რადგან სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულება მოვალის რისკის სფეროში ძვეს. თუ პასუხისმგებლობა ყიდვის ხელშეკრულების ვალდებულებებით იზღუდება, შესაძლოა ეს გამართლებულიც იყოს, რადგან აქ წინა პლანზე დგას სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შედეგი. მაგრამ ვიდრე ქცევის ვალდებულებები ხელშეკრულების შესრულების შინაარსს წარმოადგენს, საჭიროა განისაზღვროს ამ ვალდებულებების მასშტაბი. ზოგადი სახელშეკრულებო სამართალი ქცევის ვალდებულებების სიმრავლეთა გამოისობით ამაზე უარს ვერ ამბობს. ისინი დაქირავებული მოსამსახურის შრომითი ვალდებულებებიდან მოყოლებული სამედიცინო მკურნალობის სტანდარტამდე აღწევენ, და თვით შედეგგანსაზღვრული ხელშეკრულებების ტიპში, როგორიცაა ნასყიდობის ხელშეკრულება, არსებობს ქცევის ვალდებულებები. სახელშეკრუ-

ლებო პასუხისმგებლობას ბრალეულობის მოთხოვნით ამ სფეროში საჭირო მანევრულობა შეაქვს, როგორც ამას პრაქტიკაში გვიჩვენებს ურთიერთობისთვის საჭირო სიზუსტის განმარტება. ამასთან დაფიქრება გვმართებს იმაზე, რომ ზოგადი სახელშეკრულებო სამართალი გამოიყენება არა მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ პირთა მიმართ, არამედ ასევე კერძო მორიგებების ან უნაცვალგებო (უსასყიდლო, უფასო) გარიგებების მიმართ. ბრალეულობის პრინციპი მას უკეთ უწევს ანგარიშს. და ბოლოს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB) და პოლანდიის სამოქალაქო კოდექსი (NBW) გვამცნობენ, რომ იოლი შესაძლებელია, იმ სფეროში, სადაც გარანტიის ელემენტები სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის შემთხვევაში რისკის სათანადო განაწილებას განეკუთვნებიან, მათი ჩართვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეფერხების სამართალში ძალდატანების გარეშე მოხერხდეს. იტალიური თეორიის და სამართლის პრაქტიკის მაგალითზე ჩანს, რომ ზოგადი სახელშეკრულებო სამართალი ძნელად ურიგდება ობიექტური პასუხისმგებლობის სისტემას.

დასკვნა

აქ გათვალისწინებული სახელშეკრულებო სამართლის სისტემების მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ბრალეულობის პრინციპის უგულვებელყოფა ჯერაც შორეულ პერსპექტივას წარმოადგენს. ერთი მხრივ, გაეროს ნასყიდობის კონვენცია მოწესრიგების მოდელის სახით, რომელიც უმეტესად შედგვის მოვალეობებისგან შედგება, უშვებს 77-ე მუხლში ბრალეულობის ელემენტის არსებობას. პასუხისმგებლობისათვის სწორედ რომ არ არის საკმარისი, რომ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დაბრკოლება მოვალის სფეროდან მომდინარეობს. მეორე მხრივ, ყველა სამართლებრივი სისტემა მიმართავს სუბიექტურ მოთხოვნებს, რათა განსაზღვროს ქცევის ვალდებულებების შინაარსი. და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ ზოგადი განვითარების პროცესი, რის მიხედვითაც სახელშეკრულებო მხარეების ვალდებულებებს განეკუთვნება დაცვის ვალდებულებები. ისინი უმეტეს წილად კვლავაც ქცევის ვალდებულებებს წარმოადგენენ, რის გამოც აქაც სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა მხოლოდ ზოგადი ბრალეულობის პრინციპის საფუძველზეა განსაზღვრადი. ამდენად პროფ. ს. ჯორბენაძის მოსაზრებები ახალი ქართული სამოქალაქო კოდექსის კონცეფციისათვისაც ფრიად ღირებულია.

**Charter capital of a legal person in the New Russia
Civil Code and in Russian tax legislation:
coordination across branches of law**

William B. Simons

*Institute of East European Law and Russian Studies,
Leiden University Faculty of Law*

Introduction

Economic reforms — of the magnitude of those that have been begun in Russia and elsewhere in the countries of the former Soviet Union — have an obvious political component through which, in at least general terms, direction is given to the course of such reforms. An equally obvious and important component is the legal framework where such decisions should be reflected and appropriately implemented.

The political decision in the Russian Federation and in other CIS states to embark upon reforms directed toward establishing market-type economies were, accordingly, reflected in the flurry of legislation that was promulgated in Russia and the CIS states over the past several years. While a part of this legislation was embodied in key acts such as the Law on Property, the Statute on Joint-Stock Companies or the Law on Profits Tax, a significant portion of the rules and regulations governing the economic reform process in these countries in its initial years was to be found in substatutory acts. These acts were issued by the Russian President and Government as well as by various key ministries, state committees and other state agencies, but often were drafted under extremely short time tables. In addition, the role of lawyers in this process was often marginal and where lawyers were involved, it often appeared as though they were brought in only at the last minute. Furthermore, there never seemed to be enough qualified lawyers to go around and all too often they found themselves separated from key policy makers and, curiously enough, occasionally from one another. Thus, drafting teams working on one piece of legislation were not always aware of other groups working on interrelated legislation in one branch of law — let alone in various branches of law. And if there was such an awareness, the contacts between such groups often seemed to be ad hoc rather than institutionalized.

The result was that economic legislation in the reform period has often suffered from serious gaps and inconsistencies. Even more important was the fact that — until relatively recently — no noticeable results were to be seen in the codification (as opposed to promulgation) of key economic legislation. One prime example is the Civil Code of the Russian Federation that — after intense efforts by a relatively small but very distinguished group of Russian lawyers — was passed into law only in late 1994 (Part I)¹ and in early 1996 (Part II).² In a similar fashion, a draft Tax Code for the Russian Federation is at an advanced stage of preparation and has already been reviewed in committees of the Russian *Duma*, but is not likely to enter into force until sometime in 1997.

While the work that has been carried on to date in the codification of these two branches of law is clearly critical to meaningful progress in the areas of legal as well as economic reform, and while it brings together some of the best legal and financial minds in the Russian Federation and has included timely consideration of appropriate foreign input, there are still major shortcomings in this process. An example of this problem is to be seen, *inter alia*, the provisions in the Civil Code and Russian financial legislation as they relate to the treatment of a not unimportant aspect of corporate formation and operation, i.e., the charter capital of a legal person.

The working groups codifying civil and financial law do not always appear to be in close contact with one another. This is perhaps a phenomenon that is not unusual in the West since drafting teams often tend to focus on their particular area of expertise. Discrepancies — both of a technical nature as well as a more substantive nature — are normally resolved at latter stages of the law-making process. Often, there are (joint) legislative committees that take basic drafts of proposed laws and subject them to a review process that highlights inconsistencies with existing legislation as well as with proposed (or planned) legislation in the same or different branches of law.

This process of coordinating the drafting of legislation — particularly perhaps in the Russian Federation as the largest state to emerge from the former Soviet Union but also in many if not all of the other CIS countries — has not yet reached the level of sophistication and precision normally found in major industrialized countries.

Yet the problem is not merely a technical one of providing for the appropriate level of legal input on a timely basis. It is one that has a broader dimension involving the formulation of clear policy goals and building a consensus for (or agreeing upon compromises to ensure) their support among interested parties in governmental agencies and with governmental advisors, private sectors actors, non-governmental organizations, etc., and ultimately passage through the parliamentary process. The complexity of what in the narrow sense we term “coordinating the drafting of legislation” but what in a broader sense is part and parcel of introducing basic democratic reforms may explain why it is not surprising

that Russia and the other CIS countries have not yet succeeded in fully institutionalizing such a process of coordinating the drafting of legislation — especially as it concerns legislation in various branches of law.

This should not be interpreted, however, as being indicative of a lack of appreciation of the importance of such efforts. Rather, it is reflective of the fact that the process of clearly setting forth important policy issues in economic and legal reform, of including the appropriate decision makers and their advisors in framing these issues and in selecting the various solutions to the problems raised, of negotiating and agreeing upon compromises to generate the consensus necessary to support the chosen solution(s), and monitoring the integrity of such resolutions through the drafting stage, on to executive agencies and the private sector, and then through to parliamentary consideration and promulgation has not yet been firmly rooted in the growing democracies of the FSU.

One result of this situation is that the inconsistencies or gaps that appear in and among various branches of law may lead not only to confusion and inefficient implementation and enforcement but also give rise to effects that may frustrate the realization of stated policy goals.

This paper will focus on one example of a stated policy goal, i.e. of promoting domestic and foreign investment in the Russian Federation,³ and consider how legislation that is not (yet fully) coordinated and harmonized may produce effects that frustrate the achievement of such a goal. The legislation that will be considered is taken from the two branches of law which we have cited above — civil and financial law — and concerns the aspect we have mentioned of the treatment of charter capital of legal persons.

1. Charter Capital in the Recent Past

Since the beginning of perestroika and the economic reform process in the Russian Federation, the concept of charter capital (*ustavnyi fond*) of a legal person in Russian legislation and practice has undergone significant change. The charter capital of a typical state-owned enterprise that operated in the administratively-regulated economy was quite simply a value expressed as the cost of the (capital) assets that were entrusted by the owner (i.e. the state) to the enterprise and that appeared on its balance sheet (*na balanse*). The size of an enterprise's charter capital was constantly subject to change reflecting additions to or deletions from its capital assets. Charter capital functioned only as a factor in ensuring the economic viability of a state enterprise; it had no role in protecting creditors of the enterprise since, in the administrative-command economy, there were virtually no private-sector creditors of a state enterprise and state creditors were usually afforded relief through economic, administrative, or political channels.

When the economic and political transformation process in the Russian

Federation reached the stage at which the formation of private-sector enterprises (companies) was permitted,⁴ both the legal and the economic significance of charter capital was radically altered. No longer was charter capital simply a measure of the body of property of an enterprise (*imushchestvennyi kompleks*) which was necessary for it to engage in economic activity. Once non-state (i.e. private) actors appeared on the stage, charter capital became a mechanism to offer at least a minimum level of protection for the rights and interests of creditors of Russian legal entities.

In accordance with the 1990 Russian Statute on Joint-Stock Companies⁵ which — up until the entry into force in 1995 of the First Part of the new Russian Civil Code and the December 1995 Law on Joint Stock Companies⁶ — was the basic legislative act regulating the formation and activities of (open and closed) joint-stock companies, the amount of the charter capital of a Russian company was set at the minimum level thought necessary to ensure such protection. The corporate founders (promoters) could, at the moment of corporate formation, decide to comply only with this minimal level or could establish an amount of charter capital in excess of this minimum. The result was enshrined in the constitutive documents of the company. In order to change the amount of the charter capital, a special corporate resolution was necessary to introduce the relevant changes to the constitutive documents which, in turn, had to be duly registered (usually with the same state agency that had registered the original corporate constitutive documents).⁷

The 1995 Russian Civil Code appears to bring together in its provisions portions of both the old as well as the new concept of charter capital. On the one hand, the provisions of the Code defining the procedures for forming the charter capital of a company generally follow the rules that were in force since 1990: minimum levels for charter capital are set forth in the Code and the constitutive documents of a Russian company enshrine the level of charter capital that has been selected by its corporate founders. However, in addition, the Civil Code also introduces criteria linking the amount of a company's charter capital to the value of its "net assets" (*stoimost' chistykh aktivov*); this, on the other hand, evokes the administrative-command concept of charter capital.

The intent of such linkage is to provide for a further level of protection for creditors of Russian companies.⁸ The 1990 Statute had introduced only fixed minimum requirements for charter capital but these were quickly overtaken by inflation and, furthermore, were applicable only at the moment of corporate formation. Therefore, a Russian company could incur indebtedness (or transfer of corporate assets) that might impair the maintenance of its charter capital, yet there were no explicit provisions in the 1990 Statute that afforded creditors any meaningful protection from such moves.

2. The Linkage between the Amount of Charter Capital and the Value of the Net Assets of a Company: The Concept of “Net Assets”

Under the 1995 Russian Civil Code, if at the end of the second or subsequent financial years of operation of a Russian company, the value of its “net assets” fall below its charter capital as stated in its constitutive documents: a) the company is required to re-register in the “established procedure” to reflect this reduction of its charter capital; and b) the company will be subject to — apparently automatic and involuntary — liquidation if the amount of charter capital thereby falls below the minimal charter capital level for the specific organizational-legal form of the company.⁹ These provisions for all intents and purposes are repeated in article 35 of the new Law of the Russian Federation “On Joint-Stock Companies”.

მახასიათებელ ნიშნად. აქედან მოყოლებული “გაკოტრების სამართალ-მა” (Fallimentsrecht) მე-19 საუკუნეში დაიწყო თავდაპირველად ფრანგული იმპერიის მიერ თავს მოხვეული ტრიუმფალური სვლა, რომელიც მოგვიანებით სამართლებრივ პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის დისკუსიებში გადაიზარდა და რომელმაც თვით აღმოსავლეთამდეც კი მიაღწია (პრუსია, პოლონეთი, ბალკანეთი და ბოლოს ცარისტული რუსეთი). დღესაც არსებული სისტემების განსხვავება მძიმე ტვირთად აწევს, მაგალითად, ევროკავშირში მიმდინარე სამართალშედარების სამუშაოებს (იხ. ზემოთ I 1 და ქვემოთ III 2). გაკოტრების სამართლის შემოფარგვლა, ეკონომიკურად რელევანტური შინაარსებით თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, საწარმოებით (ან სამართლებრივ ფორმაზე დამოკიდებულების თვალსაზრისით, სამეწარმეო საზოგადოებებით და იურიდიული პირებით) - ჩანს, რომ მოთხოვნებსა და რეალობას შეესატყვისება, გვხვდება რა დასავლეთში შედარებით სულ უფრო მცირე “კერძო გაკოტრებები”. ამდენად წმინდა პრაქტიკული მოსაზრებით არ არსებობენ მოსაზრებები ეკონომიკური შინაარსების, როგორც გაკოტრების კანონის ძირითადი გამოყენების შემთხვევების გათვალისწინების საწინააღმდეგოდ. სამაგიეროდ არსებობს მოსაზრებები მატერიის, როგორც მთელის განსაკუთრებულობის და თავისთავადობის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ. თეორიულად აქ ლაპარაკია განსაკუთრებული სამართლის შექმნაზე. კერძო სამართალში ეს არასასურველია, რადგან იგი ზოგადობასა და თანაბრობაზეა აგებული. პრივილეგიები და განსაკუთრებული შეზღუდვები, თვითრეგულირების მექანიზმები, როგორცაა სპეციალური სასამართლოები (მაგალითად, არაპროფესიონალებით შედგენილი კომერციული სასამართლოები) და სხვა ორგანიზაციული იძულებანი, ასევე რანგობრივი წესები აბრკოლებენ კონკურენციას და წარმოადგენენ საწყისებს სახელმწიფოებრივი საკონტროლო მექანიზმების ზოგადობისათვის (იხ. პენალურ სისტემებთან დაკავშირებით ზემოთ ა). ამის მაგალითს წარმოადგენს კომერციული სასამართლოების კომპეტენცია გაკოტრების საქმის წარმოების გასახსნელად არა მხოლოდ კერძო პირთა მოთხოვნის საფუძველზე, არამედ სამსახურებრივი მოვალეობის გამო ან “Ministere public”-ის (პროკურორის) მოთხოვნის საფუძველზე. წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით ამ სტატუსს, მსგავსად ყველა განსაკუთრებული სტატუსისა, გააჩნია დადგენის და დამტკიცების დამატებითი მოთხოვნილების ნაკლი, რომლებიც ეჭვის შემთხვევაში გაფართოებას (მაგ. კომერსანტიდან მორიგების ყველა მონაწილემდე) და ამით ბოლოს და ბოლოს პრინციპზე უარის თქმას განაპირობებს.

განსაკუთრებით საეჭვოა ამქრული და ჯგუფური იძულების ელემენტი, რამდენადაც იგი ცდილობს, განსაკუთრებული სტატუსიდან გამოპდინარემ, ლეგიტიმაციას მიაღწიოს. შემთხვევითი არაა, რომ “იძულებითი მორიგების” ინსტიტუტი (კონკორდატი, აკორდი და სხვა) წარმოიქმნა ისტორიული კომერციული გაკოტრების სამართლისაგან უმრავლესობის მიერ ვალდებულების იძულებითი შესრულებისაგან განთავისუფლების და სანაციის პირობებში. დღეს, ალბათ, აღარ მოისურვებენ-ზოგადი კერძო სამართლებრივი სისტემის როგორც თავისთავად მიღებული ხელშეკრულების - ერთხმად მიღების პრინციპისკენ დაბრუნებას, უმრავლესობის მიერ იძულების ლეგიტიმაცია და საზღვრები კვლავაც პრობლემად რჩება (იხ. ქვემოთ 2). იგი შესაძლოა კიდევ უფრო გამწვავდეს ეკონომიკურად დეტერმინირებული კრედიტორთა ავტონომიით, მასმასაღამე მეურნეობრივ საქმიანობაში მონაწილეთა ავტონომიის განმაზოგადებელი პოსტულატით. პრივილეგირებულთა ამგვარი საკრედიტო ავტონომია სწორედ რომ არ შეესატყვისება საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული იდეოლოგიურად განდიდებულ კერძო ავტონომიას, არამედ შეიცავს კორპორაციული სამართლებრივი აზროვნების მოძველებულ ელემენტებს, ამქრული იძულების იდეის ჩათვლით, და ამასთან მას თავის ნაპოლეონისეულ გამოვლინებაში არც თუ მშვიდობიანი ფესვები აქვს. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვილაპარაკოთ კონფლიქტზე ეკონომიკურ თავისუფლებასა და კერძო სამართლის თავისუფლებას შორის, ამ დროიდან მოყოლებული ეს კონფლიქტი სჭვალავს გაკოტრების სამართალს. თუმცა კონფლიქტი ლეგიტიმური არ არის. ეკონომიკური თავისუფლება, ამდენად, მხოლოდ ნაწილია კერძო სამართლებრივი თავისუფლებისა, და გაკოტრების სამართლებრივ კრედიტორთა ავტონომია მხოლოდ ამ ღონისძიების შემდეგაა ლეგიტიმური.

გაკოტრების საქმის წარმოებისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანი ზოგადი ხასიათი ზოგიერთ დასავლურ სამართლებრივ სისტემებში გასაოცრად შეესატყვისება სოციალისტური სამეურნეო სამართლის ნაკლოვან ზოგად ხასიათს, სპეციალური საარბიტრაჟო იურისდიქციის კომპეტენციის ჩათვლით. ეს შეცდომა უსასრულოდ არ უნდა გრძელდებოდეს და არც უნდა განმეორდეს საქართველოს კანონში გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ: ყოველი კერძო პირი წარმოადგენს “მოვალეს”, კომპეტენცია გააჩნიათ სამოქალაქო სასამართლოებს. ამას უნდა დაემატოს ის, რომ რაც სპეციალური კომერციული და ეკონომიკური გაკოტრების საწინააღმდეგოდ ითქვა, პრინციპულად ეხება სპეციალური “სამომხმარებლო გაკოტრების” და სტატუსთან დაკავშირებულ სხვა განსაკუთრებულ ფორმებსაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ მასთან, რო-

გორც ე. წ. ნაშთითი ვალისაგან განთავისუფლების გარკვეული ფორმების შემთხვევაში, დაკავშირებულია გარკვეული, კერძოდ კი დამოკიდებული, და ამდენად, ძალზე დაბალი სტატუსის გადაცემა.

2. თანამედროვე გაკოტრების სამართალი

ა) გერმანიის 1877/79 წლების დებულება გაკოტრების შესახებ, როგორც ისტორიული კომპრომისი

გერმანიის 1877/79 წლების დებულება გაკოტრების შესახებ თავდაპირველად გერმანიის სამართლებრივი ერთიანობის აღდგენის გზაზე ეროვნული კოდიფიკაციის სულისკვეთებით გამსჭვალული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, მაგრამ ამავე დროს სამართლებრივი პოლიტიკის ფაქტსაც წარმოადგენდა. 1815 წელს ნაპოლეონი ბელ-ალიანსთან და ვატერლოოსთან სამხედრო თვალსაზრისით დამარცხდა, სამართლებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით კი გერმანია “ფრანგული” და “გერმანული” სამართლებრივი იდეების საბრძოლო ველად იქცა. ფრანგული გაკოტრების სამართალი (Fallimentsrecht) (იხ. ზემოთ 1 გ) ძალაში დარჩა, უპირველეს ყოვლისა, ყოფილ საოკუპაციო ზონებში და რაინისპირა ვასალ სახელმწიფოებში და ამდენად გაკოტრების საპროცესო სამართლისა (იხ. ზემოთ 1 გ) და უამრავი პარტიკულარული კანონებისაგან შედგენილი გერმანული საკნებლიანი ხალიჩა კიდევ უფრო აჭრელდა. ტერიტორიულად გაფართოებულ პრუსიაში, ამგვარად, სამი განსხვავებული გაკოტრების სამართლის სისტემა აღმოჩნდა მოქმედებაში. რაინის პროვინციიდან ფრანგული საპროცესო, სავაჭრო და გაკოტრების სამართლისაგან მნიშვნელოვანი იმპულსები წარმოიქმნა. პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით მოთხოვნები დღევანდელი ტრანსფორმაციის პროცესის მსგავსად იშვა. რაინულ-ფრანგულმა გავლენამ ინდუსტრიალიზაციის გერმანული Take-off-ის შემდეგ (მიახლოებით 1842) მალე გამოიწვია (ძველი პრუსიული) გაკოტრების სამართლის განახლება 1855 წლის (PrKO 1855) გაკოტრების დებულების ფორმით. ამით შეიქმნა პრუსიული მოდელი ერთიანი გერმანული კოდიფიკაციისათვის. მიუხედავად ამისა, 1877/79 წლების დებულებამ “გაკოტრების შესახებ” მისი (პრუსიული) შემქმნელებისაგან ხელახლა მოითხოვა მაღალი საკოდიფიკაციო და კონცეფციური თვისებებით აღჭურვა, რათა იგი სხვა გერმანული ცალკეული სახელმწიფოებისათვის მისაღები ყოფილიყო. ესეც მოხერხდა.

1877/79 წლების “გაკოტრების შესახებ” დებულების წარმატების საიდუმლოება, ალბათ მის თანამედროვეობაში მდგომარეობდა. მძიმე

ეკონომიკური კრიზისებით გამოწვეული შთაბეჭდილების ქვეშ მიუხედავად მწვავე გლობალური აღმავლობისა (1847/48, 1857, 1866 და 1873), პრუსიელმა და გერმანელმა კანონმდებლებმა პირველებმა სცადეს (აქვე უნდა დაეასახელოთ ბელგია 1851), ინდუსტრიალიზაციის საუკუნეში სულ უფრო სწრაფად განვითარებადი და ლიბერალიზებული ეკონომიკის და საზოგადოების მოთხოვნები დაეკმაყოფილებინათ, ისე რომ სრულად არ მოწყვეტილიყვნენ საკუთარ და ძველ პრინციპებს. ისტორიული თვალსაზრისით გამოსადეგი გამოდგა, რომ საფრანგეთში, რომელსაც უმეტესად სამაგალითოდ მიჩნეული გაკოტრების სამართლის სამშობლოდ თვლიდნენ (ზემოთ I გ), არ ჩაატარეს უკვე კარგა ხნის წინ მოძველებული რეფორმები და გერმანიას გააჩნდა შანსი, განეხორციელებინა გერმანულ ნიადაგზე ფრანგული სამართლის რეფორმა, სხვათა შორის, უკვე მაშინ აქტუალური ანგლო-ამერიკული სარეფორმო კანონმდებლობის მოხმობის გზით (1867 აშშ, 1869 და 1870 ინგლისი) და ამ ახალ პროდუქტთან ერთად საერთაშორისო ასპარეზზე მოწინავეს ფუნქცია ეკისრა. ამას გარდა, 1877/79 წლის დებულებამ “გაკოტრების შესახებ”, როგორც “საუკეთესომ იმპერიის იურიდიულ კანონებს შორის”, მსგავსად მანამდელი 1855 წლის გაკოტრების დებულებისა (PrKO), წარმოქმნა რეცეფციის ტალღა საზღვარგარეთ ან, სულ მცირე, გავლენა მაინც იქონია მე-19 საუკუნის მიწურულს და მე-20 საუკუნის დასაწყისის რეფორმებზე (უნგრეთი 1881, იტალია 1883, დიდი ბრიტანეთი 1883, ესპანეთი 1885, საფრანგეთი 1889, შვეიცარია 1889, ნიდერლანდები 1893, აშშ 1898, ავსტრია 1914), რომლებიც დღესაც ჩვენი გაკოტრების სამართლის ფუნდამენტს წარმოადგენენ.

იდეოლოგიური თვალსაზრისით არა ბრმა, სქემატური რეცეფცია ან ტრანსფორმაცია, არამედ შემოქმედებითი სიმბიოზი, სინთეზი და ისტორიული კომპრომისი ფრანგულ და გერმანულ სამართალს შორის ახასიათებდა იმპერიის ახალ გაკოტრების სამართალს (სამოქალაქო საპროცესო სამართლის მსგავსად). 1877/79 წლების დებულებაში “გაკოტრების შესახებ”, ერთი მხრივ, არ გადმოიღეს საფრანგეთისათვის დამახასიათებელი შეზღუდვა კომერსანტებით, მაგრამ მეორე მხრივ იმდენ რამეს დაესესხნენ გაკოტრების საქმის ფრანგულ წარმოებას, რომ შეიძლება ვილაპარაკოთ საკომერციო გაკოტრების განზოგადებაზე ყველა კერძო პირთან მიმართებაში. განზოგადდა და გაძლიერდა კრედიტორთა ავტონომია, მაგრამ ამასთანავე მას წაერთვა თავისი ეკონომიკური და ამქრული ლეგიტიმაცია. ასევე, ყოველი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი გახდა (გაკოტრების დამსრულებელი) იძულებითი მორიგება, და ამით, რაღა თქმა უნდა, იძულებაც. კანონმდებელმა ეს გაამართლა

სხვასთან ერთად გაკოტრების როგორც განსაკუთრებული, შესაძლოა ხელშეკრულების ან სამეწარმეო საზოგადოების მსგავსი სამართლებრივი გაერთიანების კონსტრუქციით, რომლის ხელშიცაა გაკოტრების მსვლელობა. 1877/79 წლების დებულების “გაკოტრების შესახებ” მოტივები (კანონმდებლის დასაბუთებით) პრინციპულად ამბობდა: “გაკოტრების საქმის წარმოება, როგორც ასეთი, არის არა პროცესი, არამედ ეს არის სამოსამართლო ავტორიტეტის ქვეშ მიმდინარე დავა მოვალისა, რომელმაც შეაჩერა გადახდა, მის ყველა კრედიტორთან. უეჭველია რომ არსებობს გარკვეული მსგავსება კომერციული ფირმის ლიკვიდაციასთან”.

ვისაც აქ მხოლოდ ძალზე ლიბერალური მიჯნის დანახვა სურდა ან სურს, მხედველობიდან ეპარება, ჯერ ერთი: პროცესის მოჩვენებით (იხ. ქვემოთ) პრინციპულ კერძო ავტონომიურ განკარგვას ამჟამად ზოგადად ამართლებენ, მაგრამ მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით. თუმცა მეწარმეთ კრედიტორთა შორის ამით უფრო მეტი თავისუფლება ეძლევათ საამქრო პირობებთან შედარებით (ზემოთ 1 გ), ამასთანავე მათი ეკონომიკური ინტერესები ინსტიტუციონალურად პრივილეგირებული არ არის. კრედიტორთა მდგომარეობა გულისხმობს არა მხოლოდ უფლებებით აღჭურვას, არამედ შეზღუდვას და დავალდებულებას, ამასთანავე წარმოადგენს სოლიდარულ და ზარალიან გაერთიანებას “ყველას თანაბარ ინტერესებში”, ერთნაირი კერძო უფლებების შესაბამისად.

უპირველეს ყოვლისა არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ლიბერალიზმი ყველაფრის მიმართ: “სასამართლოს ავტორიტეტი” როგორც გადაწყვეტი მასშტაბი კრედიტორთა ყოველგვარი ავტონომიისათვის. საბოლოო გადაწყვეტილება ეკუთვნის ობიექტურ ინსტანციას, რომელიც თავის მხრივ დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს თანაბარი უფლებების შესახებ. (ამდენად, მაგ. Ordre-public-ის დარღვევაზე უარის თქმის ფრანგულ-პრუსიული მიზეზის გაუქმება ნიშნავდა, იძულებითი მორიგების სასამართლო დადასტურების შემთხვევაში, სასამართლოს განთავისუფლებას საჯარო სამართლებრივი მოვალეობისაგან გარკვეული მორიგების შენარჩუნების მიზნით). ისტორიული თვალსაზრისით უფრო მეტად საქმე ეხებოდა საერთო სამართლებრივი შემცენებითი პროცესის ფორმების თავიდან აცილებას და მათ შეცვლას თავისებური, მაგრამ ტოლფასი ახალი პროცესით, და არა საერთოდ მკაცრი საპროცესო ფორმალობის და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შეზღუდვას. ეს ლიბერალობას ნიშნავდა, ეკონომიკური თვალსაზრისის გათვალისწინების გარეშე.

გაკოტრების თავიდან ასაცილებლად სხვათა შორის გათვალისწინებული არ იყო იძულებითი მორიგება სიმკაცრის საპირისპირო

მნიშვნელოვანი ელემენტი, მსგავსად ზუსტად რეგულირებული გაკოტრების სისხლის სამართლისა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი როდია, რომ 1877/79 წ. დებულებამ “გაკოტრების შესახებ” სრულიად საპირისპირო რეაქცია გამოიწვია. ზოგს იგი ძალზე ლიბერალურად ეჩვენებოდა. უკვე 1893 წლის საპარლამენტო მოთხოვნები გამწვავების გამკაცრების თაობაზე იმით საბუთდებოდა, რომ კანონი “მანჩესტერის სკოლის იდეების პირმშოა, მორგებულია საბითუმო ვაჭრობას და გამომდინარეობს მცდარი შეხედულებიდან, რომ გაკოტრება, როგორც წესი, დაუმსახურებელი უბედურებაა”. მოთხოვნებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გამკაცრებას, შედეგი არ მოჰყოლია, ისევე როგორც მათ საპირისპირო მისწრაფებებს გაკოტრების პროფილაქტიკის სანაცოის სასარგებლოდ, ე. ი. იძულებითი მორიგების სასარგებლოდ, რომელიც გაკოტრების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად. რომელ ამ მიმდინარეობათაგანს შეეძლო დროულად შეეშალა ხელი - როგორც ამას მოგვიანებით ფრთოსანი გამოთქმა იტყვის - “გაკოტრების გაკოტრების-თვის” და ამასთან “გაკოტრების სისტემის გაკოტრებას” ეხებოდა საქმე, უკიდურეს პირობებზე უარის თქმას თუ სულაც ეკონომიკის მტყუნებას? არაფერი გამოხატავს კანონის უკუგდების ისტორიულ სიმცდარეს იმაზე უკეთ, ვიდრე ის, რომ გაკოტრების უახლესი გერმანული რეფორმის კულმინაციურ წერტილში ერთ-ერთმა ჯგუფმა, რომელიც გაკოტრების სამართლებრივ რეფორმაზე მუშაობდა (“გრავენბრუნის წრე”), საკმარისად მიიჩნია აქტებისთვის უკანასკნელი 200 წლის მანძილზე რეფორმების თაობაზე მიმდინარე დისკუსიის დართვა 1877/79 წლის გაკოტრების შესახებ დებულების ზოგიერთი პუნქტობრივი ცვლილებით, მთლიანი რეფორმა კი აუცილებელი არ არისო.

დღევანდელი თვალსაზრისით 1877/79 წლების დებულებას “გაკოტრების შესახებ” მისი დერივატების ჩათვლით, როგორცაა 1927/35 წლების დებულება “მორიგების შესახებ” (ქვემოთ ბ) და 1990/91 წლების დებულება “ერთობლივი აღსრულების შესახებ” (ქვემოთ 3 ბ) და მათი შემკვიდრე, ვერც თავის ძირითად ბირთვში, 1994 წლის დებულება “გაკოტრების შესახებ”, ისეთი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა, ხასიათდება მისი კონსტრუქციების დამაჯერებლობის და ვარგისიანობის უპირატესობით, ასევე - თუ შეიძლება ითქვას - უბერებელი თანამედროვეობით. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ეს კლასიკური მოდელი დაელო საფუძვლად საქართველოს კანონის “გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ” - ირგვლივ გამართულ კონსულტაციებს.

ბ) საერთო ეკონომიკური და სოციალური კრიზისის სამართალი

ძველი წყობის დასასრული პირველ მსოფლიო ომთან და მის კატასტროფულ შედეგებთან ერთად, რომლებიც ყველა სფეროში მოხდა, გაკოტრების სამართალშიც აისახა. მე-19 საუკუნეში ე. წ. სამორატორიუმო კანონმდებლობა (ე. ი. კანონით და სამთავრობო აქტით განსაზღვრულ საგანგებო სიტუაციებში ვალებისაგან საყოველთაო განთავისუფლების და გადავადების შესაძლებლობა) და ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორცაა ე. წ. ქონების დათმობა (cessio bonorum) კიდევ რომ რადიკალურად აღმოეფხვრათ როგორც მანუ მოვლენა საქმიანი მორალისათვის და ამით ეკონომიკის განვითარებისათვის, მეორე მსოფლიო ომის დაწყება კვლავ მოიტანდა მსგავსი მოქმედების კანონებს, მაგ. ზედამხედველობა საწარმოს საქმიანობაზე. ომის შემდეგ მეწარმეთა მხარემ, როგორც პოტენციურმა გაკოტრების მოვალეებმა “უდანაშაულოდ” - კერძოდ ისეთი გარეგანი ფაქტების გამო, როგორცაა ეკონომიკური კრიზისები, ინფლაცია, პოლიტიკური არასტაბილობა - რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილი საწარმოების გაკოტრების პროფილაქტიკის მიზნით აუცილებლად მიიჩნიეს სანაცია - უკვე დიდი ხნის ნანატრი. სოციალური კომპონენტი მასობრივი უმუშევრობის გამო გამოიკვეთა საწარმოთა და სამუშაო ადგილების შენარჩუნების მოთხოვნაში. სოციალიზმი (ბოლშევიზმის გარეშე), სოციალიზაციები და სხვა ერთიანი საზოგადოებრივი და ერთიანი ეკონომიკური მოდელები, გადამწყვეტი ხმის უფლების იდეის ჩათვლით, საღისეუსიო საკითხებს წარმოადგენდა.

ამ ვითარებაში გერმანიაში შეიქმნა გაკოტრების თავიდან აცილების სასამართლო წარმოების წესი (VglO 1927), “უპირველეს ყოვლისა ერთიანი ეკონომიკის გათვალისწინებით”, რომელიც არ იყო “ცალკეული მოვალის კრედიტორის ინტერესებთან იდენტური, არამედ “მეურნეობრივი არაგონიერულობის” მიზეზის გამო კრედიტორები წყვეტდნენ “ეხება თუ არა საქმე მოვალეს, რომლის შენარჩუნებაც ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულია. ნაციონალ-სოციალიზმის პერიოდში (VglO 1935) ტიპური იყო შემდგომი გამონათქვამი: “მთელი ხალხი” და “საერთო სარგებელი საკუთარი სარგებლიდან გამომდინარეობს”. ერთიანი ეკონომიკური ინტერესების შესახებ გადაწყვეტილება სასამართლოს უნდა გამოეტანა “უწყებრივი პროფესიული წარმომადგენლების” მხარდაჭერით. მიუხედავად ამისა, ის ერთიანი ეკონომიკური კატეგორიები საკანონმდებლო მოტივად დარჩა და თავად კანონის ტექსტში არ გამოჩენილა (განსხვავებით დღევანდელიდან, მაგ. საფრან-

გეთის 1985 წლის კანონში “სანაციის შესახებ”). კანონში არც ერთხელ, როგორც ასეთი, არ იყო მოხსენიებული “მოვალესთან მორიგების მიზანშეწონილობა” (Vergleichswurdigkeit). არსის მიხედვით ეს გულისხმობდა და შეფასება ხორციელდებოდა მის მიერ უმცირესი კვოტის გადახდის მიხედვით (თავისი ვალდებულებების 30% ან 35% ან 40%). ზოგადად მორიგების საქმის წარმოებისთვის შეჩერდნენ სამოქალაქო პროცესის ფორმაზე, რომელიც სტრუქტურულად შეესაბამება გაკოტრების საქმის წარმოებას, ასე რომ სამართლებრივ-პოლიტიკური შედეგები ერთობლიობაში ნაკლებ დრამატული იყო, ვიდრე მისი წანამძღვრები.

მეორე მსოფლიო ომმა კვლავ მოიტანა ომისა და ომის შემდგომი პერიოდის სპეციალური სამართლის არსებობა გერმანიაში, მაგალითად, სახელშეკრულებო სამართალი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ გერმანიაში სწრაფად და საგრძნობლად გაუმჯობესებული ეკონომიკური პირობების და ცხოვრების დონის გამო მორიგების სამართლის თვალსაზრისით სამართლებრივ-პოლიტიკურ საკითხად იქცა სრულიად გამართლებული, მაგრამ საბოლოო ჯამში სამართლებრივ-ტექნიკური მოთხოვნა, რომელიც გულისხმობს გაკოტრების სამართლისთვის დამახასიათებელ ე. წ. ორბილიკიანობის აღმოფხვრას და მორიგებისა და გაკოტრების ერთ კანონში შერწყმასა და ხმის მიცემას (მაგ. “სულის მოთქმის” გზით (Atempause) უცხოური ნიმუშის მსგავსად. ერთიანმა ეკონომიკურმა იდეებმა კვლავ გაიღვიძა, როცა 70-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკის კონიუნქტურულმა და სტრუქტურულმა ცვლილებებმა (ნავთობის კრიზისი, სავალუტო კრიზისი, მასობრივი უმუშევრობა, ნაციონალიზაცია) სიმშვიდე დაარღვია სოციალური საბაზრო ეკონომიკის სისტემაში, რომელიც ამასობაში მიღებული ისტორიული გამოცდილების მიხედვით აიგო. მისი შენარჩუნებისა და სრულყოფისათვის აქტუალური გერმანული გაკოტრების სამართლის რეფორმის (1878 - 1985) ჯერ კიდევ პირველი ფაზა ისეთი იდეების გავლენას განიცდიდა, როგორიცაა “გაკოტრების სამართალი როგორც სამეურნეო სამართალი” და განსაკუთრებით სოციალურ-ხელშეკრულებითი და სოციალურ-ვალდებულებითი (და ამდენად, საწარმოს მართვაში კოლექტიური მონაწილეობის, სანაციის და რეორგანიზაციის იდეა. ამის გამო, მის მიმართ გამოითქვა სანაციის ეიფორიის საყვედური”, რასაც მოჰყვა სხვა, მაგალითად, საყვედური კრედიტორის (უზრუნველყოფილი) უფლებების სოციალიზაციის და კონფისკაციის შესახებ. გარდა ამისა, კრიტიკა წარმოებით-ეკონომიკური არარენტაბელობის გამო (“სანაციის წეფითი” “Sanierungstopf”). კრიტიკა ეხებოდა მაგ. დაქირავებულის ინდივიდუალუ-

რი უფლებების მტკიცე უზრუნველყოფისა და პრივილეგიების (“სუპერ-პრივილეგია” დაგვიანებული ხელფასის მოთხოვნებზე, ხელშეკრულების მოშლისგან დაცვა, “სოციალური გეგმა”, “გაკოტრების შემთხვევაში მოცდენის თანხა” (Ausfallgeld) დაქირავებულთა მხარე კი თავის მხრივ კოლექტიურად გაერთიანებული წარმოების შენარჩუნებას მოითხოვდა, რაც სამუშაო ადგილის შენარჩუნებას ნიშნავდა. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლებოდა საპირისპირო მოსაზრება გამოთქმულიყო გაკოტრების სამართლის სუბვენციური ხასიათის შესახებ, ასევე კონკურენციის მომქანცველი ხასიათის შესახებ, რაც (დიდი) საწარმოების შენარჩუნებით იყო გამოწვეული. ერთი სიტყვით სოციალურის შემთხვევაშიც ეკონომიკური პრივილეგიებას ეხება საქმე.

ერთიანი - ეკონომიკური და სოციალური გაკოტრების სამართლის კონცეფციის არსი მისი ბუნების შესაბამისად პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროში ძვეს, მამასადაძვე, დამოკიდებულია პრინციპულ შეხედულებებზე სამართლის, საზოგადოების და ეკონომიკის შესახებ, ეკონომიკური სისტემის ჩათვლით. არც დასავლეთში არ არსებობს ამისთვის ერთიანი საბოლოო გადაწყვეტა. “გეგმიურ” ეკონომიკურ სისტემებს, როგორცაა საფრანგეთის და იტალიის ეკონომიკური სისტემები, ნაკლები პრობლემები აქვთ ღია ერთიან ეკონომიკურ საწყისთან. გერმანიას კარგა ხანს შეეძლო დასაყრდენი თავის “სოციალურ საბაზრო ეკონომიკაში” ჰქონოდა, სინამდვილეში კი, უპირველეს ყოვლისა, ზრდასა და კონიუნქტურას დაყრდნობოდა. გაკოტრების პოლიტიკა შესაძლოა ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი იყოს (განსაკუთრებით ე.წ. სტაბილურობის კანონის საფუძველზე), მაგრამ იგი იქამდე უფრო მეტად სუბვენციურ პოლიტიკაშია გახვეული და მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში და საგანგებო დროს იძენდა ახალ სასიცოცხლო ძალებს. ამასობაში პოლიტიკური ნება გაკოტრების ღია, პირდაპირი პოლიტიკის საწარმოებლად შეძლებისდაგვარად თავისუფალ, ღია და ღერეგულირებული ბაზრების ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში, პრაქტიკულად სიცოცხლის უნარს მოკლებული აღმოჩნდა და ეს მდგომარეობა 1994 წლის გაკოტრების სამართლის რეფორმების კანონშია სუბლიმირებული და დაცული. არსებობს უკუმოდრაობები და, კერძოდ, ისეთი ფორმისა, როდესაც “სოციალური სამართლებრივი ინსტიტუტები, როგორცაა ანგლო-ამერიკული სამართლებრივი სისტემის discharge “მომხმარებელთა” “გაკოტრებები” ან ნაშთითი ვალიდან განთავისუფლება, ნეოლიბერალისტურ” “მოვალეთა ციხეების” სახით შუქდება.

თუ საქართველოს მსგავსად გარდამავალი ქვეყნები დიდ იმედებს ამყარებენ თავისი ახალი გაკოტრების კანონების ერთიან ეკონომიკურ

და სოციალურ კომპონენტებზე (ან პირიქით, მათი ფორმის მიხედვით სოციალური და ერთიან-ეკონომიკური შედეგების წინაშე შიშის გამო უკან დაიხვეწენ - იხ. ქვემოთ 3 ა, მაშინ მათ აუცილებლად გაუცრუდებათ იმედები. რადგან ამ მიდგომით გაკოტრების სამართალი პრინციპულად, კერძოდ კი, პოლიტიკური თვალსაზრისით, ზომაზე მეტ მოთხოვნებს აყენებს. "სოციალური" გაკოტრების კანონი იმავე მოსაზრებას ბადებს, რასაც "ბაზართან შეთანხმებული" გაკოტრების სამართალი (იხ. დამატებით ქვემოთ გ), კერძოდ, გაკოტრების სამართალში, და არა მის გარეთ, ფუნდამენტური სოციო-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის სურვილს. არც გაკოტრების პოლიტიკა, არც ის ეკონომიკური მოსაზრებები, რომლებსაც გაკოტრების პოლიტიკა გულისხმობს, როგორც ასეთი არ ექვემდებარებიან სასამართლო განხილვას. სულ მცირე, საეჭვოა, რომ გაკოტრების უადრესად კერძო სამართლებრივი ინსტიტუტი გამოსადეგი იყოს პირდაპირი ეკონომიკურ-სამართლებრივი მოწესრიგებისათვის. ამიტომ ყველა სახის საერთო კეთილდღეობის, სოციალურ და მეურნეობრიობის წინაპირობებს გაკოტრების კანონში შექმნილი დაგვიკარად გვერდი უნდა აუეაროთ და კონფლიქტის მოგვარება სასამართლო გადაწყვეტილების ძალით კერძო სამართალში მიღებული მასშტაბებით უნდა შემოიფარგლოს.

გ) "ბაზართან შეთანხმებული გაკოტრების სამართალი"

"ბაზართან შეთანხმებული გაკოტრების სამართლის" წარმოდგენა მოიაზრება როგორც სოციალური კონცეფციის საპირისპირო (იხ. ზემოთ 1). ეს კონცეფცია უდევს საფუძვლად გერმანულ დისკუსიას და კანონმდებლობას 1985 წლიდან მოყოლებული დღემდე (დებულება "გაკოტრების შესახებ" 1994 წ.), როგორც სოციალურ-ლიბერალურიდან ქრისტიანულ-ლიბერალურ სამთავრობო კოალიციაზე პოლიტიკური ცვლილების შედეგს. კონცეფციაზე არსებითი გავლენა მოახდინა აშშ-ს ნეო-ლიბერალურმა წარმოდგენამ. დიდი გავლენა იქონია ამ კონცეფციამ გარდამავალ ქვეყნებშიც.

ამდენად, ეს კონცეფცია გამოირჩევა იდეოლოგიური, მაგრამ არა იურიდიული საწყისით. გაკოტრების პროცესის მსველელობა ეკონომიკურით, და კერძოდ, მიკროეკონომიკურით იზღუდება და იგი მნიშვნელოვანწილად კრედიტორის მეურნეობასთანაა გათანაბრებული. ძირითადი ერთეულებია: "ქონების ორიენტაცია" ორგანიზატორულ, ხელახლა სტრუქტურებადი საქმის წარმოებისგან განსხვავებით; "ლიკვიდაციის

და სანაციის თანაბარი რანგი”, ე.ი. სანაციას არ გააჩნია უპირატესობა; “დერეგულირება”, რომელიც მოიაზრება როგორც კანონის უპირატესობა “მოლაპარაკების გზით საკითხის გადაწყვეტისა” და სასამართლოს მეშვეობით მოწესრიგების საპირისპიროდ, მათ შორისაა “სასანაციო ლიკვიდაცია” როგორც ხორცშესხმული “contradiction” გაკოტრების სამართლის “adiectu”-ში; “კონცეფცია უკეთესი რეალიზაციისათვის”; “უარი ქონებრივ უფლებებში იძულებით ჩარევაზე”, რაც მოიაზრება როგორც დამცველი პრინციპი უზრუნველყოფილი კრედიტორისთვის და ასევე ეკონომიკური ძალაუფლებრივი პოზიციებისათვის; ამიტომ გაკოტრების სამართალი არ შეიძლება არღვევდეს “ინვესტიციების თავისუფლებას”; “ფინანსურად არამონაწილეებს”, როგორცაა მაგ. პროფკავშირები, პროფესიული ორგანიზაციები, ან სახელმწიფო, არ შეიძლება საქმის წარმოებისას გადამწყვეტი ხმის უფლება გააჩნდეთ. უნდა გამოვყოთ ასეთი სამართლებრივი თეზისი: კრედიტორი მსგავსად ადრე ნახსენები უმცირესი კვოტისა (ზემოთ ბ) არ უნდა აიძულონ, მიიღოს გაკოტრების გეგმა (იძულებითი საქმის წარმოება) ე.წ. სალიკვიდაციო ღირებულებით. ამით შეუძლებელი გახდება სანაცია, რომელიც მოთხოვნებზე უარის და გადავადების პირობებში მხოლოდ ხელსაყრელ ეკონომიკურ პროგრესს ემყარება ნაცვლად მოკლევადიანი პერსპექტივისა.

ამ კონცეფციას დასავლეთშიც ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. შემჩნეულ იქნა, რომ ყველა კონცეფცია, რომელიც კონკურენციის პრინციპებით მანიპულირებს, ვერ ითვალისწინებს იმას, რომ არ არსებობს ნამდვილი ბაზარი გაკოტრებულთათვის ან გაკოტრებული საწარმოებისათვის, უფრო მეტიც, ბაზრიდან გასვლა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე სამართლის მომწესრიგებელ, “ხილულ ხელს” მოითხოვს (იხ. ზემოთ I 3 a. E). გაკოტრების საქმის წარმოებისათვის საბაზრო სტრატეგიით განსაზღვრული სასაქონლო ხასიათის არალიარება სისტემურ-პოლიტიკური ამოცანაა. ყველაფერ ამას იხილ უნდა დაემატოს, რომ გაკოტრების სამართალში შეუძლებელია იმ საბაზრო და კონკურენციის პირობების განხორციელება, რომლებიც გაკოტრების საქმის წარმოების გარეთ არ არსებობენ. დასავლეთშიც კი, სულ მცირე, საჭირო იქნებოდა ღრმა გვერდითი რეფორმების ჩატარება, როგორცაა კრედიტის უზრუნველყოფის და საბანკო სამართლის, საკორპორაციო სამართლის და საკონკურენციო სამართლის რეფორმები. დღეს კი ჯერ-ჯერობით ძნელია, ბაზრიდან გასვლა გაგებულ იქნეს როგორც კონკურენციის პროცესის შედეგი.

კრედიტორთა ავტონომია განსაკუთრებულ შიშს იწვევს მაშინ, როცა იგი როგორც ცალკეულ კრედიტორთა და კრედიტორთა ჯგუფის

გაერთიანებაა და ამით სხვა პირთა კერძო უფლებების დარღვევას განაპირობებს. კრედიტორთა ავტონომიის პოსტულატს, რომლის მიხედვითაც ეს ავტონომია მოწოდებულია მიიღოს გადაწყვეტილება მოვალეთა ბედის შესახებ, რადგან საქმე ეხება “მათ ფულს და რისკს”, დიდი სიფრთხილით უნდა მოვეყიდოთ ბაზართან შეთანხმებულ ყველა მოდელს, როგორც ფუნდამენტურ პოზიციას. გაკოტრების საქმის წარმოებაში კრედიტორთა ავტონომიით მოხიბვლის გამო ჯეროვნად არ ფასდება კრედიტორთა პასუხისმგებლობა გაკოტრების გამო. მოვალის დალუპვა ხშირ შემთხვევაში სწორედ კრედიტორთა მეშვეობით ხდება. ეკონომიკურ დასავლეთში ტიპიურ შემთხვევებში საქმე ეხება ბანკებს, ხშირად ასევე საქონლის მიმწოდებლებს, რომლებიც კრედიტორს სარისკო კრედიტის გაცემის გზით ამავდროული ზედმეტი დაზღვევით გაკოტრებისკენ უბიძგებენ, რათა შემდგომში გაკოტრების საქმის წარმოებაში დომინირებადი დიდი კრედიტორის სახით კიდევ ერთხელ გადაწყვიტონ მათი ეკონომიკური მომავალი საკუთარი ინტერესების შესაბამისად, ამასთან სანაცია (განსაკუთრებით “სასანაციო ლიკვიდაციების” ფორმით, რომელიც ნებისმიერი საშუალებებით სარგებლის მიღებას ნიშნავს) შესაძლოა უფრო ვგოისტურ მიზნებს ემსახურებოდეს: უფრო პატარა კრედიტორები, სახელმწიფო თავისი მოთხოვნებით, და მოვალე პირში ჩალაგამოვლებულნი რჩებიან. დიდი კრედიტორების დიქტატურის ეს პრობლემა (და, საერთოდ ეკონომიკური ძალაუფლების პრობლემა - იხ. ზემოთ I 3) გაკოტრების სამართლის დასავლურ სისტემებს დამაკმაყოფილებლად არ გადაუწყვეტია. ამდენად, “ბაზართან შეთანხმებული” სისტემის შემთხვევაში საქმე ეხება მხოლოდ “ბაზართან შეთანხმებულ” გაკოტრების სამართალს.

გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებული წმინდა საბაზრო ურთიერთობების შემთხვევაში ზოგადად ლაპარაკობენ ეკონომიკური ნაციონალიზმის ბოროტად გამოყენებაზე და პოლემიკის გზით სოციალური დარვინიზმის შესახებ. შემადრწუნებელია ის, რომ სინამდვილეში თავისუფალი მეურნეობრიობის უკანასკნელი 200 წლის მანძილზე გაკოტრების სტატისტიკა მუდმივად იზრდებოდა მოსახლეობის რიცხვის ზეპროპორციულად (მაგ. გერმანია 1905: 7,700 გახსნილი გაკოტრების საქმე 61 მლნ. მცხოვრებზე; 1995 წ: დაახლოებით 30 000 გახსნილი გაკოტრების საქმე 81 მლნ. მცხოვრებზე). ტიპურია ასევე რეფორმის დასავლური სპირალები, ე. I. გაკოტრების სამართლის რეფორმის დაჩქარება, რაც, მაგალითად, აშშ-ში კანონებს შორის სულ უფრო მცირე რეფორმისტულ პერიოდებში აისახება 1898, 1938, 1978, 1984, 1986, 1994. საფრანგეთი - 1889, 1955, 1967, 1985, 1994 - ამ მოვლენის

ევროპული მაგალითია, რაც ეკონომიკური პრობლემების წინააღმდეგ უღონობას გამოხატავს და იმ ილუზიას ასაბუთებს, რომ გაკოტრების სამართალი წარმოადგენს გაკოტრების პრობლემას და არა თავად გაკოტრებებს (იხ. ზემოთ I, 3, დასასრულს).

ობიექტური, სახელმწიფო ადმინისტრაციული კონტროლის არარსებობა შეიძლება განვიხილოთ როგორც დასავლურ ბაზართან შეთანხმებული გაკოტრების სამართლის მოდელის მახასიათებელი. სახელმწიფოს ზედამხედველობა გაკოტრებაზე ნამდვილ ანათემას წარმოადგენს (სადავო გამოწვევები ეხება ბანკებს და დაზღვევებს). სინამდვილეში არ არსებობს უმარტივესი გადაწყვეტილებების საფუძვლები, როგორცაა მაგ. გაკოტრების მრავლისმეტყველი სტატისტიკა გაკოტრების საქმეებთან დაკავშირებით. ემპირიული დეტალური ცოდნა, როგორცაა ახლად დაარსებულ საწარმოთა გაკოტრებისკენ მიდრეკილება, მენეჯმენტის შეცდომების გადაწყვეტი როლი ან გაკოტრების საქმის წარმოების ფაქტორივი სტრუქტურა ხშირად ემყარება მონაცემთა ვიწრო ბაზას ან ყოველდღიურ თეორიებსა და ვარიანტებს. მაგრამ გასათვალისწინებელია ის, რომ სწორედ აშშ-ში 1944 წლის რეფორმით დაარსდა მუდმივი “National Bankruptcy Review Commission” - შესაძლოა ახალი საწყისი გაკოტრებაზე ნამდვილი საზედამხედველო უწყებისა, როგორსაც დასავლეთი ჯერ არ იცნობს. ამგვარი რამ საქართველოს თავიდანვე უნდა ეურჩიოთ, ისევე როგორც გაკოტრების სტატისტიკის შემოღება: თუ იცნობ ფაქტებს, მაშინ ბაზარსაც იცნობ და თუ იცნობ ბაზარს, მაშინ გაკოტრებისაც გაგებება.

3. ამჟამინდელი განვითარება გარდამავალ ქვეყნებში

ა) რეცეფცია, რესტავრაცია და რეფორმა

ბოლოს ნათქვამის შემდეგ კარგი იქნება ფხიზელი თვალი გადავაკოტრებთ გაკოტრების სამართლის თანამედროვე დასავლურ მოდელებს, განსაკუთრებით კი “ბაზართან შეთანხმებულ” მოდელებს (ზემოთ 2 გ). გაკოტრების კანონმდებლობის განვითარება პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებში ჯერაც სწორედ ამგვარი მოდელების გადაღებითაა დაღდასმული (ჩეხეთის რესპუბლიკა და სლოვაკეთი 1991/94, უნგრეთი 1991/92, რუსეთი 1992, უკრაინა 1991, ესტონეთი 1992, ბულგარეთი 1994, რუმინეთი 1995, ალბანეთი 1995).

თავისებური განვითარების გზები გამონაკლისს ქმნიან. მორიდე-

ბულმა მცდელობებმა გაკოტრების სოციალისტური სამართლის შესაქმნელად ზოგიერთ ქვეყანაში 1983 წლის შემდეგ (იხ. ზემოთ I 3), როგორც ჩანს, უმეტეს წილად ვერ გაუძლო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს და უკვე სამართლის ისტორიის კუთვნილებას წარმოადგენენ.

განსაკუთრებული შემთხვევებია ყოფილი გდრ (ქვემოთ 2) და ასევე პოლონეთი, რომელსაც შეეძლო თავის უფუნქციოდ დარჩენილ, მაგრამ ფორმალურად მოქმედ 1934 წლის გაკოტრების კანონს დაბრუნებოდა, მაგრამ პოლონეთის მაგალითი საბაბს იძლევა კითხვისათვის, თუ რატომ არ დაადგენ გარდამავალი ქვეყნები უფრო ხშირ შემთხვევაში გზას, აღედგინათ კავშირი სოციალიზმამდე სამოქალაქო ტრადიციასთან. ამ ქვეყნებში ადრე არსებობდნენ გაკოტრების კანონები, რომლებიც, სულ მცირე, დროებით კანონების სახით შეიძლებოდა ძალაში შეეყვანათ, რაც ზოგადად იმ უპირატესობას მოიტანდა, რომ შესაძლებელი იქნებოდა, გარდა ძველი კანონების ტექსტებისა, აღრიხდელი სასამართლო არქივისა და ლიტერატურის, როგორც ეროვნული წყაროს გამოყენება. არც სხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით დადგომიან ძველ გზას, ამას მოწმობენ უამრავი ახალი სამოქალაქო და სავაჭრო კოდექსები, კანონები სამეწარმეო საზოგადოებების შესახებ და სხვა. სოციალიზმიდან, როგორც ჩანს, უკან დასაბრუნებელი გზა არ არსებობს. ტრანსფორმაცია არ ნიშნავს ბურჟუაზიულ რესტავრაციას. ეს ძალზე საწყენია, რადგან ისტორიული და ეროვნული ტრადიციები ხალხლად მივიწყებული გამოდგნენ და სოციალიზმი ამგვარად მეორე გამარჯვებას ზეიმობს.

ამ მოვლენას უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეუთმოთ, როცა არა მხოლოდ დასავლური გავლენა და მოდერნიზაციის სურვილი, არამედ დამაბრკოლებელი ძალებიც მოქმედებენ. პრაქტიკა ახალი კანონების შესაბამისად უმეტეს ქვეყნებში, მსუბუქად რომ ვთქვათ, ჯერ ძალზე ჩამორჩება. რამდენიმე ქვეყანაში გაკოტრების ახალი კანონები თავდაპირველად ფორმალურად შერჩეული აღმოჩნდა (ასე მაგ. ჩეხეთის რესპუბლიკასა და რუსეთში). უპირველეს ყოვლისა, არ მოხერხდა დიდი სახელმწიფო საწარმოების გაკოტრების ახალი სამართლის მიხედვით სანაცია და ლიკვიდაცია. ეს საწარმოები ნაწილობრივ გამოთიშული აღმოჩნდა გაკოტრების ახალი სამართლის მოქმედების არედან (როგორც 1995 წელს ალბანეთში), გაკოტრების ახალი კანონების კავშირი პრივატიზაციის წინსვლასთან, თუ მის შერჩეებასთან აქ ნათელია (იხ. ზემოთ I 3). რამდენადაც საკმარისად არსებობს იმ ტენდენციის მაგალითები, შენარჩუნებული იქნეს სოციალისტური პერიოდის ინ-

სტიტუტები მოჩვენებით ანტი-რესტავრაციულ, სინამდვილეში კი ანტი-ტრანსფორმაციული მოტივებიდან გამოძინარე, იზრდება ტრანსფორმაციის სოციალისტურ რესტავრაციაში ჩახშობის საშიშროება.

თუმცა კი დასავლეთის მხრიდან უფრო მეტი ანალიზია საჭირო, არის თუ არა ტრანსფორმაცია და მოდერნიზაცია დასავლური ნიმუშის მიხედვით გარკვეულ წილად *a priori* ერთი და იგივე მნიშვნელობის მქონე. დასავლეთი, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მეთაურობით (იხ. ქვემოთ ბ და გ), ნეოლიბერალულ წმინდა მოძღვრებას ან მძიმე, სულ მცირე, “შოკურ თერაპიას” ეყრდნობა, რომელიც ხშირად ძველ დასავლურ და ძველ აღმოსავლურ ძალაუფლებრივ ელიტებს შორის მშვიდ შეთანხმებას წარმოადგენს. გაკოტრების კანონმდებლობა მთლიანობაში ამას ნათელს ფენს, უნდა დასესხებოდნენ რა ამ შემთხვევაში გაკოტრების სამართლის სტრუქტურასთან ერთად იურიდიულ ველსაც, განსაკუთრებით საბანკო, საკრედიტო და კრედიტების სადაზღვეო სისტემას და ამით შეურნეობრიობის რაღაც გარკვეულ სახეს. ეს არ შეესატყვისება გარდამავალ ქვეყნებში დღეს არსებულ სტრუქტურებს ზოგადად და, ან გაკოტრების ახალი კანონის უქონლობას იწვევს, ან მის ბოროტად გამოყენებას, განსაკუთრებით ძალაუფლების კონცენტრაციის გზით. ორივე საზიანოა და წარმოების საწინააღმდეგო ეფექტს ქმნის.

ბ) პრობლემატური მაგალითები: ყოფილი გდრ და ალბანეთი

ახლახანს (1995 წლის ოქტომბერი) ალბანეთის პარლამენტის მიღებული გაკოტრების კანონი გვიჩვენებს გარდამავალი გაკოტრების კანონმდებლობის განსაკუთრებულ ასპექტს, კერძოდ საერთაშორისო ინსტიტუტების გავლენას, მაგ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF-International Monetary Fund) გავლენა ეროვნულ კანონმდებლობაზე.

ალბანეთის გაკოტრების ახალ კანონს ირონიული წინარე ისტორია აქვს, რომელსაც ყოფილ გდრ-ში ჰქონდა ადგილი: გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით ყოფილ გდრ-თან მიმართებაში ტრანსფორმაციის პრობლემა იჩინა თავი, უკვე 1990 წლის მაისში გაერთიანების მომამზადებელ სახელმწიფო ხელშეკრულებაში სავალუტო, ეკონომიკური და სოციალური კავშირის შესახებ გდრ-ს დაევალა შეექმნა გაკოტრების სამართალი, რომელიც საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი იქნებოდა. ამით დასავლეთ გერმანიამ გდრ-ს შიდა გერმანული თვალ-

საზრისით იგივე პირობები წაუყენა, რასაც უყენებს საერთაშორისო სავალუტო ფონდი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს, პრინციპში სამართალს, მაგალითად, მსოფლიო ბანკისგან კრედიტის მისაღებად.

ყოფილი გდრ იმ სოციალისტურ სახელმწიფოებს ეკუთვნოდა, რომელთაც უკვე გააჩნდათ გაკოტრების სამართალი. მართალია, გდრ-მა 1975 წლიდან იდეოლოგიური და პოლიტიკური მიზეზების გამო გააუქმა, ჯერ კიდევ მოქმედი ერთიანი გერმანული 1877/79 წლების დებულება. გაკოტრების შესახებ (იხ. ზემოთ 2 ა), მაგრამ შემდგომ კოლექტიური აღსრულების გარკვეული ფორმების გვერდით სამოქალაქო პროცესუალურ კოდექსში შექმნა საკუთარი დებულება "ერთიანი აღსრულების შესახებ" (GVVO 1995). კანონს მხოლოდ კერძო სექტორში უნდა ემოქმედა და, ამის გამო, იგი უკვე გარეგნულადაც მცირე მოცულობის იყო. 1975 წლის დებულება "ერთიანი აღსრულების შესახებ" თავისი 18 მუხლით, ალბათ, "გაკოტრების შესახებ" შექმნილი ყველაზე მოკლე კანონი იყო მთელს მსოფლიოში. მაგრამ იგი, რამდენიმე გამოწვევის გარდა, ერთიანი გერმანული გაკოტრების დებულების ტრადიციას და სტრუქტურას ინარჩუნებდა, მისი ერთგვარი მინიატურული გამოცემა იყო. ასეთ ჭრილში დანახული 1975 წლის დებულება "ერთიანი აღსრულების შესახებ" წარუვალი მნიშვნელობისაა, გვიჩვენებს რა, რომ გაკოტრების კანონიც შეიძლება აკმაყოფილებდეს საკანონმდებლო და საკოდიფიკაციო იდეალებს, როგორცაა მაგ. სიმარტივე, ზოგადობა, ლაკონურობა და სიცხადე-დასავლეთში უკვე კარგა ხნის მანძილზე მიუღწეველი იდეალი. ახალი 1994 წლის ერთიანი გერმანული დებულება "გაკოტრების შესახებ" თავისი 335 მუხლით, მხოლოდ მოჩვენებითაა 1977/79 წლების "გაკოტრების შესახებ" დებულებაზე და 1935 წლის დებულებაზე "შორიგების შესახებ" მოკლე, რომლებიც შესაბამისად 224 მუხლს და 132 მუხლს შეიცავენ.

ფორმალური მოსაზრებით მით უფრო საინტერესოა, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში მოწესრიგებამ ფორმალურად გაუძლო გაერთიანებას და დღეს 1990წ. აგვისტოს ე.წ. გაერთიანების ხელშეკრულების ძალით ჯერაც მოქმედებს ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე, ისე რომ გერმანია გაკოტრების სამართლის თვალსაზრისით ჯერაც არაა გაერთიანებული. რა თქმა უნდა, აღმოსავლეთ გერმანული კანონის ფორმა არ წარმოადგენდა საკმარის მიზანს მისი შენარჩუნებისათვის, მაგრამ ეს არც დაბრკოლებას ქმნიდა. ის, რომ ყოფილ გდრ-ში უბრალოდ კი არ შემოიღეს დასავლეთ გერმანული (და 1975 წლამდე ერთიანი) გაკოტრების სამართალი და ამის ნაცვლად საწარმოთა გაკოტრების და პრივატიზაციის პრობლემების დასაძლევად დამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს მანამ მოქმე-

დი 1975 წლის დებულება ერთიანი აღსრულების შესახებ (GVVO 1975) რამდენიმე შესწორებით (GVVO 1995/GesO 1990 და 1991) აუხსნელი დარჩა დაუსრულებელი დასავლეთ გერმანული (და ახლა უკვე ერთიანი გერმანული) გაკოტრების ერთიანი რეფორმის გამო. პოლიტიკური კუთხით გამოცხადდა: აღმოსავლეთ გერმანიაში სურთ არა ძველი და ცუდი, არამედ შეძლებისდაგვარად მოკლე დროში გაუმჯობესებული (ერთიანი გერმანია) ახალი, “ბაზართან შეთანხმებული” სამართლის (იხ. ზემოთ 2 გ) შემოტანა. ის, რომ 1975 წლის “დებულება ერთიანი აღსრულების შესახებ” 1990/1991 წწ. დებულებაში “ერთიანი აღსრულების შესახებ” დასავლეთ ევროპული რეფორმების პროექტის ახალი პრინციპების მიხედვით გასწორდა, ამ თვალსაზრისით ნიშნავს, რომ აღმოსავლეთ გერმანული კანონი “უფრო თანამედროვე” იყო, ვიდრე ჯერ არარეფორმირებული დასავლეთ გერმანული სამართალი, და სასწრაფოდ გაჩნდა მოთხოვნები, ექციათ აღმოსავლეთ გერმანული კანონი რეფორმის საფუძვლად! მაგრამ ეს თუნდაც იმიტომ იყო რეალობას მოკლებული, რომ პოლიტიკური მტკიცებები ფარისევლურ ხასიათს ატარებენ აღსრულების შესახებ, 1990/91 წლების დებულება უპირველეს ყოვლისა, არ წარმოადგენდა ალტრუისტულ ქველმოქმედებას ყოფილი გდრ-თვის, არამედ მასში განსახიერებული შიდა გერმანული სამართლებრივი განხეთქილების შენარჩუნება გამოიყენებოდა როგორც შიდა პოლიტიკური ზეწოლის საშუალება საერთო გერმანული გაკოტრების სამართლის რეფორმის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ სრული მარცხი ემუქრებოდა, მწარე ირონიით უნდა შევნიშნოთ რომ გერმანული განვითარება, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როცა ტრანსფორმაციამ უკუგავლენა იქონია დასავლეთზე (იხ. ქვემოთ III 3).

უშუალოდ შიდა გერმანული პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემდეგ პერიოდს დაემთხვა პირველი სამუშაოები ალბანეთისათვის გაკოტრების ახალ კანონმდებლობაზე, რაშიც გერმანული მხარე იღებდა მონაწილეობას. ალბანეთს დიდი არჩევანი ჰქონდა: მას შეეძლო 1992 წელს შექმნილი კანონი სახელმწიფო საწარმოების გაკოტრების შესახებ კერძოზეც გაეკოტრებინა, დაბრუნებოდა იტალიურ სამართალს ან დაყრდნობოდა თანამედროვე იტალიის გაკოტრების სამართალს, ან მიემართა ახალი ევროპული ან ამერიკული მოდელისათვის. ალბანურმა მხარემ აირჩია პროექტი, რომელიც ეფუძნებოდა 1990/1991 წლების აღმოსავლეთ გერმანულ “დებულებას ერთიანი აღსრულების შესახებ”. აქ გადამწყვეტი გამოდგა პრაქტიკული მოსაზრება: ალბანეთს დასჭირდებოდა თავისი იმდროინდელი განვითარების დონის მიხედვით გაკოტრების მარტივი, მაგრამ ქმედითი კანონი. ამის შედეგად პირველი პრო-

ექტი, რომელიც მნიშვნელოვან წილად ორიენტირებული იყო “დებულე-ბაზე ერთიანი აღსრულების შესახებ” (GesO) მხოლოდ 24 მუხლს შეიცავდა. შინაარსობრივად რამდენიმე “დასავლეთ ევროპული” რეფორმების ელემენტი მიზეზთა გამო კვლავ ამოიღეს ან შეასუსტეს, რადგან ისინი ტრანსფორმაციის ურთიერთობებს არ მოერგებოდა. ასე, მაგალითად, ნივთობრივად უზრუნველყოფილი კრედიტორის მყარი პოზიციის ნაცვლად შეიქმნა ახალი ტიპის “საინვესტიციო პრივილეგია, რათა ალბანური ეკონომიკა დასავლური კრედიტის დაცვის უფლებებისა და ზედმეტი უზრუნველყოფის ჰიბრიდული ფორმისაგან დაეცვა და ნაცვლად კრედიტორთა უკიდურესი ავტონომიისა პროექტი ემყარებოდა გაკოტრების სამართლის განმტკიცებულ პოზიციას. უნდა გამოვყოთ ალბანური მხარის მტკიცე გამიჯვნა სანაციის “მსუბუქი” წესებისგან, რის გამოც ალბანეთში (განსხვავებით საქართველოსაგან) საქმის ძიების საწყისი სტადიიდან ამოუარდა “სულის მოსათქმელი პაუზა”. მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა ასევე ალბანეთის 1992 წლის კანონის აღმოფხვრის და სახელმწიფო საწარმოების დაქვემდებარება გაკოტრების ზუსტი კანონისადმი.

მას შემდეგ, რაც 1992 წელს პირველი პროექტი კიდევ ერთხელ - და კერძოდ ამასობაში საქართველოსათვის შემუშავებული პროექტის ტექსტის საფუძველზე (იხ. ქვემოთ 3) - გადამუშავდა და დაახლოებით 40 მუხლით გაფართოებული 1994 წლის შემოდგომაზე ალბანეთის პარლამენტში შეიტანეს, 1994/95 წლების ზამთარში ტირანაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინტერვენცია მოხდა, რამაც თითქმის ერთი წლით შეაყოვნა კანონმდებლობის პროცესი. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სხვასთან ერთად ალბანეთის პასუხისმგებელი ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგობის მიუხედავად პროექტის შეცვლა მოითხოვა, ცვლილებები საბოლოო ანგარიშით დაჯდა ამერიკანიზაციაზე, ნეოლიბერალიზაციაზე და სულ მცირე, “მოდერნიზაციაზე” 1994 წლის “გაკოტრების შესახებ” დებულების გაგებით. მოთხოვნები ასეთი იყო: (უზრუნველყოფილ) კრედიტორთა მყარი პოზიცია, სარეორგანიზაციო პროცესი აშშ-ს 1978 წლის BRA-ს II თავის მიხედვით “reorganization liquidations”-ის ჩათვლით. გაკოტრების კანონი არ გამოიყენება ბანკების მიმართ, ასევე ბანკების გაკოტრებისას ანაბრების მცირედ უზრუნველყოფა ან საერთოდ უზრუნველყოფის გარეშე დატოვება. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ამასთან წარმოადგინა თავისი სამართლებრივი განყოფილებების მეშვეობით ვაშინგტონში, და ნაწილობრივ საპარლამენტო კომისიებში შემუშავებული პროექტები. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოიყენა ალბანეთის მთავრობის გერმანული კონ-

სულტაციები, სხვა გერმანულ ექსპერტთა მიერ გაწეული დახმარება, რომლებმაც როგორც სამინისტროს მოსამსახურებმა ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ მოამზადეს ალბანეთის კანონის პროექტი, 1990/91 წლების აღმოსავლეთ გერმანიის დებულება “ერთიანი აღსრულების შესახებ”, რომელიც დასავლეთ გერმანული რეფორმებისათვის ზეწოლის საშუალებას წარმოადგენდა, ახლა კი მას სახელს უტეხენ როგორც “სიმპლიციტურს”. ირონიული წინარე ისტორია სატირთა თამაშის მსგავსად ალბანურ ნიადაგზე გაგრძელდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა წარმატებას მიაღწია. დამახინჯებული და ნაჯვარი პროექტიდან გამოსული კანონის ტვირთი ალბანელებმა უნდა ზიდონ, ეს კი ავის მომასწავებელი ნიშანია; დეკრეტით გაკოტრების კანონის გამოშვებასთან ერთად დიდი სახელმწიფო საწარმოები კანონის მოქმედების სფეროდან გამოირიცხა და იგი მინისტრთა საბჭოსთან თავმოყრილ სააგენტოს დაუქვემდებარეს. შემთხვევითი არა არის, რომ საბანკო კანონის შეცვლაც შეიძლება. ახალი ალბანური კანონის ზუსტი განსჯა კანონის ერთ-ერთ ვეროპულ ენაზე თარგმნის შემთხვევაში შეიძლება, ჯერჯერობით კი ამგვარი თარგმანი არ არსებობს.

გ) პერსპექტივა. საქართველოსათვის

ალბანური განვითარების გზა გდრ-ის წინა ისტორიასთან ერთად ამოღდ როდი იყო აქ აღწერილი, რადგან არსებობს იმის საშიშროება, რომ მსგავსი მოვლენები შესაძლოა საქართველოშიც განვითარდეს.

გაკოტრების საქმის წარმოების საქართველოს კანონზე მიმდინარე სამუშაოებზე აქ მხოლოდ სუსტად შეიძლება ლაპარაკი, რადგან მუშაობა ჯერ კიდევ არაა დასრულებული. მაგრამ იმის აღნიშვნა კი შეიძლება, რომ ამჟამინდელი პროექტი (44 მუხლი) წარმოადგენს თავის დროზე ალბანეთისათვის შედგენილი კანონის გაფართოებულ და შეცვლილ რედაქციას (რის გამოც ამ პროექტის მიხედვით 1995 წ. შექმნილი ალბანური კანონი თავის რამდენიმე ნაწილში მრავალწილად საქართველოს გაკოტრების სამართალს წარმოადგენს). მთავარი განსხვავება პროექტებს შორის მდგომარეობს “სანაციის კომპონენტში”, რომელიც ქართულმა მხარემ თავიდანვე მყარად ისურვა, ე.ი. საქართველოს კანონი გაკოტრების საქმის წარმოების შესახებ სანაციის და რეორგანიზაციის მიმართ უფრო კეთილგანწყობილი გამოდგა, ვიდრე ალბანეთის კანონი, რაც განსაკუთრებით აისახება სასამართლოს გარე სანირების ფაზაში, რომელიც გაკოტრების ჩატარებაში წინასწარაა

ჩართული, ამას გარდა, განსხვავება არსებობს საქმის იძულებითი წარმოების ელასტიურ წესებში (ყველასათვის წინადადებების შეტანის უფლებები უმცირესი კვოტის არარსებობა, ხმის უფლებების მოწესრიგებები, სასამართლოს დიდი როლი).

მაგრამ მაინც საკითხავია, ამგვარ გაფართოებულ კონცეფციას საერთაშორისო სავალუტო ფონდი, თუ იგი საქართველოს კანონმდებლობაზე მიმდინარე სამუშაოებში ჩაერთვება, მოწყალეების თვალთ შებედავს თუ არა, რადგან ახლაც, საქართველოსათვის გათვალისწინებულ მოწესრიგებასთან დაკავშირებით საქმე ეხება ისეთ მოწესრიგებებს, რომლებიც მონური ერთგულებით შეესატყვისებთან აშშ-ს და ახალ გერმანულ სამართალს. ადრე თუ გვიან საქართველოს საერთაშორისო ფონდთან კონფლიქტი ემუქრება და საქართველომ თავისი პოზიცია კარგად უნდა გააცნობიეროს.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თავისთავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფუნქციიდან და ძალოვანი პოზიციიდან შეუძლებელია. ეს ორგანიზაცია თავის მხრივ არც ყოვლის შემძლეა და არც ყველა საკითხშია კომპეტენტური, არამედ იგი თავისი წესდებითაა შეზღუდული. ამის შემდეგ ბევრი რამის თქმა შეიძლება იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდს არა აქვს უფლება მასპინძელ ქვეყანაში ნაცვალის კანონმდებლის როლში გამოდიოდეს. უფრო მეტიც, საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეზღუდულია ზოგადი პრინციპებით, როგორცაა მაგ. მოითხოვოს გაკოტრების კანონმდებლობის შექმნა. კანონმდებლობის დეტალები და საკუთარი კანონპროექტების და მოდელური კანონების წარდგენა საერთაშორისო სავალუტო ფონდისათვის ამის საპირისპიროდ წარმოადგენს *ultra vires* (და დამოუკიდებელი მასპინძელი ქვეყნების თვალსაზრისით გარკვეულ პირობებში კონსტიტუციას ეწინააღმდეგება კიდევ) და არ შეიძლება შესაბამისი სახელმწიფოების მიმართებაში დახმარების გაწევის პირობად გამოიყენონ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი პიროვნული თვალსაზრისით არ არის "განვითარების პროცესში იურიდიული დახმარების აღმოჩენისათვის", და საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონკურენცია თავისი წევრი სახელმწიფოების საკონსულტაციო ორგანოებთან (განსხვავებით კონსულტანტთა შორის გამართული კონკურენციისაგან) სხვა არაფერია, თუ არა რესურსების არასწორი განთავსება. ყოველ შემთხვევაში, ალბათ, საქართველოს უნდა ვურჩიოთ, პრინციპულად განიხილოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისწრაფებები. თავდაცვის მეორე ხაზზე კი უკვე ძირითად პრინციპებს შეეხება საქმე.

უპირველეს ყოვლისა თავიდან უნდა იქნეს აცილებული მცდარი

კონცეფციების საშიშროება. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთის გაკოტრების სამართალი სამართლებრივ-პოლიტიკურად არასტატიკურია, იგი მუდმივ განვითარებაშია. ის რაც ტენდენციასა და მოდას შეესატყვისება, ხვალ როგორც მოსველებული, შეიძლება დეზავუირებულ იქნეს. გარდა ამისა, დასავლეთშიც არსებობს იდეოლოგიები, რომლებიც ძალაუფლებას ესწრაფვიან. ასე, მაგალითად, უკვე ათეული წელიწადია საერთაშორისო სავალუტო ფონდს ნეოლიბერალი ტექნოკრატიების ბურჯს უწოდებენ, რომელთაც არაფრად მიაჩნიათ სოციალური საბაზრო ეკონომიკა და ღარიბი ქვეყნების პრობლემების შესახებ ხშირად არაფერი იციან ან ყოველ შემთხვევაში მათ შეგნებულად სურთ მოაქციონ ეს ქვეყნები “შოკური თერაპიის” ქვეშ. ამასთანავე შეიძლება სავალუტო ფონდის პოლიტიკასა და დასავლეთის საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედი დიდი საწარმოების სტრატეგიას შორის ინტერესთა თანხვედრა ამოვიცნოთ გაკოტრების სამართალს, რომელიც ამ ინტერესებსაა მორგებული. შესაძლოა თბილისის საბანკო სფეროებისათვის ან ათი ათასამდე ახლად გამდიდრებული ქართველისათვის და ზოგიერთი უცხოელი ინვესტორის ხელმძღვანელთათვის რაღაც საეჭვო მომზიბვლელობაც გააჩნია, მაგრამ არა საქართველოს ეკონომიკის მონაწილეთა უდიდესი ნაწილისათვის, კომერსანტთათვის, ხელოსნებისა და გლეხებისათვის, მოკლედ: მოქალაქეთათვის, რომელთა მხრებზეც ძვეს, უპირველეს ყოვლისა, ტრანსფორმაციის ტვირთი. გაკოტრების სამართალი უკიდურესი დასავლური ნიმუშის მიხედვით ეკონომიკურ პირობებზე შესატყვის დაღს დაამჩნევს (იხ. ქვემოთ, დასასრულს) და ამის შესატყვისად მძიმედ დააწვება მცირე და საშუალო საწარმოებს, რომელთა შექმნა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

თუ დამატებით იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საქმე ეხება ისეთ არც თუ უმნიშვნელო საკითხებს, როგორიცაა ეროვნული დამოუკიდებლობა, ძველი ტრადიციების შენარჩუნება და ახლის შექმნა, ზოგადად ნამდვილი თავისუფლება და შესაძლებლობა მიიღო დახმარება საკუთარი ღირსების შეულახავად, ჩნდება გზა, რომელსაც დაადგა სავალუტო ფონდი ალბანეთში და ხშირად ირჩევენ დასავლელი ექსპერტები, და რომელიც საზიფათოა მასპინძელი ქვეყნებისათვის დროითი დანაკარგებისა და იმ დანაკარგების გამო, რომლებიც წინააღმდეგობათა პროცესში წარმოიქმნება. შემთხვევითი არაა, რომ ისეთი ქმედება, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედება, ალბათ არ შეესატყვისება ყველა თავისი წვერი სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებას. განსაკუთრებით არ შეესატყვისება ეს გერმანიის პოზიციას, გაგებულ იქნეს იურიდიული საკონსულტაციო დახმარება როგორც თავსმოხვეული სისტემა

(System-Oktroi). კომპეტენტური ორგანოები, როგორცაა ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), ასევე იურიდიული დახმარების ფონდი ახორციელებენ დახმარების პოლიტიკას, რომელიც თვითდახმარებისკენაა მიმართული. თუ ისეთი ქვეყნები, როგორცაა ალბანეთი და საქართველო დამოუკიდებლად აირჩევენ რომელიმე კონცეფციას, ეს არჩევანი კითხვის ქვეშ არ უნდა დადგეს ეკონომიკური ძალაუფლებრივი საშუალებების მეშვეობით. ასეთთა რიცხვს ეკუთვნის უცხოელი ინვესტორების ვერ მიზიდვის საშიში წინასწარმეტყველებანი. კომპეტენტური შეფასების მიხედვით ინვესტორებს რეალურად აღელებთ არა რაღაც გარკვეული ფორმის შექმნა და მით უმეტეს გაკოტრების სამართლის მომწესრიგებელი მექანიზმებისადმი კეთილგანწყობა ლიკვიდაციისა და სანაციის მიმართ, არამედ მათი წინასწარი გაანგარიშების შესაძლებლობა, ე.ი. უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი საიმედოობა და სასამართლოთა ეფექტურობა. ამ კრიტერიუმს ქართული პროექტი უფრო მეტად პასუხობს, ვიდრე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოდელური წარმოდგენები.

საბოლოო ჯამში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მოხერხდება საქართველოს ახალი გაკოტრების სამართლის შექმნა რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოების ხელში არსებითი მოსაზრებების გარეგანი ზემოქმედების გარეშე.

III. პერსპექტივა: საერთაშორისო ასპექტები.

უკვე მიღებულმა მაგალითებმა გვიჩვენა, საქართველოს ახალი გაკოტრების სამართალი თავისი ფორმისგან სრულიად დამოუკიდებლად ცალკეულ დეტალებში როგორც ისტორიული, ასევე საერთაშორისო განვითარების ნაკადში მოექცა. მაგრამ არსებობს კიდევ სამი სპეციფიური საერთაშორისო სამართლებრივი მოსაზრება, რომელთა შესახებ ზოგადად მაინც უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.

1. საერთაშორისო გაკოტრების სამართალი

საერთაშორისო გაკოტრების სამართლის წესები ეხება ისეთ ეროვნულ გაკოტრებებს, რომელთაც რაიმე “შეხება გააჩნიათ უცხოეთთან”, მაგალითად, ისეთი შემთხვევები, როცა ქართველ მოვალეს საზღვარგარეთ აქვს ქონება ან ქართველი კრედიტორი თავისი მოვალის საზღვარგარეთ გახსნილი გაკოტრების საქმის წარმოებას უპირისპირდება. აქ დგება

ქართული სასამართლოების მიერ საზღვარგარეთ ქართული გაკოტრების საქმის გახსნის საერთაშორისო კომპეტენციის საკითხები, გამოსაყენებელი გაკოტრების სამართლის საკითხის ჩათვლით, ასევე საქართველოში უცხოურ გაკოტრებათა აღიარების საკითხი.

გაკოტრების ახალ კანონში მოცემული იქნება ამ ტიპის ნორმები. ისინი დაეფუძნებიან ე.წ. უნივერსალიზმის და ექსტრატერიტორიულობის ძირითად იდეას, რომელიც დღეს სულ უფრო მეტად შეესატყვისება საერთაშორისო სტანდარტებს. ცალკეული საკითხები უჩვეულოდ რთულია, რადგან კოლიზიური სამართლის სირთულე გაკოტრების სამართლის სირთულესთანაა შერეული. ამდენად ისინი საქართველოში სპეციალისტებმა უფრო ახლოს უნდა შეისწავლონ.

განვითარებული საერთაშორისო გაკოტრების სამართალი ამავე დროს აუცილებელი წინაპირობა და შედეგია ქართული ეკონომიკისა და საზოგადოების საერთაშორისოსთან სასურველი შერწყმის. ეს მატერია მნიშვნელოვანწილად ესწრაფვის მისი წესების საერთაშორისო უნიფიცირებას.

2. საერთაშორისო გაკოტრების სამართლის უნიფიკაცია

ადრე თუ გვიან საქართველოსათვის გამოიკვეთება გაკოტრების სამართლის სფეროში საერთაშორისო კონვენციებში მონაწილეობის აუცილებლობა და მოთხოვნა.

სამართლებრივი უნიფიკაცია შეიძლება იყოს როგორც საერთაშორისო გაკოტრების სამართლის (ზემოთ 1.), ასევე “მატერიალური”, ნივთობრივი გაკოტრების სამართლის უნიფიკაცია. უკანასკნელს დასავლეთშიც კი ჯერ კიდევ სამომავლო მოვლენად თვლიან, მაგრამ მოსალოდნელია, რომ “მსოფლიო გაკოტრების სამართლის” იდეა ერთ დღეს რეალობად იქცევა, როგორც ეს “მსოფლიო სავაჭრო სამართლის” იდეას დაემართა. ამიტომაც, რომ UNCITRAL ამასობაში გაკოტრების სამართლის თემას დაუბრუნდება. გარკვეული საწყისები გაკოტრების სამართლის მატერიალური უნიფიცირებისათვის ევროკავშირიც არსებობს, ალბათ უკვე მალე ბანკებისა და სადაზღვევო საწარმოების გაკოტრებისათვის.

ზოგადად თავდაპირველად საერთაშორისო გაკოტრების სამართლის უნიფიცირებას გულისხმობენ, მაშინ როცა ევროპაში ამასობაში ევროსაბჭოს 1990 წლის შეთანხმების და ევროკავშირის 1995 წლის შეთანხმების ორმაგი გამარჯვებით - უკვე მოხსენიებული (ზემოთ II) -

შეუძლია იამაყოს, უპირველესად იმის გამო, რომ საერთოდ შესაძლო გახდა, მიუხედავად თემის სირთულისა ამგვარი შეთანხმება დაელოთ. აქაც საქართველოსათვის იშლება პერსპექტივა ამ და სხვა შემთხვევაში მთავარი ინტეგრაციის დონის მიხედვით მიიღოს მონაწილეობა.

მაგრამ საქართველოს დიდი საერთაშორისო პერსპექტივის გამო არ უნდა გამოჩნეს თავისი რეგიონული ინტერესები და კავშირები. ბუნებრივია, ეს კავშირები ყველა მიმართულებით გაფართოვდება. აქაც, რამდენადაც ამის საშუალებას პოლიტიკური მიმართულებები იძლევა, საჭიროა დაფიქრება რეგიონულ პარამონიზაციაზე გაკოტრების სამართლის სფეროში, ამასთან, გაკოტრების მრავალმხრივი კონვენციის შესაძლოა შუალედურ მიზნად იქცეს. განსაკუთრებულ შემთხვევებში ან მისთვის მნიშვნელოვან სახელმწიფოებთან შეიძლება საქართველოს რესპუბლიკამ აუცილებლობის შემთხვევაში მოკლევადიანი ორმხრივი კონვენციები დადოს გაკოტრების ორმხრივი აღიარებისთვის. ამის თანამედროვე მოდელები ევროპაში ბლომადაა.

3. შედარებითი სამართალმცოდნეობა გაკოტრების სფეროში

სამართლებრივი შედარება გაკოტრების სამართლის (ნაციონალურ ასევე საერთაშორისო) სფეროში წარმოადგენს შესაძლო ძირითად საერთაშორისო სამართლებრივ დისციპლინას, რომელიც აქ უნდა დავასახელოთ. გაკოტრების სამართლის შედარება წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიურ საგანს, კომპლექსურობით განპირობებული, განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნებით და შესაბამისად მაღალი შემეცნებითი ინტერესებით, არამედ ისეთ სფეროში, როგორცაა გაკოტრების სამართალი პრაქტიკულ აუცილებლობასაც. ეს ითქმის საერთაშორისო გაკოტრების სამართალზე (ზემოთ 1), რომელიც კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის დროს გამოიყენება. იგივე ეხება საქართველოს გაკოტრების სამართლის შიდა გამოყენებასა და პრაქტიკას. იმის გამო, რომ მას ღრმა ფესვები აქვს გადგმული სამართლის ისტორიაში (განხილული როგორც სამართლებრივი შედარების ერთი ნაირსახეობა) და მრავალ უცხოურ ნიმუშებში.

მამასადამე, გაკოტრება არის საერთაშორისო სამართლებრივი ცხოვრების მიკროკოსმოსი. მასში საქართველოს მომავალი სრული წილი ექნება. დასავლეთში განსაკუთრებით მიმზიდველად გამოიყურება უკუშეპირისპირება, Feedback გარდამავალი ქვეყნებისაგან. იგი პრაქტიკული დეტალებით არ შემოიფარგლება. ერთ დღეს დღევანდელი კონცეფ-

ციების მიმწოდებელი ქვეყნები შესაძლოა ტრანსფორმაციის პროცესებიდან წარმოქმნილი კონცეფციებით მოსარგებლე ქვეყნებად იქცნენ.

ამდენად ძალზე მნიშვნელოვანია, ტრანსფორმაცია მოიაზრებოდეს არა მხოლოდ როგორც რეკეფციის გარდამავალი ფაზა, არამედ როგორც ახალი ეპოქის ერთობლივი დასაწყისი.

სპეციალური ლიტერატურა გაკოტრების ტრანსფორმაციის ზოგადი პრობლემების შესახებ იხ. გვ. 307-308.

ბაკოტრების სამართლის ზოგიერთი საკმითხი

(გერმანულ წყაროებზე დაყრდნობით)

როინ მიგრიაული

ასპირანტი, ბრემენის უნივერსიტეტი

1. სამოქალაქო ბრუნვა ხასიათდება მრავალმხრივი სამართლებრივი ურთიერთობებით, რომლებიც აღმოცენდებიან სხვადასხვა გარიგებებიდან. გარიგება კი წარმოშობს ვალდებულებებს. მაგალითად, ნაყიდი ან მიწოდებული საქონელი, კრედიტი ან სესხი, იჯარით აღებული ან ნაქირავები ნივთი, ჩეკი ან თამასუქი უნდა აანაზღაუროს ვალდებულმა პირმა განსაზღვრული დროის განმავლობაში. რიგი ვალდებულებებისა მაშინვე არ საჭიროებენ დაფარვას, ხოლო ხშირ შემთხვევაში მათი შესრულება კრედიტორის ნდობას ემყარება, იმას, რომ ვადის დადგომისას მოვალე შეასრულებს თავის ვალდებულებას.¹

დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მოვალედ ყოფნა სამოქალაქო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი მოვლენაა. ასეთივე „ნორმალური“ მოვლენაა მოვალის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულებლობა. გარკვეული გარემოებების გამო მოვალე შეიძლება აღმოჩნდეს უუნარო შეასრულოს ფულის გადახდასთან დაკავშირებული ვადამოსული ვალდებულებები. გადახდისუუნარობა აქცევს მას ვალაუჯალ მოვალედ.

2. ვალაუჯალობის მასშტაბები უფრო ნათლად ჩანს კომერციული ბრუნვის დროს. ალღოს უქონლობამ, კომერციული საქმიანობისათვის დამახასიათებელმა „თამაშის წესების“ უცოდინრობამ, და რაც მთავარია, მძაფრმა კონკურენციამ შეიძლება მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი. სამეწარმეო საზოგადოება ბალანსის მიხედვით შეიძლება დავალიანდეს (Überschuldung), კერძოდ, მაშინ, როცა მისი პასივები გადააჭარბებს აქტივებს. თუმცა საზოგადოების დავალიანება ყოველთვის არ გულისხმობს მის გადახდისუუნარობას. მოვალე საზოგადოებამ ლიკვიდურობა შეიძლება შეინარჩუნოს, მაგალითად, კრედიტის აღებით. თუ იგი მანც გახდა გადახდისუუნარო და აღარ შეუძლია თავისი კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება, ეს უკვე ნიშნავს მის ეკონომიკურ კატასტროფას.² მეწარმის რისკი და გაზრდილი პასუხისმგებლობა უფრო მეტად უქმნის მას

საფრთხეს იქცეს ვალაუვალ მოვალედ, ვიდრე სამოქალაქო ურთიერთობების სხვა მონაწილეს.

გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ საწარმო უმეტეს შემთხვევაში ლიკვიდირდება (თუმცა იგი თვითონ გადაწყვეტს, დარჩეს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტად, თუ შეწყვეტოს არსებობა). გაკოტრების მეშვეობით მაშინათვე იცვლება საზოგადოების მიზანი მოგების მიღებიდან ლიკვიდაციისაკენ.³ ლიკვიდაციის შემდეგ კი საწარმო სრულად გამოირიცხება სამეწარმეო, შესაბამისად, სამოქალაქო ურთიერთობებიდან: იგი უქმდება ოფიციალურად, რაც სამეწარმეო რეესტრიდან მის ამოშლაში გამოიხატება. სამოქალაქო ურთიერთობებიდან გამორიცხვის შემდეგ საწარმო აღარ გვევლინება სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა სუბიექტად. საწარმოს გამორიცხვა სამოქალაქო ურთიერთობებიდან ისეთივე ნორმალური სამართლებრივი მოვლენაა, როგორც მისი თავდაპირველი ჩართვა ამ ურთიერთობებში.

რაც შეეხება ინდივიდუალურ მეწარმეს, გაკოტრების წარმოებაში კრედიტორების დაკმაყოფილებას ემსახურება როგორც მისი ინდივიდუალური საწარმო (როგორც ქონება), ისე აღსრულებას ქვემდებარე სხვა დანარჩენი ქონება. თუკი გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ მას დარჩა იმდენი ქონება, რომ ხელი მოჰკიდოს ახალ საქმეს (ადრინდელმა საქმემ ხომ იგი გაკოტრებამდე მიიყვანა!), მაშინ იგი კვლავ განაგრძობს სამეწარმეო საქმიანობას (ანუ დარჩება სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტად). უმეტეს შემთხვევაში ინდივიდუალური მეწარმე გაკოტრებით მეურნეობრივად იმდენადაა წელში გატეხილი, რომ თავს ანებებს მეწარმეობას, ე. ი. აღარ მონაწილეობს სამეწარმეო ურთიერთობებში. იგი ოფიციალურად ამოიშლება სამეწარმეო რეესტრიდან. სამეწარმეო ურთიერთობებიდან ინდივიდუალური მეწარმის გამოსვლა კი არ ნიშნავს მის ავტომატურ გამორიცხვას სამოქალაქო ურთიერთობიდან. იგი, როგორც ფიზიკური პირი კვლავ რჩება სამოქალაქო უფლება-მოვალეობათა სუბიექტად — მას თანასწორუფლებიანად შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სამართლებრივ და სამეურნეო ცხოვრებაში: დადოს და მოშალოს ხელშეკრულებები, განაცხადოს პრეტენზიები, წარადგინოს სარჩელები და ა. შ.

იგივე შეიძლება ითქვას ფიზიკურ პირზე, რომელიც გერმანული სამართლის მიხედვით წარმოადგენს გაკოტრების დამოუკიდებელ სუბიექტს. გაკოტრების მეშვეობით ფიზიკური პირი არ გამოირიცხება სამოქალაქო ურთიერთობიდან. ასეთი გამორიცხვა მხოლოდ ანტიკური პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. ანტიკურ ხანაში ვალაუვალი მოვალე, რომელიც თავის ვალებს ვეღარ იხდიდა, თვითონვე გაიყიდე-

ბოდა კრედიტორების სასარგებლოდ, ანუ ნივთად (მონად) იქცეოდა. ასე რომ, გაკოტრება არ ნიშნავს ფიზიკური პირის „სამოქალაქო სიკვდილს“, მას მხოლოდ შეეკვეცება სამოქალაქო უფლებები, ისიც მხოლოდ საგაკოტრებო წარმოების პერიოდისათვის.⁴ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაკოტრებამ შეიძლება მხოლოდ გარკვეული უარყოფითი როლი შეასრულოს ფიზიკური პირის შემდგომ ეკონომიკურ ცხოვრებაში. იგი იმდენადაა დაუძლურებული თავისი ვალებით, რომ ფაქტობრივად ამთავრებს თავის შემდგომ სამეურნეო საქმიანობას ცხოვრების დარჩენილი დროისათვის.⁵

ამრიგად, მეწარმის საქმიანობა, რომელიც მოგების მიღებისკენაა მიმართული, ლოგიკურად შეიძლება დასრულდეს ან მისი მართლზომიერი გამდიდრებით, ან გაკოტრებით (თავისი თანმდევი შედეგებით).

3. გერმანული სამართალი და სამართლის თეორია გაკოტრებას კონკურსს (Konkurs) უწოდებენ. საგაკოტრებო ურთიერთობების მომწესრიგებელ ძირითად აქტს საკონკურსო დებულება (Konkursordnung, შემოკლებით KO) ეწოდება. ჩვეულებრივ, ორდინარული მნიშვნელობით „კონკურსი“ გულისხმობს საერთო ღონისძიებაში რამდენიმე პირის მონაწილეობას მათი ინტერესების ერთპიროვნულად ან კოლექტიურად განხორციელების მიზნით. მაგალითად, აბიტურიენტთა კონკურსი უმაღლეს სასწავლებელში ჩასარიცხად, სახელმწიფო ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით გამოცხადებული კონკურსი და სხვ. კონკურსი, ჩვეულებრივ, გულისხმობს მონაწილეთა კონკურენციას, შეჯიბრებითობას მონაწილეებს შორის. ორდინარული კონკურსის მსაგავსად, საგაკოტრებო კონკურსშიც რამდენიმე პირი მონაწილეობს ერთი მიზნით: მიიღონ დაკმაყოფილება მათი საერთო მოვალის ქონებიდან. მაგრამ საგაკოტრებო კონკურსს აკლია ორდინალური კონკურსისათვის დამახასიათებელი თვისებები, კერძოდ კონკურენცია და შეჯიბრებითობა მონაწილეებს (კრედიტორებს) შორის. საგაკოტრებო კონკურსის დროს გაკოტრების კრედიტორები არ კონკურირებენ ერთმანეთთან, ყველა თავიდანვე იმედოვნებს, რომ საბოლოოდ „გაიმარჯვებენ“, ანუ თითოეული მათგანი მიიღებს რაღაც წილს მათი საერთო მოვალის ქონებიდან. ამასთან, თუკი გაკოტრების წარმოებაში მხოლოდ ერთი კრედიტორი მონაწილეობს, მაშინ კონკურსსაც არ ექნება საერთოდ ადგილი. ამიტომ საგაკოტრებო ურთიერთობებში გამოყენებული სიტყვა „კონკურსი“, ჩემის აზრით, არც თუ ისე ზუსტად მიესადაგება მის შინაარსს. ამასთან, პრაქტიკულ გამოყენებაში სხვადასხვა კონკურსის ერთმანეთისაგან განსასხვავებლად ყოველთვის გეჭირდება რაიმე განმსაზღვრელი სიტყვის დართვა, მაგალითად, საუნივერსიტეტო კონკურსი, საპრივატიზაციო კონკურსი, კონ-

კურსი ვაკანტური ადგილის დასაკავებლად და ა. შ. ასევე: საგაკოტრებო კონკურსი. ასე რომ, საგაკოტრებო სამართალში უარი უნდა ვთქვათ მითითებული სიტყვის იურიდიულ ტერმინად გამოყენებაზე. მის მაგივრად უმჯობესია ვიხმაროთ „გაკოტრება“.⁶ შესაბამისად, როდესაც საქართველოში საქმე ამ დარგის სამართლებრივ მოწესრიგებას ეხება, საჭიროა დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ ახალი იურიდიული ტერმინების შემოღებასა და დანერგვას.

4. გაკოტრება, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, მიზნად ისახავს მოვალის ქონების ლიკვიდაციას მთლიანი ან ცალკეული გასხვისების საშუალებით და ამონაგების თანაბარზომიერ განაწილებას კრედიტორებს შორის.⁷ გაკოტრების დასრულების შემდეგ მოვალეს აღარ რჩება ხელთ არც ერთი ქონებრივი ფასეულობა. მოვალის სამეურნეო ნგრევა ზრდის მის დანაკარგებს.⁸ სწორედ გაკოტრების ამ „დამანგრეველმა“ თვისებამ ათქმევინა ე. ივეგერს: „გაკოტრება არის ფასეულობების ყველაზე ცუდი მომსაობი“ (Konkurs ist ein Wertvernichter schlimmster Art).⁹

გერმანულ სამართალში არსებობს მთელი რიგი ინსტიტუტები, რომლებიც აგრეთვე მოვალის დაცვასაც ისახავენ მიზნად. ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტია მორიგება (Vergleich), რომელიც სპეციალური კანონით – მორიგების დებულებით (Vergleichsordnung, შემოკლ., VergIO) წესრიგდება. გაკოტრებისაგან განსხვავებით, მორიგების მიზანია თავიდან ააცილოს მოვალეს ქონების ლიკვიდაცია და მისცეს მას შესაძლებლობა თავისივე ქონებით (საწარმოთი) შემდგომშიც განაგრძოს საქმიანობა.¹⁰ მორიგება მოვალეს თავიდან ააცილებს გაკოტრებიდან გამომდინარე იმ საფრთხეს, რაც მას არსებობის მოსაობით ემუქრება.¹¹ ამისათვის კრედიტორებსა და მოვალეს შორის იდება სპეციალური შეთანხმება, ე. წ. სამომრიგებლო ხელშეკრულება. ამ შეთანხმების საგანია მოთხოვნების გადავადება და მოვალის გათავისუფლება ვალეების ნაწილისაგან. კრედიტორების მიერ მოვალესათვის თავისი მოთხოვნების ნაწილის მოხსნის შემდეგ მოვალე ვალდებული ხდება უმთავრესად ნაწილ-ნაწილ ანაზღაუროს მოთხოვნების მოუხსნელი (დარჩენილი) ნაწილი.¹² ამრიგად, მორიგება არის ერთგვარი სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელსაც სურს სასამართლოს მიერ დამტკიცებული მხარეთა შეთანხმებით დაიხსნას მოვალე გაკოტრებისაგან.¹³ თუ გაკოტრების დროს კრედიტორები აქტიურობენ, მორიგების დროს, პირიქით, ინიციატივა გადადის მოვალის ხელში: მხოლოდ მოვალეს შეუძლია შეიტანოს განცხადება მორიგების წარმოების გახსნის შესახებ, მოვალისაგან გამომდინარეობს სამომრიგებლო წინადადება. მასში იგი

სთავაზობს კრედიტორებს თავისი ვალდებულებების განსაზღვრულ მოწესრიგებას. თუმცა საბოლოოდ კრედიტორები თვითონ წყვეტენ უმრავლესობით, დაეთანხმონ თუ არა ამ წინადადებას. გარდა ამისა, თუ გაკოტრების დროს მოვალეს ჩამოერთმევა მთელი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება და გადაეცემა გაკოტრების მმართველს (შემდგომი რეალიზაციის უფლებით), მორიგების დროს მოვალე თვითონ რჩება თავისი ქონების „ბატონად“, რადგანაც მან თავისი საწარმოს საქმიანობის გაგრძელებით უნდა გამოიმუშავოს სახსრები სამომრიგებლო შეთანხმების შესასრულებლად.¹⁴ გერმანიის მორიგების დებულება ითვალისწინებს აგრეთვე მოვალის გარკვეულ შეზღუდვებსაც, კერძოდ, მოვალეზე ზედამხედველობას ახორციელებს მორიგების მმართველი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიაში მორიგებას ძალზე მცირე პრაქტიკული გამოყენება აქვს.¹⁵

გერმანული სამართლის მიხედვით, მორიგების წარმოების საფუძვლები შეესაბამება გაკოტრების წარმოების საფუძვლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ორივე შემთხვევაში წარმოების გახსნის წინაპირობა ერთი და იგივეა – მოვალის გადახდისუუნარობა (განსაზღვრულ შემთხვევებში აგრეთვე დავალიანება). სწორედ ამ საერთო წინაპირობის გამო გაკოტრებისა და მორიგების სამართალს გერმანიის სამართლის თეორიაში აერთიანებენ ერთი საერთო ცნების ქვეშ – საინზოლვენცო (ან: ვალაუვალობის) სამართალი. საინზოლვენცო სამართალი მოიცავს არა მხოლოდ გაკოტრების დებულებისა და მორიგების დებულების ნორმებს, არამედ სხვა ნორმებსაც, რომლებიც აწესრიგებენ ვალაუვალი (insolvent) ან ვალაუვალობის საფრთხის ქვეშ მყოფი საწარმოს სანაციასა და ლიკვიდაციას.¹⁶ საინზოლვენცო (ვალაუვალობის) სამართალი, ამრიგად, საერთო ჯამში ორმაგ მიზანს ისახავს ერთდროულად: სანაციას და ლიკვიდაციას. საინზოლვენცო (ვალაუვალობის) სამართლის თეორიული ფესვებიდან აღმოცენდა საინზოლვენცო კანონმდებლობა. 1994 წ. გერმანიაში მიღებულ იქნა საინზოლვენცო დებულება (Insolvenzordnung), რომელიც ძალაში შედის 1999 წელს. ერთი აქტით, ამრიგად, მოწესრიგდება როგორც საგაკოტრებო, ისე სამომრიგებლო ურთიერთობები.¹⁷ საინზოლვენცო დებულების შესავალი კანონით უქმდება საკონკურსო დებულება (KO) და მორიგების დებულება (VerglO).

5. გერმანული სამართალი კრედიტორს აძლევს არჩევანის საშუალებას მოვალესთან ურთიერთობაში. მას შეუძლია თავისი მოთხოვნა მოვალის წინააღმდეგ განახორციელოს ან ცალკეულად, ცალკეულ

სააღსრულებო წარმოებაში (Einzelvollstreckungsverfahren), ან საგაკოტრებო წარმოებაში. კრედიტორი, გარემოებებიდან გამომდინარე, ირჩევს მისთვის მისაღებ წარმოებას. მაგრამ თუკი საგაკოტრებო წარმოების გახსნას ითხოვს ერთადერთი კრედიტორი, მაშინ მისი განცხადება მხოლოდ წინასწარი შემოწმების შემდეგ იქნება დაშვებული, ისიც მაშინ, როცა კრედიტორი სარწმუნოდ დაამტკიცებს თავის მოთხოვნას და მოვალის გადახდისუუნარობას (KO, §105, აბზ.2). თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საგაკოტრებო წარმოება მაინც კოლექტიური წარმოებაა, ვინაიდან მასში, როგორც წესი, ერთზე მეტი კრედიტორი მონაწილეობს. საგაკოტრებო წარმოებაში რამდენიმე კრედიტორი ერთად და ერთდროულად განხორციელებს თავის სამართლებრივ პრეტენზიებს ერთი და იმავე მოვალის წინააღმდეგ (აქედან სწორედ: „საერთო მოვალე“).

გაკოტრების დროს, ისევე როგორც სააღსრულებო წარმოების დროს, საქმე გვაქვს კერძო უფლების იძულებით განხორციელებასთან (Rechtsdurchsetzung). სააღსრულებო წარმოებაში კრედიტორის ტიტულიანი მოთხოვნის იძულებითი წესით განხორციელება ხდება სპეციალური აღსრულების ორგანოების (აღსრულების სასამართლოს, სასამართლო აღმასრულებლის) მიერ. თუმცა გაკოტრებაში შეიძლება ითქვას, რომ მოთხოვნათა განხორციელება უფრო რბილ ფორმებში მიმდინარეობს – გაკოტრების სასამართლოს აქვს მხოლოდ ზოგადი საზღვამხედველო ფუნქცია¹⁸ (იეგერი: „ზღვამხედველობა და არა ხელმძღვანელობა“), ხოლო წარმოების ძირითად საკითხებს აგვარებენ გაკოტრების მმართველი („გაკოტრების ცენტრალური ფიგურა“) და თვითონ კრედიტორები („კრედიტორთა თვითმმართველობა“). ამრიგად, გაკოტრების დროს შეიძლება უფრო მეტად ვისაუბროთ არა კრედიტორთა მოთხოვნების განხორციელებაზე, არამედ მათ დაკმაყოფილებაზე. რა თქმა უნდა, ამით არ არის უარყოფილი, რომ „რაიმე განხორციელება“, ვინაიდან განხორციელება რა კერძო კრედიტორთა მოთხოვნები, ამით ისინი დაკმაყოფილდება.¹⁹

6. მიუხედავად ამ მსგავსებისა, საგაკოტრებო წარმოება მაინც დიდად განსხვავდება სააღსრულებო წარმოებისაგან, რომელსაც ცალკეულ სააღსრულებო წარმოებას (Einzelvollstreckung) ან იძულებით სააღსრულებო წარმოებასაც (Zwangsvollstreckung) უწოდებენ:

ა) ცალკეული სააღსრულებო წარმოებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ცალკეული კრედიტორი საქმის არსებითი განხილვის წარმოებაში (Erkenntnisverfahren) მიღებული სააღსრულებო დოკუმენტის (აღმასრულებელი ტიტულის) საფუძველზე ახდენს აღსრულებას მოვა-

ლის ქონების ცალკეულ საგნებზე. სხვა კრედიტორების მოქმედება არ წარმოადგენს მისი ზრუნვის საგანს. უფრო მეტიც, იგი ცდილობს დაასწროს მათ, როგორც თავის უშუალო კონკურენტებს. აქ დროის ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კრედიტორი, რომელიც უფრო ადრე დააყენებს მოთხოვნას მოვალის წინააღმდეგ, ამით იგი გამორიცხავს სხვა კრედიტორებს მანამ, სანამ სრულად არ დაიკმაყოფილებს თავის მოთხოვნებს ("Wer zuerst kommt, malt zuerst")²⁰. ამრიგად, ცალკეულ სააღსრულებო წარმოებაში გადამწყვეტია ე. წ. პრიორიტეტის ანუ პრევენციის პრინციპი - potior tempore, potior iure (ZPO, §804, აბზ. 3).

საგაკოტრებო წარმოებისას არსებობს ინტერესთა მრავალფეროვანი დაპირისპირება. ამ დროს ერთმანეთს ეჯახება არა მხოლოდ კრედიტორებისა და მათი საერთო მოვალის ინტერესები. ინტერესთა დაპირისპირება არსებობს თვით კრედიტორებს შორის, ვინაიდან გაკოტრების დროს ზდება კრედიტორების ღირფერენცირება მათი მოთხოვნების ხარისხის მიხედვით - ზოგიერთი კრედიტორი, კერძოდ, უფრო პრივილიგირებულია (მაგ., კრედიტორები, რომლებიც საკუთრების ან გირაუნობის უფლებით სარგებლობენ) და უპირატესად უნდა დაკმაყოფილდეს მოვალის ქონებიდან, ვიდრე ის კრედიტორები, რომლებსაც თავიანთი მოთხოვნები წარმოეშობათ, მაგალითად, ნასყიდობიდან ან ქირაუნობიდან. კრედიტორთა სხვა კატეგორია განსაკუთრებული დაცვის ქვეშეზდება (მაგალითად, მუშაკები ხელფასის მიღებიდან წარმოშობილი მოთხოვნების გამო). ინტერესთა ასეთი დაპირისპირების დროს პრიორიტეტის (პრევენციის) პრინციპის ზუსტი განხორციელება მიგვიყვანდა უსამართლობისაკენ, ვინაიდან ის კრედიტორი, რომელიც უფრო სწრაფი აღმოჩნდებოდა (განსაკუთრებული სამართლებრივი ან სიტუაციის ცოდნის გამო, ანდა ქონებაზე ხელმისაწვდომობის გამო), შექლებდა დაკმაყოფილებას, მაშინ როცა სხვებისათვის დიდი ხნის განმავლობაში უარი უნდა ეთქვათ მოთხოვნების რეალიზებაში.²¹ გაკოტრებისას, თუ თავიდანვე დადგინდა, რომ მოვალის ქონება არასაკმარისია ყველა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად, პრევენციის პრინციპი მიგვიყვანდა „ბრძოლამდე ყველა ყველას წინააღმდეგ“, ²² რაც არ უზრუნველყოფდა სამართლებრივი მშვიდობის დაცვას.²³

სამართლებრივი მშვიდობის დამყარების აუცილებლობა უარყოფს პრევენციის პრინციპს საგაკოტრებო წარმოებაში. აქ სამართლებრივი მშვიდობა ითხოვს ყველა კრედიტორის შანსების აუცილებელ თანაბრობას - თითოეული თავისი მოთხოვნისათვის მიიღებს პატარა ქვაბიდან თანაბარს, თუმცა ხშირად პატარა ქვოტას.²⁴ შესაბამისად, პრევენცი-

ის პრინციპი გაკოტრების წარმოების დროს შეცვლილია „ყველა კრედიტორის თანაბარზომიერი დაკმაყოფილების პრინციპით“ (par conditio creditorum). ამ პრინციპის მეშვეობით სახელმწიფო ერევა ცალკე კრედიტორების, და ცალკე კრედიტორებისა და მათი საერთო მოვალის დამატულ ურთიერთობებში. თუმცა სახელმწიფოს ჩარევის ეს ფარგლები შეზღუდულია და გამოიხატება მხოლოდ სახელმწიფო ფუნქციებით მის მიერვე დანიშნულ საგაკოტრებო მმართველზე, აგრეთვე კრედიტორთა თვითმმართველობაზე. ყველა კრედიტორის თანაბარზომიერი დაკმაყოფილების პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო, ართმევს რა ინიციატივას ხელიდან ცალკეულ პირს, იმისათვისაც უნდა ზრუნავდეს, რომ კრედიტორთა თანაბარზომიერი დაკმაყოფილება მოწესრიგებული პროცესით მიმდინარეობდეს.²⁵

ბ) ცალკეულ სააღსრულებო წარმოებაშიც ცალკეული კრედიტორის სასარგებლოდ გადასახდელად მიიქცევა მოვალის არა მთელი ქონება, არაჟედ აღსრულებას ქვემდებარე ქონების ცალკეული ობიექტები (აქედან: „ცალკეული /ქონების/ სააღსრულებო წარმოება“). ცალკეულ კრედიტორს არა აქვს უფლება მოვალის მთელი ქონება „სხვათათვის ხელმიუწვდომლად აქციოს“ და თავის სასარგებლოდ მოახდინოს მისი რეალიზება.²⁶

საკაკოტრებო წარმოება, საპირისპიროდ, არის კრედიტორების მიერ მათი საერთო მოვალის მთლიანი ქონების წინააღმდეგ წარმართული პროცესი. მოვალის მთელი ქონება (გაკოტრების მასა) არის საერთო მოვალის ის ქონება (ასევე იძულებით აღსრულებას ქვემდებარე), რომელიც ეკუთვნის მას გაკოტრების წარმოების გახსნის მომენტიანთვის (KO, §1/1).

სწორედ მოვალის მთელი ქონება არის ის სატყუარა, რომელიც კრედიტორს გაკოტრების წარმოებისაგან იტყუებს. თუმცაღა გაკოტრების წარმოების დამთავრების შემდეგ კრედიტორი ძალზე ხშირად თითქმის ხელცარიელი რჩება, როდესაც მის გარდა სხვა კრედიტორებიც (მათ შორის პრივილეგირებულნიც) აღმოჩნდებიან ხოლმე და თავისი მოთხოვნისათვის იღებს მხოლოდ ქვოტას, რომელიც უმრავლეს შემთხვევებში მისი მოთხოვნის 10%-საც კი არ აღემატება ხოლმე. ხოლო დანარჩენს იგი კარგავს. ამასთან, ეს დანაკარგი თანაბარია თითოეული კრედიტორისათვის. გაკოტრებაში კრედიტორები ერთად იზიარებენ დანაკარგს, რომელიც წარმოიშობა მათი საერთო მოვალის ქონების არასაკმარისობის გამო.²⁷ ამის გამო გერმანულ სამართლის თეორიაში ასეთი დანაკარგის მქონე კრედიტორებს „დანაკარგის მქონე პირთა ერთობასაც“ (Verlustgemeinschaft)²⁸ უწოდებენ.

გ) ცალკეული სააღსრულებო წარმოების დროს განხორციელდება მხოლოდ საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოს (Prozessgericht) მიერ დადგენილი, ე. წ. ტიტულიანი (tituliert) მოთხოვნები. აღმასრულებელი ტიტული არის სააღსრულებო წარმოების მნიშვნელოვანი წინაპირობა²⁹ საგაკოტრებო წარმოებისას კი განხორციელდება და დაკმაყოფილდება ყველა მოთხოვნა, მათ შორის უტიტულო, რომლებიც აქვთ კრედიტორებს მოვალის წინააღმდეგ წარმოების დაწყებისას. ამრიგად, საგაკოტრებო წარმოებაში მონაწილეობისათვის კრედიტორისათვის (კრედიტორებისათვის) არ არის საჭირო რაიმე ტიტული. მაშასადამე, ტიტულიან და უტიტულო კრედიტორებს გაკოტრების წარმოებაში თანაბარი სამართლებრივი მდგომარეობა უკავიათ (თანაბრობა ირდევია მხოლოდ მოთხოვნების დადგენის შემდეგ, როდესაც ზოგიერთი კრედიტორი პრივილეგირებულის სტატუსს იძენს). უტიტულო მოთხოვნებმა შეიძლება მოგვიანებით (მას შემდეგ, რაც დაადგენენ) კიდევ მიიღონ ტიტული, ანუ სააღსრულებო ამონაწერი გაკოტრების ტაბულიდან.

დ) იძულებითი სააღსრულებო წარმოების დროს მოვალეს რჩება თავისი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება, მაშინ როცა გაკოტრების დროს საერთო მოვალეს ჩამოერთმევა იგი და გადაეცემა გაკოტრების მმართველს (KO, §5), რომელმაც უნდა მოახდინოს მოვალის ქონების რეალიზაცია და ამონაგების თანაბარზომიერი განაწილება კრედიტორებზე. ამასთან, ეს შეეხება მხოლოდ იმ ქონებას, რომელიც მოვალეს ეკუთვნის წარმოების გახსნის მომენტში. ამის შემდეგ შეძენილი ქონება (Neuerwerb) თავისუფალია გაკოტრებისაგან.³¹

ე) იძულებით სააღსრულებო წარმოებაში წარმოების დაწყების სადავეები ხელთ უპყრია კრედიტორს³² (იძულებითი სააღსრულებო წარმოების „ბატონს“),³³ ვინაიდან წარმოება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მისი განცხადებით. საგაკოტრებო წარმოებაში კრედიტორის ეს ინიციატივა გადანაწილებულია მოვალეზეც, რომელსაც კრედიტორის თანაბრად უფლება აქვს შეიტანოს განცხადება წარმოების გახსნის თაობაზე (KO-ს 103, მე-2 აბზაცი). რაც შეეხება წარმოების „ბატონს“, ასეთი გაკოტრებაში გაკოტრების მმართველია.

საგაკოტრებო წარმოების თავისებურებების დახასიათება გვარწმუნებს, რომ იგი ერთ-ერთი ფართო და თვითმყოფადი ინსტიტუტია. საგაკოტრებო წარმოება გაკოტრების სამართლის ბირთვია და მისი პროცესუალური ნორმები კერძო მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებთან ერთად ემსახურება გაკოტრების სამართლის ფუნქციების განხორციელებას.

- 1 Menno Aden, das Konkursrecht, 1983, S. 1
- 2 Herbert Wagner, Insolvenzrecht, 2. Aufl, 1986, S. 21
- 3 აღენი, გვ. 2
- 4 აღენი, დასახ. ნაშრომი, გვ. 2
- 5 იგივე გვ. 3
- 6 1992 წ. საქართველოს დეკრეტში საწარმოთა გაკოტრების შესახებ ხშირია სიტყვა „კონკურსის“ ხმარება ისეთ ძირითად ტერმინებთან, რიგორიცაა: „საქმის საკონკურსო წარმოება“, „საკონკურსო მასა“, „საკონკურსო კრედიტორი“, რაც ხელს უწყობს მათ არასწორ დაქვეყნებას
- 7 Baur/ Stürmer, Sachenrecht, 15. Auff. S. 2
- 8 Wagner, S.22
- 9 Ernst Jäger, Lehrbuch des Deutschen Konkursrechts, 9. Aufl., 1932, §38, 1. S.216
- 10 Baur/ Stürmer, S. 2
- 11 Wenz/ Schmidt, Konkurs und Vergleich, , 1989, S. 128
- 12 ბაური/შტიურნერი, გვ. 2
- 13 Jurgen Baumann, Konkurs und Vergleich, 2. Aufl., 1981, S. 173
- 14 ბაური/შტიურნერი, გვ. 310
- 15 ბაური/შტიურნერის დასახელებულ ნაშრომში მითითებული სტატისტიკური მონაცემებით 1086 წ. 19000-მდე საგაგოტრებო(საინზოლვენცო) წარმოებიდან მხოლოდ 82 შემთხვევაში(0,5 %) იქნა გახსნილი საომრივებლო წარმოება, ხოლო 1987 წ. საომრივებლო წარმოებამ შეადგინა მხოლოდ 0,3%.
- 16 Michael App, Die Insolvenzordnung, 1995, S. 17
- 171085 წ. გაკოტრების სამართალში გერმანელი ექსპერტის პროფ. ი. თიქს მიერ მოზადებული საქართველოს კანონპროექტიც „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ“ ერთდროულად აწესრიგებს მოვალის გაკოტრებისა და მორიგების საკითხებს. ამიტომ, ჩემის აზრით, კანონპროექტის სათაური უფრო ვიწროა მის შინაარსთან მიმართებაში, რის გამოც, პროექტის სათაური შეიძლება დაზუსტდეს უქვეყნაირად: „საინზოლვენცო(ვალაუვალობის) წარმოების კანონი“
- 18 Baumann, S. 64
- 19 იგივე გვ. 5
- 20 “გისც პირველი მოვა, პირველივე დახატავს“
- 21 ეიკანი, გვ. 16
- 22 Baumann, S. 6
- 23 Baur/ Stürmer, S. 1
- 24 ბაუმანი, გვ. 6
- 25 ბაური/შტიურნერი, გვ. 2
- 26 შდრ. ბაური/შტიურნერი, გვ. 1
- 27 Eickmann, S. 16
- 28 Baumann, S. 6, Wagner, S. 22, Eickmann, S. 16.
- 29 Lent, S. 3
- 30 ბაუმანი, გვ.7
- 31 იგივე, გვ. 80
- 32 შდრ. ლენტი, გვ. 3
- 33 ბაური/შტიურნერი, გვ. 1

პასუხისმგებლობა ბუნებრივ გარემოზე მიყენებულ ზიანისათვის

აკაკი ლაბარტყავა
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ეკოლოგიურ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ეკოლოგიური სამართალდარღვევა. ეკოლოგიური სამართალდარღვევის ცნების საკითხი იურიდიულ ლიტერატურაში არ არის სრულყოფილად და ზუსტად განსაზღვრული. ვ. პეტროვის აზრით ეს არის ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქცევა, რომელიც არღვევს ეკოლოგიურ მართლწესრიგს და ზიანის აყენებს ბუნებრივ გარემოს.¹ ბ. ეროფეევის შეხედულებით, ეკოლოგიური სამართალდარღვევა არის ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქცევა, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებისა და ბუნების ჰარმონიულ ურთიერთზემოქმედებას და არახელსაყრელი, ხელისშემშლელი შედეგების მომტანია როგორც საზოგადოებისათვის, ისე ბუნებისათვის არა. მარტო ამჟამინდელ პერიოდში, არამედ შორეულ მომავალშიც.² ორივე შემთხვევაში ეკოლოგიური სამართალდარღვევა არის ბრალეული მართლსაწინააღმდეგო ქცევა, რომელიც ზიანს აყენებს ბუნებრივ გარემოს, საზოგადოებასა და ბუნებას შორის ეკოლოგიურ წონასწორობას, გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის წესების დარღვევებით. რაც შეეხება მის ძირითად სახეებად დაყოფას, გამოსაყენებელი სანქციის სახის მიხედვით აღნიშნავს ვ. პეტროვი, რომ ეკოლოგიური სამართალდარღვევა შეიძლება იყოს სისხლის (ეკოლოგიური დანაშაული), ადმინისტრაციული, სამოქალაქო, დისციპლინური. მაგალითად, ტყის უკანონო გაჩეხვა მიეკუთვნება ეკოლოგიურ სამართალდარღვევათა რიცხვს, იმედროულად იგი არის ტყის კანონმდებლობის დარღვევა, განსაზღვრული ნიშნის არსებობისას არის ეკოლოგიური დანაშაული ან ადმინისტრაციული გადაცდომა, აგრეთვე სამოქალაქო სამართალდარღვევა, ვინაიდან მსგავსი მოქმედებით ზიანი აღგება სახალხო მეურნეობას, გარემომცველ გარემოს.³

განსაზღვრული ნიშანი ეკოლოგიურ სამართალდარღვევათა სისხლის, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებად დაყოფისა არის ამ დარღვევათა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი, დონე განპირობებული ბუნებრივი რესურსების სოციალურ-ეკონომიკრი და ეკოლოგიური ფასეულობით, ღირებულებით; ბუნებრივი გარემოსათვის, ადამიან-

ნის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის სიდიდით, არსებითობით; ეკოლოგიური სამართალდარღვევის განზრახ და განმეორებით ჩადენით. მაგალითად, ტყის უკანონო გაჩეხვა პირველი ჯგუფის ტყეებში, რომლებიც დაცვით, სანიტარულ-ჰიგიენურსა და გამაჯანსაღებელ ფუნქციებს ასრულებენ: ტყის მასივების განზრახ განადგურება ან მნიშვნელოვანი დაზიანება ცეცხლის წაქივებით; ხეებისა და ბუჩქნარების სისტემატურად უკანონო გაჩეხვა ნებისმიერ ტყეებში ან ჩადენილი პირველად, მაგრამ დიდი ზარალის მიყენებით საზოგადოებრივი საშიშროების მაღალი ხარისხის გამო არის ეკოლოგიური სისხლის სამართალდარღვევა. ხოლო ტყეების დანაგვიანება საყოფაცხოვრებო ნაკვითა და ნაჭრებით, ტყეებში სამიჯნე ნიშნების მოსპობა და დაზიანება საზოგადოებრივი საშიშროების დაბალი დონით, ხარისხით განეკუთვნება ეკოლოგიურ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

ეკოლოგიური სისხლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შესაბამის პასუხისმგებლობასთან ერთად აღნიშნული დარღვევებით გარემოსათვის (ტყისათვის) ზიანის მიყენების შემთხვევაში დადგება სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობაც, რომლის საფუძველი იქნება გარემოსათვის (ტყისათვის) ზიანის მიყენება, ე.ი. ეკოლოგიური სამოქალაქო სამართალდარღვევა:

გარემოსათვის ზიანის მიყენება გამოიხატება მის გაბინძურებაში სამრეწველო მავნე ნარჩენების გადაყრით; ქიმიური საშუალებების გამოყენებით სოფლის მეურნეობაში; ბუნებრივი ობიექტების გაფუჭებაში, დაზიანებაში, განადგურებაში; ეკოლოგიური ბალანსის დარღვევაში სამრეწველო, აგროსამრეწველო ცენტრების, მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების, ქალაქების შექმნის, მშენებლობის დროს ადამიანის გარდამქმნელი საქმიანობით.

თავისი შედეგების მიხედვით გარემოსათვის მიყენებული ზიანი შეიძლება იყოს ეკონომიკური და ეკოლოგიური. ა) ეკონომიკური ზიანი ხელყოფს ბუნებითმოსარგებლეთა ქონებრივ ინტერესებსა და ვლინდება ქონებრივ დანაკარგებში (ქონების გაფუჭება, დაზიანება, განადგურება), შესაძლებელი შემოსავლების მიუღებლობაში. ბ) ეკოლოგიური ზიანი გამოიხატება ბუნებრივი გარემოს დანაკარგებში მისი გაბინძურების, გამოფიტვის, ეკოლოგიურ სისტემათა დანგრევის შედეგად იგი ხელყოფს მთელი საზოგადოების ინტერესებს.

ზიანის ორივე სახე ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მათ აქვთ მიყენების ერთიანი წყარო-სამეურნეო საქმიანობა, რომელიც აჭუჭყიანებს ბუნებრივ გარემოს, იწვევს ბუნებრივ რესურსების გამოფიტვას, რომელიც რიგ შემთხვევებში არღვევს ბუნების ეკოლოგიურ სისტემებს.

გარდა ამისა, ეკოლოგიურ ზიანს აქვს თავისებურებანი: პირველი ზიანის მიყენების ადგილიდან მისი შედეგების გამოვლენა ხდება ზოგჯერ მოშორებულ ტერიტორიაზე ან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ (მაგ. ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარია); მეორე - ბუნებრივ გარემოში ცალკეული დანაკარგების შეუსვლელობა, როცა იგი ადგება ბუნების არაკვლავწარმოებად ობიექტებს, ადამიანის ჯანმრთელობას, მის სიცოცხლეს, გენეტიკურ პროგრამას. ეს თავისებურებანი აისახება ზიანის ანაზღაურების ფორმებსა და საშუალებებში. თუ ეკონომიკური ზიანი ანაზღაურდება ქონებრივი პასუხისმგებლობის წესით: ტოლფასოვანი ნავთის მიცემით, მიყენებული ზიანის ნატურით აღდგენით ან ფულადი კომპენსაციით. ანაზღაურების ასეთი წესი ეკოლოგიური ზიანის დროს მთლიანად არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს. მაგალითად, ანაზღაურების ნატურალური ფორმა ვრცელდება მხოლოდ კვლავწარმოებად ბუნებრივ ობიექტებზე (ტყე, ცხოველთა სამყარო), მაგრამ მათი კვლავწარმოება (აღდგენა) დაკავშირებულია ხანგრძლივ ვადებთან. რაც შეეხება ფულადს კომპენსაციას, იგი გამოიხატება დანახარჯებში დაზიანებული ბუნებრივი გარემოს აღდგენაზე, გაუმჯობესებაზე, გაჯანსაღებაზე, მაგრამ შეუძლებელია შეფასდეს გარემოს ყველა დანაკარგი, ვინაიდან მათ შორის ბევრი რიდი ექვემდებარება ფულადს შეფასებას. მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობა, გენეტიკური ზიანი კი მთლიანად არ ექვემდებარება აღდგენასა და გამოანგარიშებას, ხოლო სავარაუდო ზიანს თავისი გამოვლენის სიშორის გამო არ გააჩნია მთელ რიგ შემთხვევებში რეალური სიდიდე, მოცულობა.

კანონმდებლობა ითვალისწინებს ზიანისათვის, როპელიც მიყენებულია ბუნებრივი გარემოს გაბინძურებით, გამოფიტვიან, ბუნებრივი რესურსების არარაციონალურად გამოყენებით, გაფუჭებით, დაზიანებით, განადგურებით, იურიდიულსა და ეკონომიკურ პასუხისმგებლობას.

ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანისათვის იურიდიული პასუხისმგებლობა გამოიხატება ორი ფორმით: სამოქალაქო-სამართლებრივი და მატერიალური პასუხისმგებლობით.

1) სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითადი ფუნქცია გამოიხატება დარღვეული მდგომარეობის აღდგენასა და მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში, ე.ი. იგი ატარებს საკომპენსაციო ხასიათს, რაც საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო კანონმდებლობის საერთო ნორმები ბუნებრივი გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადასაწყვეტად საამისოდ სპეციალური კანონმდებლობის ნორმების არსებობის შემთხვევაში. მაგალითად, საქართვე-

ლოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 457-ე მუხლის თანახმად მიყენებული ზიანი მთლიანად უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა, მაგრამ ქონებრივი, პასუხისმგებლობის დადგომისათვის საჭიროა შეიღვევი აუცილებელი პირობების არსებობა:

ა) ზიანის მიმყენებლის ქცევის მართლსაწინააღმდეგობა, რაც გამოიხატება გარემომცველი გარემოს დაცვის დადგენილ მოთხოვნათა დარღვევებში. მაგალითად, ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის, გადაყრის ზღვრულად დასაშვები ნორმების დარღვევა, ბუნებადაცვითი სავალდებულო ღონისძიებების მიუღებლობა, ბუნებრივი ობიექტების თვითნებურად გამოყენება და სხვ.

ბ) ბუნებრივ გარემოსათვის ზიანის მიყენების რეალურობა. ზიანი უნდა იყოს სახეზე. იგი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახისა: ბუნებრივი ობიექტების დაზიანება; მაგ., ხეებისა ტყეში, ნადირ-ფრინველთა დაღუპვა და სხვ.; დაზიანებული ბუნებრივი ობიექტების აღსადგენად საჭირო ხარჯები (ხეების დასარგავად, მიწების რეკულტივაციისათვის, თევზის მოშენებისათვის და სხვ.); დანაკლისი სამეურნეო საქმიანობაში ეკოლოგიური სამართალდარღვევების გამო (სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლის მიუღებლობა, სასარგებლო წიაღისეულთა დანაკარგები და სხვ.)

გ) გარემოსათვის ზიანის მიმყენებლის ქმედობის მართლსაწინააღმდეგობა იურიდიულ მნიშვნელობას, ძალას იძენს მაშინ, როცა იგი იმყოფება მიზეზობრივ კავშირში ბუნებრივი გარემოსათვის მიყენებულ ზიანთან. მაგალითად, მეურნეობის შხამქიმიკატებით მოფრქვეულ, შეწამლულ ფართობზე, ირემის, გარეული ღორისა და ა.შ. დაღუპვისას თუ დადგინდება, რომ ეს არ არის გამოწვეული მეურნეობის აგროქიმიური საქმიანობით, მას არ შეიძლება დაეკისროს მატერიალური პასუხისმგებლობა მომხდარისათვის, ვინაიდან მეურნეობის აგროქიმიურ საქმიანობასა და დამდგარ შედეგს შორის არ არის მიზეზობრივი კავშირი.

დ) ბუნებრივი გარემოსათვის ზიანის მიმყენებლის ბრალეულობა, რომლის მტკიცების სიმძიმე აკისრია მას, ვინც მიაყენა ზიანი. საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 457-ე მუხლით ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება ანაზღაურებისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის მიყენებაში მას ბრალი არ მიუძღვის. დამრღვევის პასუხისმგებლობა დადგება ბუნებრივი გარემოსათვის ზიანის ბრალის ნებისმიერი ფორმით ე.ი. განზრახვით თუ გაუფრთხილებლობით მიყენებისას. ზოგიერთ შემთხვევაში ბრალის განზრახვი ფორმის დროს ქონებრივი პასუხისმგებლობა იზრდება ბრალის გაუფრთხილებელ ფორმასთან შედარებით. მაგალითად, თუ ბუნებისათვის ზიანი

მიყენებულია შრომითი მოვალეობის შესრულების დროს მუშაკის დაუდევრობით, მას დაეკისრება შეზღუდული ქონებრივი პასუხისმგებლობა ერთი საშუალოთვიური ხელფასის ფარგლებში, თუ ზიანი მიყენებულია განზრახ, მაშინ დგება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა.

ბუნებრივი გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება სამოქალაქო კანონმდებლობის ნორმები ზიანის მიყენებლის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესახებ. პირველ რიგში, ამას განეკუთვნება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 463-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ორგანიზაციები და მოქალაქენი, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მომატებულ საფრთხესთან გარშემოლმყოფათვის (სატრანსპორტო ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები, მშენებლობები, ავტომობილთა მულობელები და სხვა) მოვალე არიან ანაზღაურონ მომატებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით. აქედან გამომდინარე ბუნებრივი გარემოსათვის მომეტებული საფრთხის წყაროს (მაგ. ქიმიური და სხვა საწარმოები, ტრანსპორტი) მეშვეობით ზიანის მიყენების დროს პასუხისმგებლობა ეკისრება მომეტებული საფრთხის წყაროს მულობელს, მესაკუთრეს თუ კი იგი ვერ დაამტკიცებს თავის უდანაშაულობას, რომ ზიანის მიყენება მოხდა უკიდურესი აუცილებლობის ვთარებაში (გემიდან მავნე ნარჩენების ჩაყრა ზღვაში) ან დაუძლეველი ძალის შედეგად (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი და სხვა).

ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამი საშუალება არსებობს: ნატურალური რესტიტუცია, ბუნებრივი გარემოს დარღვეული მდგომარეობის აღდგენა, ფულადი კომპენსაცია.

ა) ნატურალური რესტიტუცია მდგომარეობს დაზიანებული, გაფუჭებული ბუნებრივი ობიექტის მაგალითად, სასარგებლო წიაღისეულის დამუშავების შედეგად გაფუჭებული მიწის ნაკვეთის მაგიერ, სანაცვლოდ ტოლფასოვანი მიწის ნაკვეთის მიცემაში, გამოყოფაში. ეს საშუალება არ შეიძლება იყოს საიმედო ყველა შემთხვევისათვის, იგი ყოველთვის როდი უზრუნველყოფს გარემომცველი გარემოს დაცვას მთლიანად.

ბ) გარემომცველი გარემოს დარღვეული მდგომარეობის აღდგენა, იგი მოიცავს მოვალეობის დაკისრებას მიყენებული ზიანის მავნე შედეგების აღმოფხვრის გამო და გარემოს მოყვანას ვარგის მდგომარეობაში მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით გამოსაყენებლად. ასეთი მოვალე-

ობა გაჩნდა ახატება მიწების რეკულტივაციაში, გაბინძურებისაგან წყალ-საცავების გაწმენდაში, გასუფთავებაში, ტყის კულტურების დარგვაში განადგურებულთა შავიერ, სანაცვლოდ, თევზის მოშენებაში და სხვა.

გ) მიყენებულაი ზიანის ფულადი კომპენსაცია მოიცავს რეალურ ზიანს, რომელიც მიაღება ობიექტს. მაგალითად, ტყეს ხანძრის შედეგად, მის აღსადგენად საჭირო ხარჯებს, იმ მიუღებელ შემოსავალს, რომელსაც მიიღებდა მოსარგებლე სუბიექტი, რომ არ მომხდარიყო ამ ობიექტის - ტყის ხელყოფა - დაწვა. ბუნებრივ გარემოს დანაკარგების ფულადი კომპენსაცია ძალზე გაძნელებულია, ვინაიდან ბუნებას არ გააჩნია ღირებულებითი ხასიათი.

რაც შეეხება ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანისათვის მატერიალურ პასუხისმგებლობას, იგი არის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაირსახეობა, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საერთო პრინციპი იმ მხრივ, რომ მიყენებული ზიანი უნდა იქნეს ანაზღაურებული, მაგრამ ამ პრინციპის რეალიზაციას აქვს სპეციფიკა: ბუნებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ორგანოების მიერ დამტკიცებული სპეციალური ნიხრებით. ნიხრი არის ზიანის გამოანგარიშების პირობითი ერთეული. მისი ზომა გამოხატავს სახელმწიფოს დანახარჯებს ბუნების დაცვაზე და ამაზე ზევით განსაზღვრულ თანხას, რომელიც ამოიღება სამართალდარღვევისათვის. ასე, რომ ნიხრი ატარებს როგორც საკომპენსაციო, ისე საჯარიმო-დასჯითს, ხასიათს. ჯარიმის სახით ბრაკონიერმა უნდა გადაიხადოს რეალურ ზარალზე ბევრად მეტი თანხა.

ცნობილია, რომ ნებისმიერი სამეურნეო თუ რეკრეაციული საქმიანობა დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან იწვევს ცვლილებებს გარემომცველ გარემოში და შესაბამისად ზიანს აყენებს მას. ამის გათვალისწინებით კანონმდებლობით დადგენილია ნორმალური ეკოლოგიური რისკი, რომლითაც დაშვებულია ბუნებრივი გარემოსათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა. ამის გათვალისწინებით ნორმალური ეკოლოგიური რისკის ფარგლებში მიყენებული ზიანი არის მართლზომიერი ზიანი, რომელიც არ არღვევს კანონმდებლობას და, ამდენად, არ იწვევს იურიდიულ პასუხისმგებლობას, თუმცა იგი მაინც გარემოსათვის მიყენებული ზიანია და უნდა იქნეს ანაზღაურებული, ვინაიდან ბუნებრივ გარემოში თავისი დაგროვებით იგი იწვევს ნეგატიურ ცვლილებებს - ზიანს აყენებს ეკონომიკას, ადამიანთა ჯანმრთელობას. ამიტომ აუცილებელია მართლზომიერად სამეურნეო და რეკრეაციული საქმიანობის განხორციელებით, ბუნებრივი რესურსების გამო-

ყენებით გამოწვეული დანაკარგების ე.ი. მართლზომიერი ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხორციელდება საწარმოების, ორგანიზაციების და სხვა ბუნებათმოსარგებლეთა ეკონომიკური პასუხისმგებლობის წესით. განსხვავებით იურიდიული პასუხისმგებლობისაგან, პასუხისმგებლობისა, რომლის საფუძველია ეკოლოგიური კანონმდებლობის დარღვევა, ეკონომიკური პასუხისმგებლობა გამოძინარეობს გარემოსათვის ზიანის მიყენების ფაქტიდან, რომელიც გამოწვეულია მართლზომიერი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობით, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით. ეკონომიკური პასუხისმგებლობა გამოიხატება გარემომცველ გარემოში გამაბინძურებელ ნივთიერებათა გადაყრისათვის სხვადასხვა სახის სამეურნეო გადასახადების გადახდაში; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის საფასურის გადახდაში; ბუნებრივ გარემოში დანაკარგების კომპენსაციაში. მაშასადამე, ეკონომიკური პასუხისმგებლობა ასრულებს ორ ფუნქციას: საკომპენსაციოს, რომელიც მდგომარეობს ბუნებრივი გარემოს დანაკარგების აღდგენაში და მასტიმულირებელ ფუნქციას, იგი გამოიხატება ბუნებრივი გარემოს გამჭუჭყიანებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა დაინტერესებაში იმ მხრივ, რომ განახორციელონ ბუნებადაცვითი ღონისძიებები გარემოს გაბინძურების, ამ სფეროში დანაკარგების შესამცირებლად, თავიდან ასაცილებლად.

1. Природоресурсовое право и правовая охрана окружающей среды, М., 1988, стр. 146
2. Б.В.Ерофеев, Экологическое право, М., 1992, стр. 168.
3. იქვე, გვ. 164

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება გერმანიაში

ვოლფგანგ ვინკლერი
პროფესორი, დოქტორი (გეტინგენი, გერმანია)

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იძლევა სამეცნიერო ურთიერთგაცვლის შანსს სამართლის მეცნიერების სფეროში. გერმანული აგრარული ინსტიტუტები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს სამართლის განვითარებას ყოფილ სოციალისტურ სახელმწიფოებში და მათ შორის, აგრეთვე, საქართველოში. ამასთან, ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს მიწაზე კერძო საკუთრების, როგორც კერძო სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის აღდგენა. ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ მეძლევა ქართველ იურისტებთან სამეცნიერო ურთიერთგაცვლაში მონაწილეობის შესაძლებლობა და მსურს ამ სტატიაში გერმანიის სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება წარმოვადგინო.

I. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება და საკუთრებითი წყობილება

გერმანული აგრარული წყობილებისათვის დამახასიათებელია მიწაზე კერძო საკუთრება. ამასთან, სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება, ისევე როგორც სატყეო-სამეურნეო მიწის საკუთრება, განსხვავებით საქალაქო მიწის საკუთრებისაგან, მნიშვნელოვანი სამართლებრივი თავისებურებებით გამოირჩევა. სამოქალაქო სამართლის წიგნი გამოდის საკუთრების ერთიანი, აბსტრაქტული ცნებიდან. საკუთრება გაიგება როგორც ნივთზე ყოვლისმომცველი ბატონობის უფლება, რომელიც არ განსხვავდება ცალკეული ქონების, ანდა განსაკუთრებით მიწის ნაკვეთის სარგებლობის სახეების მიხედვით. განსხვავებას უძრავ და მოძრავ ნივთებს შორის სამოქალაქო სამართლის წიგნში უფრო სამართლებრივ-ტექნიკური მნიშვნელობა აქვს.

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის აგრარულმა რეფორმებმა თავისუფალი მიწის საკუთრება სოფლის მეურნეობაშიც შემოიღეს. საგლეხო საკუთრება შეტანილ იქნა ზოგად სამოქალაქო საკუთრებაში და განკარგვისა და დატვირთვის შეზღუდვების გაუქმების შედეგად თავისუფალ მიწის ბაზარზე გავიდა. მაგრამ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაშვიდრდა საპირისპირო ტენდენცია, რომელშიც საგლეხო სა-

კუთრება კვლავ განსაზღვრულ ბოჭვებს დაექვემდებარა, თავდაპირველად სასოფლო-სამეურნეო შემკვიდრების სამართლის სფეროში, ხოლო შემდგომ მიწის ბრუნვისა და მიწის იჯარის სამართლის სფეროში. მიწის საკუთრების მუდმივად მზარდმა შეზღუდვებმა მისი სარგებლობის სახეებისა და ფუნქციებიდან გამომდინარე ჩამოაყალიბეს შეზღუდულება, რომ ერთმანეთისაგან უნდა განსხვავდებოდეს საკუთრების სხვადასხვა ტიპიური სპეციალური ფორმები. საკუთრების ერთ-ერთ ასეთ ტიპურ სპეციალურ ფორმად მიიჩნევა სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება.

სასოფლო-სამეურნეო საკუთრებისაგან განსხვავდება სასოფლო-სამეურნეო საწარმო (აქ იგულისხმება საგლეხო მეურნეობა, მთარგმნელის შენიშვნა). სასოფლო-სამეურნეო მიწა წარმოადგენს ერთ-ერთ, თუ არა არსებით წარმოების ფაქტორს სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის. ცხადია, სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება და სასოფლო-სამეურნეო საწარმო ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებიან. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების შეზღუდვები გარიგებებთან მიმართებაში (მემკვიდრეობა და ა. შ.) მიზნად ისახავენ სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შენარჩუნებასა და განვითარებას.

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრებასთან მიმართებაში განახსევებენ პრობლემათა ორ წრეს. ერთის მხრივ, იგი იმყოფება ზოგად საკუთრებით წყობილებაში, როგორც კონსტიტუციურ სამართალსა და სამოქალაქო სამართალშია ჩამოყალიბებული; მეორეს მხრივ, მის მიმართ მოქმედებს სპეციალური ნორმები, რომლებიც მიზნად ისახავს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შენარჩუნებასა და ხელშეწყობას.

II. საკუთრებითი წყობილების საფუძვლები

1. საკუთრება და კონსტიტუციური სამართალი

საკუთრებისათვის ფუძემდებლური ორივე ნორმა მოთავსებულია ძირითადი კანონის მე-14 მუხლსა და სამოქალაქო სამართლის წიგნის 903-ე პარაგრაფში. ძირითადი კანონის მე-14 მუხლი უზრუნველყოფს საკუთრებასა და მემკვიდრეობის უფლებას, მაგრამ, ამავე დროს, ითვალისწინებს საკუთრების აუცილებელ სოციალურ ბოჭვას. საკუთრების გარანტიას ორი ასპექტი აქვს. ერთის მხრივ, გარანტირებულია საკუთრება, როგორც ცალკეული მესაკუთრეების სამართლებრივი მდგომარეობა. განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას სახელმწიფოს შეუძლია ექსპროპრიაციის მოხდენა. ასეთ შემთხვევაში სამართლებრივი მდგო-

მარეობის გარანტია გარდაიქმნება ღირებულებით გარანტიად, ე. ი. ექსპროპრიაცია დაიშვება მხოლოდ სათანადო კომპენსაციით. მეორეს მხრივ, საკუთრების გარანტია გულისხმობს საკუთრების ინსტიტუტის გარანტიას. ამით კერძო საკუთრება, როგორც ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობილების ფუძემდებლური ინსტიტუტი, ხელშეუხებელი უნდა დარჩეს.

საკუთრების გარანტია, ცხადია, არაა შეუზღუდავი. საკუთრებამ უფრო მეტად უნდა გაუწიოს ანგარიში ადამიანთა თანაცხოვრებაში საქონლის მიერ შესრულებულ ფუნქციას. ამის შესაბამისად ძირითადი კანონი განსაზღვრავს, რომ საკუთრება ავალდებულებს და მისი გამოყენება იმავდროულად საზოგადოებრიობის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. ამით კანონმდებელს ეკისრება ამოცანა კანონების მეშვეობით განსაზღვროს საკუთრების შინაარსი და შეზღუდვები. საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრა ორ პოლუსს შორის მოძრაობს. კერძოდ, საკუთრების სოციალურ ბოჭვასა და საკუთრების არსის შესაბამისად მის კერძო სარგებლიანობას შორის. საკუთრებითი წყობილების ჩამოყალიბებისას კანონმდებელი არ არის თავისუფალი. მან უნდა დაიცვას გადაჭარბების აკრძალვის პრინციპი. მის თანახმად, შეზღუდვები მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ისინი სასურველი მიზნის მისაღწევად მოხერხებული და აუცილებელია. გარდა ამისა, ისინი შესატყვისი უხდა იყვებ, ე. ი. უნდა არსებობდეს სათანადო თანაფარდობა საკუთრებაში ჩარევის სიმძიმესა და დასაზღულ მიზანს შორის. ეს ნიშნავს, რომ საკუთრების უფლების სტრუქტურა კანონმდებლის მიერ არ შეიძლება ერთიანი იყოს საკუთრების ყველა კატეგორიისათვის. საკუთრების სტრუქტურა დამოკიდებულია, როგორც სიკეთეთა სახეებზე, ასევე მათ ფუნქციებსა და სარგებლობაზე. ამით გასაგები ხდება, რომ მიწის საკუთრებასა და მოძრავ ნივთებს შორის, ასევე სამეწარმეო ანდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში ჩართულ ნივთებს შორის მნიშვნელოვანი სამართლებრივი განსხვავებაა. მეორეს მხრივ, მიწის საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივად დასაშვები სტრუქტურა იწვევს განსხვავებულ სამართლებრივ ტიპებს, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო, სატყეო-სამეურნეო მიწის საკუთრება, ანდა საკუთრების უფლება საქალაქო მიწებზე. იმავდროულად, საკუთრების უფლების გაფორმება შეიძლება დროით განსაზღვრულ გარემოებებზე იყოს დამოკიდებული. მეორე მსოფლიო ომის დროს და მის შემდგომ, მძიმე სასურსათო მდგომარეობის გამო მოხდა მიწის დამუშავების სამართლის ლეგიტიმაცია, რომლის თანახმადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაკუთრეს შეიძლებოდა სანქციათა მეშვეობით დაკისრებოდა სასოფლო-

სამეურნეო სავარგულების შესაბამისი დამუშავება აგრარული წარმოების განვითარების შედეგად, რომელმაც მნიშვნელოვანი ქარბწარმოება გამოიწვია, მიწის დამუშავების ასეთი სამართალი ზედმეტი გახდა და ამის გამო 1961 წელს კანონმდებელმა გააუქმა იგი.

კონსტიტუციურ-სამართლებრივი დაცვის ქვეშ მყოფი საკუთრება არის კანონმდებლის მიერ კონსტიტუციურ-სამართლებრივი წინაპირობების შესაბამისად გაფორმებული საკუთრება. კანონმდებელი უფლებამოსილი იყო განსაზღვრული შემადგენელი ნაწილები საკუთრებიდან ამოეღო, მაგალითად, მიწისქვეშა წყლები და მნიშვნელოვანი წიაღისეულები.

საკუთრების შინაარსისა და შეზღუდვების განსაზღვრებანი მესაკუთრემ უკომპენსაციოდ უნდა ითმინოს. მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში კანონმდებელს, ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, შეიძლება დაეკისროს კომპენსაციის ვალდებულება, რომ ამით უზრუნველყოფილი იყოს შესატყვისობის პრინციპი. თუკი კანონმდებელი ასეთ შემთხვევაში საკუთრების შინაარსსა და შეზღუდვებს განსაზღვრავს კომპენსაციის ვალდებულების გაუთვალისწინებლად, მაშინ ამგვარი განსაზღვრა სამართალსაწინააღმდეგოა.

ფედერალური კონსტიტუციური სასამართლოს ახალი პრაქტიკის თანახმად სოციალური ბოჭვა და ექსპროპრიაცია სრულიად განსხვავებული სამართლის ინსტიტუტებია; ექსპროპრიაცია უკვე აღარ წარმოადგენს სოციალურ ბოჭვას. შინაარსის განმსაზღვრელი ნორმა, რომელიც კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებს აჭარბებს, ექსპროპრიაციის ნორმად არ იქცევა, რადგან იგი კონსტიტუციის საწინააღმდეგოა და ამდენად ბათილიც. ექსპროპრიაციად მიიჩნევა საკუთრების მთლიანი, ანდა ნაწილობრივი ამოღება. ნაწილობრივია ამოღება მაშინ, როცა საკუთრების შემადგენელი ნაწილი, რომელიც სამართლებრივად დამოუკიდებელი შეიძლება გახდეს, საკუთრებიდან გამოიყოფა. ექსპროპრიაცია შეიძლება მხოლოდ კანონის მეშვეობით ან მის საფუძველზე განხორციელდეს. მისი დაშვებადობა დამოკიდებულია იმაზე, რომ ექსპროპრიაციის ნებადამრთველი კანონი, იმედროულად, კომპენსაციის საჩესა და ოდენობას ითვალისწინებს (ე. წ. ურთიერთკავშირის პირობა). კომპენსაცია უნდა დადგინდეს საზოგადოებისა და ხელყოფილი მესაკუთრეების ინტერესთა სამართლიანი შეწონასწორებით. მაგრამ ექსპროპრიაციის კანონებში საზოგადოდ იგი ორიენტირებულია ბრუნვის ღირებულებაზე.

2. უფლება მიწის ნაკვეთსე სამოქალაქო სამართლის წიგნის მიხედვით

საკუთრება, ძირითადი კანონის მე-14 მუხლის თანახმად, განისაზღვრება კერძო სამართლებრივი და საჯარო-სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. კერძო სამართლებრივი საფუძველი საკუთრებისათვის არის სამოქალაქო სამართლის წიგნის § 903. ეს ნორმა აყალიბებს საკუთრების შინაარსს პოზიტიური და ნეგატიური ასპექტით. ერთის მხრივ, მესაკუთრეს შეუძლია სურვილისამებრ მოექცეს ნივთს. მეორეს მხრივ, მას უფლება აქვს გამოიცილოს მესამე პირები მის ნივთზე ყოველგვარი ზემოქმედებისაგან. თავდაცვის ეს უფლება გამოიხატება ხელშეუხებლობის მიმართ უკანდაბრუნების, უმოქმედობის და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაში. მაგრამ სამოქალაქო სამართლის წიგნის გაგებით საკუთრება არ არის შეუზღუდავი. მესაკუთრის ორივე (პოზიტიური და ნეგატიური) უფლებამოსილება შეიძლება მესამე პირთა (მაგალითად, იჯარის ხელშეკრულება, ქირავნობის ხელშეკრულება, უზუფრუქტი და ა. შ.) მეშვეობით შეიზღუდას. მაგრამ არსებითაა შეზღუდვა კანონის მეშვეობით; § 903-ში განმტკიცებული მითითება კანონზე პრაქტიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

სამოქალაქო სამართლის წიგნის სანივთო სამართალი არეგულირებს საკუთრების გადაცემას როგორც მოძრავ ნივთებზე, ასევე მიწის ნაკვეთებზე. გერმანული სამართლისთვის არსებითაა განსხვავება ვალდებულებით გარიგებებსა და შესრულების გარიგებებს შორის. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, როგორც ასეთი, ჯერ კიდევ არ იწვევს საკუთრების შეცვლას. უფრო მეტად ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება აფუძნებს უფლებებსა და მოვალეობებს ორივე მხარისათვის. ასე, გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს საკუთრება გაყიდულ ნივთზე. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებისაგან, როგორც ვალდებულებითი გარიგებისაგან, განსხვავდება შესრულების გარიგება. შემძენზე მიწის ნაკვეთის საკუთრების გადაცემის ვალდებულების შესრულებისათვის საჭიროა ორი სამართლებრივი აქტი, ერთის მხრივ, აუცილებელია შეთანხმება ყოფილ მესაკუთრესა და შემძენს შორის საკუთრების შეცვლის თაობაზე. ეს შეთანხმება განსხვავდება ვალდებულებითი გარიგების საფუძველად არსებული შეთანხმებისაგან, რომელიც მხოლოდ ვალდებულებებს აფუძნებს. მიწის ნაკვეთზე საკუთრების შეცვლის თაობაზე შეთანხმება, რომელიც საკუთრების გადაცემად არის მიჩნეული, ისევე როგორც შესაბამისი ვალდებულებითი გარიგება (მაგ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება და ა. შ.) ნოტარიუსის მიერ უნდა იქნეს დამოწმებული.

გადაცემასთან ერთად, რომელიც მოძრავ ნივთებზე აუცილებელია, მიწის ნაკვეთების მიმართ გათვალისწინებულია საადვილმამულო წიგნში რეგისტრაცია, როგორც საკუთრების გადასვლისათვის სამართლებრივად აუცილებელი აქტი.

III. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება და აგრარული სამართალი

სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრება მრავალი თავისებურებით ხასიათდება. ჯერ ერთი, კანონმდებელს შეუძლია მიწის ბრუნვის ურთიერთობებში ჩარევა. ეს ხდება როგორც სამიწო გარიგებათა და მიწის საიჯარო ურთიერთობათა კანონებით, ასევე სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობითი სამართლის მეშვეობით. მეორეც, მესაკუთრის უფლებაბო-სილებანი იზღუდება მიწის იჯარის სამართლით, რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ მოიჯარის სოციალურ დაცვას, არამედ მოიჯარის საწარმოს უზრუნველყოფასაც. და ბოლოს, განსახლებისა და მიწათმოწყობის სამართლის დახმარებით სახელმწიფო ცდილობს აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესებას, რომელშიც საწარმოები ხელახლა ჩამოყალიბდება და ვითარდება, ანდა, რომელშიც შესაძლებელია დაქუცმაცებული მიწათმფლობელობის გამთლიანება.

1. მიწის ბრუნვის სამართალი

სასოფლო და სატყეო-სამეურნეო მიწის განკარგვები ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს. ამის სამართლებრივ საფუძველს შეადგენს 1961 წლის 28 ივლისის სამიწო გარიგებათა კანონი. პრინციპში სასოფლო და სატყეო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების ყველა გასხვისება ნებართვასავალდებულოა. ნებართვამდე გარიგება ითვლება იურიდიული ძალის არმქონედ. ცხადია, ზოგი გარიგება ნებართვათავისუფალია. ლაპარაკია, სხვათა შორის, ფედერაციის ანდა ფედერალური ლანდების ზოგ გასხვისებით და შექმნილ გარიგებებზე. ასევე, განსახლებისა და მიწათმოწყობის პროცესით გათვალისწინებული ზოგი გარიგებები, მართალია, ნებართვასავალდებულოა, მაგრამ მიწის ბრუნვის უწყებამ ამგვარი უფლება უნდა გასცეს. ნებართვათავისუფალია გარიგებები, რომელთა დროსაც ხდება სასოფლო ანდა სატყეო-სამეურნეო საწარმოების გადაცემა მეუღლეთათვის ან ახლო ნათესავებისათვის.

ყველა სხვა შემთხვევაში ნებართვა აუცილებელია. ქვემოთ ჩამოთვლილი საფუძვლების არსებობისას შეიძლება ნებართვაზე უარი ითქვას:

ა) მიწის არაჯანსაღი განაწილება;

ბ) არამეურნეობრივი დაქუცმაცება;

გ) უხეში შეუსაბამისობა მიწის ნაკვეთის ფასსა და მის რეალურ ღირებულებას შორის.

მიწის არაჯანსაღ გადანაწილებად ჩაითვლება, როცა მიწის ნაკვეთი არასოფლის მეურნეზე უნდა იქნეს გასხვიებული. სოფლის მეურნე კი ამ მიწის ნაკვეთს თავისი საწარმოს არსებობის უზრუნველსაყოფად საჭიროებს და ასევე მზადაა გადაიხადოს შეთანხმებული ფასი. ძირითადი პროფესიის სოფლის მეურნესა და დამხმარე პროფესიის სოფლის მეურნეს შორის კონკურენტისას, როგორც წესი, მიწის არამეურნეობრივი დაქუცმაცება სასეზუა მაშინ, როცა დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმო თავის სიცოცხლისუნარიანობას დაკარგავდა, თუკი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი 1 ჰექტარზე ნაკლები გახდებოდა, ანდა სატყეო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი - 3,5 ჰექტარზე ნაკლები. ეს განსაზღვრებები მოქმედებს მემკვიდრეობის დანაწილების დროსაც. სასოფლო-სამეურნეო სასამართლოები ფასების უხეშ შეუსაბამისობად მიიჩნევენ, როცა განსხვავება შეთანხმებულ ფასსა და ქვეყნის შიგნით არსებულ რეალურ ღირებულებას შორის 50%-ს აღემატება.

2. განსახლების სამართალი

თანამედროვე პირობებში განსახლების სამართალს ჯერ კიდევ აქვს მარგინალური მნიშვნელობა. სამართლებრივ საფუძველს შეადგენს 1919 წლის 11 აგვისტოს საიმპერიო კანონი განსახლების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ახალი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნას და უკვე არსებული მცირე საწარმოების გაზრდას. განსახლების სუბიექტები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებათა ფორმით არსებული განსახლების საწარმოები, რომლებიც იქმნებიან და ფინანსდებიან ფედერალური ლანდების მიერ. განსახლებისათვის სასოფლო-სამეურნეო ფართობები დღეს, პირველ რიგში, მიწის თავისუფალი ყიდვის გზით შეიძინება, ხოლო მეორე შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებით ხდება, რომელიც კანონის საფუძველზე აქვთ განსახლების საწარმოებს მინიჭებული. განსახლების საწარმოს უპირატესი შესყიდვის უფლება არის სამიწო გარიგებათა კანონით გათვალისწინებული სანებართვო პროცესით ნიშანდებული. თუ უწყების აზრით, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას უარი უნდა ეთქვას, მაშინ უწყებამ განსახლების საწარმოს ამის თაობაზე უნდა შეატყობინოს. განსახლების საწარმოს შეუძლია უპირატესი შესყიდვის უფლების

განხორციელება. რამდენადაც სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გასხვისებისას ნებართვაზე უარის თქმა იშვიათია, უპირატესი შესყიდვის უფლებაც ასევე ასრულებს მეორეხარისხოვან როლს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაარსება თანამედროვე პირობებში ასევე იშვიათად ხდება. უპირატესად ხდება მიწის ნაკვეთების გადასვლა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებზე. ამ შემთხვევაში განსახლების საწარმოს აქვს კვლავსყიდვის უფლება, რომელიც საადგილმამულო წიგნში შეიტანება. კვლავსყიდვის საფუძველი არსებობს მაშინ, როცა მოსახლე მთლიანად ან ნაწილობრივ ასხვისებს ანდა თმობს თავის სასლ-კარს, ან როცა იგი დიდი ხნის მანძილზე არ ცხოვრობს იქ. ანდა არ აპუშავენს მიწის ნაკვეთს. კვლავსყიდვის უფლების ხანგრძლივობა, ფასი და სხვა დაწვერილებითი პირობები განსახლების ხელშეკრულებაში გაითვალისწინება.

3. სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობის სამართალი

სამოქალაქო მემკვიდრეობის სამართლით შეიძლება სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არსებობას საფრთხე დაემუქროს. ერთის მხრივ, სამოქალაქო მემკვიდრეობის სამართალი ემყარება ყველა მემკვიდრის თანასწორობას ისე, რომ ამან მემკვიდრეობისას შეიძლება საწარმოს რეალური დანაწილება და ამით მისი დაქუცმაცება გამოიწვიოს. მეორეს მხრივ, მხედველობაში მიიღება ბრუნვის ღირებულების საფუძველზე მემკვიდრეობით-სამართლებრივი უფლებები და სავალდებულო წილის უფლება. ამან კი ერთი მემკვიდრის მიერ საწარმოს მიღების დროს სხვა მემკვიდრეთა სასარგებლოდ ვალდებულებათა შესრულებისას შეიძლება საწარმოს ზედმეტად დავალიანება გამოიწვიოს. ამიტომ კანონმდებელმა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მემკვიდრეობით გადასვლისას სპეციალური წესები გაითვალისწინა. ცხადია, არ არსებობს ერთიანი მთლიანი წესი მთელი გერმანიისათვის, უფრო მეტად იგი ემყარება რამდენიმე ფედერალურ და ფედერალური ლანდების კანონს. სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მთლიანობის უზრუნველსაყოფად და მათი ზედმეტი დავალიანებისაგან დაცვის მიზნით კანონმდებელმა ოთხი ინსტრუმენტი გაითვალისწინა:

ა. მინიჭების უფლება

მინიჭების უფლებისას საწარმო თავდაპირველად ერგება სამოქალაქო სამართლის წიგნის წესებით შექმნილ სამემკვიდრეო ერთობას. სამემკვიდრეო დავისას საწარმო მემკვიდრეებს შორის არ გაიყოფა,

არამედ სასოფლო-სამეურნეო სასამართლოს შეუძლია საწარმო მთლიანად ერთ მემკვიდრეს მიანიჭოს, რომელიც დანარჩენ თანამემკვიდრეებს არა ბრუნვის ღირებულების, არამედ შემოსავლის ღირებულების საფუძველზე გაუსწორებს ანგარიშს. მინიჭების ამგვარი პროცედურა გათვალისწინებულია მიწის გარიგებათა ფელერალურ კანონში. იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა სამემკვიდრეო ერთობა კანონისმიერი მემკვიდრეობის გზით არის წარმოშობილი, და როცა მემკვიდრე, რომელიც მინიჭებაზე თანხმობას განაცხადებს, შეძლებს გაუძღვეს საწარმოს. თუკი საწარმოს მიმღები 15 წლის განმავლობაში მთლიანად ან ნაწილობრივ გაასხვისებს მას, ანდა იყენებს არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, მაშინ მან დამატებით თავის თანამემკვიდრეებს უნდა მისცეს კომპენსაცია. მინიჭების პროცედურა ასევე გათვალისწინებულია პესენის ერთ-ერთ კანონში.

ბ. მიღების უფლება

შვარცვალისათვის მოქმედი ბადენის საკომლო კანონი ითვალისწინებს მიღების უფლებას. როგორც მინიჭების უფლების დროს, აქაც თავდაპირველად კომლი გადადის სამოქალაქო სამართლის წიგნის წესით წარმოშობილ სამემკვიდრეო ერთობაზე; სამემკვიდრეო დავის შემთხვევაში დახურული კომლის მიმღები კომლს მიიღებს არა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, როგორც ეს მინიჭების დროსაა, არამედ სამკვიდროს დამტოვებლის ანდერძით ანდა კანონით განსაზღვრულ პირობებში. მთავარი კრიტერიუმი ამ შემთხვევაში არის უფროსობის უფლება. ამ დროს სხვა შვილებზე წინ დგას შვილი, რომლის განათლების ანდა კომლში მისი საქმიანობის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე სამკვიდროს დამტოვებელმა გადაწყვიტა, რომ კომლი მას უნდა გადასცეს.

გ. ერთმემკვიდრეობის უფლება

ბრემენის, ვუერტემბერგის, რეინლანდ-ჰუალცის ლანდების კანონებმა, ასევე ე. წ. ჩრდილო-დასავლურმა გერმანულმა საკომლო დებულებებმა, რომლებიც შლეზვიგ-ჰოლშტეინ, ქვედა საქსონიის, ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიისა და ჰამბურგისათვის როგორც პარციალური ფედერალური სამართალი მოქმედებენ, შემოიღეს ერთმემკვიდრეობის უფლება. ამის მიხედვით, კომლის მესაკუთრის სიკვდილის შემთხვევაში კომლი მთლიანად ერგება ერთ მემკვიდრეს. მან თავის თანამემკვიდრეს

ანგარიში უნდა გაუსწოროს ან შემოსავლის ღირებულების საფუძველზე ანდა მთლიანი ღირებულების 1,5-ჯერადად (ჩრდილო-დასავლური გერმანული საკომლო დებულება). ამ დებულების თანახმად, კომლის მემკვიდრე მეურნეობაუნარიანი უნდა იყოს. იგი სამი შემდეგი კრიტერიუმის შესაბამისად აირჩევა: პირველ რიგში კომლს იღებს ის, ვინც უკვე დამოუკიდებლად, ანდა როგორც მოიჯარე, ამუშავებს მას. მეორე რიგში იღებს ის, რომლის განათლების ანდა კომლში მისი საქმიანობის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე სამკვიდროს დამტოვებელმა გადაწყვიტა, რომ კომლი მას უნდა გადასცეს. მესამე რიგში ეს საკითხი წყდება უფროსობის ანდა უმცროსობის უფლების მიხედვით, ადგილობრივი ჩვეულების შესაბამისად. სამკვიდროს დამტოვებელს შეუძლია ანდერძით მოაწესრიგოს კომლის მემკვიდრეობა. მაგრამ მას შეუძლია მხოლოდ ერთი მემკვიდრის განსაზღვრა, და, ამავე დროს, ეს მემკვიდრე არაერთარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მეურნეობაუნარო. გარდა ამისა, მას არ შეუძლია მემკვიდრეობისგან გამორიცხოს დაღმავალი შტოს ნათესავი, რომელიც კომლს უკვე დამოუკიდებლად უძღვება ანდა კომლისათვის, მისი საქმიანობის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე, სამკვიდროს დამტოვებელმა ცნობილი გახადა, რომ დაღმავალი შტოს ნათესავმა უნდა მიიღოს მიწის ნაკვეთი. ჩრდილო-დასავლური გერმანული საკომლო დებულების თანახმად, მემკვიდრეობით კომლის გადასვლიდან 20 წლის განმავლობაში, კომლის მთლიანად ანდა ნაწილობრივ გაყიდვის შემთხვევაში, მესაკუთრემ უნდა აუნაზღაუროს წილი თავის მემკვიდრეს. 10 წლის შემდეგ მან სყიდვის ფასის მხოლოდ 3/4, ხოლო 15 წლის შემდეგ - სყიდვის ფასის ნახევარი უნდა გაუნაწილოს თანამემკვიდრებს.

დ. მესაკუთრის ანდერძის თავისუფლების გაფართოება

სამოქალაქო სამართლის წიგნის მიხედვით განმტკიცებული ანდერძის თავისუფლება შეზღუდულია სავალდებულო წილის უფლების მეშვეობით განსაზღვრული მემკვიდრეების მიმართ (დაღმავალი შტოს ნათესავები, მეუღლეები, მშობლები), რაც ბრუნვის ღირებულების საფუძველზე გამოიანგარიშება. მაგრამ სამოქალაქო სამართლის წიგნი მიწის მესაკუთრეს აძლევს იმ მემკვიდრის განსაზღვრის უფლებას, რომელზეც უნდა გადავიდეს მიწის ნაკვეთი. ამ შემთხვევაში საეჭვოა, რომ მიწის ნაკვეთი შემდგომი მემკვიდრეობით-სამართლებრივი ანდა სავალდებულო წილის მოთხოვნებისათვის შემოსავლის ღირებულებით უნდა შეფასდეს, თუ ბრუნვის ღირებულებით. ამგვარი უფლებამოსილე-

ბა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მესაკუთრეს აქვს და არა ჩვეულებრივი სამკვიდროს დამკვიდრებელს.

სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობითი სამართლის კანონები, მართალია, არ განსაზღვრავენ ზედა ზღვარს, მაგრამ აწესებენ ქვედა მიჯნას სპეციალური მემკვიდრეობის სამართლის გამოყენებისათვის. ამასთან, ერთმანეთისაგან განსხვავდება ორი სისტემა: ჩრდილო გერმანული სისტემა მყარი ქვედა ზღვრით (ან სამეურნეო ღირებულების საფუძველზე ანდა ფართობის სიდიდით (ბრემენი) და სამხრეთ-გერმანული სისტემა ქვედა ზღვრით, რომელიც ემყარება იმას, საკმარისია თუ არა საწარმოს შემოსავალი საგლეხო ოჯახის შენახვისათვის. 1976 წლამდე ჩრდილო-დასავლური გერმანული საკომლო დებულება ემყარებოდა სავალდებულო ერთმემკვიდრეობის სამართალს, ე. ი. 10000 გერმანული მარკის ზემოთ მთლიანი ღირებულების კომლების მემკვიდრეობისას დგებოდა სავალდებულო ერთმემკვიდრეობა, მიუხედავად მესაკუთრის სურვილისა. მესაკუთრეს არ ჰქონდა შესაძლებლობა თავისი საწარმო ერთმემკვიდრეობის უფლებიდან ჩამოეცილებინა. ამჟამად მთელს გერმანიაში პრინციპში მოქმედებს ფაკულტატური სისტემა, ე. ი. მესაკუთრეს აქვს შესაძლებლობა თავისი საწარმო ან ერთმემკვიდრეობის უფლებას დაუქვემდებაროს ანდა ამოიღოს მისგან და მემკვიდრეობა განახორციელოს სამოქალაქო სამართლის წიგნის ნორმათა მიხედვით.

4. მიწის იჯარის სამართალი

მიწის იჯარის უფლება ორი კანონითაა მოწესრიგებული. 1985 წლის 8 ნოემბრის მიწის იჯარის ურთიერთობის კანონი ითვალისწინებს მიწის იჯარის ხელშეკრულებებისათვის სახელმწიფოებრივ კონტროლს. სამოქალაქო სამართლის წიგნი შეიცავს ცალკე განყოფილებას მიწის იჯარის შესახებ, რომელიც მიწის იჯარის ხელშეკრულებას მისი მონაწილეების უფლებებითა და მოვალეობებით აწესრიგებს.

მიწის იჯარის ურთიერთობის კანონი ავალდებულებს მეიჯარეს, რომ მან მიწის იჯარის ხელშეკრულების დადება და მისი ყოველგვარი შეცვლა კომპეტენტურ უწყებას განუცხადოს. მიწის იჯარის ხელშეკრულებები უწყების მიერ წარმართული პროცესის ფარგლებში (განსახლების, მიწათმოწყობის პროცესი), ისევე როგორც მიწის იჯარის ხელშეკრულებები ნათესავებს შორის, წარმოადგენენ გამონაკლისს. კომპეტენტურ უწყებას შეუძლია მიწის იჯარის ხელშეკრულება გააპროტესტოს იგივე საფუძვლებიდან გამომდინარე, რაც სამიწო გარიგებათა კანონშია გათვალისწინებული და საკუთრების შეცვლის პრინციპებს

ენინააღმდეგება. საწინაო გარიგებათა კანონისაგან განსხვავებით, იჯარის დროს, დამხმარე სოფლის მეურნეობა პრინციპულად გათანაბრებულია მთავარ სოფლის მეურნეობასთან. მიწის იჯარის ხელშეკრულებას შერეობით უწყება ხელშეკრულებას მონაწილეებისაგან მოითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას ანდა გარკვეულწილად მის შეცვლას. თუ ხელშეკრულების მხარეები არ შეასრულებენ ამ მოთხოვნას, მაშინ მიწის იჯარის ხელშეკრულება ანდა ხელშეკრულების ცვლილება ითვლება გაუქმებულად, თუკი ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე არ მიმართავს სასამართლოს. მეიჯარის მიერ ხელშეკრულების განუცხადებლობისათვის უწყებებს შეუძლიათ მას დააკისრონ ჯარიმა. გარდა ამისა, განუცხადებელი ხელშეკრულების შემთხვევაში არ შეიძლება მოთხოვნილი იქნეს სახელშეკრულებო მოქმედებათა სასამართლოსეული მისადაგება შეცვლილი ეკონომიკური ურთიერთობებისადმი.

იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავდება მიწის იჯარის ხელშეკრულება განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვადით. განუსაზღვრელი ვადით იჯარის ხელშეკრულებისას ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია არაუგვიანეს საიჯარო წლის მესამე სამუშაო დღისა, ახალი საიჯარო წლის დაწყებამდე მოშალოს ხელშეკრულება. განსაზღვრული ვადით იჯარის ხელშეკრულებები შეიძლება ასევე ზებირად დაიდოს. იჯარის ხელშეკრულებები, რომლებიც ორ წელზე მეტი ვადით დაიდება, მოითხოვონ წერილობით გაფორმებას. თუკი არ არის წერილობითი ფორმა, მაშინ ეს ხელშეკრულებები განიხილება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად. მოიჯარეს შეუძლია მეიჯარისგან საიჯარო ურთიერთობათა გაგრძელება მოითხოვოს, თუკი მისი მატერიალური მდგომარეობა იჯარაზე დამოკიდებული და ხელშეკრულებისმიერი დამთავრება საიჯარო ურთიერთობისა, მოიჯარისა და მისი ოჯახისათვის მძიმე ვითარებას გამოიწვევდა. მაგრამ ამისათვის მოქმედებენ გარკვეული დროითი ზედა საზღვრები. იჯარის გაგრძელება სასამართლოს მიერ გამორიცხულია, როცა ხელშეკრულების ხანგრძლივობა საწარმოს იჯარისას არანაკლებ 18 წელია, ხოლო სხვა მიწის ნაკვეთების იჯარის დროს სულ ცოტა 12 წელი იყო შეთანხმებული. განსაზღვრულ შემთხვევებში იჯარის გაგრძელება სასოფლო-სამეურნეო სასამართლოს მიერ გამორიცხულია.

საიჯარო თანხა მიწის იჯარის ხელშეკრულების განცხადების დროს შეიძლება უწყების მიერ გაპროტესტდეს, თუ იგი არ შეესაბამება საიჯარო ნაკვეთის შემოსავალს. საიჯარო თანხის შესწორება შეიძლება საინდექსო პრინციპებით იქნეს მიღწეული. ინდექსირება მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, როცა იგი კომპეტენტური ცენტრალური ბანკის მიერაა

ნებადართული. ეს ღონისძიება ემსახურება, რომ ინფლაცია იქნეს თავიდან აცილებული.

ურთიერთობის შემდგომი შეცვლისას, რომელიც იჯარის ხელშეკრულების დადების დროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედების დადგენისათვის მნიშვნელოვანი იქნება, ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია სასოფლო-სამეურნეო სასამართლოში ხელშეკრულების შეცვლა მოითხოვოს (ხელშეკრულების ხანგრძლივობის გამოკლებით), თუ ამის შედეგად თავიდან იქნება აცილებული უხეში გაუგებრობანი. ცვლილება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს არაუადრეს ორი წლისა იჯარის დაწყებიდან ანდა ხელშეკრულების დროის უკანასკნელი ცვლილებიდან.

მოიჯარე ვალდებულია, რომ საიჯარო საგანი სათანადოდ დაამუშავოს. საიჯარო საგნის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შეცვლა (მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის გადაქცევა კირწყვის მოსაპოვებლად ადგილად) მოიჯარეს მხოლოდ მეიჯარისგან წინასწარი ნებართვის მიღების შემდეგ შეუძლია. მეიჯარის მიერ ნებართვაზე უარი არ შეიძლება სასოფლო-სამეურნეო სასამართლოს მიერ შეიცვალოს. სასოფლო-სამეურნეო სარგებლობის შიგნით საიჯარო საგნის სარგებლობის შეცვლისათვის მოიჯარე საჭიროებს მეიჯარის წინასწარ ნებართვას იმ შემთხვევებში, როცა შეცვლის გზით სარგებლობის სახე გავლენას ახდენს იჯარის ვადაზე. შენობის აგებაც მოიჯარეს შეუძლია მხოლოდ მეიჯარის წინასწარი თანხმობით. თუკი მეიჯარე უარს იტყვის ნებართვაზე, მაშინ განსაზღვრული პირობების არსებობისას შეიძლება იგი სასოფლო-სამეურნეო სასამართლოს მიერ იქნეს შეცვლილი.

მოიჯარის ინვესტიციები იმით შეიძლება ანაზღაურდეს, რომ მეიჯარე საიჯარო ურთიერთობების ბოლოს აუნაზღაურებს მოიჯარეს სასარგებლო გამოყენებებს, როცა გამოყენებები საიჯარო საგნის ღირებულებას იჯარის შემდგომი დროისათვის ზრდიან. თუ მეიჯარე უარს ამბობს მოიჯარის სასარგებლო გამოყენებათა ანაზღაურებაზე, მაშინ მოიჯარეს შეუძლია ანაზღაურება მიიღოს სასოფლო-სამეურნეო სასამართლოს მეშვეობით. სასოფლო-სამეურნეო სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს საიჯარო საგნის ზედმეტი ღირებულება და დაადგინოს იგი. განსაზღვრული გარემოებების არსებობისას სასამართლოს შეუძლია მეიჯარეს დააკისროს განვადებით გადახდა ზედმეტი ღირებულებებისათვის, ანდა დაადგინოს საიჯარო ურთიერთობების გაგრძელება მანამ, სანამ საიჯარო საგანი ამორტიზებული იქნება.

განსაზღვრული პირობების არსებობისას მოიჯარემაც უნდა ითმინოს მეიჯარისგან განხორციელებული გაუმჯობესებები. გარემოებათა

არსებობისას მეიჯარეს შეუძლია მოითხოვოს საიჯარო თანხის შესაბამისი გაზრდა.

საიჯარო ურთიერთობების განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს როგორც მეიჯარის, ასევე მოიჯარის პიროვნებები. მეიჯარის სიკვდილის შემთხვევაში საიჯარო ურთიერთობა გაგრძელდება მისი მემკვიდრეების მიერ. საიჯარო საგნის გასხვისებისას მოიჯარეზე მიწის ნაკვეთის გადაცემის შემდეგ შემძენი საიჯარო ხელშეკრულებაში იკავებს მეიჯარის ადგილს; ამასთან, მოქმედებს პრინციპი: “ყოველ-გაყოფა არ ანგრევს იჯარას”. მოიჯარის სიკვდილის შემთხვევაში როგორც მისი მემკვიდრეები, ასევე მეიჯარე, უფლებამოსილი არიან, საიჯარო ურთიერთობა ექვსთვიან ვადაში, კვარტლის დამთავრებამდე მოშალონ. მაგრამ მემკვიდრეებს აქვთ უფლება ხელშეკრულების მოშლას შეეწინააღმდეგონ და საიჯარო ურთიერთობათა გაგრძელება მოითხოვონ, როცა საიჯარო ნივთის სათანადო დამუშავება მემკვიდრეების ანდა მესამე პირის მიერ გარანტირებულია. მეიჯარის თანხმობის გარეშე მოიჯარეს არ შეუძლია საიჯარო ნივთი მესამე პირს გადასცეს, კერძოდ, არ შეუძლია მას მისი გაცემა ქვეიჯარით. მეიჯარის თანხმობის გარეშე ასევე არ შეუძლია მოიჯარეს საიჯარო ნივთი მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს საერთო სარგებლობისათვის.

5. მიწათმოწყობის სამართალი

მიწათმოწყობის სამართალი ემყარება 1976 წლის 16 მარტის რედაქციით მოქმედ 1953 წლის 14 ივლისის მიწათმოწყობის კანონს. მიწათმოწყობის მიზანია გააუმჯობესოს სოფლისა და სატყეო მეურნეობაში წარმოებისა და შრომის პირობები, ხელი შეუწყოს მიწის კულტურის დაცვასა და მის განვითარებას. ამ მიზნით მიწათმფლობელობა ახლებურად უნდა მოწესრიგდეს. ცნება “მიწის კულტურა” მოიცავს ყველა ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ასპექტს, რომლებიც არსებითია სასოფლო და სატყეო მეურნეობისათვის. მიწის განვითარება გაიგება როგორც სივრცითი მოწყობისა და დაგეგმარების ნაწილი, რომელიც მოიცავს მიწის სივრცითი განვითარების დაგეგმვას. მიწათმოწყობა შესაბამისი უწყების მიერაა მოწესრიგებული. მონაწილე-მესაკუთრეთა უმრავლესობის მხარდაჭერა არ არის აუცილებელი. მიწათმოწყობის ორგანიზაციით შესაბამისი მესაკუთრეები ერთიანდებიან საჯარო სამართლის ორგანოში, ე.წ. მონაწილეთა თანამეგობრობაში. მონაწილეთა თანამეგობრობას უფლება აქვს მისი წევრებისაგან საწევროები მოითხო-

ვოს. თავდაპირველად ღვინვა ძველი ნაკვეთის ღირებულება. ღირებულების დადგენა ქმნის საფუძველს წევრთათვის ახალი ნაკვეთების მეშვეობით კომპენსაციისათვის. ამას მოსდევს გეგმის ფარგლებში საგზაო და წყლის გეგმების ჩამოყალიბება, რომელსაც აუცილებლად უნდა ერთვოდეს თან ეკოლოგიური ასპექტებისა და ლანდშაფტის მოვლის თანაგეგმა. საგზაო და წყლის გეგმები წარმოადგენენ საფუძველს მიწის ასრულებური დაყოფისათვის. მიწათმოწყობის გეგმის პროექტი შემდგომ მონაწილეებთან ერთად განიხილება უწყების მიერ. მიწათმოწყობის გეგმაში გაითვალისწინება მიწის ნაკვეთების გაერთიანება და გაცვლა. ამისათვის მოქმედებს თანაბარი ღირებულების პრინციპი. მიწის ნაცვლად ფულადი ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ მესაკუთრის თანხმობით. არსებული საწარმოს სტრუქტურის შეცვლა ასევე დაიშვება მხოლოდ მონაწილის ნებართვით. მიწათმოწყობისათვის მოქმედებს სუროგაციის პრინციპი, ე.ი. სანივთო უფლებები და საიჯარო ურთიერთობები გადადიან ძველი მიწათმფლობელობიდან ახლად განაწილებულ მიწათმფლობელობაზე. სამართლებრივი გავლენა მიწათმოწყობის გეგმისა მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივი ურთიერთობები უშუალოდ იცვლებიან, თუმცა, ახალი სამართლებრივი მდგომარეობა მხოლოდ მიწათმოწყობის გეგმის შედეგად კი არ დგება, არამედ საჭიროებს ასევე განხორციელების გადაწყვეტილებას, რომელშიც განსაზღვრული იქნება ახალი სამართლებრივი მდგომარეობის დადგომის დრო. გარდა ამ ზოგადი მიწათმოწყობისა, მოქმედებს ასევე სპეციალური პროცედურა, რომელთა მიმართ გამოიყენება სპეციალური ნორმები.

სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის ზოგიერთი საკითხი

მარიამ ცისკაძე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოში ნამდვილი საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობის ჩამოყალიბება და განვითარება წარმოდგენილია სათანადო სამართლებრივი რეგულირების გარეშე. “მეწარმეთა კანონი” ერთ-ერთი პირველი ნორმატიული აქტია, რომელიც ამ მიზანს ისახავს. იგი აწესრიგებს საწარმოთა ყველა იმ ძირითადი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საქმიანობას, რომელიც მიღებული და დამკვიდრებულია საზღვარგარეთის ქვეყნების სამეწარმეო საქმიანობაში. /ის სრულ იურიდიულ გარანტიებს იძლევა სამეურნეო ბრუნვის მონაწილეთა დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის, მისი ნორმები თანაბრად ვრცელდება როგორც ქართველ მეწარმეებზე, ისე უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, მათ მიმართ არავითარი შეზღუდვა არ არის გათვალისწინებული./ეს კი უდავოდ ხელს შეუწყობს უცხოელ პარტნიორთა მოზიდვას და აქტიურ ჩაბმას საქართველოს სამეწარმეო საქმიანობაში.

“მეწარმეთა კანონის” მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის, რომ საწარმოს რეგისტრაცია ხდება არა მმართველობის ადგილობრივი ორგანოს მიერ, არამედ სასამართლოში/სასამართლო საწარმოს რეგისტრაციას ახორციელებს სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერებით და ამასთან ნებისმიერ პირს საშუალებას აძლევს გაეცნოს რეესტრის ჩანაწერებს. ამრიგად, ახალი სამეწარმეო სტრუქტურების შექმნის და მათში მომხდარი ყველა ცვლილების რეგისტრაციით/სასამართლო ნებაყოფილობითი სამეწარმეო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ორგანოდაც იქცა./ ამ ახალი ფუნქციის დაკისრებით მნიშვნელოვნად გაფართოვდა სასამართლოს საქმიანობის სფერო, კიდევ უფრო ამაღლდა და გაიზარდა მისი როლი და ავტორიტეტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თავის მხრივ, სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაცია ხელს შეუწყობს ქართველ მეწარმეთა დროულ ჩართვას თანამედროვე ევროპულ სამეწარმეო ბრუნვაში. ვინაიდან ევროპის მთელ რივ სახელმწიფოებში საწარმოთა რეგისტრაცია სწორედ სასამართლოში ხდება, ასე-

თი საწარმოები უფრო საიმედო პარტნიორებად არიან მიჩნეულნი. ხოლო/იმ ფაქტებს და მონაცემებს, რომლებიც არ არის შეტანილი სამეწარმეო რეესტრში, იურიდიული ძალა არ გააჩნია და სათანადო სამართლებრივ დაცვასაც მოკლებულია/ამიტომ სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაცია უცხოელ მეწარმეებთან სამეურნეო ინტერესების გაერთიანების და კოორდინირების გარკვეული ახალი ფორმაცაა.

სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერების მეშვეობით საწარმოს რეგისტრაციის დიდი გამოცდილება და ტრადიციები გერმანიაში პირველი ინსტანციის სასამართლოებს აქვთ.

სამეწარმეო რეესტრის მნიშვნელოვან ამოცანად მიჩნეულია იმ მნიშვნელოვანი სამართლებრივი ურთიერთობების დაფიქსირება, იურიდიული გაფორმება, რომელიც წარმოიშობა მეწარმის და საწარმოს კომერციული საქმიანობის განხორციელების პროცესში.²

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სრულიად მართებულად არის აღნიშნული, რომ/სამეწარმეო რეესტრი პირველყოვლისა მიზნად ისახავს სამეწარმეო სამართლებრივი ბრუნვის სრულყოფას, გამარტივებას და დაცვას.³

გერმანიაში სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერები ხორციელდება სასამართლოს მიერ არა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების მიხედვით, არამედ სპეციალური საპროცესო კანონის “უდავო საქმეების სამართალწარმოების შესახებ” შესაბამისად.

ეს კანონი აწესრიგებს არა მარტო სასამართლოს მიერ საწარმოთა რეგისტრაციის, არამედ სასამართლოში საადგილმამულო წიგნის რეგისტრაციას, ბინის საკუთრების, ზოგიერთი სახის საოჯახო-სამართლებრივ საქმეებს, პიროვნების მიერ ნივთის შესანახად და დასაცავად მიბარების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის ჩანაწერების, მემკვიდრეობის და სამეურვეო საკითხებს.⁴

საქართველოში სასამართლო სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერების გაკეთებისას ხელმძღვანელობს მხოლოდ “მეწარმეთა შესახებ კანონის” შესაბამისად, განსაკუთრებით კი ამ კანონის მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებით, რომლებიც სამეწარმეო რეესტრს ზოგადად, რეგისტრაციის პირობებს, რეესტრის საჯაროობას ეხება. სპეციალური საპროცესო კანონი ამ საკითხების მოსაწესრიგებლად ჯერ არ შემუშავებულა.⁵

იმისათვის, რომ სამეწარმეო რეესტრის მონაცემები ზუსტი, სწორი და საიმედო იყოს, ამის პირველ გარანტს კანონი უნდა წარმოადგენდეს. თუ “მეწარმეთა შესახებ კანონი” და სპეციალური საპროცესო ნორმები ნათლად, გარკვევით და სრულყოფილად არ მოაწესრიგებენ ყველა იმ საკითხს, რომელიც სასამართლოს მიერ სამეწარმეო რეეს-

ტრის ჩანაწერების გაკეთებას ეხება, ამან პრაქტიკაში შეიძლება დიდი სირთულეები გამოიწვიოს, რეესტრის ჩანაწერები არასწორად გაკეთდეს, ეს კი შეცდომაში შეიყვანს კომერციული ბრუნვის მონაწილეებს და ამან შეიძლება მთელი სამეწარმეო საქმიანობის მოშლაც გამოიწვიოს. დღეისათვის საქართველოში კუკე შეიმჩნევა საწარმოთა რეგისტრაციის თაობაზე სასამართლო პრაქტიკის არაერთგვაროვნება და მთელი რიგი ხარვეზები, რაც “მეწარმეთა შესახებ კანონის” ზოგიერთი მუხლის არასრულყოფილებით და სპეციალური საპროცესო კანონის უქონლობით უნდა აიხსნას.

მხოლოდ ზოგიერთ, მნიშვნელოვან მომენტზე მინდა ყურადღების გამახვილება.

1. ისევე როგორც გერმანიაში, საქართველოშიც საწარმოთა რეგისტრაცია ხორციელდება რაიონული 1-ლი ინსტანციის სასამართლოების მიერ. გერმანიაში სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებს აკეთებს როგორც მოსამართლე, ისე სასამართლოს მოხელე, რომელსაც დაკისრებული აქვს რეგისტრაციის საქმეების წარმოება. მის თანამდებობას “რეხტსფლეგერი” ეწოდება.

საქართველოში ე.წ. “რეხტფლეგერის” თანამდებობა არ არის შემოღებული და საწარმოთა რეგისტრაციის საქმეებს აწარმოებენ ის მოსამართლეები, რომლებსაც უშუალოდ იუსტიციის მინისტრის მიერ დაკისრებული აქვთ ეს ფუნქცია.

“მეწარმეთა შესახებ კანონის” 5.2 მუხლის მე-4 ნაწილში აღნიშნულია, რომ განცხადება შეიტანება სასამართლოში ინდივიდუალური მეწარმის ან საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა მოსამართლეები ინდივიდუალური მეწარმის იურიდიულ მისამართად მიიჩნევენ მისი საცხოვრებელი ადგილის მისამართს და რეგისტრაციაში ატარებენ ამ მისამართზე, მაშინ როდესაც მეწარმე თავის საქმიანობას სულ სხვა იურიდიულ მისამართზე და სხვა რაიონში ახორციელებს. კიდევ უფრო მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული იმ ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის საკითხი, როცა იგი ერთდროულად სხვადასხვა იურიდიულ მისამართზე (რაიონში) ახორციელებს საქმიანობას. კანონმდებელმა ინდივიდუალური მეწარმის იურიდიულ მისამართად მიიჩნია ის ადგილი, სადაც ის ახორციელებს უშუალოდ თავის სამეწარმეო საქმიანობას. სხვადასხვა ადგილზე საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში მან მხოლოდ ერთი ადგილის მიხედვით უნდა შეიტანოს განცხადება და გატარდეს რეგისტრაციაში, მაგრამ სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებში აუცილებლად უნდა გაკეთ-

დეს აღნიშვნა იმის თაობაზე, რომ იგი სხვა ადგილშიც ახორციელებს საქმიანობას და ამ ადგილის ზუსტი მისამართის მითითებაა საჭირო. ასეთ მეწარმეს მხოლოდ ერთი რეგისტრაციის ნომერი ექნება

2. არასწორად არის მითითებული “მეწარმეთა შესახებ კანონის” 5.8 მუხლში, რომ “რეგისტრაცია შეიძლება გაუქმდეს აგრეთვე საზოგადოების ნებისმიერი პარტნიორის ან ნებისმიერი პირის სარჩელის საფუძველზე”. აღსანიშნავია ის, რომ საწარმოს რეგისტრაცია სასამართლოს მიერ სასარჩელო წარმოების წესით კი არ ხორციელდება, არამედ განსაკუთრებული წარმოებით და ამიტომ რეგისტრაციის გაუქმება შეიძლება არა სარჩელის წარდგენით, არამედ დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე

3. ამ კანონის 5.9 მუხლის თანახმად “სასამართლო ვალდებულია რეგისტრაცია განახორციელოს აუცილებელი საბუთების წარდგენიდან ერთი კვირის ვადაში. თუ ამ ვადაში რეგისტრაცია არ განხორციელდება ან განმცხადებელს არ ეცნობება უარის შესახებ, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად”.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ქვეყნებში, სადაც სასამართლოები აწარმოებენ სამეწარმეო რეესტრის ჩანაწერებს, კანონით არსად არ არის დადგენილი ერთ კვირიანი ვადა საწარმოს რეგისტრაციისათვის. მოსამართლე სრულყოფილად რომ გაეცნოს სარეგისტრაციოდ წარდგენილ ყველა საბუთს და კანონის მოთხოვნათა დაცვით აწარმოოს რეესტრის ჩანაწერები, ამისათვის ერთი კვირა ნამდვილად არ არის საკმარისი. გერმანიაში მაგალითად ერთი თვეა დადგენილი საწარმოს რეგისტრაციისათვის და საჭიროების შემთხვევაში მოსამართლემ ეს ვადა შეიძლება კიდევ გააგრძელოს.

ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსიდან ირკვევა, რომ თუ მოსამართლემ საწარმო რეგისტრაციაში არ გაატარა იმ მოტივით, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მან განმცხადებელს უნდა აცნობოს რეგისტრაციაზე უარის შესახებ.

მოცემული შემთხვევისათვის კი გერმანიის კანონით “უდავო საქმეების სამართალწარმოების შესახებ” სულ სხვა წესია გათვალისწინებული. კერძოდ, თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილი რომელიმე საბუთი არ შეესაბამება მატერიალური და საპროცესო კანონის მოთხოვნებს, მოსამართლეს გამოაქვს განჩინება აღნიშნული ხარვეზების შესწორების თაობაზე და თავის შეხედულებისამებრ უთითებს კონკრეტულ ვადას მათ გამოსასწორებლად. ეს განჩინება არასწორად შედგენილ საბუთთან (ამ საბუთის ასლს მოსამართლე იტოვებს) ერთად ეგზავნება განმცხადებელს, ხოლო სხვა საბუთები, რომლებიც სწორა-

დაა შედგენილი, სასამართლოში რჩება. თუ მასამართლის მიერ მიი-
თებულ კონკრეტულ ვადაში აღნიშნული არ იქნება შესწორებული ან
კვლავ არასწორად იქნება წარდგენილი, მხოლოდ ამის შემდეგ გამო-
აქვს საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე უარის თქმის დადგენილება.
ახალ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით ამგვარი წესი ჩვენი სასა-
მართლოსთვისაც უნდა იქნეს დადგენილი.

აზრთა სხვადასხვაობაა გამოწვეული და სხვაგვარ არის მიჩნე-
ლი კანონის 5.9 მუხლის ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ თუ
საწარმო ერთ კვირაში არ იქნება რეგისტრირებული სასამართლოს
მიერ, იგი ჩაითვლება რეგისტრირებულად. მართალია, კანონმდებელი
აქ მეწარმის ინტერესებიდან გამოდის და საშუალებას აძლევს დაუყო-
ნებლივ ჩაერთოს სამოქალაქო ბრუნვაში ისე, რომ არ დაელოდოს
სასამართლოს რეგისტრაციას. მაგრამ აქვე უნდა გათვალისწინებინა
ის სირთულეები და გაურკვევლობა, რაც კომერციულ სამართლებრივ
ურთიერთობებში ისეთი საწარმოს მონაწილეობამ შეიძლება გამოიწვი-
ოს, რომლის მონაცემებიც სამეწარმეო რეესტრში ჯერ კიდევ არ არის
შეტანილი და რეგისტრაციის ნომერი არ გააჩნია. გარდა ამისა, ამით
სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციას გარკვეულად ფორმა-
ლური ხასიათიც ეძლევა. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია “მეწარმე-
თა კანონის” 5.9 მუხლიდან ამ ნაწილის ამოღება.

4. არაერთგვაროვნად არის გაგებული ხსენებული კანონის 5.2
მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ “ინდივიდუალური მეწარმე და პირე-
ბი, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საზოგადოება, ვალდებული არიან
სასამართლოში დატოვონ ხელმოწერის ის ნიმუში, რომელსაც საქმიან
ურთიერთობებში გამოიყენებენ”. ე.ი. ამ ნორმის თანახმად უშუალოდ
მოსამართლესთან უნდა შესრულდეს ხელმოწერა. მაგრამ იმავე მუხლის
მე-3 ნაწილში მითითებულია, რომ “განცხადება რეესტრში რეგისტრა-
ციის შესახებ, სასამართლოში დატოვებული ზუსტი ხელმოწერის ნი-
მუში, აგრეთვე თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები წარმოდგე-
ნილი უნდა იქნეს სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით”. როგორც
ვხვდავთ, ამ მუხლში ნათლად არ არის ჩამოყალიბებული უშუალოდ
მოსამართლესთან უნდა შესრულდეს ხელმოწერა თუ ნოტარიუსთან
და სანოტარო წესით დამოწმებული ფორმით იქნეს შემდეგ წარდგენი-
ლი სასამართლოში⁶ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად სასამარ-
თლოში ძირითადად ნოტარიუსთან შესრულებული და სანოტარო წე-
სით დამოწმებული ხელმოწერების წარდგენა ხდება. ამიტომ სასურვე-
ლად მიმაჩნია 5.2 მუხლის 1-ლი ნაწილის შეცვლა იმგვარად, რომ
“ინდივიდუალური მეწარმე და ის პირები, რომლებმაც უნდა წარმოად-

გინონ საზოგადოება, ვალდებული არიან სასამართლოში წარმოადგინონ ნოტარიუსთან შესრულებული და სათანადო სანოტარო ფორმით დამოწმებული ხელმოწერის ნიმუშები, რომლებსაც საქმიან ურთიერთობებში გამოიყენებენ”.

5/საწარმოს უფლება აქვს დააარსოს ფილიალები, წარმომადგენლობები, სააგენტოები, ბიუროები, რომლებიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენენ. მაგრამ “მეწარმეთა კანონის” მე-16 მუხლი მხოლოდ ფილიალის შექმნასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება. ხშირად მოსამართლისთვის და მეწარმისთვისაც გაურკვეველია, თუ რომელი ნორმით უნდა იხელმძღვანელონ წარმომადგენლობების, ბიუროს, სააგენტოს გახსნის შემთხვევაში. მართალია მე-16 მუხლის შინაარსი ვრცელდება მათ მიმართაც, მაგრამ მეტი სიცხადისათვის სასურველია ამ მუხლში სპეციალურად იქნეს მითითებული, რომ “საწარმოს შეუძლია დააარსოს ფილიალი, წარმომადგენლობა, ბიურო, სააგენტო, რომელიც იურიდიულ პირს არ წარმოადგენს”.

ამ მუხლის თანახმად საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულმა სასამართლომ რეგისტრაციისათვის საბუთები უნდა გადაუგზავნოს ფილიალის ადგილსამყოფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს. მაგრამ კონკრეტულად არ არის მითითებული, თუ რა სახის საბუთებია საჭირო ფილიალის რეგისტრაციისათვის, რაც სასამართლო პრაქტიკაში გარკვეულ სირთულეებს იწვევს. როგორც წესი, ფილიალის რეგისტრაციისათვის საჭიროა ყველა იმ საბუთის წარდგენა, რაც საწარმოს რეგისტრაციისათვის არის კანონით გათვალისწინებული, თუ კი საწარმოს ესაჭიროება წესდება, ფილიალსაც თავისი დებულება უნდა ჰქონდეს და სათანადო წესით დამოწმებული წარადგინოს სასამართლოში. ფილიალის სარეგისტრაციოდ წარდგენილი საბუთის დედნები რჩება საწარმოს მარეგისტრირებელ სასამართლოში, ხოლო ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ამ საბუთების ასლები კი იგზავნება იმ სასამართლოში, სადაც ფილიალი უნდა გატარდეს რეგისტრაციაში. ამ საბუთებთან ერთად სასურველად მიგვაჩნია ძირითადი საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე დადგენილების და ფორმულარის ასლების გაგზავნაც, რათა ფილიალის მარეგისტრირებელ მოსამართლეს სრული წარმოდგენა ჰქონდეს ამ საწარმოს შესახებ.

ცალკე, სპეციალური რეგისტრაციის ნომერი ფილიალს არ ეძლევა, იგი სარგებლობს იმ ნომრით, რომელიც საწარმოს აქვს მინიჭებული, მაგრამ ამ ნომერს ფილიალის აღმნიშვნელი ნიშანი უნდა ჰქონდეს.

მე-16 მუხლში მეტად ზოგადად მიმართა მითითება იმის თაობაზე, რომ “ფილიალის შექმნის შესახებ ეცნობება საწარმოს ადგილსამყოფ-

ფელის მიხედვით არსებულ სასამართლოს". აქ უფრო კონკრეტულად უნდა იყოს აღნიშნული ფილიალის მარეგისტრირებული სასამართლოს მოვალეობა დადგენილების და ფორმულარის ასლები გაუგზავნოს საწარმოს მარეგისტრირებულ სასამართლოს. ამ უკანასკნელმა კი საწარმოს რეესტრის ფორმულარში ახალ რიგით ნომრად უნდა გააკეთოს ჩანაწერი ფილიალის რეგისტრაციის შესახებ ყველა მონაცემის გათვალისწინებით.

თუ ძირითადი საწარმო და მისი ფილიალი ერთსა და იმავე რაიონში ახორციელებენ საქმიანობას, მაშინ მოცემულ შემთხვევაში ფილიალისათვის ცალკე საქმე უნდა იქნეს შედგენილი და მის მიმართ გავრცელდება ფილიალის რეგისტრაციის თაობაზე საერთო წესები.

თუ ფილიალის სარეგისტრაციოდ წარდგენილი საბუთები ვერ აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, მაშინ მოსამართლემ უნდა შეაჩეროს მისი რეგისტრაცია და განიხილოს კონკრეტული მითითებებით ხარვეზების შესწორების თაობაზე გაუგზავნოს იმ პირს, რომელმაც წარადგინა განცხადება ფილიალის რეგისტრაციის შესახებ.

ფილიალის საქმიანობაში ცვლილებების შეტანა და მისი საქმიანობის შეწყვეტა ისეთივე პროცედურით უნდა მოხდეს, რაც დადგენილია მის შექმნასთან დაკავშირებით.

ვინაიდან "მეწარმეთა კანონი" თანაბრად ვრცელდება როგორც ქართულ, ისე უცხოელ მეწარმეებზე, ამიტომ ფილიალის გახსნის უფლება აქვს საზღვარგარეთის საწარმოებსაც. მაგრამ მე-16 მუხლით არ არის გარკვეული, უცხოეთის საწარმოს ჯერ თვითონ ხომ არ ჭირდება რეგისტრაცია საქართველოში და შემდეგ შეუძლია დააარსოს ფილიალი. ეს საკითხი არაერთგვაროვნად არის გადაწყვეტილი საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით. მაგალითად, გერმანიაში უცხოეთის საწარმოები ჯერ თვითონ უნდა გატარებულ იყვნენ რეგისტრაციაში და შემდეგ შეეძლოთ ფილიალის შექმნა ამ ქვეყანაში. ეს კი გარკვეულად ხელს უშლიდა და აჭიანურებდა უცხოეთის ფირმების საქმიანობის დროულ დაწყებას. ამიტომ 90-იან წლებში ეს წესი შეიცვალა და უცხოეთის საწარმოს ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე გერმანიაშიც შეუძლია თავისი ფილიალი დააარსოს. მაგრამ მისი ფილიალის დაარსებისათვის საჭიროა ყველა იმ წესის დაცვა, რაც ამ ქვეყნის კანონმდებლობით ფილიალის რეგისტრაციისათვის არის დადგენილი.

საქართველოში უკვე უცხოეთის მრავალ საწარმოს სურს თავისი ფილიალის და წარმომადგენლობის გახსნა, ამიტომ ყოველგვარი სირთულის და გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად "მეწარმეთა კანონში" სასურველია გათვალისწინებულ იქნეს, რომ "საზღვარგარეთ რე-

გისტრირებულ საწარმოს შეუძლია საქართველოში ფილიალის დაარსება”.

6. პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება საწარმოს ან ფილიალის რეგისტრაციაზე, უარის თქმის შესახებ შეიძლება კერძო საკასაციო საჩივრის საფუძველზე გასაჩივრდეს 2 ინსტანციის სასამართლოში, რომელიც ან ძალაში ტოვებს უარის თქმის დადგენილებას, ან კიდევ აუქმებს და კონკრეტული მითითებებით აბრუნებს იმავე რაიონის სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასურველად მიმაჩნია ერთის მხრივ “მეწარმეთა კანონში” სამეწარმეო რეესტრის საკითხებზე მთელი რიგი ცვლილებების და დამატებების შეტანა და მეორეს მხრივ, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის იმ თავში, რომელიც განსაკუთრებულ წარმოებას ეხება, ამ საკითხების უფრო დეტალურად (დაწვრილებით) მოწესრიგება.

1 საქართველოში რაიონულმა სასამართლოებმა საწარმოთა რეგისტრაცია 1995 წლის 1 მარტიდან დაიწყეს.

2 Reithmann, Die Aufgaben öffentlicher Register, Dnotz, 1979, 776 Keidel, Shiqatz, stöber, Registerrecht, mithchen, 1991.

3 Gustavus, Hendelstegister Anmeldungen, Köln, 1983.

4 Walter, Zimmelmann, Praktikum det Fteiwilligen Getichtsbarkeit, 1991, passau.

5 საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პროექტში მხოლოდ რამდენიმე მუხლია გათვალისწინებული, რომელიც სასამართლოს მიერ საწარმოს რეგისტრაციის საკითხებს აწესრიგებს.

6 გერმანიაში 1966 წლამდე უშუალოდ მოსამართლესთან ხდებოდა ხელმოწერის რეგულირება, 1966 წელს ცვლილებები შევიდა “კანონში უდავო საქმეების სამართალწარმოების შესახებ” და ნოტარიუსთან შესრულებული ხელმოწერის ნიმუშები სათანადო ფორმით დამოწმებული წარედგინება სასამართლოს.

ეროვნული ბანკის ადგილი საქართველოს საბანკო სისტემაში

მზია ღუნდუა

თსუ სამოქალაქო სამართლის კათედრის მასწავლებელი

საკრედიტო სისტემის ფუნქციონირება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საბაზრო მეურნეობის განვითარებაში. იგი ხასიათდება საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო ოპერაციების ორგანიზაციისა და განხორციელების სამართლებრივი ფორმების ერთობლიობით. საკრედიტო ურთიერთობათა ორგანიზაციის ორ ძირითად ქვესისტემას გამოყოფენ: საბანკო და არასაბანკო ("კვაზიბანკები") ინსტიტუტებს. ამის შესაბამისად იქმნება საკრედიტო სისტემის ორი ძირითადი რგოლი: საბანკო და არასაბანკო დაწესებულებები.

ჩვენი ინტერესის საგანს ამჯერად წარმოადგენს საქართველოს საბანკო სისტემა და კერძოდ, ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ადგილი ამ სისტემაში.

ბანკები – საკრედიტო დაწესებულებათა ერთ-ერთ უძველეს და გავრცელებულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომლებიც თანამედროვე პირობებში ეწევიან საკრედიტო-საფინანსო მომსახურებას და თავისი არსით წარმოადგენენ უნივერსალური პროფილის ინსტიტუტებს.

ბანკი – კომერციული დაწესებულებაა, რომელიც მოიზიდავს იურიდიული და ფიზიკური პირების ფულად სახსრებს და თავისი სახელით განათავსებს მათ დაბრუნებადობის, ანაზღაურების და ვადიანობის პირობით, ასევე ახორციელებს საანგარიშსწორებო, საკომისიო-საშუამავლო და სხვა ოპერაციებს.

როდესაც ილია ჭავჭავაძემ თავისი საბანკო პოლიტიკა ჩამოაყალიბა, ხაზი გაუსვა იმას, რომ "ბანკმა მოიგოს საქმე და შესძლოს მოგებიდან ქვეყნის საჭიროების დაკმაყოფილება", რადგან მარტო მოგების შემდეგ იწყება ის მოვალეობა ბანკისა, რომლის მეოხებითაც ჩვენს საერთო ჭირს უნდა უშველოს. ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ილიას ეს შესვლა აქტუალურია დღესაც, როდესაც საქართველოში ძველის ნგრევისა და ახლის შენების რთული პროცესი მიმდინარეობს.

ბანკების მუშაობის გარდაქმნაზე ლაპარაკი დაიწყო 1987 წელს. იმჟამად არსებული საფინანსო-საკრედიტო მექანიზმი არ იძლეოდა სა-

სურველ შედეგებს ქვეყნის მეურნეობის განვითარებისა.

“არსებულმა საბანკო სისტემამ, დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების მოქმედმა წესებმა, მანეთით კონტროლის საკრედიტო-საანგარიშსწორებო მექანიზმმა არა თუ ვერ შესძლო სახალხო მეურნეობის დარგებში არასასურველი ტენდენციების აღკვეთა, უყაირათობის ალაგმვა და პროგრესული, დადებითი ფინანსური შედეგებით გარანტირებული ღონისძიებების საკრედიტო რესურსებით უზრუნველყოფა, არამედ ფაქტობრივად მეურნეობის გაუმართლებელი ფინანსური გაღრმავების ჭარბი საკრედიტო რესურსებით ამოვსების მანიკერი პრაქტიკა წარმოიშვა”¹².

ამ პერიოდში საქართველოს საბანკო სისტემა სსრ კავშირის საბანკო სისტემის ნაწილს, უფრო სწორად, ფილიალს წარმოადგენდა.

ეკონომიკის მმართველობის დეცენტრალიზაციამ საბაზრო მეურნეობასთან დაკავშირებით მოითხოვა საბანკო სისტემის შეცვლა.

საქართველოს საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვანი გარდაქმნების განხორციელება დაიწყო 1991 წლის აგვისტოდან. ამ დროს მიღებულ იქნა კანონები (“საქართველოს რესპუბლიკაში ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ”, “საქართველოს რესპუბლიკაში ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ”, “საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ”), რომლებმაც განსაზღვრეს ფულად-საკრედიტო რეგულირების პრინციპები და ახალი საბანკო სისტემა.

“საქართველოს რესპუბლიკაში ბანკების და საბანკო საქმიანობის შესახებ” კანონის თანახმად საქართველოს საბანკო სისტემა მოიცავს:

- ა) საქართველოს ეროვნულ ბანკსა და მის დაწესებულებებს;
- ბ) კომერციულ ბანკებს (სახელმწიფო-კომერციული, კოოპერაციული და სხვ.);
- გ) სხვა საკრედიტო დაწესებულებებს (საქველმოქმედო, სადაზღვევო და საპენსიო ფონდებს, საინვესტიციო კომპანიებს).

1993 წლის ბოლოს სახელმწიფოს მეთაურმა გამოსცა ბრძანებულება “საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ფულად-საკრედიტო რეგულირების ზოგიერთი საგანგებო ღონისძიების შესახებ”, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბანკო სისტემის სტრუქტურულ გარდაქმნებში.

საქართველოს საბანკო სისტემამ ჩამოყალიბება დაიწყო ორსაფეხურიან რგოლად, რომელშიც ეროვნულ ბანკს და კომერციულ ბანკებს განსხვავებული სამართლებრივი მდგომარეობა უკავიათ. ცვლილებები შეეხება არა მარტო ბანკების სტრუქტურას, არამედ იცვლება საკრედიტო ურთიერთობებიც და ყალიბდება საკრედიტო მუშაობის ახალი მეთოდები. თუმცა, როგორც სწორად აღნიშნავს რ. კაკულია: “ქვეყანაში

ფულად-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების ფულად-საკრედიტო სისტემის კოპირებით და არა განვითარებადი ქვეყნების მაგალითით”.³

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მე-9 თავი დაეთმო სახელმწიფო ფინანსებს და კონტროლს. კონსტიტუციის 95-ე მუხლმა მკვეთრად გამოხატა საქართველოს ეროვნული ბანკის ადგილი საბანკო სისტემაში, – საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი. იგი შეიმუშავებს და ახორციელებს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკას პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.⁴

საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს იურიდიული პირის სტატუსი. იგი მონაწილეობს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოსა და კომერციულ ბანკებთან. ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელი დაწესებულებაა, რომელიც ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლით და პასუხს არ აგებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებისათვის, ისევე როგორც საქართველოს მთავრობა პასუხს არ აგებს ეროვნული ბანკის ვალდებულებებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეროვნული ბანკი ან მთავრობა თვითონ კისრულობს ასეთ ვალდებულებას.

მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული ბანკი გამოდის რეგორც მმართველობის ორგანო, რომელიც აღჭურვილია გარკვეული უფლებამოვალეობით ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში.

კანონმდებლობა მიუთითებს, რომ ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ფულის ერთეულისა და მისი მყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება ადეკვატური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებით და განხორციელებით, აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობისა და საბაზრო ურთიერთობაზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ეროვნული ბანკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს შეიმუშაოს, მიიღოს და განახორციელოს საქართველოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, სავალუტო ბანკებთან განახორციელოს საბანკო საქმიანობისა და ბანკებთან არსებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირება და ზედამხედველობა, ხელს უნდა უწყობდეს საგადასახადო სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებას, იყოს საქართველოს ბანკირი, მრჩევე-

ლი, ფისკალური აგენტი.

საქართველოს ეროვნული ბანკის უმაღლესი ორგანოა ეროვნული ბანკის საბჭო, რომლის წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს პარლამენტი. პარლამენტს ასევე შეუძლია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადააყენოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წარდგინებით ბანკის საბჭოს წევრთაგან ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე და ყოველწლიურად წარუდგენს მას თავისი საქმიანობის ანგარიშს. ეროვნული ბანკის ანგარიშგების აუდიტს განახორციელებენ პარლამენტის მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორები.

ეროვნული ბანკი აძლევს კონსულტაციებს ფინანსთა მინისტრს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის საკითხებზე.

1996 წლის 9 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ აღნიშნა, რომ "... ბიუჯეტის ფულად-საკრედიტო, სავალუტო პოლიტიკის ნაწილის კოორდინატორი, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, ბუნებრივია, იყო ეროვნული ბანკი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, მაგრამ ის, ამავე დროს, როგორც ვამბობთ, ბანკთა ბანკი და მთავრობის ფისკალური აგენტი. მოგეხსენებათ კონსტიტუციაში მოხსენებული მთავრობა საპრეზიდენტო, აღმასრულებელი ხელისუფლებაა, რადგანაც რეფორმების შედეგად მინისტრთა კაბინეტი ტრადიციული სახით უკვე არ არსებობს. ამდენად გარკვეულია საპრეზიდენტო ხელისუფლების, პარლამენტისა და ეროვნული ბანკის ინტერესები და ფუნქციები ბიუჯეტის შედგენის დროს".⁵

ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების დროს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა კომერციული ბანკებისათვის სავალდებულო მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, რომლებიც განისაზღვრება მოზიდულ სახსრებთან პროცენტული თანაფარდობით და ექვემდებარება ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას. ეს იმას ნიშნავს, რომ კომერციული ბანკები ვალდებული არიან სახსრების გარკვეული ნაწილი ეროვნულ ბანკში შეიტანონ. ამ ინსტრუმენტის მიზანს წარმოადგენს მათი კლიენტურის ინტერესების უზრუნველყოფა.

სარეზერვო ფონდის ფორმირების ნორმატივის საკითხი თითქმის ყოველთვის სადავო საკითხია ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის. 1996 წლის იანვარში ბანკების ასოციაციის გაფართოებულ სხდომაზე აღინიშნა კომერციული ბანკების წარმომადგენლების მიერ,

რომ “ბანკთა ბანკი” ჯერჯერობით დამსჯელის როლში უფრო გვევლინება, ვიდრე “მზრუნველი მამისა”.⁶

ეროვნულმა ბანკმა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის დონე ჯერ 20 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო შემდეგ 18 პროცენტამდე შეამცირა, რაც კომერციული ბანკების უკმაყოფილებას იწვევს. მათი აზრით, ეს ძალიან მაღალი პროცენტია, მაშინ, როდესაც რუსეთში აღნიშნული ნორმატივი 1,5 პროცენტში გამოიხატება.

ეროვნულმა ბანკს მის მიერვე განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად შეუძლია მისცეს კრედიტები ბანკებს, რომლებსაც ანგარიშები აქვთ გახსნილი ეროვნულ ბანკში.

ეროვნულ ბანკს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა საბანკო ლიცენზიების გაცემისა და ლიცენზიების მქონე ბანკებისა და იურიდიული პირების საქმიანობის ზედამხედველობისათვის. მას შეუძლია გამოსცეს შესაბამისი წესები, აგრეთვე განახორციელოს სხვა ღონისძიებები და სანქციები, თუ ასეთი საჭირო იქნება საფინანსო-საკრედიტო სისტემის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად. სახელდობრ, კანონი “ეროვნული ბანკის შესახებ” ითვალისწინებს, რომ ეროვნულმა ბანკმა შეიძლება გადაახდევინოს ბანკს ფულადი ჯარიმა უსწორო ოპერაციებიდან მიღებული დამატებითი შემოსავლის ოდენობამდე, გაუზარდოს სავალდებულო რეზერვების ნორმები, შეუწყვიტოს აქტიური ოპერაციები და სხვა.

ეროვნულ ბანკს ექსკლუზიური უფლება აქვს განახორციელოს ბანკნოტებისა და მონეტების ემისია. როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, სახელმწიფო ემისიის უფლებას ანიჭებს მხოლოდ ერთ ბანკს, რამდენადაც ფულის ემისიის მინიჭების უფლება ყველა ბანკისადმი, გამოიწვევდა ქვეყანაში ფულადი მიმოქცევის მოშლას. საემისიო ბანკი აღჭურვილია ისეთი საშუალებებით, რომელსაც არ შეიძლება ფლობდეს არც ერთი სხვა ბანკი, — ეს არის ბიუჯეტის სახსრები და მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული. სწორედ ამის საფუძველზე ეროვნული ბანკი ზემოქმედებს კომერციულ ბანკებზე და ხელმძღვანელობს მათ საქმიანობას. ემისიის უფლება ეროვნულ ბანკს შესაძლებლობას აძლევს გახდეს ქვეყანაში საბანკო საქმის ორგანიზაციის ცენტრი, რომლის გარშემო თავს იყრიან დანარჩენი ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებები.

ეროვნული ბანკი უშუალოდ აკონტროლებს ნაღდი ფულის მარაგს, ადგენს ემისიის გეგმებს, ბანკნოტებით და მონეტებით უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკას.

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე სახელმწიფოებში ბანკები საწარმოს განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენენ, რომლებიც დაკავშირებულინი არიან სამეწარმეო საქმიანობით სასესხო კაპიტალის სპეციფი-

კურ სფეროში, ახორციელებენ რა მის მობილიზაციას, გამოყენებასა და გადანაწილებას. ბანკები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგებების შესრულებით. ამ გარიგებებს საბანკო გარიგებებს უწოდებენ. გამონაკლისს არც საქართველოს ეროვნული ბანკი წარმოადგენს. ეროვნული ბანკის საბანკო გარიგებები წესრიგდება რა სამოქალაქო კანონმდებლობის საერთო ნორმებით, ამავე დროს გამოიყენება სხვადასხვა იურიდიული ძალის მქონე ნორმატიული აქტები: კანონი ეროვნული ბანკის შესახებ, ბანკის წესდება, ინსტრუქციები, რომელსაც გამოსცემს თვით ეროვნული ბანკი და სხვა.

ეროვნულმა ბანკმა მტკიცედ უნდა დაამკვიდროს თავის პრაქტიკაში იმ უნიფიცირებული წესების გამოყენება, რომელიც დაკავშირებულია აკრედიტივთან და ინკასოსთან.

საბანკო გარიგება არის აქტიური და პასიური.

აქტიურ გარიგებებს მიეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავენ მოგების მიღებას პროცენტული ანარიცხებისაგან გაცემული კრედიტის მიხედვით. კრედიტი ფასეულობათა ისეთი გადაცემაა ერთი პირიდან მეორესათვის, რომლის დროსაც ეკვივალენტის მიღება დროის განსაზღვრული მონაკვეთის შემდეგ ხდება.⁷

საბანკო კრედიტისათვის დამახასიათებელია დაბრუნებითობა, იგი ამავე დროს ატარებს მიზნობრივ ხასიათს, გაიცემა განსაზღვრული ვადით, ანაზღაურების პირობით და ბოლოს, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია — სესხის უზრუნველყოფა, რაც იმას გულისხმობს, რომ ბანკი კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფისათვის მიმართავს სხვადასხვა ფორმებს: გირაოში იღებს სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებს, უძრავ ნივთებს ან იყენებს სხვა ისეთ საშუალებებს, რომელიც მიღებულია საბანკო პრაქტიკაში. კანონმდებლობა ითვალისწინებს კრედიტის გაცემას ზოგიერთ შემთხვევაში სათანადო უზრუნველყოფის გარეშე. კანონში აღნიშნულია, რომ ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული წესებისა და პირობების შესაბამისად, მას შეუძლია გამოვიდეს ბოლო ინსტანციის კრედიტორის როლში საბანკო ანგარიშების მფლობელთა მიმართ, რომელთა სასარგებლოდაც იძლევა სესხს..., აგრეთვე პირობით ვალდებულებებს არაუმეტეს სამი თვის ვადით, თითოეული ასეთი კრედიტი ან ვალდებულება გარანტირებული უნდა იყოს კანონში მითითებული აქტივებით, თუ თვით ეროვნული ბანკი არ მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ კრედიტი ან ვალდებულება უგარანტიოდ გამართლებულია განსაკუთრებული მდგომარეობის გამო.

ბანკის საკრედიტო საქმიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ფულადი სახსრების თავმოყრა. ახდენს რა ფულადი სახსრების

მობილიზაციას, ბანკი გამოდის მსესხებლად და ვალდებულია კრედიტორს გადაუხადოს პროცენტები კაპიტალის გამოყენებისათვის. ასეთ ოპერაციებს უწოდებენ პასიურ ოპერაციებს. მათ შორის აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ სადეპოზიტო ოპერაციები. კანონი “საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” მიუთითებს, რომ ეროვნული ბანკი იღებს მთავრობისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული სახელმწიფო დაწესებულებების დეპოზიტებს. დეპოზიტარის როლში ეროვნული ბანკი იღებს და გასცემს სახსრებს, აღრიცხავს და ეწევა ამასთან დაკავშირებულ სხვა საფინანსო მომსახურებას. ეროვნულ ბანკს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ასეთი ანაბრების მიხედვით პროცენტების გადახდის შესახებ.

მართალია, ეროვნული ბანკი შეიმუშავებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ქვეყნის ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სახელმწიფოებრივ რეგულირებას. თუ პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ ეროვნულმა ბანკმა თავისი სტაბილურობის უზრუნველყოფის ინტერესების შესაბამისად უნდა შეცვალოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მაშინ ეროვნული ბანკი დაუყოვნებლივ შეუდგება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას და განახორციელებს მას პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას ხელს შეუწყობს “კანონი საქართველოში კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ”, რომელიც საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო.

საბანკო სისტემის განმტკიცების მიზნით, როგორც აღვნიშნეთ, ბანკი კომერციულ ბანკებზე გასცემს მოკლევადიან კრედიტებს, სამაგიეროდ გირაოში იღებს კანონით გათვალისწინებულ აქტივთაგან ერთ-ერთს (საერთაშორისო სარეზერვო ინსტრუმენტები, ფასიანი ქაღალდები, სასაქონლო ზედდებულებები, დეპოზიტები ეროვნულ ბანკში და ა. შ.). ეროვნული ბანკი ხელს უწყობს კომერციული ბანკების საქმიანობას, მაგრამ არ ერევა ოპერატიულ საქმიანობაში. კანონმდებლობის შესაბამისად იგი კონტროლს უწევს კომერციული ბანკების შექმნის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას. აღნიშნული კონტროლი ხორციელდება კომერციული ბანკის წესდების რეგისტრაციისა და ლიცენზიის გაცემის პროცესში.

ზემოაღნიშნული კანონი ეროვნულ ბანკს აძლევს იმ ეკონომიკური ლიმიტებისა და ნორმატივების განსაზღვრის უფლებას, რომელთა მეშვეობითაც ეროვნული ბანკი აქტიურ ზემოქმედებას ახდენს კომერციულ-

ლი ბანკების საქმიანობაზე და ხელს უწყობს საქართველოს საკრედიტო სისტემის განმტკიცებას: საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა ფულად ფორმაში, ბანკის აქტივების და ბანკის სხვადასხვა სახის კაპიტალის და რეზერვების ზღვრული ურთიერთთანაფარდობა, ბანკის მიერ მოზიდული ანაბრების ზღვრული თანაფარდობა ბანკის კაპიტალთან, ბალანსის ლიკვიდურობის მაჩვენებლები, მინიმალური სარეზერვო ვალდებულებები და ა. შ.

კომერციული ბანკები იურიდიული პირებია, რომლებიც არ შედიან ეროვნული ბანკის სისტემაში. ეროვნულ ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებს შორის დამყარებულია საფინანსო-სამართლებრივი ურთიერთობა.

ეროვნულ ბანკს შეუძლია კანონით გათვალისწინებული დარღვევების შემთხვევებში კომერციული ბანკების მიმართ გამოიყენოს სანქციები; ეს დარღვევები შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სახით: თუ ბანკმა ან სხვა საკრედიტო დაწესებულებამ დაარღვია ეროვნული ბანკის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, დებულება, წესები, დადგენილებები, მოთხოვნები; დაარღვია ნებისმიერი პირობა ან შეზღუდვა, რომელიც დართული აქვს საბანკო ლიცენზიას ან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ დებულებას, დაარღვია ოფიციალური მოვალეობა ან ბანკი საქმიანობს საკმაოდ სახიფათოდ და არა საიმედოდ. ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ეროვნულ ბანკს უფლება აქვს: გაუგზავნოს წერილობითი გაფრთხილება, გამოსცეს ინსტრუქცია მოთხოვნით, რომ ბანკმა შეწყვიტოს დარღვევა, აგრეთვე მიიღოს ზომები მის აღმოსაფხვრელად, დაადოს ჯარიმა მის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით; დროებით ან საერთოდ გადააყენოს ბანკის ადმინისტრაციული მუშაკები თანამდებობიდან, გადასცეს ბანკის ოპერატიული მართვა დროებით ადმინისტრაციას, გამოითხოვოს საბანკო ლიცენზია და სხვა.

საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს დარღვევების შემთხვევაში ბანკის ან საკრედიტო დაწესებულების მართვა გადასცეს დროებით ადმინისტრაციას მდგომარეობის გამოსწორების მიზნით. თუ ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ ბანკი ან სხვა საკრედიტო დაწესებულება გადახდის უნარს მოკლებულია, იგი უნდა გამოცხადდეს გადახდისუუნაროდ და მოხდეს მისი ლიკვიდაცია.

1 ა. თელია. ქართული სათავადაზნაურო ბანკი და ილია ჭავჭავაძე, თბ. 1989 წ. გვ. 71.

2 ვ. პატიშვილი, საბანკო სისტემის რეორგანიზაცია, თბ. 1988 წ. გვ. 5.

3 რ. კაკულია, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, თბ. 1995 წ. გვ. 141.

4 საქართველოს კონსტიტუცია, თბ 1995 წ. მუხ. 95.

5 ე. შვეარდნაძის მოხსენება, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა" 1996 წ. 10 თებერვალი N24.

6 გაზ. "ბანკები და ფინანსები", 1996 წ. თებერვალი, N14.

7 რ. შენგელია, საქართველოს საფინანსო სამართლის საკითხები (II ნაკვეთი) გვ. 126.

სამოქალაქო სამართალი და სისხლის სამართალი (შედარებითი ანალიზი)

გურამ ნაჭყებია

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

დავას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ სამართლის ყოველ დარგს სამართლის სისტემაში თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს. ისიც ფაქტია, რომ სამართლის სისტემაში სამართლის ყოველი დარგის ადგილი სამართლებრივი ღირებულების გადანაწილების აქსიოლოგიური კანონით განისაზღვრება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მატერიალური სამართლის სისტემაში სისხლის სამართალს სულ ბოლო ადგილი უჭირავს. სისხლის სამართალში სამართლებრივი მოთხოვნის მინიმუმია გამოხატული, რადგან იგი უპირისპირდება დანაშაულს, როგორც უკიდურეს სამართალდარღვევას. ამ სამართალდარღვევისაგან თავშეკავების მოთხოვნა ის მინიმუმია, რომელიც შეიძლება სამართალმა აღამიანს წარუდგინოს. ამ თვალსაზრისით ცხადი უნდა იყოს, რომ სამოქალაქო სამართალს სამართლის სისტემაში განსხვავებული ადგილი უჭირავს. სამოქალაქო სამართალში განმსაზღვრელია პოზიტიური მოქმედება (ხელშეკრულების დადება და შესრულება, მომსახურების გაწევა, საკუთრების უფლების განხორციელება და ა.შ.), ხოლო სამართალდარღვევა აქ სულ სხვა ხასიათს ატარებს, ვიდრე სისხლის სამართალში დანაშაული. მაგრამ, სამწუხაროდ, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში თითქმის გაბატონდა შეხედულება, რომლის თანახმად, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობა ზიანის მიყენებიდან წარმოშობილი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ანალოგიით უნდა გადაწყდეს. აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ როგორც “ზიანი” სამოქალაქო სამართალში, ისე “დანაშაული” სისხლის სამართალში იურიდიული ფაქტებია, რომლებიც იწვევენ სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

დებულება, რომ დანაშაული იურიდიული ფაქტია, რომელიც წარმოშობს სისხლის სამართლებრივ ურთიერთობას, საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმად იქნა აღიარებული.¹ მაგრამ რატომღაც მხედველობაში არ იქნა მიღებული ის გარემოება, რომ ანალოგიას, როგორც ლოგიკურ მეთოდს, თან უნდა ახლდეს შედარებითი ანალიზი,

ხოლო შედარება, თავის მხრივ, ბუნებრივად ქმნის ანალოგიის შესაძლებლობას. ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ანალოგიით სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გაგება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ წინასწარ იქნება სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის შედარებითი ანალიზი. სამწუხაროდ, ამგვარი შედარებითი ანალიზი არ მომხდარა. ამის გამო ანალოგიის მეთოდის ცალსახა გამოყენება მოცემულ შემთხვევაში მეთოდოლოგიურ ცდომილებად უნდა ჩაითვალოს. სახელდობრ, ჩვენ სადავოდ არ მიგვაჩნია ის დებულება, რომ “ზიანი” სამოქალაქო სამართალში მართლაც იურიდიული ფაქტია, რომელიც იწვევს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ დანაშაულიც იურიდიული ფაქტია, რომელიც იწვევს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას. მართლაც, ერთ-ერთ სახელმძღვანელოში ამტკიცებენ, რომ დანაშაული, როგორც იურიდიული ფაქტი, იწვევს სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, მაგრამ “პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ სცვლის”². ეს დებულება იმისი არაპირდაპირი აღიარებაა, რომ დანაშაული არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა იურიდიულ ფაქტად ჩაითვალოს. სახელდობრ, თუ დანაშაულის ჩადენა მისი ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ სცვლის, მაშინ რანაირადაა იგი იურიდიული ფაქტი? სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სისტემაში სისხლის სამართლის კანონის მოქმედებასთან დაკავშირებით (საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი) ლაპარაკია “მოქალაქეებზე”, “უცხოელ მოქალაქეებზე” და “მოქალაქეობის არმქონე პირებზე”, რომლებიც სისხლის სამართლის ნორმის ადრესატებს წარმოადგენენ. ეს პირები სისხლის სამართლის სუბიექტები არიან, ეს იმასაც უნდა ნიშნავდეს, რომ სისხლის სამართალში წმინდა იურიდიული თვალსაზრისით სხვა სუბიექტები არ არსებობს. წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, დანაშაულის ჩამდენ პირს “მსჯავრდებული” ეწოდება, ხოლო მსჯავრდებული მხოლოდ ის პირია, რომელსაც სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაული წმინდა იურიდიული თვალსაზრისით მხოლოდ მაშინ ითვლება ჩადენილად, თუ იგი დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენით, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა. ამ დებულებას ადასტურებს არაპრაქტიკულობის პრეზუმფციაც, რომელიც მოქმედებს არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო სამართალში, არამედ სისხლის სამართალშიც. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამარ-

თლის კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, “არავინ არ შეიძლება ცნობილ იქნეს ბრალეულად დანაშაულის ჩადენაში, აგრეთვე დაედოს სისხლისსამართლებრივი სასჯელი, თუ არა სასამართლოს განაჩენით და კანონის შესაბამისად”.

ამრიგად, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება ჩადენილად, თუ იგი დადგენილია გამამტყუნებელი განაჩენით, რომელიც კანონიერ ძალაში შევიდა. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დასკვნაც, რომ “დანაშაული” მისი ჩადენის მომენტში არც არსებობს. სახელდობრ, დანაშაულის ჩადენა სისხლის სამართლის კანონში აღწერილი შემადგენლობის განხორციელების გზით ხდება, ხოლო დანაშაულია თუ არა სისხლის სამართლის საკანონმდებლო შემადგენლობის შესაბამისი ქმედობა, ეს მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს. ეს ასეა, რადგან დანაშაულის საკანონმდებლო შემადგენლობისადმი ქმედობის ფორმალური შესაბამისობა სრულიადაც არ არის გამორიცხული, ხოლო ამგვარ ვითარებაში “დანაშაული” შეუძლებელია. მართლაც, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, “დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება, ან უმოქმედობა, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას”. მაშასადამე, დანაშაულის ჩადენა ქმედობის საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების გზით ხდება, მაგრამ ქმედობის საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელება. ჯერ კიდევ არ უდრის დანაშაულის ჩადენას. ვიმეორებთ: ქმედობის საკანონმდებლო შემადგენლობისადმი ჩადენილი ქმედობის შესაბამისობის დადგენა ჯერ კიდევ არაა დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი, ვიდრე სასამართლო არ დაამტკიცებს, რომ ჩადენილი ქმედობა საზოგადოებრივად საშიშია.

ამრიგად, წმინდა იურიდიული თვალსაზრისით, “დანაშაული” მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს. ამ მომენტამდე “დანაშაული” არ არსებობს და, მაშასადამე, იგი იურიდიული ფაქტი ვერ იქნება. აქ აშკარად იკვეთება დანაშაულის ცნებისა და დანაშაულის შემადგენლობის ცნების არსებითი სხვაობა, მათი განსხვავებული დანიშნულება. სახელდობრ, დანაშაულის შემადგენლობა მისი განხორციელების მომენტიდან არსებობს, მაშინ როდესაც “დანაშაული”, როგორც ითქვა, მხოლოდ სასამართლო განხილვის დასკვნით ეტაპზე არსებობს. აქედან გამომდინარე, იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა შეიძლება მიეწეროს არა დანაშაულს, როგორც ასეთს, არამედ დანაშაულის შემადგენლობის

შესაბამის კმედობას, მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება არა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, არამედ სისხლის სამართლის პროცესუალური ურთიერთობა. მაშასადამე, დანაშაულის შემაღგენლობის განხორციელების მომენტიდან უნდა წარმოიშვას არა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, არამედ სისხლის სამართლის პროცესუალური ურთიერთობა, რომლის ფარგლებში ზდება ჩადენილი კმედობის გამოძიება და სასამართლო განხილვა. ამიტომ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დანაშაულის შემაღგენლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი კი არაა, როგორც ამას საბჭოური კრიმინალისტიკები ამტკიცებენ, არამედ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საფუძველი. მართლაც, სისხლის სამართლის საპროცესო კანონსა და ლიტერატურაში ერთხმად ამტკიცებენ, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბი და კანონიერი საფუძველი არის ჩადენილ კმედობაში დანაშაულის შემაღგენლობის ნიშნების არსებობა.³

ყოველივე აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დანაშაულის შემაღგენლობას, მაგრამ მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობის წარმოშობისათვის. ეს დასკვნა შეიძლება განმტკიცებული იქნეს იმ დებულებითაც, რომ დანაშაულის შემაღგენლობა არის აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობა, მაშინ როდესაც მართლწინააღმდეგობა ღირებულებით მსჯელობას წარმოადგენს.⁴ თუ დანაშაულის შემაღგენლობა აღწერილობითი, ფაქტის მსჯელობაა, მაშინ მას არაფრით არ შეუძლია პირდაპირი ლოგიკური გზით გამოხატოს ჩადენილი კმედობის საზოგადოებრივი საშიშროება. აი, რატომაა შესაძლებელი დანაშაულის საკანონმდებლო შემაღგენლობისადმი ჩადენილი კმედობის ფორმალური შესაბამისობა. ბუნებრივია, რომ დანაშაულია თუ არა შემაღგენლობისადმი მისადაგებული კმედობა, ეს მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს. თუ სასამართლო დაადგენს, რომ საკანონმდებლო შემაღგენლობისადმი შესაბამისი კმედობა დანაშაულია, მაშინ განსასჯელი “მსჯავრდებული” გახდება. “დანაშაული” მხოლოდ ამ ეტაპზე არსებობს, მაგრამ თუ იგი იურიდიული ფაქტია, მაშინ ის უნდა იწვევდეს არა სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, არამედ სასჯელალსრულებითი ურთიერთობის წარმოშობას. სპეციალურ ლიტერატურაში კი ამტკიცებენ, რომ სასჯელალსრულებით სამართლებრივ ურთიერთობას იწვევს არა დანაშაული თავისთავად, არამედ გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც აღსასრულებლადაა მიქცევილებული.⁵

ამრიგად, “დანაშაული” არ შეიძლება რაიმე იურიდიულ ფაქტად ჩაითვალოს, რადგან იგი დანაშაულის შემაღგენლობის განხორციელებული

ბის მომენტში იურიდიულად არ არსებობს, ხოლო ოფიციალური წესით მისი დადგენის შემდეგ იგი ახალ ურთიერთობას არ იწვევს. სასჯელალსრულებით ურთიერთობას იწვევს არა დანაშაული თავისთავად, არამედ გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც აღსასრულებლად მოექცა. გამამტყუნებელი განაჩენი კი მოსამართლეთა შეცდომისა თუ ბოროტმოქმედების წყალობით შეიძლება გამოუტანონ იმ პირსაც, რომელსაც არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია. ამიტომაც, რომ სასჯელალსრულებითი ურთიერთობის წარმომშობ იურიდიულ ფაქტად ითვლება არა “დანაშაული”, არამედ გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც აღსასრულებლად მიექცა.

დებულება, რომ დანაშაული ის იურიდიული ფაქტია, რომელიც იწვევს სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, ისევე როგორც “ზიანი” სამოქალაქო სამართალში იწვევს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას, არ შეიძლება სწორ მეთოდოლოგიურ დასკვნად ჩაითვალოს. ჯერ ერთი, ცნობილია, რომ სისხლის სამართალი საჯარო სამართლის სისტემას განეკუთვნება, მაშინ როდესაც სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის სისტემაა. ეს დებულება დასტურდება ჰეგელის შემდეგი დებულებით. ავტორი უარყოფით-უსასრულო მსჯელობის მაგალითად ასახელებს დანაშაულს. მისი აზრით “ვინც იდენს, მაგალითად, ქურდობას, იგი უარყოფს არა მარტო სხვის, მეორე პიროვნების განსაკუთრებულ, კერძო უფლებას ამ ნივთზე, როგორც ამას ადგილი აქვს სამოქალაქო დავაში, არამედ საერთოდ უარყოფს მის უფლებას და ამიტომაც არის, რომ ქურდს არა მარტო იძულებულყოფენ დააბრუნოს მოპარული ნივთი, არამედ სასჯელსაც სდებენ, რადგან ის არღვევს უფლებას როგორც ასეთს, ე.ი. უფლებას საზოგადოდ. პირიქით, სამოქალაქო დავა წარმოადგენს უბრალო უარყოფით მსჯელობის მაგალითს, რადგან მასში უარიყოფა მოცემული, განსაკუთრებული, კერძო უფლება და ამით, მაშასადამე, აღიარებულია უფლება საზოგადოდ”.⁶

როგორც ვხედავთ, ჰეგელს აქ მხედველობაში აქვს საჯარო და კერძო სამართლის არსებითი განსხვავება. კერძოდ, თუ კარგად ჩაუვკვირდებით, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას კი არ იწვევს, არამედ პირიქით, იგი სუბიექტს გამოიყვანს სახელმწიფოსთან სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის გარეთ: სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა შესაძლებელია სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა დელიქტუნარიან წევრებს შორის სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან. მაგრამ როგორც კი განხორციელდება დანაშაულის შემადგენლობა, პირი, ამ შემადგენლობის გამო და ფარგლებში,

იურიდიულად აოც ვალდებულია და აოც უფლებათოსილი: ის იურიდიულად არაა ვალდებული გამოცხადდეს (თუ გამოცხადდება ბრალის აღიარებით, მაშინ მას პასუხისმგებლობას შეუმსუბუქებენ), მაგრამ მას არც მიმალვის უფლება აქვს დაკანონებული, რადგან მის მიმალვას პასუხისმგებლობაში მიცემის ხანდაზმულობის შერჩევა მოჰყვება. მაშასადამე, დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებში უკვე აღარ არის უფლება-მოვალეობის სუბიექტი. ვიმეორებთ: ის იურიდიულად ვალდებული არ არის გამოცხადდეს და არც უფლებამოსილია მიიმალოს. მაშასადამე, ეს პირი იურიდიულად გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფება. აქედან ის დასკვნაც შეიძლება გაკეთდეს, რომ დანაშაულის შემადგენლობის განმარტოებელი პირის სამართლებრივ მდგომარეობას სისხლის სამართალი არ ადგენს. ესაა სწორედ უარყოფა სახელმწიფოს იმ უფლებისა, რომ დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაიცვას საზოგადოებრივი ურთიერთობა. მაშასადამე, ჭკველი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ დანაშაულის ჩადენა საზოგადოდ არის უფლების უარყოფა. დანაშაული მართლაც უარყოფს სახელმწიფოსთან პიროვნების სისხლისსამართლებრივ კავშირს. მაშასადამე, დანაშაული სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას კი არ იწვევს, არამედ, პირიქით, უარყოფს იმ ურთიერთობას, რომელიც სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან იქმნება სახელმწიფოსა და საზოგადოების დელიქტუნარიან წევრებს შორის. სულ სხვაა ამ მხრივ “ზიანის” სამოქალაქო-სამართლებრივი გაგება. აქ შესაძლებელია როგორც მატერიალური, ისე მორალური ზიანი. სამოქალაქო სამართალში მოქმედებს ე.წ. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის პრინციპი, ე. ი. უნდა აღსდგეს ის პირვანდელი მდგომარეობა, რომელიც არსებობდა ზიანის მიყენებამდე. ეს შესაძლებელია მატერიალური ზიანის ანაზღაურებით და მორალური ზიანის ოფიციალური გაბათილებით, რომლის შედეგად აღსდგება ზოლმე მოქალაქის ან იურიდიული პირის კეთილი სახელი. ყოველივე ეს, თავის მხრივ, შესაძლებელია იმიტომ, რომ სამოქალაქო სამართალში სამართალდარღვევას, როგორც წესი, შექცევადი ხასიათი აქვს. მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ეს დარღვევა იყოს შეუქცევადი (მაგალითად, როდესაც ავტორს ნებართვის გარეშე გამოუქვეყნეს მისი პირადი ჩანაწერები, დღიურები და ა.შ.). დანაშაული კი შეუქცევადია. მართლაც, დანაშაული საზოგადოებას აყენებს არა მარტო მატერიალურ ზიანს, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც. დანაშაულით მიყენებული ქონებრივი ზიანი შეიძლება აღსდგეს, ანაზღაურებული იქნეს ნებაყოფილობითაც კი, მაშინ როდესაც დანაშაულით მიყენებული მორალურ-პოლიტიკური ზიანის ანაზღაურება შიშ-

ლებელია. მაგალითად, ქურდობა, უპირველეს ყოვლისა, მატერიალურ ზიანს აყენებს მესაკუთრეს, მაგრამ ამ დანაშაულს თან ახლავს მორალურ-პოლიტიკური ზიანიც. კერძოდ, ქურდობა უშრომელი, პარაზიტული ცხოვრების წესს ამკვიდრებს, რითაც გამძრწნელ ზეგავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე, უსამართლობაა, რომელიც ზნეობრივად დასაგმობია და ა.შ. ეს დანაშაულით მიყენებული მორალური ზიანია. მაგრამ ქურდობა არღვევს საკუთრების უფლებას, რომელიც სახელმწიფომ უნდა დაიცვას. ქურდობის ფაქტი ადასტურებს, რომ სახელმწიფო არ ან ვერ იცავს მესაკუთრეს, რაც მოქალაქეთა თვალში სახელს უტეხს სახელმწიფოს. ეს დანაშაულით მიყენებული პოლიტიკური ზიანია.

ამრიგად, დანაშაული შეუქცევადია. მაშასადამე, სისხლის სამართალში აზრი არა აქვს დანაშაულის აღდგენის მოვალეობას, რადგან, როგორც ითქვა, დანაშაულით მიყენებული მორალურ-პოლიტიკური ზიანის აღდგენა შეუძლებელია. მაშასადამე, დანაშაულის ასპექტით პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის პრინციპი სისხლის სამართალში არ მოქმედებს. სამოქალაქო სამართალში კი, პირიქით: რაკი აქ სამართალდარღვევა, როგორც წესი, შეუქცევადია, მაშასადამე, უნდა აღსდგეს ის პირვანდელი მდგომარეობა, რომელიც არსებობდა სამართალდარღვევის ჩადენამდე. აქედან ის დასკვნაც გამომდინარეობს, რომ “ზიანი” სამოქალაქო სამართალში ის იურიდიული ფაქტია, რომელიც იწვევს ამ ზიანის აღდგენის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს. “დანაშაული” კი, პირიქით, სისხლის სამართლის სფეროდან გაიყვანს ზოლმე მის ჩამდუნ პირს, რადგან დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ფაქტზე უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, რათა მოხდეს ჩადენილი ქმედობის გამოძიება და სასამართლო განხილვა. ამ ასპექტით საქმე შეეხება დანაშაულის შემადგენლობის განმახორციელებელი პირის სამართლებრივ მდგომარეობას (ეჭვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავრდებულს). თუ სასამართლო დაადგენს, რომ დანაშაული ნამდვილად იყო ჩადენილი და განსასჯელს ბრალი მიუძღვის მის ჩადენაში, მაშინ განსასჯელი “მსჯავრდებული” გახდება, ზოლო გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისა და აღსასრულებლად მისი მიტყვევის შემდეგ მსჯავრდებული სასჯელადსრულებითი სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი გახდება. აქ ყურადღებას იქცევს ისიც, რომ სამოქალაქო სამართალში, დამრღვევის პიროვნებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს: რაკი აქ სამართალდარღვევა, როგორც წესი, შექცევადია, მთავარია სამართალდარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა. პირიქით, სისხლის სამართალში დანაშაული

შეუქცევადია. მაშასადამე, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს დანაშაულის ჩამდენის პიროვნებას, რათა ამ უკანასკნელში პოზიტიური პასუხისმგებლობის აღრზდით მოხდეს მისი აღდგენა სახელმწიფოსთან იმ სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაში, რომელშიც იგი იყო დანაშაულის ჩადენამდე. მაშასადამე, სისხლის სამართალში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა მხოლოდ სასჯელის ასპექტითაა შესაძლებელი და არა დანაშაულის ასპექტით.

როგორც უკვე ითქვა, სისხლის სამართალში მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფცია. ამ პრინციპის თანმიმდევრული დაცვა კი უეჭველად მიგვიყვანს დასკვნამდე, რომ “დანაშაული” არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობ იურიდიულ ფაქტად ჩაითვალოს. სამოქალაქო სამართალში კი, პირიქით, როგორც წესი, მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, ე.ი. ივარაუდება, რომ ზიანის მიყენებელი ბრალეულია ზიანის მიყენებაში, თუ ვერ დამტკიცებს საწინააღმდეგოს. ეს კი მტკიცების ტვირთის გადანაწილებაზე მოქმედებს. სისხლის სამართალში კი, პირიქით, პირის ბრალეულობა დანაშაულის ჩადენაში სასამართლომ უნდა ამტკიცოს და ვიდრე ეს დამტკიცებული არ არის ოფიციალური წესით, პირი არაბრალეულია დანაშაულის ჩადენაში.

დავაკვირდეთ სამოქალაქო სამართალში მოვლენათა განვითარების ლოგიკას: სამართალდარღვევა, როგორც წესი, შექცევადია, მაშასადამე, აზრი აქვს მისი აღდგენის მოვალეობას, მაშინ როდესაც დანაშაული შეუქცევადია და, მაშასადამე, აზრი არა აქვს დანაშაულის “აღდგენის” მოვალეობას. რაკი სამოქალაქო სამართალში ზიანის აღდგენა, როგორც წესი, შესაძლებელია, მაშასადამე, აზრი აქვს ბრალეულობის პრეზუმფციას, თუ არ დამტკიცდება საწინააღმდეგო. სისხლის სამართალში კი ბრალეულობის პრეზუმფცია შეუძლებელია, რადგან დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ფაქტიდან ჯერ კიდევ არ გამოძინარეობს, რომ ჩადენილია დანაშაული. სამოქალაქო სამართალში ზიანი დასრულებული იურიდიული ფაქტია, მაშინ როდესაც სისხლის სამართალში დანაშაულის მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენის მცდელობასაც.

ამრიგად, ირკვევა, რომ “ზიანის” და “დანაშაულის” შედარებით ანალიზი ადასტურებს, რომ ამ ასპექტით დასკვნა ანალოგიის წესით ყოვლად გაუმართლებელია. მაგრამ მაშინ როგორაა შესაძლებელი სამოქალაქო სამართლისა და სისხლის სამართლის თანაარსებობა სამართლის სისტემაში, თუ მათ შორის რაიმე ანალოგია არ არსებობს? ჩვენი აზრით, ანალოგია შესაძლებელია არა ზიანის მიყენებიდან წარმოშობი-

ლი ვალდებულების ასპექტით, არამედ სახელშეკრულებო ვალდებულების ასპექტით, სახელდობრ, როგორც სისხლის სამართლის კანონში, ისე ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ზომები დანაშაულის ჩადენისათვის ან ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის. გარდა ამისა, დანაშაული ახალი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას არ იწვევს, ისევე როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება ახალ სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას არ იწვევს, რადგან ხელშეკრულება თვითონაა ვალდებულების წარმოშობის პირობა. მაგრამ “დანაშაული” ამ მიმართებითაც განსხვავდება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისაგან: თუ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა მაინც არ სცილდება სამოქალაქო სამართლის სფეროს, დანაშაული, პირიქით, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში შეუძლებელია, რადგან სისხლის სამართალი დანაშაულის ჩამდენი პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ ადგენს. ამიტომაც არ ჰქვია დანაშაულის ჩამდენი პირს “სისხლისსამართლებრივი სახელი”. საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ცნებები “დამნაშავე”, “დანაშაულის სუბიექტი”, “დამნაშავის პიროვნება” და ა.შ. იურიდიულად ყალბი ცნებებია და სისხლის სამართლის მეცნიერებაში სოციოლოგისტურ ტენდენციაზე მიანიშნებენ. ცნებათა სიწმინდის დაცვის გარეშე კი მეცნიერება შეუძლებელია, რადგან მეცნიერება საზოგადოდ ცნებითი აზროვნების დონეზეა შესაძლებელი.

1 М. С. Строгович, Курс советского уголовного процесса, Т. 1, М., 1968, с. 89, Б. В. Исаков, Юридические факты в советском праве, М., 1984, с. 26; А. П. Дудин, Диалектика правоотношения, Саратов, 1983, с. 104.

2 Советское уголовное право, Общая часть, М. 1972, с. 22.

3 საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1988, გვ. 199; შ. ფაფიაშვილი, პირველადი მასალების შემოწმება და სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, თბილისი, 1978, გვ. 27.

4 Г. Т. Ткешелидзе, Судебная практика и уголовный закон, Тбилиси, 1975, с. 54.

5 Советское исправительно-трудовое право, М. 1983, с. 74.

6 ჰეგელი, ლოგიკის მეცნიერება, თბილისი, 1962, გვ. 364.

სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრების შესახებ

გიორგი ტყეშელიაძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისკუსია სასჯელის მიზნების შესახებ ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს დროს დაიწყო და დღესაც გრძელდება. ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, თითქოს მოდავე მხარეებმა არგუმენტები ამოწურეს და ამის გამო ამ მიმართულებით ახლის თქმა მეტად სააღბათოა. წინამდებარე სტატია მიზნად არ ისახავს ხსენებული პრობლემისადმი მიძღვნილი ლიტერატურის დაწვრილებით განხილვა-შეფასებას.¹ ამჯერად ჩემი მიზანია ლიტერატურული და საკანონმდებლო წყაროების მოშველიებით ისეთი საკანონმდებლო ფორმულის გამონახვა, რომელიც საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსში აისახებოდა.

უპირველეს ყოვლისა, გადასაწყვეტია საკითხი შესახებ იმისა, აუცილებელია თუ არა სასჯელის მიზნების ასახვა სისხლის სამართლის კოდექსში? ამ საკითხის დასმა უსაფუძვლო არ არის თუნდაც იმიტომ, რომ მრავალი უცხო სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსში საერთოდ გათვალისწინებული არ არის სასჯელის მიზნები. ჩემი ვარაუდით ამის ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სასჯელის მიზნების შესახებ ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავებული მოსაზრებები ხელს უშლის კანონმდებელს დაადგინოს ისეთი კომპრომისული ნორმა, რომელიც მოდავე მხარეებსა და რაც მთავარია, მართლმსაჯულების ინტერესებს დააკმაყოფილებს. ჩვენს პირობებში ამ დაბრკოლების გადალახვა უსათუოდ მიზანშეწონილია, თუ სათვალავში მივიღებთ წარსულის გამოცდილებას, როდესაც პენალიზაციისა და სასჯელის შეფარდებისას ესოდენ საბედისწერო შეცდომები იქნა დაშვებული. ეს აზრი შეიძლება ასე დავაკონკრეტოთ: 1) ამით ერთგვარად იზღუდება თავად კანონმდებელი, რათა მან არ შემოიღოს ისეთი სასჯელი, რომელიც კანონში იმთავითვე გაცხადებული მიზნების შეუსაბამო იქნება ანდა სასჯელის ისეთი ზომა, რომელიც ზოგადი პრევენციის მიზნის გააბსოლუტების გზით დააკნინებს სპეციალური პრევენციის მიზნის მნიშვნელობას; 2) სასჯელის მიზნები თავისებური ორიენტირია სასამართლოსათვის სასჯელის დანიშვნისას. სასჯელის დანიშვნისათვის მნიშვნელოვანი, რელევანტური ფაქტები განსაზღვრული თვალსაზრისით

უნდა შეფასდეს — ან დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების სახით. ზოგჯერ კი ერთი და იგივე ფაქტი ერთ შემთხვევაში დამამძიმებელი, ხოლო სხვა შემთხვევაში შემამსუბუქებელი გარემოებაა (ორვალენტიათი ხასიათი): ასეთ ვითარებაში ერთ-ერთ არსებით საკითხს წარმოადგენს სწორი თანაფარდობის დადგენა სასჯელის მიზნებისა და ხსენებულ რელევანტურ ფაქტებს შორის.

უპირველეს ყოვლისა დასადგენია, მიიჩნევს თუ არა კანონმდებელი სასჯელის ერთ-ერთ მიზნად დასჯას (Kара) სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ყოფილი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1924 წ. ძირითადი საწყისების მე-4 მუხლში პირდაპირ იყო მითითებული: “სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამოცანად არ ისახავს მიზღვისა და დასჯის ამოცანებს”.² 30-იან წლებში შექმნილი, ყველასათვის ცნობილი პოლიტიკური სიტუაციის გამო იმდროინდელმა საკავშირო კანონმდებელმა პოზიცია შეიცვალა და 1938 წ. საკავშირო სასამართლო წყობილების კანონის მე-13 მუხლში ასეთი აზრობრივად გაუმართავი დებულება გაითვალისწინა ‘საბჭოთა სასამართლო, იყენებს რა სისხლის სამართლის სასჯელს, არა მარტო სჯის დამნაშავეს, არამედ აგრეთვე თავის მიზნად აქვს დამნაშავეს გამოსწორება და ხელახალი აღზრდა’. როგორც უკვე ითქვა, ეს დებულება აისახა 1958 წ. საკავშირო საფუძველებში და შესაბამისად იმდროინდელი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში.

სრულიად მართებულად აღინიშნავს ს. ჯორბენაძე, რომ “იურისპუდენცია არ არის ფილოლოგია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია კოდექსის ენაზე მუშაობა. სადაო ტერმინის კანონის რანგში აყვანა ბუნდოვანებას არ უნდა იწვევდეს.”³ სწორედ ასეთი ბუნდოვანების შედეგი იყო ის, რომ სასამართლო პრაქტიკასა და ასევე იურიდიულ ლიტერატურაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 მუხლს სხვადასხვანაირად განმარტავდნენ. მაგალითად, ‘სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიებათა გამოყენების პრაქტიკის შესახებ’ სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19 ივლისის დადგენილებაში ნათქვამი იყო: “დანაშაულის ჩადენაში ბრალეულ პირთა მიმართ სასჯელის ღონისძიების გამოყენებისას სასამართლოებს უნდა ახსოვდეთ, რომ “სასჯელი მიზნად ისახავს არა მარტო დასჯის მიზანს, არამედ აგრეთვე ხელახლა აღზრდისა და ახალი დანაშაულის ჩადენის აცდენის მიზანს.”⁴ პლენუმის ეს დადგენილება მიუღებლად ჩათვალა ბევრმა სწავლულმა იურისტმა. ამის გამო სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ 1962 წლის 29 ნოემბერის

დადგენილებით შეცვლა 1959 წლის 29 ივლისის დადგენილება და ტექსტუალურად გაიმეორა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმა იმის შესახებ, რომ "სასჯელი როდია დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს..."

აქ არ შევეუდგები იმ ავტორთა შეხედულებების კრიტიკას, რომლებიც სასჯელის ერთ-ერთ მიზნად დასჯის მიზანს თვლიდნენ. ახლა მთავარია გადავწყვიტოთ, მივიჩნიოთ თუ არა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელის ერთ-ერთ მიზნად დასჯის მიზანი?

საძიებელ საკითხზე შეიძლება მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაეცეს: სასჯელის მიზანს არ შეიძლება დასჯა წარმოადგენდეს. რუსულ ენაზე ლინგვისტურად "Карა", "Наказание" ილექსური ცნებებია, სინონიმებია. რუსული ენის განმარტებით ლექსიკონებში სასჯელი გაგებულია როგორც დასჯა. მაგალითად, ვ. დალის ლექსიკონში სასჯელი ასეა განსაზღვრული: "Кара - наказание, строгое наказание

Карать казнить, наказывать" (გვ. 89). "Наказывать подвергать наказанию, налагать взыскание, карать. Наказание самая кара или казнь" (420).

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ გამოთქმა "Наказание имеет целью карать" ნიშნავს იმას, რომ ვთქვათ "Наказание имеет целью наказание". მაშასადამე, სასჯელს არ ქონია მიზანი, იგი თვითმიზანი ყოფილა. აქედან ხომ ერთი ნაბიჯიღა რჩება სასჯელის აბსოლუტურ თეორიებამდე. ასეთი თვალსაზრისი განსაკუთრებით კანტის თეორიაში აისახა.

დანაშაული, კანტის მიხედვით, ზნეობრივი კანონის დარღვევაა და როგორც ასეთი, იწვევს სასჯელის შეფარდებას. სასჯელი გამოიყენება არა უტილიტარული მიზნებისათვის, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული. კანტი საერთოდ უარყოფს ზნეობაში, კერძოდ სამართალში სარგებლიანობის რაიმე კრიტერიუმის გამოყენებას. სასჯელი სიავისათვის სიავის სამართლიანი მიზლეა. დამნაშავე "დასჯილად უნდა იქნას ცნობილი, სანამ იმაზე იფიქრებენ, ამ სასჯელიდან მიიღონ რაიმე სარგებლობა მისთვის ან მისი თანამოქალაქეთათვის". ასეთმა მოსაზრებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა სისხლის სამართლის თეორიაში კლასიკური სკოლის წარმომადგენლებზე. ჰუმანიტარული და სოციოლოგიური მიმართულებების მომხრეთა დასაბუთებული კრიტიკის შემდეგ ასეთი შეხედულება ანაქრონიზმად ითვლება.

ის გარემოება, რომ საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში განსაზღვრული არაა თავად სასჯელის ცნება, წარმოადგენს

ერთ-ერთ მიზეზს იმისა, რომ ამ ცნების ნიშნები შეაქვთ სასჯელის მიზნებში. თუნდაც ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში თავდაპირველად განსაზღვრული უნდა იქნას სასჯელის ცნება, ხოლო შემდეგ სასჯელის მიზნები. გარდა ამისა, სათვალავშია მისაღები ისიც, რომ მოქმედი კოდექსის 22-ე მუხლის მეორე ნაწილში გარკვევით არის მითითებული, რომ “სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება”. თუ სასჯელის მიზანია სამაგიეროს მიზღვა (“დასჯა”), მაშინ როგორ უნდა გავიგოთ მოხსენიებული დებულება?

საქმე ისაა, რომ სასჯელი წარმოადგენს იძულებით ღონისძიებას. სწორედ ამით გამოიხატება ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი სასჯელის სპეციფიკა. ასეთი იძულებითი ღონისძიება ნიშნავს მსჯავრდებულს და მანქანის პირადი, შრომითი და ქონებრივი უფლებების აღკვეთას ან შეზღუდვას. რასაკვირველია, ეს იწვევს მსჯავრდებულის ფიზიკურ და ფსიქიკურ განცდებს. საწინააღმდეგოს მტკიცება მართლაც თვალთმაქცობა იქნებოდა და სასჯელს მის სპეციფიკურობას ჩამოაცილებდა. მაგრამ ერთია სასჯელის ცნების შინაარსში შეტანილი ეს ნიშანი და მეორეა მიზნად ტანჯვის დასახვა. სხვაგვარად უნდა გვემტკიცებინა, რომ და მანქანის ვსჯით იმისათვის, რომ დავსაჯით, დავტანჯოთ. დასჯა გამოდის თვითმიზანი, შურისძიების ინსტრუმენტის საშუალება.

რასაკვირველია, სასჯელის, მართლმსაჯულების საკითხები საზოგადოებრივი აზრის ყურადღების ცენტრშია. მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის არ ხასიათდება კომპეტენტურობით. ეს განსაკუთრებით ითქმის სამართლებრივ ფსიქოლოგიაზე, რომელიც საყოფაცხოვრებო ცნობიერების დონეს შეესატყვისება და ახასიათებს ამ უკანასკნელის ნიშნები: სტიქიურობა, უსისტემობა, ამორფულობა და ა.შ. სწორედ ამის გამო სამაგიეროს მიზღვა ხშირად აკმაყოფილებს დაზარალებულთა განსაზღვრული წრეების გრძობებსაც, მაგრამ მან დიდი ხანია დაადასტურა თავისი უნაყოფობა. ამიტომ იგი უარყოფილია რაციონალური და ჰუმანური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 22-ე მუხლით სასჯელის მიზნებად გათვალისწინებულია სპეციალური პრევენციისა და ზოგადი პრევენციის მიზნები. სპეციალური პრევენციის მიზანი მასში ასეა ასახული: “სასჯელი მიზნად ისახავს გამოასწოროს და ხელახლა აღზარდოს მსჯავრდებულნი შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონთა ზუსტი შესრულების, საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემების სულისკვეთებით”. ამ დებულებიდან ნათელია, რომ კანონმდებელი ისეთ ფუნქციას აკისრებს სისხლისსამარ-

თლებრივი სასჯელის ინსტიტუტს, რომელიც ასევე დამასასიათებელია მორალური ნორმებისათვის. უკანასკნელნიც სწორედ იმ ამოცანის გადაწყვეტას ისახავს მიზნად, რომელზეც მათითებულია ამ მუხლში (გავიხსენოთ ელინეის ცნობილი მოსაზრება სამართლის როგორც ზნობის მინიმუმის შესახებ). საკითხის ასეთი გადაწყვეტის შემთხვევაში ქარწყლდება სისხლის სამართლის სპეციფიკა. სისხლის სამართლის კოდექსში კი სწორედ ეს სპეციფიკა უნდა იქნას ასახული. ამ სპეციფიკური დანიშნულების ფარგლები მოაზრებული უნდა იქნას საერთოდ სისხლის სამართლის ამოცანის ფარგლებში. ეს ამოცანა კი მდგომარეობს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან მართლწესრიგის დაცვაში.⁵ ამიტომ, მთავარია, რომ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შედეგად გათავისუფლდეს კრიმინოგენური თვისებებისგან იმდენად, რომ მან მომავალში აღარ დაუშვას დანაშაულის რეციდივი. დამატებით იმის მოთხოვნა, რომ იგი ზნობრივად ისეთ პიროვნებად იქცეს, რომ საერთოდ არ დაუშვას მორალური ნორმების დარღვევა, არარეალურია.

როგორც უკვე ითქვა, მიზანია აგრეთვე ზოგადი პრევენცია ე.ი. სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩადენის აცდენა. რასაკვირველია, ეს არის სასჯელის და საერთოდ სისხლის სამართლის კანონის უპირველესი დანიშნულება. როგორც წესი, ასეთ გამაფრთხილებელ ზემოქმედებას მოსახლეობა გადაჭარბებულ მნიშვნელობას მიაწერს. სინამდვილეში კი ფორმალურ სოციალურ კონტროლს სისხლის სამართლის კანონმდებლობისა და კრიმინალური იუსტიციის სისტემის ჩათვლით არ ძალუძს მიაღწიოს იმას, რომ ისე დაამინოს, გააფრთხილოს ყველა პოტენციური დამნაშავე, რომ მათ საერთოდ არ ჩაიდინონ დანაშაული. ამის მიზეზი მრავალია. ერთ-ერთი ისაა, რომ ყურადღების ასეთი კონცენტრაციით სათანადოდ არ ფასდება ოჯახის და სხვა სოციალური უჯრედების არაფორმალური კონტროლის მნიშვნელობა და, გარდა ამისა, კანონისმიერი მუქარა და სასჯელის შეფარდება ყოველთვის როდი იძლევა პოზიტიურ შედეგს. მიუხედავად ამისა, ზოგადი პრევენციის მიზნის უარყოფა არ შეიძლება, რადგან მისი გამაფრთხილებელი ზემოქმედება უსათუოდ ხელს უშლის პოტენციურ დამნაშავეთა მცირე ნაწილს მაინც დანაშაული ჩაიდინონ.

საბოლოოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტში სასჯელისა და სასჯელის მიზნების შესახებ შესაბამისი მუხლები შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

მუხლი 9. სასჯელის ცნება

სასჯელი არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებუ-

ლი სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდება დანაშაულის ჩადენის გამო ბრალდებულად მიჩნეულ პირს და მკვლამარეობს ამ პირის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას ან აღკვეთაში.

მუხლი 10. სასჯელის მიზანი

(1) სასჯელის შეფარდების მიზნებია: ა) აცდენილ იქნას მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენა; ბ) სხვა პირთა მიერ დანაშაულის ჩადენა.

(2) ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული მიზნები ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირებზე ზემოქმედებით ღრმად გაიცნობიერონ დანაშაულის გასაკიცხი ხასიათი, გამოიმუშაონ თვითკონტროლის გრძნობა, განეწყონ მართლწესრიგის დაცვისა და პასუხისმგებლობის სულისკვეთებით. მსჯავრდებულის მიმართ ასეთი მოქმედების ფორმები და საშუალებები გათვალისწინებულია საქართველოს სასჯელთაღსრულების კოდექსით“.

ამ მუხლებში მითითებული არ არის იმაზე, რომ სასჯელის მიზანი არ არის ფიზიკური ტანჯვის მიყენება ან ადამიანის ღირსების დამცირება. ეს დებულება, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას სისხლის სამართლის ერთ-ერთი პრინციპის – ჰუმანიზმის პრინციპის განსაზღვრებაში.

1 ამის შესახებ ქართულ ენაზე გამოქვეყნებულია ა. ვაჩიშვილის ნაშრომი: “სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიება“, თბ. 1957. სასამართლო მხედულების ასპექტში სასჯელის მიზნები გაშუქებულია ჩემს ნაშრომში: იხ. Г. Т. Ткешелиадзе. Судебная практика и уголовный закон. Тб. გვ. 96-114. ახალი გერმანული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიისა და თანამედროვე ავტორთა მოსაზრებების შესახებ. იხ.: H. Jeschek. Lehrbuch des Strafrechts. Allgemeiner Teil. Berlin, 1988, გვ. 54-73.

2 აქ აღარ ვეხები ხსენებული აქტით გათვალისწინებული ანტიდემოკრატიულ ნორმებს, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას პირის მხოლოდ სოციალური სამიშროების გამო კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარეშე.

3 ევრობნაძე ს. საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები. კრ. “სამართლის რეფორმა საქართველოში“, თბ. 1994, გვ. 153.

4 БВС СССР, 1959, №5, გვ.6.

5 იხ. ამ საკითხზე: Уголовный закон. Опыт теоретического моделирования. 1992, გვ. 139

მარტინ ლუთერის თეზისები

გურამ კუტალია

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

“95 თეზისი” დიდი გერმანელი რეფორმატორის მარტინ ლუთერის (1483-1546 წწ.) პირველი მნიშვნელოვანი თხზულებაა, რომელმაც დასაბამი დაუდო ლუთერანობასა და, საერთოდ, რეფორმაციულ მოძრაობას გერმანიაში XVI საუკუნის დასაწყისში. მანამდე არა თუ გერმანიას, არამედ მთელ ევროპას არ ახსოვს ასეთი გაქანების ანტიფეოდალური მოძრაობა. შემთხვევითი არ არის, რომ რეფორმაციას და გლეხთა ომს გერმანიაში უწოდებენ პირველ ბურჟუაზიულ რევოლუციას. ამდენად, ჩვენი აზრით, ამ თხზულების გაცნობა სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. წინამდებარე თარგმანი “95 თეზისის” სრულად თარგმნის პირველ ცდას წარმოადგენს. აქამდე ქართველი მკითხველი მას იცნობდა მხოლოდ ზოგიერთი თეზისის რუსული თარგმანებით. (დაახლ. 20-25 თეზისია თარგმნილი), რომელთაც ვხვდებით წიგნებში: “Хрестоматия по всеобщей истории”, ч.1, составил П.К.Ардашев, 1914; С.П.Сигналевич, 95 тезисов Мартина Лютера, Казань, 1915; М.М.Смирин, Народная реформация Томаса Мюнцера и Великая крестьянская война, М., 1955; მისივე, Германия эпохи Реформации и Великой крестьянской войны, М., 1962.

თარგმანზე მუშაობისას ჩვენ გამოვიყენეთ “95 თეზისის” ტექსტის (ლათინურ ენაზე) ვაიმარის¹ გამოცემა, დავეყრდენით აგრეთვე თანამედროვე გერმანულ ენაზე შესრულებულ ფაუზისეულ² და ლუდოლფისეულ³ თარგმანებსაც.

95 თეზისი

ჭეშმარიტების სიყვარულისა და მისი ნათელყოფის სურვილის გამო, ქვემომოყვანილი თეზისები განხილულ იქნება ვიტენბერგში ღირსი მამის, თავისუფალ ხელოვნებათა და წმინდა თეოლოგიის მაგისტრის, და აგრეთვე თეოლოგიის ორდინალური პროფესორის მარტინ ლუთერის ხელმძღვანელობით. ამიტომ სთხოვს იგი ყველას, ვისაც პირადად არ შეუძლია ჩვენთან დისპუტში ჩაებას, ეს დაუსწრებლად,

წერილობით გააკეთოს. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელით, ამინ.

1. ჩვენს უფალს და მოძღვარს იესო ქრისტეს, როცა ამბობდა “მონანიეთ” და ა.შ., სურდა, მორწმუნეთა მთელი ცხოვრება განუწყვეტელი მონანიება ყოფილიყო.

2. ეს სიტყვა [მონანიება]* არ უნდა გავიგოთ როგორც მონანიების საიდუმლო, ესე იგი როგორც აღსარება და ცოდვათა მიტევება, რომელიც მღვდელმსახურებით ხორციელდება.

3. მაგრამ ის [ეს სიტყვა] არ გულისხმობს მხოლოდ შინაგან მონანიებას; დიახ, შინაგანი მონანიება ამაოა, თუ არ ახლავს გარეგნულად, ხორცის სხვადასხვაგვარი მოკვდინება.

4. ამიტომაც რჩება [ღვთაებრივი] სასჯელი მანამდე, ვიდრე გრძელდება სიძულვილი საკუთარი თავისადმი (ესაა ჭეშმარიტი შინაგანი მონანიება), სახელდობრ, ცათა სასუფეველში შესვლამდე.

5. პაპს არ სურს და არც შეუძლია განთავისუფლება რაიმე სხვა სასჯელისაგან, გარდა იმისა [ეპიტომიისა], რაც მან თვითონ დაადო საკუთარი გადაწყვეტილებით ან კანონების** თანახმად.

6. პაპს არც სურს და არც ძალუმს რაიმე ცოდვის მიტევება, თუ არ განაცხადებს და არ დაადასტურებს, რომ [ის] ღვთის მიერაა შენდობილი, ანდა, იგი უეჭველად მიუტევებს იმ შემთხვევაში, როცა ამის უფლება შენარჩუნებული აქვს; თუ იგი უგულებელჰყოფდა ამას, ცოდვა, საერთოდ შეუნდობელი დარჩებოდა.

7. ღმერთი, საერთოდ, არც ერთ დანაშაულს არ მიუტევებს ისე, თუ, ამავე დროს, ცოდვილს ყველაფერში არ დაუმორჩილებს მღვდელს, როგორც თავის მონაცვლეს.

8. მონანიების კანონები*** ვრცელდება მხოლოდ ცოცხლებზე; მომაკვდავებს კი სწორედ ამ ღებულებების თანახმად არაფერი მოეკითხებათ.

9. ამიტომაც გეწყალობს სულიწმიდა პაპის სახით, რადგან იგი [პაპი] თავის ღებულებიდან ყოველთვის გამორიცხავს სიკვდილისა და უკიდურესი გაჭირვების შემთხვევას.

10. უმეტრად და ცუდად იქცევიან ის მღვდლები, რომლებიც მო-

* კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული სიტყვები ორიგინალისეული არ არის, იგი აქაც და ქვემოთაც ტექსტის სიცხადისათვისაა მთარგმნელის ჩამატებული.

** ე.ი. საეკლესიო დადგენილებების.

*** ე.ი. საეკლესიო ღებულებანი, თუ როგორ უნდა აღსარება და მონანიება.

მაკვდავებს კანონიკურ ეპიტემიას სახლხინებელშიც უნარჩუნებენ.

11. ეს ღვარძლი, კანონიკური სასჯელის სალხინებლისეულ სასჯელად ქცევის თაობაზე, ჩანს, მაშინ ჩაითესა, როდესაც ეპისკოპოსებს ეძინათ.

12. წინათ კანონიკურ სასჯელებს იღებდნენ არა ცოდვათა მიტკეეზის შემდეგ, არამედ მიტკეეებაშდე, ერთგვარად მონანიების გულწრფელობის გამოსაცდელად.

13. თავიანთი სიკვდილით მომაკვდაენი ყველაფერს ინანიებენ და ისინი კანონიკური სამართლისათვის უკვე მკვდარნი არიან და, მაშასადამე, მისგან სამართლიანად თავისუფალნი.

14. მომაკვდავის უსრულობას სულიერ სისადესა და სიყვარულში აუცილებლად დიდი შიში მოაქვს, რაც უფრო მეტია უსრულობა, მით უფრო დიდია შიშიც.

15. [მომაკვდავის] ეს შიში და ძრწოლა (სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ) თავისთავად საკმარისია, რათა ძალა მიიტანოს სალხინებლის სასჯელზე, ვინაიდან ის [ეს ძრწოლა] ძალზე ახლოსა დგას სასოწარკვეთილების ძრწოლასთან.

16. ჯოჯოხეთი, სალხინებელი და სამოთხე, როგორც ჩანს, განსხვავდებიან ისე, როგორც სასოწარკვეთილებისა და უშფოთვეთილება, ზღვარი სასოწარკვეთილებისა და უშფოთველობა.

17. სალხინებელში სულთათვის, როგორც ჩანს, აუცილებელია, რომ იმდენადვე იკლოს ძრწოლამ, რამდენადაც იმატებს სიყვარული.

18. არც გონებრივი მოსაზრებით, და არც საღმრთო წერილით, როგორც ჩანს, ასევე არ არის დამტკიცებული, რომ მათ [სულებს სალხინებელში] არ შეუძლიათ მოიპოვონ დამსახურებული მდგომარეობა ან არ შეუძლიათ გაზარდონ სიყვარული.

19. აგრეთვე არც ისა სჩანს დამტკიცებული, რომ ისინი დარწმუნებულები და დაიმედებულნი იყვნენ თავიანთ ნეტარებაში, ანდა, სულ ცოტა, რომ ყველანი იყვნენ ასე, თუმცაღა ჩვენ შეიძლება სრულებით დარწმუნებულნი ვიყოთ ამაში.

20. ამიტომ პაპს ყველა ცოდვილის სრულ მიტკეეებაში ესმის არა საერთოდ ყოველგვარი სასჯელისაგან განთავისუფლება, არამედ მხოლოდ იმათგან [ეპიტემიისაგან], რომელნიც მან თვითონ დაადო.

21. ცდებიან ინდულგენციის ის მქადაგებელნი, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ადამიანი პაპის ინდულგენციის წყალობით ყოველგვარი სასჯელისაგან თავისუფლდება და მოიპოვებს ხსნას.

22. დიახ, პაპი ვერცერთ სასჯელს ვერ მიუტკეებს სულებს სალხინებელში, რომელნიც მათ ამქვეყნიურ ცხოვრებაში უნდა მოენანიებიათ

კანონისამებრ.

23. თუკი რამენაირად შესაძლებელია ყველა სასჯელის სრული ჰიტეება, მაშინ ის, უეჭველად, მხოლოდ სრულყოფილია, ანუ ძალზე მცირეთა, ხვედრი იქნება.

24. ამიტომ ხალხის დიდი ნაწილი გარდაუვალად მოტყუებული დარჩება ამ განურჩეველი და გულუხვი დაპირებებით, თითქოს მათ სასჯელები მიეტეებათ.

25. ისეთივე ძალაუფლება, როგორც პაპსა აქვს საერთოდ სალხინების მიმართ, აქვს აგრეთვე განსაკუთრებით ყოველ ეპისკოპოსს თავის ეპარქიაში და ყოველ მოძღვარს თავის მრევლში.

26. პაპი სწორედ იქცევა, როცა მიუტეებს სულს არა გასადების ძალით (რომელიც მას არ გააჩნია), არამედ შუამდგომლობის გზით.

27. ადამიანურ მოძღვრებას ქადაგებენ ისინი, ვინც ამბობს, რომ, როგორც კი ფულები აჩხრიალდება ყუთში, სული მაშინვე ტოვებს სალხინებელსო.

28. უეჭველია, როგორც კი ფულები აჩხრიალდება ყუთში, მაშინვე იზრდება ანგარება და სიხარბე; ეკლესიის შუამდგომლობა კი მხოლოდ ღვთის ნებითაა.

29. ვინ იცის, სურს თუ არა ყველა სულს ისე ხსნა სალხინებელში, როგორც, გადმოცემის თანახმად, მოიქცნენ წმ. სევერინუსი და წმ. პასქალიუსი.

30. არვინ უნდა იყოს დაიმედებული, რომ მას ჭეშმარიტი მომანიება საკმარისად აქვს; კიდევ უფრო ნაკლებად უნდა იყოს ის დაიმედებული ცოდვების სრულ მიტეებაში.

31. როგორი იშვიათიცაა ჭეშმარიტი მომანიებელი, ისევე იშვიათია ინდულგენციის ჭეშმარიტი მყიდველი, დიახ, ასეთები ძალზე იშვიათია.

32. სამუდამოდ შერყენებული იქნებიან თავიანთ მოძღვრებთან ერთად ისინი, ვინც დარწმუნებულია, რომ ინდულგენციის მეშვეობით მოიპოვებს დახსნას.

33. განსაკუთრებით უნდა ვერიდოთ იმათ, ვინც ამბობს, რომ პაპის ინდულგენცია - ესაა ფასდაუდებელი ღვთიური ნიჭი, რომლის შემწეობითაც ადამიანი ურიგდება ღმერთს.

34. რადგან ამ ინდულგენციათა მადლი ეხება მხოლოდ საკრამენტულ ცოდვათა გამოსყიდვის სასჯელს, რომელიც დაწესებულია ადამიანის მიერ.

35. არაქრისტიანულად ქადაგებს ის, ვინც ასწავლის: მას, ვინც სალხინებლიდან სულს გამოისყიდის ან აღსარების სიგელს [ინდულ-

გენციას] შეიძენს, მეტად აღარ ესაჭიროება მონანიება.

36. ყოველ ქრისტიანს, რომელიც გულწრფელად ინანიებს, სასჯელისა და დანაშაულის სრული მიტევება ინდულგენციის გარეშეც ეკუთვნის.

37. ყოველი ჭეშმარიტი ქრისტიანი, ცოცხალი თუ მკვდარი, მონაწილეა ქრისტესა და ეკლესიის ყოველგვარი სიკეთისა, რაც მას ასევე, ინდულგენციის გარეშე, ღვთისაგან აქვს ნაბოძები.

38. და მინც, არასგზით არ შეიძლება პაპის მიტევებისა და მონაწილეობის [ზემოხსენებულ მადლში] უგულბებლყოფა, რადგან ის, როგორც უკვე ვთქვით, განცხადებაა ღვთის მიტევებისა.

39. თვით ყველაზე განსწავლულ თეოლოგთათვისაც კი მეტისმეტად ძნელია, ხალხის წინაშე ინდულგენციის სიუხვის და გულწრფელი მონანიების ერთდროულად განზიდება.

40. გულწრფელ მონანიებას სურს და უყვარს სასჯელი; ინდულგენციის სიუხვე კი გულგრილს ზღის და სიძულვილს იწვევს მისდამი, ყოველ შემთხვევაში, საამისო საბაბს იძლევა.

41. სამოციქულო ინდულგენცია ფრთხილად უნდა ვიქადაგოთ, რათა ხალხში არ გავრცელდეს მცდარი აზრი, თითქოს ეს ინდულგენცია სიყვარულის სხვა კეთილ საქმეებზე მადლა იდგეს.

42. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ, რომ სულაც არ არის პაპის აზრი, თითქოს ინდულგენციის შესყიდვა რამენაირად მოწყალების საქმის ტოლფასი იყოს.

43. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: ინდულგენციის მყიდველებზე უკეთესად იქცევა ის, ვინც განიკითხავს ღარიბებს ან ეხმარება გაჭირვებულებს.

44. რადგან სიყვარულის საქმის მეშვეობით იზრდება სიყვარული და ადამიანი უმჯობესდება, ხოლო ინდულგენციის მეშვეობით იგი კი არ უმჯობესდება, არამედ მხოლოდ თავისუფლდება სასჯელისაგან.

45. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: ის, ვინც გაჭირვებულს დაინახავს და, [მასზე ზრუნვის ნაცვლად], ინდულგენციის შექენას ამჯობინებს, პაპისეულ შენდობას კი არ მოიპოვებს, არამედ ღვთის რისხვას დაითვის.

46. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ, რომ ვისაც ზედმეტი ქონება არა აქვს, ვალდებულია თავისი ოჯახის რჩენაზე მეტად იზრუნოს და ეს სახსრები არამცდაარამც არ გაფლანგოს ინდულგენციებზე.

47. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ, რომ ინდულგენციების შექენა ნებაყოფილობითია და არა ნაბრძანები [ანუ არასავალდებულო].

48. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპს ინდულგენციების გაცე-

მაზე და ფულის ამოდებაზე უფრო გულმხურვალე ლოცვა სურს თა-ვისთვის.

49. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპისეული ინდულგენცია სასარგებლოა, თუ მასზე იმედებს არ ამყარებენ, მაგრამ ის უკიდურესად საზიანოა, თუ მისი წყალობით ღვთისმომშიშობას კარგავენ.

50. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპმა რომ იცოდეს ინდულ-გენციების გამყიდველთა გამოძალკეობის შესახებ, იგი უმალ წმ. პეტრეს ტაძრის ფერფლად ქცევას ამჯობინებდა, ვიდრე მის შენებას თავისი სამწყსოს ტყაით, ხორციით და ძვლებით.

51. ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ: პაპი - როგორც ეს მას ევალებ-და კიდევ - სიაპოვნებით ამჯობინებდა, თუნდაც ამისათვის წმ. პეტრეს ტაძრის გაყიდვა დასჭირებოდა, საკუთარი ფული დაერიგებინა ყველა იმართვის, ვისაც უპირატესად ზოგიერთი ინდულგენციებით მოვაჭრე ფულსა სძალავს.

52. ამათა და ფუჭი იმედი ინდულგენციების დახმარებით ხსნისა, მაშინაც კი, თუ ზედამხედველი, თვით პაპიც კი, ამისათვის თავის სულს დააგირავებს.

53. ქრისტესა და პაპის მტრები არიან ისინი, ვინც ინდულგენცი-ების ქადაგების გზით სავსებით ახშობენ ღვთის სიტყვას [სახარებას] სხვა ეკლესიებში.

54. უსამართლობაა ღვთის სიტყვის მიმართ, თუკი ერთსა და იმავე ქადაგებაში ერთნაირი, ან უფრო მეტი, დრო ეთმობა ინდულგენციებს, ვიდრე მას [ღვთის სიტყვას].

55. პაპს არ შეუძლია იფიქროს სხვაგვარად, თუ არა ასე: თუკი ინდულგენციას (როგორც უმცირესს) აღნიშნავენ ერთი ზარით, ერთი პროცესით, ერთი მღვდელმსახურებით, მაშინ სახარება (როგორც უდი-დესი) უნდა იქადაგებოდეს ასობით ზარით, ასობით პროცესით, ასო-ბით მღვდელმსახურებით.

56. ეკლესიის საგანძურები, საიდანაც პაპი ინდულგენციას გას-ცემს, არც საკმარისადაა განსაზღვრული, არც ნაცნობია ქრისტიანი ხალხისათვის.

57. უეჭველია, რომ ისინი წარმავალი საგანძურები არ გახლავს, რადგან ისინი კი არ განიბნევიან, არამედ იკრიბებიან ამ უამრავი ინ-დულგენციების გამყიდველის ხელით.

58. ესენი [საგანძურებში] აგრეთვე არც ქრისტესი და არც წმინდა-ნების დამსახურება არ არის, რადგან ისინი [საგანძურები] ყოველთვის პაპის [მონაწილეობის] გარეშეც აძლევენ მადლს ადამიანის შინაგან [სულიერ] მეს, ხოლო ჯვარს [ტანჯვას], სიკვდილს და ჯოჯოხეთს

ადამიანის გარეგან [ხორციელ] მეს.

59. ეკლესიის საგანძურებს წმ. ლავრენტიუსი უწოდებდა ღარიბ მორწმუნეებს, მაგრამ იგი თავის ღროის ენაზე მეტყველებდა.

60. აუჩქარებლად ვამბობთ ჩვენ, რომ ეს საგანძური არის ეკლესიის გასაღები, ქრისტეს წყალობით რომ მიენიჭა ეკლესიას.

61. ვინაიდან ცხადია, რომ პაპის ძალაუფლება საკმარისია მხოლოდ ეპიტომიებისა და განსაკუთრებული [პაპზე დამოკიდებული] შემთხვევებისაგან გასათავისუფლებლად.

62. ეკლესიის ჭეშმარიტი საგანძური კი არის ღვთის დიდებისა და მადლის წმინდა სახარება.

63. მაგრამ ეს საგანძური სამართლიანად ითვლება საბუნებრივად, რადგან იგი პირველებს უკანასკნელებად აქცევს.

64. ინდულგენციის საგანძური კი სამართლიანად ითვლება ყველაზე სასიამოვნოდ, რადგან იგი უკანასკნელებს პირველებად აქცევს.

65. მაშასადამე, სახარების საგანძური ესაა ბაღე, რომლითაც წინათ მდიდარ ადამიანებზე თევზაობდნენ.

66. ინდულგენციის საგანძური კი - ესაა ბაღე, რომლითაც ღღეს ადამიანთა სიმდიდრეზე თევზაობენ.

67. ინდულგენცია, როგორც ამას მოქადაგენი აცხადებენ, უდიდესი მადლია, [მათთვის] მართლაც რომ ასეთია, რადგან დიდი მოგება მოაქვს.

68. სინამდვილეში კი ის [ინდულგენცია] სრულიად უმნიშვნელო მადლია ღვთის მადლთან და ჯვრის წყალობასთან შედარებით.

69. ეპისკოპოსები და მოძღვრები მოვალენი არიან დაუშვან მოციქულისეული ინდულგენციების ზედამხედველნი მთელი პატივით.

70. მაგრამ უფრო მეტად არიან ისინი ვალდებული თვალყური ადევნონ იმას, რომ ეს ზედამხედველნი პაპისეულ დავალებათა ნაცვლად საკუთარ მონაჩმას არ ქადაგებდნენ.

71. დაე ანათემას მიეცეს და წყეულიმც იყოს ყველა, ვინც სამოციქულო ინდულგენციების ჭეშმარიტების წინააღმდეგ გამოდის.

72. მაგრამ ვინც ინდულგენციის მქადაგებულთა თავგასული და კადნიერი სიტყვების წინააღმდეგ თამამად გამოდის, კურთხეულიმც იყოს!

73. როგორც პაპი სამართლიანად შეაჩვენებს იმას, ვინც ინდულგენციის საქმის საზიანოდ განიზრახავს რაიმე მანქანებას.

74. ისე უფრო მეტად ცდილობს იგი, ანათემით გაანადგუროს ის, ვინც ინდულგენციის საბაბით წმინდა სიყვარულისა და ჭეშმარიტების საზიანოდ მიმართავს მანქანებას.

75. უგუნურებაა ის მოსაზრება, თითქოს პაპის ინდულგენციას

სულ უმნიშვნელო ძალა ჰქონდეს, რომ მაშინაც კი შეეძლოს ადამიანის ცხოვნება, თუ იგი ღვთისმშობელს შებღაღავს.

76. ამის საპირისპიროდ ჩვენ ვამბობთ, რომ პაპის ინდულგენციას სულ უმნიშვნელო შეცოდების შემთხვევაშიაც კი არ ძალუძს დანაშაულის მოხსნა.

77. როცა ამბობენ, თვით წმ. პეტრეც კი, ახლა რომ პაპი იყოს, ვერ შეძლებდაო უფრო დიდი მადლის [ვიდრე ინდულგენციაა] ბოძებას, ეს ცილისწამებაა წმინდა პეტრეს და პაპის მიმართ.

78. ამის საპირისპიროდ ჩვენ ვამბობთ, რომ როგორც ახლანდელის, ასევე საერთოდ ყველა პაპის ხელთ არის უფრო დიდი მადლი [ვიდრე ინდულგენციაა], სახელდობრ, სახარება, სათნობანი, ნიჭი მკურნალობისა და სხვ. იხ. 1 კორინთელთა მიმართ 12.

79. იმის თქმა, რომ [ეკლესიებში] თვალსაჩინო ადგილზე აღმართული პაპის ღვთისმადლი [ინდულგენციის] ჯვარი ქრისტეს ჯვრის ტოლფასია, ღვთისგმობაა.

80. ეპისკოპოსები, მოძღვრები და თეოლოგები, რომლებიც ნებას რთავენ ამგვარ ქადაგებას ხალხის წინაშე, პასუხს აგებენ ამისათვის.

81. ინდულგენციის ასეთ უტიფარ ქადაგებას მივეყვართ იქამდე, რომ თვით სწავლულებსაც უჭირთ პაპის ღირსების დაცვა ერისკაცთა ცილისწამებისაგან ან, ყოველ შემთხვევაში, მწვავე შეკითხვებისაგან.

82. ასე, მაგალითად: რატომ არ გამოიხსნის პაპი სულებს საღვინებლიდან წმინდა სიყვარულისა და უკიდურესი გაჭირვების გამო - ეს ხომ უმნიშვნელოვანესი მიზეზია, მაშინ, როდესაც ის ათავისუფლებს უამრავ სულებს წმ. პეტრეს ტაძრის ასაგებად საჭირო ბინძური ფულის გამო, - რომელიც უმნიშვნელო მიზეზია?

83. და შემდგომ: რატომ არის შენარჩუნებული სულის მოსახსენებელი მესა და ყოველწლიური ადაპი მიცვალებულთათვის, და რატომ არ აბრუნებს ის [პაპი] ყველა შემოსავალს უკან, ან რატომ არ იძლევა მიცვალებულთათვის შეწირული ფულების უკან დაბრუნების უფლებას, თუკი ლოცვათუკვე შენდობილთათვის - უმართებულოა?

84. დღე შემდგომ: ეს რა ახლებური ღვთისმოსაობაა ღვთისა და პაპის წინაშე, რომელიც ნებას რთავს ბიწირსა და არაკეთილმოსურნეს გამოიხსნას ღვთისმოსავი და ღვთის ერთგული სული ფულის გამო, ხოლო ღვთისმოსავ და საყვარელ სულს არ ათავისუფლებს პირადი გაჭირვებისა და უანგარო სიყვარულის გამო?

85. და შემდგომ: მონანიების კანონები, რომლებიც სინამდვილეში გამოუყენებლობის გამო უკვე დიდი ხანია გაუქმებული და მკვდარია, კვლავ რატომ გამოიყენება ინდულგენციის ყიდვის გასამართლებლად,

თითქოს ისინი კვლავ ძალაში იყოს?

86. და შემდგომ: პაპის სიმდიდრე სადღეისოდ დიდად აღემატება კრასუსის სიმდიდრეს, ამიტომ ვერ ააშენებს განა წმინდა პეტრეს ტაძარს უმაღლ საკუთარი ხარჯით, ვიდრე ღარიბ-ღატაკი მორწმუნეების ფულით?

87. და შემდგომ: რას მიუტკვებს ან რის მონაწილედ ხდის პაპი თავისი ინდულგენციის მეშვეობით იმათ, ვინც გულწრფელი მონანიების წყალობით უკვე მიიღო სრული მიტევებისა და [მაღალში] მონაწილეობის უფლება?

88. და შემდგომ: რა იქნებოდა ეკლესიისათვის იმაზე უფრო უკეთესი, თუ პაპი ამ მიტევებასა და მონაწილეობას ყოველ მორწმუნეს უბოძებდა არა [მხოლოდ] ერთგზის, როგორც ის (ახლა) აკეთებს, არამედ დღეში ასჯერ?

89. თუ პაპი უბოძებს ინდულგენციებს უფრო სულების ხსენისათვის, და არა ფულისათვის, მაშინ რატომ აუქმებს ის ადრე ბოძებულ ინდულგენციებს, ისინი ხომ ასევე ძალაშია?

90. თუ ერისკაცთა ამ ძალაზე მწვავე შეკითხვებს ჩაახშობენ მხოლოდ შიშველი ძალით, და არ გააბათილებენ მათ გონივრული დასაბუთებით, ეს ნიშნავს, რომ ეკლესიას და პაპს მტრები მასხრად აიგდებენ და ქრისტიანებს გააუბედურებენ.

91. ამიტომ ინდულგენცია რომ იქადაგებოდეს პაპის სულისკეთებისა და განზრახვის შესაბამისად, ადვილი იქნებოდა ამ შეპასუხებათა გაქარწყლება, დიახ, ისინი საერთოდ არ წამოიჭრებოდა.

92. ამიტომ შორს ყველა ის წინასწარმეტყველი, ვინც ქრისტიანებს “მშვიდობა, მშვიდობაო” - ეუბნება, და მშვიდობა კი არ არის.

93. კურთხეულ იყოს ყველა ის წინასწარმეტყველი, ვინც ქრისტიანებს ეუბნება “ჯვარი, ჯვარიო”, და ჯვარი კი არ არის.

94. ქრისტიანებს უნდა ჩავაგონოთ, რომ მათ უნდა მისდიონ ქრისტეს - მათს თავს - ტანჯვის, სიკვდილის და ჯოჯოხეთის გზით.

95. და ამგვარად სწამდეთ მათ, რომ შევლენ ცათა სასუფეველში უფრო მრავალი ტანჯვის გზით, ვიდრე ყალბი სულიერი სიმშვიდის იმედით.

1. Martin Luthers Werke. Kritische Gesamtausgabe (Weimar: Herman Bohlau), 1883, I, 233-238.

2. H. Fausel. D. Martin Luther. Stuttgart, 1995, 74-84.

3. J. Ludolphy. Die 95 Thesen Martin Luther. Berlin 1967.

გამომცემლობის რედაქტორი: მურმან ხაინდრავა
კორექტორი: ლალი რატიანი
ტექნიკური რედაქტორები: ნინო ცარციძე, ნანა ჩუთლაშვილი,
ლია შატბერაშვილი
სურათის ავტორი: გივი შეყილაძე

Sergo Djorbenadse. 70. Festschrift
Серго Джорбенадзе. 70. Юбилейный сборник
Sergo Jorbenadze. 70. Jubilee collection

ფასი სახელშეკრულებო

შეკვეთა № 2 6 3

ტირაჟი: 500

სააქციო საზოგადოება "ფარნავაზი"
რობაქიძის გამზირი №7